

ჭურახ აბაშიძე

ღანბრეუდი ქედის  
მრედიღი

1990-1999



გაკურ სულაკაურის  
გამომცემღა

ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს – XXI საუკუნის  
მოქალაქეებს

ზურაბ აბაშიძე

**დანბრეული კედლის ჩრდილში**

რედაქტორი: რევაზ გაჩეჩილაძე  
გამომცემლობის რედაქტორი: თეა ქიტოშვილი  
დიზაინერი: თამუნა თათელაძე  
დაკაბადონება: თინათინ ბერბერაშვილი

პირველი გამოცემა  
© ზურაბ აბაშიძე, 2012  
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

ISBN 978-9941-15-781-3

Zurab Abashidze

**IN THE SHADOW OF DEMOLISHED WALL**

First edition, Tbilisi  
© Zurab Abashidze, 2012  
All Right Reserved

Bakur Sulakauri Publishing, 2012

## სარჩევი

ნინათქმა	5
საბჭოთა კავშირი გუშინ, დღეს, ხვალ...	7
„ქარიშხალი უდაბნოში“ და ერაცის დაუსრულებელი ტრაგედია	40
გერმანიის გაერთიანება: ძველი ევროპის ახალი სახლი	66
„10 დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“	90
იუგოსლავია: ჯოჯოხეთი ტურისტულ სამოთხეში	124
„ისტორიის დასასრული“ თუ კონფრონტაციის ახალი ერა?	156
ჩვენი დროის „გმირი“ – საერთაშორისო ტერორიზმი	175
ახალი და ძველი კონფლიქტები: ხან – ნუთი, ხან – საუკუნე...	209
ერთპოლუსიანი მსოფლიო: აშშ და გუნდი მისი	245
კოსოვოს სახიფათო პრეცედენტი	277
რუსული „მატრიოშკის“ სინდრომი	296
ბოლოსიტყვაობა	327
გამოყენებული ლიტერატურა	329



## წინათქმა

ასეთი წიგნის დანერა იოლი საქმეა. მასში აღწერილი მოვლენები და ფაქტები ჩვენ თვალწინ, რაღაც 15-20 წლის წინ ხდებოდა; როგორც იტყვიან, სულ ახლახანს. საკმარისია მოგონებები დაალაგო, შესაბამის ლიტერატურასა და ვებგვერდებში ჩაიხედო, მერე ყველაფერ ამას „მარილი“ და „წინაკა“ მოაყარო და წიგნიც მზად არის. თუ რა გამოვიდა ამისგან, უკვე მკითხველის შესაფასებელია.

2009 წელს გამოვეცი წიგნი „ცივი ომი: წარსული თუ დღევანდელია?“, რომელშიც განხილული იყო „ცივი ომის“ ეპოქა. ამჟამად კი საუბარი გვექნება 1990-იან წლებზე. ეს ისტორიის უნიკალური მონაკვეთია. 45-წლიანი „ცივი ომის“ შემდეგ, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება. „ცივი ომის“ სიმბოლო – ბერლინის კედელი – დაინგრა. კაცობრიობამ თავი დააღწია დიდ დაპირისპირებას, მაგრამ წარსულის ინერცია და ფსიქოლოგია წლების მანძილზე ახდენდა (და დღემდე ახდენს) გავლენას ახალი, არაკონფრონტაციული მსოფლიოს მშენებლობაზე. ნობელის პრემიის ლაურეატმა, გერმანელმა მწერალმა გიუნტერ გრასმა, სწორედ 1990-იან წლებში თქვა: „ბერლინის კედელი დაინგრა, მაგრამ მისი ჩრდილი კვლავ ეფინება მსოფლიოს“.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში 1990-იანი წლები იმით არის განსაკუთრებული, რომ სწორედ მაშინ აღიდგინა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა. ახალი სახელმწიფოს მშენებლობაც იმ წლებში დაიწყო, მეტად რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში.

ამ გარემოებების გარდა, 1990-იანი წლები სხვა ფაქტორებითა და მოვლენებითაც იყო უნიკალური უახლეს ისტორიაში. ვცდილობთ, ზოგი რამ მათ შესახებაც მოვუთხროთ მკითხველს.

ამ წიგნის ადრესატი უმთავრესად ის თაობაა, რომელიც 1990-იან წლებში, ან უკვე XXI საუკუნეში მოევლინა სამყაროს.

წიგნში ნაკლებად ვეხებით იმ პერიოდის საქართველოს, რადგან ამ თემის ირგვლივ დიდძალი ლიტერატურა არსებობს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. ჩვენი ყურადღების საგანია მსოფლიოში და ჩვენ ირგვლივ მომხდარი მთავარი მოვლენები, რომლებიც ქართულ წყაროებში ნაკლებად არის გაშუქებული.

## საბჭოთა კავშირი გუშინ, დღეს, ხვალ...

(სიურ)რეალისტური ისტორია, მიძღვნილი  
სსრკ-ის დაშლის 20 წლისთავისადმი

*ვის ესაზღვრება საბჭოთა კავშირი?  
ვისაც უნდა, იმას ესაზღვრება...  
საბჭოთა პერიოდის ანეკდოტი*

2011 წლის დეკემბერში 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სსრკ ოფიციალურად დაიშალა და წარმოიქმნა მისი გლახაკი შთამომავალი – დსთ. ეს ძალიან სერიოზული თარიღია. ბევრი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის გაუჩინარება XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. მეც მინდოდა ამ თარიღისათვის სერიოზული ანალიზის მიძღვნა, მაგრამ გამომივიდა გროტესკული ჩანახატი. ისტორიის მიმართ ასეთი დამოკიდებულება შეიძლება ვიღაცას არასწორი მოეჩვენოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით საბჭოთა კავშირი იყო გრანდიოზულობისა და, ამავე დროს, გროტესკის უცნაური ნაზავი.

ქვემოთ აღწერილ ისტორიას ჯერ სიურრეალისტური ფანტაზია ვუნოდე, მაგრამ რადგან მოვლენათა ასეთი ალტერნატიული გზით განვითარება სრულებითაც არ იყო გამორიცხული, სათაური ოდნავ შევცვალე და (სიურ)რეალისტური, ანუ თითქმის რეალისტური ისტორია დავარქვი. და თუკი ისტორიული პროცესის მრავალვარიანტულობას ერთი წუთით მაინც ვირწმუნებთ, ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, თუ სად ვიქნებოდით დღეს და რა ერქმეოდა ჩვენს რეალობას.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დღემდე გრძელდება დისკუსიები დასავლეთის ქვეყნების დახმარების შესახებ. ამ დისკუსიების პათოსი მეტწილად ასეთია: საკმარისად არ გვეხმარებიან! რატომღაც ჰგონიათ, რომ 70 წლის მანძილზე დასავლეთთან დაპირისპირებით და მისი დამარცხების მცდელობებით მონინაალმდეგის მეტი დახმარება დაიმსახურეს, ამიტომაც მეტი ეკუთვნოდათ. ჩვენც ხშირად გვაზინყდება, რომ „ცივი ომის“ ეპოქაში საბჭოელები და დასავლეთის სამყარო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ვიდექით და ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვიყავით ჩართულნი. ჩნდება კითხვა: ნეტავ როგორ დაეხმარებოდა დასავლეთის ქვეყნებს საბჭოთა კავშირი იმ შემთხვევაში, თუკი „ცივი ომიდან“ ეს უკანასკნელი გამოვიდოდა გამარჯვებული? ასეთი ალტერნატიული ვარიანტის განხილვა კარგი გონებრივი ვარჯიშიცაა და პრაქტიკული მუხტის მატარებელიც, რადგან შეიძლება ისიც აღმოვაჩინოთ, რომ ჩვენი ვალი არავის ჰქონია და თუ ომში დამარცხებულს კიდევ ეხმარებიან, მაღლობის მეტი არაფერი ეთქმის.

საბჭოთა კავშირი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი იმპერია გახლდათ, თუმცა, სხვა „კლასიკურ“ იმპერიებთან შედარებით, მისი არსებობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც წესი, მსოფლიო იმპერიებს ჰქონდათ აღზევების ეპოქა, შემდგომ ისინი ძლიერების ზენიტს აღწევდნენ, მერე კი იწყებოდა დაღმასვლა. ამას საუკუნეები სჭირდებოდა.

საბჭოთა კავშირის სრული ციკლი კი სულ რაღაც 70 წელში მიიღია. მისი აღსასრული გაცილებით უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა, ვიდრე წინამორბედი რუსეთის იმპერიისა.



ბოლო 20 წლის განმავლობაში ამ თემაზე საუბრისას ხშირად მსმენია ჩემი კოლეგებისაგან, რომ ისინი 1970-1980-იან წლებში ნათლად აცნობიერებდნენ სსრკ-ის დაშლის პერსპექტივას. მაპატიონ, მაგრამ მე ეს არ მჯერა. პირადად მე საბჭოთა კავშირის დაშლამდე თუნდაც 5 წლით ადრე ვერაფრით წარმოვიდგენდი იმას, რაც შემდეგ ელვისებური სისწრაფით მოხდა. როგორც ჩანს, მარტო მე არ ვიყავი ახლომხედველი. მოვიყვან ორი უაღრესად ავტორიტეტული პიროვნების აზრს. კერძოდ, „ცივი ომის“ პერიოდში აშშ-ის პოლიტიკის ერთ-ერთი არქიტექტორის, ცნობილი დიპლომატის, ჯორჯ კენანის აზრით „უახლოეს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება იმაზე უფრო უცნაური, გამაოგნებელი და, ამავე დროს, აუხსნელი მოვლენა, ვიდრე საბჭოთა კავშირის სრული დაშლა და შემდგომ მისი გაუჩინარება“. ამავე აზრისა გახლავთ ცნობილი სოვეტოლოგი, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მრჩეველი რიჩარდ ჰაიპსი, რომელიც ავტორია 1993 წელს გამოქვეყნებული სტატიისა „საბჭოთა კომუნიზმის უცნაური სიკვდილი“. ეს სათაური თავისთავად მიანიშნებს სტატიის შინაარსზე.

სერიოზული ანალიზი მონმოვს, რომ არ არსებობდა ობიექტური მიზეზები სსრკ-ის ასეთი დაჩქარებული დაშლისა. საბჭოთა კავშირს ბევრი სენი სჭირდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო მსწრაფლ მომაკვდინებელი. მაგალითად, ეკონომიკური ზრდის პარამეტრები 1981-1989 წლებში 1,6-1,9%-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც დიდი ქვეყნის ეკონომიკისათვის საკმაოდ ნორმალური მაჩვენებელია. ბიუჯეტის დეფიციტი 1985 წელს ერთიანი შიდა პროდუქტის 2%-ს შეადგენდა, 1989 წელს კი – 9%-ს, რაც დღევანდელი გადასახედიდან ბევრისთვის სანატრელი ციფრებია. მართალია, ნავთობის ფასების ვარდნამ 1980 წლის 66 აშშ დოლარიდან 1986 წლის 20 დოლარამდე

(1 ბარელზე) მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საბჭოთა ეკონომიკას, მაგრამ 1970-იან წლებში „შავი ოქროს“ ფასი უფრო ნაკლები იყო და საბჭოთა კავშირი არ დანგრეულა. საბჭოთა მთავრობამ ისიც კი მოახერხა, რომ 1990 წლამდე რეალური შემოსავლები წელიწადში 7%-მდე იზრდებოდა.

აშშ-სთან სამხედრო ჭიდილი და გამალებული შეიარაღების ხარჯები მძიმე ტვირთად აწევებოდა საბჭოთა ეკონომიკას; ავღანეთში ომიც სერიოზულ ფინანსებთან იყო დაკავშირებული, თუმცა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი სახელმწიფოსა და გაჭირვებას შეჩვეული მოსახლეობისთვის არც ეს იყო ფატალური ფაქტორები.

1980-იანი წლების ბოლომდე საბჭოთა კავშირს იცავდა უძლიერესი 3-მილიონიანი არმია, არანაკლებ მრავალრიცხოვანი სუკი და დისციპლინირებული კომპარტია.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ძალით შექმნილი და ძალაზე დაყრდნობილი ნებისმიერი სხვა იმპერია, ადრე თუ გვიან აუცილებლად დაიშლებოდა, მაგრამ გარდაცვალება დააჩქარა „პერესტროიკის“ გაუაზრებელმა რეფორმებმა, არასწორმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ. ეს რომ არა, საბჭოთა კავშირს ინერციით შეეძლო ეარსება კიდევ 15-20 წელი, ანუ დღემდე.

ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის იმის ანგარიში, თუ რამდენ ხანს გასტანდა კიდევ საბჭოთა რეჟიმი. გვინდა წარმოვიდგინოთ, თუ რა მოხდებოდა „ცივ ომში“ სსრკ-ის გამარჯვების შემთხვევაში. უახლოესი ისტორიის ასეთი გზით განვითარების ალბათობა სრულებით არ იყო გამორიცხული. მას შემდეგ, რაც 1970-იანი წლების დასაწყისში სსრკ-მ მიაღწია აშშ-სთან სამხედრო-სტრატეგიულ პარიტეტს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნებისმიერი მორიგი დაპირისპირება შეიძლება დამთავრებულიყო არა ისეთივე ყაიმით, როგორითაც

დამთავრდა ბერლინის ან კარიბის კრიზისები 1960-იანი წლების დასაწყისში, არამედ ერთ-ერთი მხარის სრული გამარჯვებით. ასეთი გამარჯვებული მხარე შეიძლება ყოფილიყო სწორედ საბჭოთა კავშირი.

„ცივ ომში“ ერთ-ერთი მხარის გამარჯვების რამდენიმე სცენარი არსებობდა:

1. ყველაზე კატასტროფული სცენარი – ბირთვული ომი, რომლის დამანგრეველი შედეგების წარმოდგენა შეუძლებელია, თუმცა, ამა თუ იმ ფაქტორის გამო, ერთ-ერთი მხარე შეიძლება შედარებით ნაკლებად დაზარალებულიყო და გამარჯვებაც ეს იქნებოდა;

2. სამხედრო დაპირისპირება ჩვეულებრივი (არაბირთვული) იარაღის გამოყენებით, რომელშიც აშშ ან სსრკ მოიპოვებდა სამხედრო უპირატესობას; შედეგად დამარცხებული წავიდოდა დიდ დათმობებზე, ხოლო გამარჯვებული მიაღწევდა სტრატეგიულ უპირატესობას;

3. რეალური სამხედრო დაპირისპირება, რასაც განხეთქილება შეაქვს ერთ-ერთ დაპირისპირებულ ბანაკში. ამის შედეგად ეს მხარე უკან იხევს, მიდის დიდ დათმობებზე, ხოლო მეტოქე მნიშვნელოვნად იფართოებს გავლენის სფეროებს;

4. გამალებული შეიარაღების ხარჯები და სხვა ფაქტორები იწვევს ერთ-ერთი მხარის ეკონომიკურ სტაგნაციას და ქმნის სახელმწიფოს კოლაფსის საფრთხეს, რის გამოც ეს მხარე უარს ამბობს სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებაზე და ცალმხრივად დგამს უალრესად კომპრომისულ ნაბიჯებს. საბოლოოდ ეს „ცივ ომში“ ნაგების ტოლფასი ხდება;

პირველი ორი სცენარი უალრესად დრამატულია განსახილველად. მე-4 სცენარი რეალურად განხორციელდა და საბჭოთა კავშირი დამარცხდა „ცივ ომში“.

*მაშ, დაგვრჩა მე-3 სცენარი...*

1983 წელი.

**დავინწყით რეალური ისტორიული ფაქტით.** 1983 წლის პირველ სექტემბერს ცნობილი ხდება, რომ საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავმა შორეულ აღმოსავლეთში სარაკეტო დარტყმით გაანადგურა სამხრეთ კორეის სამგზავრო „ბონგი“, რამაც 269 სრულიად უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა. საბჭოთა მხარე ამტკიცებს, რომ ამის უფლება ჰქონდა, რადგან „ბონგი“ ქვეყნის სივრცეში შემოიჭრა და თანაც არ დაემორჩილა შესაბამის მითითებებს. სამხრეთ კორეის აზრით კი „ბონგს“ საბჭოთა საჰაერო სივრცე არ დაურღვევია და რომც დაერღვია, მისი ჩამოგდება საერთაშორისო ტერორიზმის ბარბაროსული აქტია.

**ახლა კი წარმოვიდგინოთ მომდევნო 20 წლის განმავლობაში მოვლენათა განვითარების ასეთი, ჩემი აზრით, შესაძლო ვარიანტი ანუ, ალტერნატიული ისტორია.**

სამხრეთ კორეის უმაღლესი სარდლობა იღებს მყისიერ გადაწყვეტილებას საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავის განადგურების შესახებ, რასაც კორეული „ფანტომი“ წარმატებით ასრულებს. დღემდე გაურკვეველი რჩება, იყვნენ თუ არა ამერიკელები ინფორმირებული კორეელების შურისძიების ამ აქტის შესახებ (ამერიკელები და კორეელები ამას უარყოფენ). მოსკოვში კი ყველაფერი სასწრაფოდ ბრალდება აშშ-ს, რასაც საბჭოთა სატელეგრაფო სააგენტო (საკდესი) საგანგებო განცხადებით ადასტურებს: „სეულის მარიონეტული რეჟიმის უკან ტრადიციულად დგას ვაშინგტონის ადმინისტრაცია, რომელმაც მწვანე შუქი მისცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ უპასუხისმგებლო სამხედრო პროვოკაციას. საბჭოთა კავშირი, აფასებს რა ამ ავანტიურას საომარი ქმედების ტოლფას ნაბიჯად, იტოვებს უფლებას, მიიღოს შესაბამისი საპასუხო პოლიტიკური

თუ სამხედრო სახის გადანყვეტილებები. მთელი პასუხისმგებლობა შორეულ აღმოსავლეთში ვითარების დაძაბვისათვის ეკისრება აშშ-სა და მის მარიონეტ სამხრეთ კორეის რეჟიმს“.

სამგზავრო „ბოინგის“ ჩამოგდების ფაქტსა და „საკდესის“ მკაცრ განცხადებას ვაშინგტონში აღიქვამენ, როგორც საბჭოთა კავშირის ახალი ლიდერის, იური ანდროპოვის მცდელობას, განხეთქილება შეიტანოს აშშ-ისა და მისი სტრატეგიული მოკავშირეების ერთიანობაში. იმისათვის, რომ მოკავშირეები (განსაკუთრებით სამხრეთი კორეა, იაპონია და ტაივანი) დარწმუნდნენ ვაშინგტონის ურყევ მხარდაჭერაში, სამხედრო მზადყოფნაში მოჰყავთ ატლანტის ოკეანეში განლაგებული აშშ-ის VII სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ვაშინგტონში ნერვიულად ელიან მოსკოვის ანალოგიურ გადანყვეტილებას შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა საზღვაო ძალების მობილიზების თაობაზე. სიტუაციას ისიც ამწვავებს, რომ დიპლომატიური არხებით ვითარების დასარეგულირებლად საბჭოელები არანაირად არ იჩენენ აქტიურობას. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს?

მალე ელვისებურად ვრცელდება ცნობა, რომ საბჭოთა ხალხსა და მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობას ტელევიზიით მიმართავს ამხ. იური ვლადიმირის ძე ანდროპოვი. მთელი სამყარო აშშ-დან ახალ ზელანდიამდე და ისლანდიიდან სამხრეთ აფრიკამდე სულგანაბული ელის გენერალური მდივნის მიმართვას. ნეტავ რას იტყვის იგი? დაგვინდობს თუ არა?

ანდროპოვი ტელეეკრანზე გამოიყურება სოლიდურად, მშვიდად, ფრიად ინტელიგენტურადაც. მისი ურყევი ლოგიკა ასეთია: დასავლეთის იმპერიალისტური წრეები შეუფოთებით ადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირში მიმდინარე მასშტაბურ პოზიტიურ ცვლილებებს. ახლო წარ-

სულის (აქ ანდროპოვი ბრეჟნევის ეპოქას გულისხმობს) ნეგატიურმა მოვლენებმა – კორუფციის ელემენტებმა, შრომითი დისციპლინის მოშლამ და საბჭოთა ცხოვრების ნორმების დარღვევებმა – საკმაოდ შელახა სსრკ-ის ავტორიტეტი, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობამ გამოაჩინა განახლების ძალა, განამტკიცა დისციპლინა და შედეგებიც უკვე თვალწინაა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში პირდაპირი ეთერით უსმენენ ანდროპოვის გამოსვლას. ვაშინგტონში ღამეა, ამიტომ ყველას ეძინება. ანდროპოვის დაუსრულებელმა სტატისტიკამ კი საერთოდ მოადუნა ჩინოვნიკების სიფხიზლე.

როგორც იქნა, ანდროპოვი საუბარს იწყებს საერთაშორისო ინციდენტზე. სსრკ-ის აშკარა წარმატებებმა, ამბობს იგი, საგონებელში ჩააგდო იმპერიალისტური ძალები, უპირველესად – აშშ. მათ მიერ ინსპირირებული სამხედრო ავანტიურის მიზანია აღნიშნული წარმატებული პროცესის შეჩერება, სოციალისტურ ბანაკში განხეთქილების შეტანა, სტრატეგიული ინიციატივის მოპოვება. ანდროპოვი ხაზს უსვამს, რომ ანალოგიური პროვოკაციები მოსალოდნელია მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც, კერძოდ, ევროპაში.

ბოლოს, საკმაოდ მოკლედ და ბუნდოვნად, ანდროპოვი ამცნობს მსოფლიოს კრემლის გადანწყვეტილებას: 1. შესაძლო პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად, „დროებით“ იხურება სახმელეთო და საჰაერო მიმოსვლა დასავლეთ ბერლინთან; 2. მიღებულ იქნება დამატებითი ზომები რევოლუციური კუბის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად; 3. სსრკ შეაჩერებს მოლაპარაკებებს აშშ-სთან ბირთვული იარაღის კონტროლისა და შემცირების საკითხებზე.

ახლა კი გამოფხიზლდნენ სახელმწიფო დეპარტამენ-

ტის თანამშრომლები. რამდენიმე წუთში აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი სრულად არის ინფორმირებული საბჭოთა ხელმძღვანელის მიმართვის თაობაზე. რა არის ეს, კარიბის კრიზისი II, თუ ბერლინის კრიზისი IV? იქნებ ორივე ერთად?

ევროპელები საგონებელში არიან, დასავლეთის მედიაში არნახული აჟიოტაჟია ატეხილი. ერთ-ერთი დიდი ფრანგული გაზეთი აქვეყნებს სტატიას სათაურით „დასავლეთ ევროპის ნეიტრალიტეტის პარადიგმები“. ავტორი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ამტკიცებს, რომ ევროპის ცივილიზაცია არ უნდა შეენიროს აშშ-სა და სსრკ-ს შორის დაპირისპირებას, რადგან ევროპას გაცილებით დიდი მისია აკისრია. ფილოსოფოსს მისაღებად მიაჩნია ფინეთის, ავსტრიისა და შვეიცარიის მსგავსი ნეიტრალური სტატუსი მთელი დასავლეთი ევროპისათვის: არც იქით, არც აქეთ. ის მკითხველს სთავაზობს ფორმულას: „სჯობს ვიყოთ ნეიტრალები, ვიდრე წითლები!“

ამ ფორმულას აიტაცებენ სხვა ევროპელი ინტელექტუალები და მიმომხილველები. ფრანგი ფილოსოფოსის სტატიას აქვეყნებს საბჭოთა „იზვესტია“ რუბრიკით – „პროგრესული ევროპის აზრი“.

ჟურნალისტები იხსენებენ ნიკიტა ხრუშჩოვსაც, რომელსაც უყვარდა ხოლმე გლეხური გულახდილობით თქმა: „როცა დასავლეთის ანუნუნება მინდა, მე მას დასავლეთ ბერლინში ვუჭერ ხოლმე კვერცხებში ხელსო“.

ჩნდება ცნობები აღმოსავლეთ ბერლინში საბჭოთა სატანკო ნაწილების გადაადგილებაზე. ქვეყნდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ვარშავის ხელშეკრულების ნევრი ქვეყნები იწყებენ უპრეცედენტო მასშტაბის სამხედრო წვრთნებს აღმოსავლეთ გერმანიაში. „სკადესი“ სპეციალური განცხადებით ადასტურებს ამ ინფორმაციას: „ეს გეგმიური ხასიათის წვრთნებია“.

ნიუ-იორკში საგანგებოდ ინვევენ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომას. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ საბჭოთა კავშირის ქმედებას. თავშეკავებულად გამოიყურება ჩინეთის ელჩი. ნათელია, რომ დასავლეთს არ უნდა ჰქონდეს მისი მხარდაჭერის იმედი. არც მოსკოვს.

უშიშროების საბჭოს სხდომა 12 საათს გრძელდება. ბოლოს კენჭისყრაზე გამოაქვთ აშშ-ისა და სსრკ-ის ორი რეზოლუცია. კენჭისყრა უშედეგოა – ერთ პროექტს საბჭოთა კავშირი ბლოკავს, ხოლო მეორეს – აშშ, ინგლისი და საფრანგეთი. ჩინეთი ორივე შემთხვევაში თავს იკავებს.

ინიშნება გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია, თუმცა ყველას ესმის, რომ ამას რეალურად აზრი არა აქვს. მსოფლიოს ბედი უახლოეს დღეებში დასავლეთ ბერლინის ირგვლივ – ხმელეთზე და ჰაერში წყდება. ქალაქი უკვე რამდენიმე დღეა სრულ ბლოკადაშია. ასეთი რამ 1949 წელს სტალინის მიერ ორგანიზებული ბერლინის ბლოკადის დროსაც არ მომხდარა, მაშინ ამერიკელები რალაცნაირად ახერხებდნენ ჰუმანიტარული ტვირთების მიწოდებას ბერლინელებისათვის. ახლა ამის საშუალებაც არ არის.

ამერიკელ ხალხსა და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანს ტელევიზიით მიმართავს აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი. ამკარაა, მას სურს ისევე დაამახსოვროს თავი მსოფლიოს, როგორც ჯონ კენედიმ 1962 წლის კარიბის კრიზისის დროს. რეიგანი ლაპარაკობს დემოკრატიის ფასეულობებზე, რაც აერთიანებს თავისუფალი სამყაროს ხალხებს. ამ სამყაროს უპირისპირდება ტირანია და ტოტალიტარიზმი. იგი ამტკიცებს, რომ ბოროტების სული საბჭოთა სისტემაში



ჯერ კიდევ ლენინისგან მოდის, რომელსაც პრეზიდენტი რატომღაც „ნიკოლაი ლენინს“ უწოდებს. რეიგანს განსაკუთრებით უჭირს ჯულაშვილის გვარის წარმოთქმა. ჩანს, ივარჯიშა, მაგრამ მაინც უჭირს.

ევროპელი ლიდერებისგან განსხვავებით, პრეზიდენტი მკაცრად საუბრობს თავის მეტოქეზე. განმეორებით უწოდებს სსრკ-ს „ბოროტების იმპერიას“, საბჭოთა ხელმძღვანელს კი „კგბ“-ს კაცს, რომელსაც არაფერი სწამს ღმერთის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისა“ (ამას ანდროპოვი, ალბათ, ქათინაურადაც კი მიიღებს).

შთამბეჭდავი პაუზის შემდეგ რეიგანი ლაპარაკობს აშშ-ის ნაბიჯებზე საბჭოთა აგრესიული ქმედებების საპასუხოდ: 1. აშშ იწყებს კოსმოსურ სივრცეში რაკეტსანიანალმდეგო სისტემის Way to Stars (გზა ვარსკვლავებისკენ) განთავსებას; 2. ისევე, როგორც 1962 წელს, დაწესდება კუბის საზღვაო და საჰაერო ბლოკადა, ოღონდ ამჯერად კუბას ემატება რევოლუციური ნიკარაგუა, სადაც მარქსისტ სანდინისტებს „არაფერი სწამთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისა“; 3. რაც შეეხება დასავლეთ ბერლინს, აშშ გამართავს კონსულტაციებს ნატოს წევრ ევროპელ პარტნიორებთან იმის გასარკვევად, თუ რისთვის არიან ისინი მზად.

ბოლოს პრეზიდენტი წარმოთქვამს ფრაზას, რომელიც, მისი აზრით, საუკუნეების მანძილზე უნდა დაამახსოვრდეს კაცობრიობას (დაახლოებით ისევე, როგორც კენედიმ დაამახსოვრა მსოფლიოს თავი 1962 წელს დასავლეთ ბერლინში წარმოთქმული სიტყვებით – „მეც ბერლინელი ვარ!“). 1983 წელს კი აშშ-ის პრეზიდენტი დროშასავით ააფრიალებს ლოზუნგს: „თავისუფლება მშვიდობაზე მნიშვნელოვანია!“

საბჭოთა პრესაში დიდი ალიაქოთია: აი, ხომ კიდევ

ერთხელ გამოჩნდა ამერიკელების იმპერიალისტური იერსახე! მუქარა, შანტაჟი, მილიტარიზმი – ეს არის იმა-თი ბუნება!

რეიგანის გამოსვლის შემდეგ დასავლეთ ევროპის ქალაქებში იმართება მრავალათასიანი მანიფესტაციები ლოზუნგით „ძირს ამერიკული მილიტარიზმი!“ ორგანიზატორები არიან კომუნისტური და მემარცხენე პარტიები, ასევე საყოველთაო მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი ორგანიზაციები.

ჩნდება ინფორმაცია, რომ ჟენევაში მიმდინარეობს კულუარული მოლაპარაკებები მოსკოვის ემისარსა და გფრ-ის კანცლერის პირად წარმომადგენელს შორის. ბონსა და მოსკოვში ამ ცნობას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ. პარალელურად, მოსკოვში იბეჭდება სტატია, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი 1952 წელს სტალინის შეთავაზება დასავლელი ლიდერებისადმი გერმანიის გაერთიანების თაობაზე.\* აღნიშნული სტატია რატომღაც მწერალთა კავშირის „ლიტერატურ-ნაია გაზეტაში“ გამოქვეყნდა, მაგრამ იგი, ბუნებრივია, ყურადღების მიღმა არ რჩება. მას დეტალურად აანალიზებენ პოლიტიკოსები და ექსპერტები.

და აი, ბანგლადეშში ვიზიტად მყოფ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრეი გრომიკოს პრეს-კონფერენციაზე „საკადესის“ კორესპონდენტი ეკითხება „დასავლეთ ბერლინის ირგვლივ შექმნილი ვითარების შესახებ“. კორესპონდენტი მინისტრს მოსკოვიდან ჩამოჰყვავა ბანგლადეშში და ამ თემის გარკვევა ადრეც თავისუფლად შეეძლო; მაგრამ რადგან ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა სწორედ ბანგლადეშის დედაქალაქში დაისვა, ეს რაღაცას

---

\* ამ რეალური ისტორიული ფაქტის მთავარი აზრი ის გახლდათ, რომ გაერთიანების საფასურად სტალინი ითხოვდა გერმანიის ნეიტრალურ სტატუსს.

უნდა ნიშნავდეს, თუმცა ბოლომდე ვერავინ მიხვდება, თუ რას.

მინისტრი პასუხს შორიდან იწყებს. იხსენებს, თუ როგორ გაათავისუფლა საბჭოთა არმიამ აღმოსავლეთ ევროპა და თვით გერმანელი ხალხი ფაშისტებისაგან. ლაპარაკობს საბჭოთა დანაკარგებზე, წითელი არმიის გმირობაზე, ფრონტის ზურგში მოქალაქეთა თავდაუზოგავ შრომაზე. ამ კონტექსტში ის საკმაოდ პოზიტიურად მოიხსენიებს ომისდროინდელ ამერიკელ და ინგლისელ მოკავშირეებს, რაც შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში ცოტა უცნაურადაც გაისმის. მერე გრომიკო სსრკ-ის ომისშემდგომი სამშვიდობო ინიციატივების წვრილწვრილად ჩამოთვლას იწყებს, რითაც დამსწრე საზოგადოებას უმყარებს რწმენას, რომ დასმულ შეკითხვაზე პასუხს არ აღირსებს. ბოლოს და ბოლოს, მინისტრი საქმეზე გადადის. ამბობს, რომ სსრკ-ს არანაირი პროტენზია არა აქვს დასავლეთ ბერლინზე. მოსკოვი არც იმის წინააღმდეგი იქნება, თუკი ეს ქალაქი გაერთიანდება აღმოსავლეთ ბერლინთან და გახდება ერთიანი და ნეიტრალური გერმანიის დედაქალაქი. გრომიკო საჩვენებელი თითით ჰაერში ხაზს უსვამს და იმეორებს ბოლო სიტყვებს: ერთიანი ნეიტრალური გერმანიის დედაქალაქი.

არიქა, სენსაცია!!! საბჭოთა მინისტრის „აზიური ინიციატივა“ სრულად იკავებს საერთაშორისო მედია სივრცეს. ამ დროისათვის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 6 ომი და 12 რეგიონული კონფლიქტი მძვინვარებს. ვილას ახსოვს ისინი! სენსაციამ არც პოლინეზიის პატარა სახელმწიფოები – ვანუატუ, ნაურუ და ტუვალუ – დაინდო, რომლებიც წინა დღეს ცუნამიმ მთლიანად გადაყლაპა. ამის შესახებ ინფორმაცია ახალი ამბების მინწურულს თუ გამოჩნდება მოკლე და საქმიანი კომენტარით.

იტალიის პრეზიდენტი ინიციატივით გამოდის რომში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელმაც უნდა განმუხტოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უაღრესად დაძაბული ვითარება და განიხილოს „ახალი სამშვიდობო ინიციატივები“.

*1993 წელი*

გერმანიაში პომპეზურად აღნიშნავენ ბერლინის კედლის დაშლისა და ერთიანი ნეიტრალური გერმანიის შექმნის მე-10 წლისთავს. კედელი ერთობლივად დაშალეს დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინის მოსახლეობამ, ასევე აღმოსავლეთ გერმანიაში დისლოცირებულმა საბჭოთა ჯარისკაცებმა.

რომის 1983 წლის წარმატებული კონფერენციის შემდეგ გერმანიის გაერთიანების პროცესი სწრაფად წარიმართა. სსრკ-ის შეთავაზება – გაერთიანების საფასურად ნეიტრალიტეტის სტატუსი – დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში უმწვავესი დისკუსიის საგნად იქცა. სოციალ-დემოკრატები ამტკიცებდნენ, რომ ეს ისტორიული შანსი იყო, ქრისტიან-დემოკრატების აზრით კი – ევროატლანტიკური კურსისა და ევროპის ლაღატი. საბოლოოდ, გადამწყვეტ ფაქტორად იქცა დასავლეთ ბერლინის ბლოკადა, რასაც ბოლო არ უჩანდა. ნეიტრალიტეტის სასარგებლოდ სასწორის გადახრას ხელი შეუწყო რამდენიმე ევროპელი ლიდერის პოზიციათაც, რომლებიც ჩიოდნენ: „რატომ უნდა დავიღუპოთ ყველანი დასავლეთ ბერლინის გამო?“

გფრ-ის მოთხოვნით მოსკოვმა აღიარა საერთაშორისო ვალდებულება ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილიდან (გდრ) 10 წლის მანძილზე საბჭოთა საჯარისო ნაწილების გაყვანის შესახებ. მომდევნო წლებში ჯარი ისე სწრაფად ვერ გაიყვანეს, როგორც შეთანხმებული იყო, მაგრამ არსებობდა ობიექტური მიზეზები: საბჭოთა კავშირში

ვერ მოასწრეს სამხედრო პერსონალისთვის საცხოვრებელი ფართის აშენება, თუმცა ამისათვის გერმანელებმა მილიარდობით მარკა გამოუყვეს მოსკოვს. გერმანელები თავს ინყნარებენ – რას იზამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ გავლენ. ბოლო ხანს გერმანელების მცირე გაკვირვებას იწვევს დრეზდენის მიდამოებში საბჭოთა სარკინიგზო ჯარების შემოყვანა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს საჭიროა იქაური რკინიგზის გასამართავად.

გაერთიანების შემდეგ ნეიტრალურ გერმანიაში ჩატარდა არჩევნები, რომელიც ქრისტიან-დემოკრატებმა მოიგეს, მეორე ადგილზე კი გერმანიის გაერთიანებული სოციალისტური პარტია გამოვიდა, რომელიც ათეული წლების მანძილზე მართავდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ასე რომ, ამჯერად გერმანიას კოალიციური მთავრობა ჰყავს. ყოფილ კომუნისტებს ბევრი მხარდამჭერი გაუჩნდა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. საქმე ის არის, რომ გაერთიანების შემდეგ გერმანულმა კაპიტალმა უცხოეთში გადინება დაიწყო, რამაც დიდი უმუშევრობა გამოიწვია, ასე მაგალითად, „მერსედეს ბენცმა“ ქარხნები მთლიანად ჩინეთში გადაიტანა, იქვე გადაბარგდნენ „ბმვ“, „აუდი“ და სხვ. რას იზამ, ხდება ხოლმე. ალბათ, მალე დაბრუნდებიან.

ეკონომიკური ვითარების გაუარესება, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ ინვესტორები საკმარისად დაცულად ვერ გრძნობენ თავს. საქმე ისაა, რომ გერმანიის მსგავსად „განეიტრალების“ გზას მალევე დაადგნენ საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები. ამიტომ ნატოს არსებობამ აზრი დაკარგა და ალიანსი დაიშალა.

ნატოს დაშლისთანავე ევროპელებზე განაწყენებულმა ამერიკელებმა გუდა-ნაბადი აიკრეს, დასავლეთ ევროპაში განლაგებული სამხედრო ბაზები დაშალეს და ამერი-

კის კონტინენტზე გადაიტანეს. სოლიდარობის ნიშნად ევროპა დატოვეს „კოკა-კოლამ“, „მაკ-დონალდსმა“ და „კენტაკი ფრაიდ ჩიკენმა“.

ვაშინგტონში წინა პოზიციებზე გამოვიდნენ იზოლაციონისტები, რომელთა აზრით, აშშ-ის მოვალეობა სრულებითაც არ არის უმადური ევროპელების მოვლა-პატრონობა. „მათ არც I მსოფლიო ომში დახმარება დაუფასეს ამერიკელებს და არც ფაშისტებისაგან განთავისუფლება. არც ის ახსოვთ, თუ მშვიდობიანი და გაუბედურებულები როგორ დავაყენეთ ამერიკელებმა ფეხზე მარშალის გემის მეშვეობით. არ უნდათ ნატო და ნუ უნდათ! ნახონ, რას მოუტანს ნეიტრალიტეტი!“

ზოგიერთი რადიკალი იზოლაციონისტი იმასაც კი ითხოვდა, რომ ევროპიდან აშშ-ში გადმოესვენებინათ ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ფაშისტებისგან ევროპის განთავისუფლებას. საქმე აქამდე არ მივიდა.

ასე რომ, აშშ-მა ფაქტობრივად დათმო დასავლეთ ევროპაში პოზიციები. ერთადერთი, რაც ვაშინგტონს გულს ფხანს, ეს ფიდელ კასტროს რეჟიმისგან კუბის განთავისუფლებაა. სხვათა შორის, გერმანიის განეიტრალების შემდეგ მოსკოვი საკმაოდ თავშეკავებულად შეხვდა აშშ-ის სამხედრო დესანტის გადასხმას კუბაში და სასწრაფოდ შესთავაზა თავშესაფარი ფიდელ კასტროს (ამჟამად იგი თავისივე სახელობის საერთაშორისო ფონდს ხელმძღვანელობს მოსკოვში). ფიდელ კასტროსთან ერთად გაუჩინარდა ტალღები ბანანზე, სიგარაზე, რომზე და ა.შ. ახლა ამერიკელი ეკონომისტები იკვლევენ, თუ როგორ მოახერხა კასტრომ, რომ ეს პროდუქტები კუბაში ტალღებით იყიდებოდა.

დასავლეთ ევროპიდან და ხმელთაშუა ზღვიდან აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაყვანამ ფრიალ დაძაბა ვითარე-

ბა სპარსეთის ყურეში, სადაც ჯერ კიდევ დგას ამერიკელთა V ფლოტი. სსრკ-ის მხარდაჭერით დომინოს ეფექტი ეცემიან რეგიონის ქვეყნების მონარქი ხელისუფალნი. ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს ფუნდამენტალისტურმა ისლამურმა ძალებმა. მათი მიზანია რეგიონიდან აშშ-ის განდევნა, ნავთობზე სრული კონტროლის დაწესება და მთლიანად საკუთარი დროშის ქვეშ ისლამური სამყაროს მობილიზება. ჯერჯერობით მყარად დგას საუდის არაბეთი, მაგრამ მის ირგვლივ წრე იკვრება.

პოლიტიკური ცვლილებები სპარსეთის ყურეში დიდ გავლენას ახდენს ნავთობის ფასებზე. 1983 წელთან შედარებით 1993 წლისათვის ფასები 500%-ით გაიზარდა, რამაც ფაქტობრივად შეაჩერა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარება. აშშ-ში უკვე გახსნეს სტრატეგიული რეზერვები და საკუთარი მოხმარების 25%-ს იქიდან ფარავენ.

საბჭოთა კავშირისათვის ნავთობის ფასების ზრდა ნანატრი მოვლენაა. წარმოუდგენლად იმატა საბიუჯეტო შემოსავლებმა. გარდა ამისა, სულ უფრო იზრდება ნეიტრალური ევროპის დამოკიდებულება რუსულ ნავთობსა და გაზზე, თუმცა სსრკ, ითვალისწინებს რა მეგობრულ ურთიერთობებს ნეიტრალურ ევროპასთან, ასევე, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, 25%-ით უმცირებს ევროპელებს ენერგორესურსების ფასს. ევროპელები მაღლიერებას ვერ ფარავენ.

მიუხედავად ამისა, 1 ლიტრ ბენზინზე 300 რუბლი (ჰო, ბენზინისა და გაზის საფასურს ევროპელები რუსულ რუბლში იხდიან) მაინც დიდი თანხაა და ევროპაში ცდილობენ მასობრივად გადავიდნენ ელექტრომოპედებსა და ველოსიპედებზე. პარიზში ბოლო ხანს კონკაც გამოჩნდა. ენერგეტიკულ გასაჭირს აქვს პოზიტიური მხარეც – ევროპელი ეკოლოგისტები ბედნიერები არიან, გარემო აღარ ბინძურდება.

საერთოდ, ფრანგები პოლიტიკურადაც მშვენივრად შეენყვინნენ ნეიტრალურ სტატუსს. პრეზიდენტი სოციალისტია, პრემიერი კი – კომუნისტი. მემარჯვენეებს მხოლოდ ქუჩაში თუ იხილავ მანიფესტაციებზე. მათ ოსტატურად დაიკავეს მემარცხენეების „ნიშა“ და ახლა გამოდიან ლოზუნგებით: „შევამცირეთ საპენსიო ასაკი 45 წლამდე!“, „გავაუქმეთ ჯარი!“, „ძირს ამერიკული იმპერიალიზმი!“

საფრანგეთის ინტელექტუალურ ელიტაში ფრიად არაერთგვაროვანი ვითარებაა. ევროპული ნეიტრალიტეტის იდეოლოგი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ახლა სხვა თეზას ამუშავებს: ამტკიცებს, რომ ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით, საჭიროა სამხედრო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა, ან საერთოდ, მათზე უარის თქმა. მართლაც, ნეიტრალურ საფრანგეთს ახლა ხომ აღარავინ ემუქრება?! საერთოდ, ევროპის ცივილიზაციას გაცილებით მაღალი მისია აქვს, ვიდრე ჯარის შენახვა და ომობანა. ლოგიკური იქნება, თუკი ნეიტრალური ევროპა მთლიანად უარს იტყვის შეიარაღებულ ძალებზე და ამ ფუნქციას ყველაზე დიდ და გეოგრაფიულად ბუნებრივ მეზობელს, საბჭოთა კავშირს დაუთმობს. საბჭოელებს ხომ ასე უყვართ სამხედრო საქმე. ჰოდა, დაგვიცვან...

ამ იდეას ევროპაში ყველა არ იზიარებს, მაგრამ იგი თავის საქმეს მაინც აკეთებს. პარალელურად ფეხს იკიდებს ნაციონალიზმის მივიწყებული გამოვლინებები. მაგალითად, კარგ ტონად ითვლება საუბარი იმაზე, რომ გერმანელებმა (ფრანგებმა, ესპანელებმა, იტალიელებმა და ა.შ.) უკანონოდ მიითვისეს ესა თუ ის მხარე. ხმა აღიმაღლეს სეპარატისტებმა და ე.წ. რეგიონალისტებმა. ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ კატალონიელები, ბასკები, ირლანდიელები, შოტლანდიელები, სიცილიელები და ა.შ.



ნეიტრალურ იტალიაში საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს. ამ ქვეყანაში კომუნისტებს ყოველთვის ძლიერი პოზიციები ჰქონდათ, თუმცა ადრე ისინი დემოკრატიულ პლურალიზმზე უარს არ ამბობდნენ და ერთხანს ევროკომუნიზმის განსაკუთრებულ, ავტონომიურ ნაირსახეობასაც მისდევდნენ. ახლა შეცვალეს პოზიციები და ოპოზიციურ პარტიებს ამერიკის ჯაშუშებსა და მარიონეტებს უწოდებენ. იტალიაში ბოლო ხანს დიდი დისკუსიები გამოიწვია კომპარტიის გაზეთ „უნიტაში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ სათაურით „პლურალიზმი – ევროპის დამონების ამერიკული სტრატეგია“. არის ეჭვი, რომ პუბლიკაციას შეიძლება პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვეს ქვეშარიტი „სახალხო დემოკრატიის“ დამკვიდრების თვალსაზრისით. იქ კი ოპოზიცია სრულებით არ არის საჭირო.

საინტერესო ცვლილებები ხდება ევროპის კლასიკურ მონარქიებში. მონაკოს პრინცმა – პირველმა ევროპელ მონარქებს შორის – განცხადება გააკეთა გადადგომის შესახებ და მხარი დაუჭირა ამ ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადებას. ასეთივე ნაბიჯები გადადგეს მისმა ევროპელმა კოლეგებმაც. ორიგინალურობით გამოირჩევა ერთი დიდი ჰერცოგი, რომელიც ერთდროულად ინარჩუნებს მონარქის ტიტულს და თან თავმჯდომარეობს რესპუბლიკურ პარტიას. იყო კაზუსებიც. კერძოდ, ერთ-ერთმა მონარქმა, როგორც ჩანს, საქმეში ჩაუხედაობის გამო, განცხადება გადადგომის შესახებ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გაუგზავნა.

ერთადერთი ევროპული სახელმწიფო, რომელსაც ნეიტრალური სტატუსი არ მიუღია, დიდი ბრიტანეთია. საქვეყნოდ ცნობილ სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებაში აქტიურად განიხილავენ საკითხს, რათა ბრიტა-

ნეთის კუნძულები რამენაირად „მიაჩოჩონ“ ამერიკის კონტინენტთან. არიან იმის მომხრეებიც, რომ ლა-მან-შის სრუტეში გათხრილი და ევროპასთან დამაკავშირებელი გვირაბი დაიხუროს და დაიწყოს ახლის მშენებლობა (ლონდონი – ნიუ-იორკი). ინგლისელებს ესმით, რომ ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ყველაფერზე თანახმა არიან, ოღონდ გვირაბი გაითხაროს. თუნდაც საცალფეხო.

თურქეთიდან ამერიკული ბაზების გასვლის შემდეგ ამ ქვეყანამ საბოლოოდ აქცია ზურგი დასავლეთს. იქ ახლა სიტყვა „ისლამური“ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის, კულტურულ-საგანმანათლებლო, გასართობი დაწესებულებისა და საკვები ობიექტის დასახელებაში ფიგურირებს. ფიქრობენ სულტნის საპატიო თანამდებობის შემოღებაზე („თურქეთის რესპუბლიკის საპატიო სულტანი“). ისლამური საძმოები ჯერ ხელისუფლებაში მთლიანად არ მოსულან, მაგრამ მათი გავლენა ძალიან დიდია. ქუჩაში იშვიათად თუ დაინახავთ „თავდაუბურავ“ ქალს. კაცებმაც ტრადიციული ტანსაცმელი არჩიეს და ბევრ მათგანს კვლავ გამობერილი შაროვარები, ცხვირანული ქოშები და ფოჩიანი ფესები ამშვენებს. ეს აუცილებელი ფორმა არ არის, თუმცა, აბა გაბედე...

1993 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ისეთივე პოლიტიკური ვითარებაა, როგორიც 10 წლის წინათ. ასეთივე მდგომარეობა იქნება 2003 და 2013 წლებშიც. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ქვეყანა სწრაფად ვითარდება. ჩინეთი იპყრობს საექსპორტო ბაზრებს და თვითონ ხდება ინვესტორებისთვის სულ უფრო მიმზიდველი ბაზარი. პეკინი, სსრკ-ისგან განსხვავებით, არ ცდილობს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სქემებში მეზობლების ინტეგრირებას. ისინი თვითონ ცდილობენ გახდნენ ჩინეთის სატელიტები.

ჩინეთი პრაქტიკულად ერთადერთი ქვეყანაა, ვისაც საბჭოთა კავშირი ანგარიშს უწევს. მოსკოვი ზედმეტი გაღიზიანების გარეშე ადევნებს თვალს პეკინთან აზიის ქვეყნებისა და ავსტრალიის სწრაფ დაახლოებას. ჩინეთმა ინდოეთთანაც გამონახა საერთო ენა და ამ ორი ქვეყნის საერთო მოსახლეობა 2 მილიარდს აღემატება. დღის წესრიგში რეალურად დგება ორი კორეის გაერთიანება. მოლაპარაკებები პეკინში მიმდინარეობს.

რაც შეეხება იაპონიას, ტოკიოში აცნობიერებენ, რომ ევროპიდან აშშ-ის გასვლის შემდეგ ამერიკელების უსაფრთხოების „ქოლგაზე“ ფსონის დადება სარისკოა. ამიტომ დაუფარავად მიმდინარეობს ფლირტი პეკინთან. ჩინეთის დედაქალაქში წელიწადში 12-ჯერ ეწყობა იკებანასა და კიმონოს გამოფენები, ხოლო ჩინელები ტოკიოში ხსნიან თანამედროვე ჩინური შეიარაღების მუდმივმოქმედ გამოფენას, რომელიც „წინააღმდეგობრივ შთაბეჭდილებას“ ახდენს იაპონელებზე.

იაპონიაში ყურადღება მიაქცეის პუბლიკაციას, რომლის ავტორი ცნობილი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეა. ის ამტკიცებს, რომ ოდითგანვე ძირძველი რუსული ტერიტორიები არა მხოლოდ კურილის კუნძულებია (მისი აზრით, „რუსულად ჟღერადი დასახელებებით – შიკოტანი, იტურუპი, კუნაშირი, ხაბომაი“), არამედ კუნძული ჰოკაიდოც. მართალია, სტატია სპეციალიზებულ „სელსკაია ჟიზნი“ („სოფლის ცხოვრება“) გამოქვეყნდა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს შემთხვევითი მინიშნება არ არის.

ამგვარი იყო ზოგადად ვითარება მსოფლიოში 1993 წლის მიწურულს. XX საუკუნის დასასრულამდე სულ რაღაც 6 წელი რჩებოდა.

## 2003 წელი

2003 წლის პირველ იანვარს მზე ჩრდილოეთიდან ამოვიდა. ბუნების ეს ანომალია არავის გაჰკვირვებია, რადგან კრემლის „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ უკვე დიდი ხანია, რაც კიაფობს მსოფლიოს თავზე.

საბჭოთა კომპარტიას ახალი გენერალური მდივანი ჰყავს – 75 წლის ნიკოლაი ლუნიჩი. მისი კარიერა არაფრით განსხვავდება სხვა პარტიული ამხანაგების ბიოგრაფიებისაგან: პროფტექნიკური სასწავლებელი, ქარხნის მუშა, მერე კომკავშირის მდივანი, ინჟინერი, პარტკომი და ა. შ. იგი ორთოდოქსი კომუნისტია, რომელსაც ნერვებს უშლის ევროპელების ნეიტრალიტეტობა – „არც იქით არიან, არც აქეთ.“ პარტიულ აქტივებთან შეხვედრებზე მან რამდენჯერმე კრიტიკულად მოიხსენია უპრინციპო ევროპელები. მათ სსრკ ყოველთვის გულწრფელად ეხმარება, ისინი კი ამ დახმარებას ვერ აფასებენ და მუდამ თავს არიდებენ იმპერიალისტურ ძალებთან ბრძოლას. „ასე არ შეიძლება, ამხანაგებო, ამერიკულ იმპერიალიზმთან ბრძოლა მხოლოდ საბჭოთა ხალხის კისერზე არ უნდა გადავიდეს. ჩვენ ევროპელებს იაფ გაზსა და ნავთობს არ ვამადლით, მაგრამ როგორ დავიცვათ მშვიდობა, თუ ყველანი ნეიტრალურები ვიქნებით?“

ლუნიჩის გაცხარება გასაგებია. საბჭოთა ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. ექსპორტზე გადის მხოლოდ ენერგორესურსები, დანარჩენი კი ყველაფერი უცხოეთიდან, უფრო სწორად, ჩინეთიდან შემოდის. სამხედრო ხარჯებზე უკვე ბიუჯეტის 50% მოდის. კრემლს მძიმე ტვირთად აწევს ნეიტრალურ ევროპასთან ეკონომიკური „თანამშრომლობა“, რაც ფაქტობრივად ევროპელების ენერგეტიკით უზრუნველყოფას ნიშნავს. მოსკოვი უარს ვერ ამბობს ამ დახმარებაზე, შიშობს, რომ ევროპელები კვლავ ამერიკელებისკენ შეტრიალდებიან.

თვით საბჭოთა მოსახლეობისთვის კი ყველაფერზე შეზღუდვებია დანესებული. ტალონებით რიგდება ჩინური საკვები პროდუქტი, ჩინური ტანსაცმელი, ტექნიკა, ჩინური ნამლები. საბჭოთა მაღაზიებში ის გამხმარი ძვლებიც აღარ ჩანს, ანდროპოვის დროს ჯერ კიდევ რომ იყო შემორჩენილი. ყველგან რიგები, რიგები, რიგები...

საბჭოთა მანეთი თითქმის მთლიანად გაუფასურდა და მხოლოდ ქალაქის ტრანსპორტში მგზავრობისთვის გამოიყენება. მტკიცე ვალუტაა არაყი და სპირტი.

ასეთ სიდუხჭირეში აუცილებელია გარეშე მტრის ხატის გაზვიადება და პარანოიდური პროპაგანდა ლოზუნგით – „მშვიდობა თუნდაც შიმშილის საფასურად!“

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ნეიტრალურ ევროპაში. იქ ტალონები მხოლოდ პროდუქტის რამდენიმე სახეობაზეა დანესებული. მაგალითად, საფრანგეთში ასე იყიდება ყველი, ესპანეთში – ზეთისხილი, იტალიაში – მაკარონი, ბელგიაში – შოკოლადი. დანარჩენი პროდუქტი თავისუფლად იყიდება, ოღონდ პროფკავშირების მიერ შედგენილი სიებით. საბჭოელებს ევროპელების კეთილდღეობა ნერვებს უშლის: ვაჭმევთ, ვასმევთ, ისინი კი მაინც უკმაყოფილონი არიან...

ნეიტრალური ევროპა ვახსენეთ, მაგრამ რალა დარჩა? მხოლოდ დიდ ბრიტანეთში არ იცვლება არაფერი: დედოფალი დედოფლობს, პრინცები ქორწინდებიან, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ყველას ანგრევს (აბრამოვიჩს „ჩელსი“ ჯერ არ უყიდა). დასასრულს უახლოვდება ნყალქვეშა გვირაბის მშენებლობა ლონდონიდან ნიუ-იორკამდე. ცოტაც, და ბრიტანეთის კუნძულები დაუბრუნდება მშობლიური ამერიკის მატერიკს.

საფრანგეთში მალევე მიხვდნენ, რომ თუკი პრეზიდენტი სოციალისტია, ხოლო პრემიერი – კომუნისტი,

მათ შორის ყოველთვის მალული ან ღია დაპირისპირება იქნება, ეს კი ცუდად იმოქმედებს ქვეყნის იმიჯზე. ამიტომ ახლა ორივე თანამდებობა კომუნისტებს უკავიათ. ანალოგიური ვითარებაა ეროვნულ ასამბლეაში, ქალაქების მერიებში და ა.შ. შეიძლება ეს ვილაცას არადემოკრატიული მოეჩვენოს, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. საერთაშორისო ურთიერთობების მკვეთრი გაუარესების პირობებში (რაც, ბუნებრივია, ამერიკელების ბრალია) მთავარია, შევინარჩუნოთ სტაბილურობა და კარგი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. მართალს ამბობს ნეიტრალიტეტის იდეოლოგი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი: „სჯობს წითლები ვიყოთ, ვიდრე მკვდრები“. დაგეთანხმებით; მართლაც, ხანდახან ყურს სჭრის ზოგიერთი ცვლილება. მაგალითად, ელისეს მინდვრებს ნეიტრალიტეტის გამზირი დაერქვა, პიგალს – მეგობრობის ქუჩა, პომპიდუს სახელობის ბიბლიოთეკას – ლომონოსოვის სახელობის ბიბლიოთეკა და სხვ. მაგრამ რას იზამ? საბჭოთა კავშირი თუ არა, ვინ მოგცემს იაფ გაზსა და ნავთობს?

ფრანგი კომუნისტები შიშობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვმა შეიძლება საბჭოთა ჯარიც კი გაიყვანოს პარიზის გარეუბნებიდან, სადაც „ხალხის თხოვნით“ შევიდა. განა ცოტას გვიხდინან ამ ჯარისკაცების უსაქმურობაში? არადა, რამდენი შურიანია ირგვლივ. მაგალითად, პორტუგალიელი ამხანაგები უკვე მესამე წელია ემუდარებიან კრემლს ერთი-ორი დივიზია მაინც წაგვახმარეთ, რა გახდა ასეთიო. ესპანეთში თუ მთელი გარნიზონი ჩააყენეთ, ჩვენ რა დავაშავეთ, განა ესპანელებზე ადრე არ მივიღეთ გადაწყვეტილება სოციალისტურ რესპუბლიკად პორტუგალიის გამოცხადების შესახებო? სად არის ბოლშევიკური სამართალი, კომპანეიროს?

გერმანიის სამეზობლოში ხმამაღლა არ ლაპარაკო-

ბენ, მაგრამ ყველამ იცის, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილები გარკვეული შემაკავებელი ძალაც არის წუნკი მეზობლებისაგან. ტყუილად არ ვიყავით გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ – ამბობენ გერმანელების მეზობლები. მართლაც, ეს გერმანელი კომუნისტები საეჭვოდ უბრუნდებიან თითქოს მივინწყებულ ზნე-ჩვეულებებს. ჯერ იყო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გდრ-ად გადააკეთეს, მერე ავად სახსენებელი „შტაზი“ (საიდუმლო პოლიცია გდრ-ში) აღადგინეს, ახლა კი მოსკოვისგან ითხოვენ, შეაჩერეთ ჯარის გაყვანა და სარკინიგზო ნაწილებიც დაგვიმატეთო. კრემლის მობინადრეთა გულის მოსაგებად მათ იმის ძიებაც დაიწყეს, ხომ არ იყო ევა ბრაუნი ქართული წარმოშობისა.

ამ ბელგიელებს ყოველთვის სხვებზე უფრო უმართლებს: ჯერ ბრიუსელში 50 წლის განმავლობაში ნატოს შტაბ-ბინა იყო განთავსებული, ახლა კი იმავე შენობაში პარიზის ხელშეკრულების ორგანიზაციის ოფისებია.

ეს ორგანიზაცია მას შემდეგ შეიქმნა, რაც ჯერ ნატო დაიშალა, მერე კი – ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. დღის წესრიგში დადგა სოციალისტური და ნეიტრალური ევროპის ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება – პარიზის ხელშეკრულების ორგანიზაცია (პახო).

პახოს გენერალური მდივანი საბჭოთა კავშირიდან არის. ერთი მოადგილე სოციალისტურ ევროპას წარმოადგენს, მეორე – ნეიტრალურ ევროპას. დანარჩენი თანამდებობებიც ასევე დაბალანსებულად, მეგობრულად, წარმომადგენლობითი პრინციპით ფუნქციონირებს.

პახოს კოლექტიური ძალები განლაგებულია ყველა სოციალისტურ ქვეყანაში; ასევე, გერმანიაში (33 საბჭოთა, 4 გერმანული, 2 ბულგარული, 1 მონღოლური

დივიზია); იტალიაში (15 საბჭოთა, 3 იტალიური, 2 რუმინული, 1 მონღოლური დივიზია); ესპანეთში (12 საბჭოთა, 2 ესპანური, 1 პორტუგალიური, 1 მონღოლური დივიზია); საბერძნეთში (10 საბჭოთა, 1 ბერძნული, 2 უნგრული, 1 მონღოლური დივიზია).

კოალიციური ჯარები ჩააყენეს ლიხტენშტეინში, ანდორასა და ლუქსემბურგშიც. აქ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა 5-ჯერ აღემატება ადგილობრივ მოსახლეობას. ტემპერამენტიანი და მხიარული ლუქსემბურგელები თავიანთ ქვეყანას ხუმრობით უწოდებენ „Le petit Union Sovietique“ (პატარა სსრკ).

გარდა ამისა, საბჭოთა სარკინიგზო ჯარები დგანან კუნძულებზეც (სიცილია, სარდინია, მაიორკა, კვიპროსი); თუმცა იქ ზოგან რკინიგზის ქსელი ხსენებაშიც არ არის.

მოსკოვსა და ევროპის დედაქალაქებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა პარტიული მშენებლობის განხრითაც. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანას უკვე კომუნისტები მართავენ. მმართველ კომპარტიებში ცკ-ის მეორე მდივნები კი მოსკოვიდან მივლინებული ამხანაგები არიან. ამ რანგში მოღვაწეობს იტალიაში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი სპარტაკ ქორიძე. მოსკოვმა სამხრეთელ იტალიელებს წინდახედულად შეუერთია კავკასიის წარმომადგენელი. ის კარგად ერკვევა ღვინის წარმოებაში, ციტრუსების მოყვანაში, ასევე აქვს დიდი გამოცდილება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. იტალიელი მაფიოზები ქართველ კომუნისტს „დაუნდობელ სპარტაკს“ უწოდებენ.

ამგვარად, კრემლმა ყველაფერი კარგად დაალაგა. სსრკ, ჩინეთთან ერთად, მსოფლიოს მთელი აღმოსავლეთი ნახევარსფეროს ბატონ-პატრონია, მაგრამ, როგორც საბჭოთა პრესაში იტყვიან, ჯერ კიდევ არის მოუგვა-



რებელი პრობლემები. კარგა ხანია, რაც მოხდა ანტიინ-  
ეიტრალიტიტური, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული  
და სხვა ანტიინდივიდებისა და ჯგუფების იზოლირება  
(როგორც წესი, ისინი ციმბირში გაამწყესეს), თუმცა ვერა  
და ვერ ისწავლეს ევროპელებმა ენაზე კბილის დაჭერა.  
ზოგჯერ ისეთ რამეს ეტყვის ცოლ-ქმარი ერთმანეთს  
სამზარეულოში ან ლოგინში, რომ სპეცსამსახურები  
კვლავ იძულებული ხდებიან, მიმართონ შთაგონების  
ძლიერ მეთოდებს. იოლად ვერ ეგუებიან ევროპელები  
დრომოჭმული დღესასწაულების ნაცვლად ახალი, პრო-  
გრესული დღესასწაულების აღნიშვნას: კოსმონავტის  
დღე, მესაზღვრის დღე, მეშახტის დღე და ა.შ. იმასაც  
უნდა შევეჩვიოთ, რომ, ვთქვათ:

- ქ. ანტვერპენის მერიას ახლა ანტვერპენის აღმას-  
კომი ჰქვია,
- პარლამენტს – სახალხო დეპუტატთა საბჭო,
- პოლიციას – მილიცია,
- კომპანია „ფილიპს“-ს – „ნიდერლანდსპეცელექტრო-  
მონტაჟი“,
- ამსტერდამს – ვოროშილოვგრადი (რატომაც არა?  
ხომ ჰქვია კენიგსბერგს კალინინგრადი?),
- ლისაბონს – ვლადიზაპადი (დაძმობილებული ქალაქ-  
ია საბჭოთა ვლადიკავკაზთან და ვლადივოსტოკთან),
- მადრიდის კასტელიანას გამზირს – კვლავ ძველე-  
ბურად გენერალისიმუსის გამზირი. ოღონდა ახლა  
უკვე გენერალი ფრანკო კი არ იგულისხმება, არამედ  
ჩვენი, საბჭოთა გენერალისიმუსი.

რიგითი საბჭოთა მოქალაქეებისთვის ევროპაში მოხ-  
ვედრა ოცნებაა. უცხოეთში ტურისტად მოგზაურო-  
ბისათვის მას რეკომენდაცია უნდა მისცეს დაწესებ-  
ულების ხელმძღვანელმა, ადგილობრივმა პარტკომმა  
(ან კომკავშირის ორგანიზაციამ) და პროფკავშირულმა

ორგანიზაციამ. ამ რეკომენდაციებს შემდეგ ამტკიცებს რაიონის პარტიული ორგანიზაცია. მომდევნო ეტაპზე საბუთები იგზავნება რესპუბლიკის კომპარტიის ცკ-ში, იქიდან კი – სუკ-ში, სპეციალური შემომწმებისთვის (ფაქტობრივად, ამ უკანასკნელის სიტყვაა გადამწყვეტი). შემდეგ მომავალი ბედნიერი ტურისტის საბუთებს აგზავნიან მოსკოვში, რათა საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით შესაბამისი საელჩოდან გამოითხოვონ ვიზები *(ეს პროცედურა დღევანდელ ახალგაზრდობას შეიძლება გამოგონილად მოეჩვენოს)*.

საბჭოთა ტურისტი ცდილობს, ევროპიდან ჩამოუტანოს ახლობლებს ნანატრი საჩუქრები: ძეხვი, სოსისი, ყავა, პარფიუმერია, ტანსაცმელი, ბავშვებს – სათამაშო, მეგობრებს – პრეზერვატივები და ა.შ.

მაგრამ 2003 წლისათვის ევროპული მაღაზიები სულ უფრო ემსგავსება გაპარტახებულ „გასტრონომებს“, ხოლო სსრკ-დან უცხოეთში წასვლა სულ უფრო იზღუდება.

2003 წელს კომპარტიის XXX ყრილობაზე ამხ. ლუნიმა განაცხადა: „იდეოლოგიური ბრძოლა ამერიკულ იმპერიალიზმთან ახალ ფაზაში გადადის. ამ ეტაპზე იზრდება სამხედრო დაპირისპირების რისკიც. საბჭოთა ხალხი მზად არის შეასრულოს მშობლიური პარტიის ნებისმიერი გადწყვეტილება სოციალისტური სამშობლოსა და მისი მეგობრების დასაცავად“.

ჰაერში დენტის სუნი ტრიალებს.

ოკეანის მიღმა გადაკარგული ამერიკელების წინააღმდეგ მიმართული ლუნიის ტირადა იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა ეკონომიკა კოლაფსის ზღვარს მიუახლოვდა. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ადგილი აქვს მშვიერ ბუნტებს. ხელისუფლება ასეთ რეგიონებში აგზავნის დამატებით სამართალდამცავებს და პროდუქტის

გარკვეულ რაოდენობას, მაგრამ ბუნტები სხვაგანაც იწყება. ხელისუფლებას არც პროდუქტები ჰყოფნის და არც დამსჯელი ძალები. სსრკ-ის არაერთ ქალაქსა და რაიონში საგანგებო ვითარებაა შემოღებული. უკმაყოფილება იზრდება ჯარშიც. ეს განსაკუთრებით სახიფათოა ხელისუფლებისთვის, ამიტომ საკვების რეზერვების უდიდესი ნაწილი ჯარს ურიგდება.

ასეთ ვითარებაში პოლიტიზურო იღებს გადაწყვეტილებას, სრულად გადაახდევინონ ევროპელებს გაზისა და ნავთობის საფასური – „უნდა გავვიგონ ევროპელმა ამხანაგებმა, ახლა ჩვენ გვიჭირს“. ენერგორესურსებზე ფასების ზრდა საშინელი დარტყმაა ევროპის ქვეყნებისათვის. აქაც ფაქტობრივად ჩერდება წარმოება, ფერხდება ტრანსპორტის მოძრაობა. ვინღა ფიქრობს ტურიზმსა და გართობაზე, მთავარია, თავი გაიტანო. ევროპის ქვეყნების მიძინებული პროფკავშირები სოროებიდან გამოდიან ლოზუნგებით: „ვითხოვთ პროდუქტებზე ტალონების სამართლიან განაწილებას!“, „შეამცირეთ ფასები!“, „გვშიააა!!!“

ევროპის კომუნისტი მმართველები ირწმუნებიან, რომ ხალხის უკმაყოფილება ამერიკელი აგენტების მიერ არის პროვოცირებული. იწყება მასობრივი დაპატიმრებები ნებისმიერი საბაბით: ამას ეიფელის კოშკის მოპარვა უნდოდა, იმას – მდინარეში წყლის დაშრობა, ეპიდემიით ქათმების განადგურება. ამხელენ უფრო ვერაგ მტრებსაც, ვინც გეგმავდა საბჭოთა გარნიზონებიდან ტანკების გაყიდვას, ჯარისკაცების ჯგუფურ გაუპატიურებას და სხვ.

ევროპელები პანიკამ მოიცვა. ყველა ცდილობს ემიგრაციაში გაქცევას, მაგრამ სად წახვალ? საზღვრები ჩაკეტილია, ლა-მანშის გვირაბი – გაუქმებული (ინგლისელების მიერ), კატარლით ან ნავით თუ გააღწევ

რომელიმე არაბულ ან აფრიკულ ქვეყანაში. ოღონდ მიგიღებენ?

ყველა ეძებს ცნობილ ფრანგ ფილოსოფოსს, მრავალი იდეოლოგიის ავტორს ჩამოსახრჩობად. მაგრამ ფილოსოფოსი უკვე აშშ-შია, ლექციებს კითხულობს თემაზე „ამერიკული დემოკრატიის პარადიგმები“.

ქართველები ყოველ დილას საყვარელი ფრაზით იღვიძებენ – „ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს?!“ არადა, ყოველ დილას ახალი პრობლემები მოაქვს. ასტრონომიული ინფლაციის გამო ფულის მიმოქცევა ფაქტობრივად შეწყდა, ყველა ბარტერზეა გადასული: 1 ლორი უდრის 15 ქათამს, 1 ქათამი – 20 კვერცხს, 10 კგ ფქვილი – 10 ლ. ბენზინს და ა.შ. განსაკუთრებით ქალაქებს უჭირს. საგანგაშოდ მატულობს ქურდობა, მაროდორობა, ბანდიტიზმი. მოქალაქეები მილიციასთან ერთად ქმნიან ნესრიგის დამცველთა რაზმებს, მაგრამ ხშირად ეს რაზმები ერთანეთს დაუნდობლად სცემენ.

საბჭოთა ჯარის ნაწილებში სამხედროები საკვებში ცვლიან ყველაფერს: ავტომატებს, გრანატებს, ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს, რაკეტებს „ჰაერი-მინა“ და „ჰაერი-ჰაერი“. მოსახლეობის ერთი ნაწილი კბილებამდეა შეიარაღებული. გაუთავებელი გარჩევები, შეხლა-შემოხლა, გინება, სროლა, მსხვერპლი. ოფიციალური მედია ცდილობს შეარბილოს ვითარება. მაგალითად, როგორც „საქინფორმი“ იტყობინება, „გუშინ ს. ჭელიაძის კოლმეურნეებს შორის, ყოფით საფუძველზე, მოხდა მცირედი ინციდენტი, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა „გრადის“ ტიპის რეაქტიული დანადგარები. არიან დაშავებულნი. ადგილობრივი ხელისუფლება და პარტიული ორგანოები აკონტროლებენ სიტუაციას“.

## 2013 წელი

საბჭოთა კომპარტიას ახალი გენერალური მდივანი ჰყავს – 55 წლის მიხეილ ივანოვი. იგი პირველი საბჭოთა ლიდერია ლენინის შემდეგ, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (ეკონომისტი), ლაპარაკობს ინგლისურად, ჰყავს სიმპათიური ცოლი.

ივანოვი ნათლად აცნობიერებს, რომ კატასტროფის წინაშე მდგარ სსრკ-ს რეფორმირება სჭირდება. პარალიზებული ეკონომიკის რეანიმაციისათვის საჭიროა საზოგადოების მოტივირება, ეს კი დემოკრატიზაციის გარეშე შეუძლებელია.

საბჭოთა ლიდერი აცხადებს საჯაროობის პოლიტიკას, აუქმებს ცენზურას, ათავისუფლებს პოლიტპატიმრებს, ამზადებს პლურალისტურ არჩევნებს.

ივანოვი რადიკალურად ცვლის ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. იწყებს თანამშრომლობას აშშ-სთან, ცდილობს შეაჩეროს და შეამციროს გამალებული შეიარაღება. მისთვის ნათელია, რომ ევროპისათვის თავსმოხვეული რეჟიმი დამლუპველია ევროპელისა და საბჭოთა ხალხისათვის, ამიტომ იგი საშუალებას აძლევს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავისუფლად აირჩიონ თავიანთი გზა. ევროპელები ჯერ უნდობლად შესცქერიან კრემლს, მერე სასწრაფოდ, კეთროვანებივით იცილებენ კომუნისტურ მმართველებს (ზოგიერთ ქვეყანაში ეს სისხლიანი რევოლუციების გზით ხდება), ატარებენ არჩევნებს, აყალიბებენ ლეგიტიმურ მთავრობებს. ევროპელები ერთმანეთის მიყოლებით უარს ამბობენ პარიზის ხელშეკრულების ორგანიზაციის (პახო) წევრობაზე. ივანოვი არც ამას ეწინააღმდეგება.

სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად ინიშნება ქართველი სპარტაკ ქორიძე. მას დიდი გამოცდილება აქვს ევროპელებთან მუშაობისა. თავის დროზე იგი საქართველომ-

იც გაბედულ რეფორმებს ატარებდა სოფლის მეურნეობის დარგში. კერძოდ, მაშინ ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ თუკი სახელმწიფო გლახს არ ნაართმევს გოჭსა და წინილას, შეიძლება გლახმა ისინი გამოზარდოს და მოამრავლოს კიდეც. სწორედ ასეთი ნოვატორული იდეებია ახლა საჭირო!

ევროპის თავისუფლების სიო მოსკოვამდე და საბჭოთა რესპუბლიკებამდეც აღწევს. რესპუბლიკები ერთმანეთის მიყოლებით აცხადებენ დამოუკიდებლობას. მათგან დამოუკიდებელი აღმოჩნდება რუსეთის ფედერაცია. სსრკ-ის დაშლას მოჰყვება ყოფილ რესპუბლიკებს შორის სამხედრო დაპირისპირებები, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; თუმცა ყველა ამაყია იმით, რომ აღსრულდა საუკუნოვანი ოცნება – მოიშორეს კომუნისტური რეჟიმი და აღიდგინეს სახელმწიფოებრიობა.

ეგ არის, რომ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში არავინ იცის, როგორ და რით იარსებონ: ეკონომიკა დანგრეულია, სოფელი გაჩანაგებული, ირგვლივ ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობაა.

დამოუკიდებელი რუსეთისა და ყოფილი რესპუბლიკების მთავრობები დახმარებისთვის მიმართავენ აშშ-ს. ამ ხელმძღვანელებს შორის ბევრია ისეთი, ვინც ათეული წლების მანძილზე აშშ-ს მტრად მიიჩნევდა და მის განადგურებასაც ცდილობდა. ახლა ისინი ყველაზე პროამერიკულები ხდებიან.

ამერიკელები შეძლებისდაგვარად ეხმარებიან ახალ პარტნიორებს. დახმარების ლომის წილი რუსეთზე მოდის – მილიარდობით დოლარი. მომდევნო წლებში ეს დახმარება რუსეთში დავინწყებას მიეცემა. ვითომ სულაც არ ყოფილა, ან ვითომ „ცივი ომის“ დროს დასავლეთმა რუსეთის მეტი ვალი დაიდო და ნაკლები დაუბრუნა.

ევროპა ივინყებს იმ უბედურებას, რასაც ის სსრკ-

მა გადაჰყარა და ახლა ისიც დახმარების ხელს უწვდის მეზობლებს. თუმცა ევროპელებს სხვაზე არანაკლებად სჭირდებათ ეს თანხები. რაც იყო, იყო...

მარტო საქართველოსათვის აღმოჩენილი დახმარება ასობით მილიონი დოლარია, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს აიცილოს სრული დაქუცმაცება, მასობრივი შიმშილი და ეპიდემიები. ნელ-ნელა განვითარების პროექტებიც ჩნდება. იმედთან ერთად.

ამ (სიურ)რეალისტური თუ ალტერნატიული ისტორიის არსი ის გახლავთ, რომ საბჭოთა კავშირი 20 წლის წინ რომც არ დაშლილიყო, იგი, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაინგრეოდა, გაცილებით მძიმე შედეგებით. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, სსრკ კიდევ ბევრ უბედურებას მოუტანდა საკუთარ ხალხსა და მსოფლიოს.

სინამდვილეში, მოგეხსენებათ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა...

## „ქარიშხალი უდაბნოში“ და ერაყის დაუსრულებელი ტრაგედია

1990 წლის შემოდგომაზე მოსკოვში მომინია ჩასვლა. აეროპორტიდან სასტუმრომდე ტაქსით ვიმგზავრე. მძლოლი საუბრის მოყვარული და ფრიად პოლიტიზებული კაცი აღმოჩნდა. მან ატომობილის დაძვრისთანავე დაიწყო საბჭოთა მთავრობის დაუნდობელი კრიტიკა. გასაკრიტიკებელი და სალანძღავი მართლაც ბევრი რამ ხდებოდა ჩვენ ირგვლივ. მალაზიებში გამოსადეგი აღარაფერი იყიდებოდა, რუბლი ყოველდღიურად უფასურდებოდა, ეკონომიკა თითქმის პარალიზებული იყო. სამაგიეროდ, შავი ბაზრის „ქუჩაზე“ დადგა დღესასწაული. აქ თითქმის ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა, ოღონდ ცეცხლის ფასად.

„შიდაპოლიტიკური მიმოხილვის“ შემდეგ ტაქსისტი საგარეო პოლიტიკას მოსდგა. „რა ქვეყანას ვკარგავთ, რა ქვეყანას!“ – რამდენჯერმე მწარედ ამოიოხრა მან. ვიფიქრე, მძლოლი ჩვენს სვებედნიერ საბჭოთა კავშირს გულისხმობდა, რომელმაც, მართლაც, სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ დაასრულა არსებობა. მაგრამ, როდესაც იმ ქვეყნის დახასიათება დაიწყო, რომლის დაკარგვასაც ვერაფრით ეგუებოდა, ცოტა დავიბენი: „რა ქვეყანას ვკარგავთ!? შესანიშნავი კლიმატით, ნავთობით, პალმებით, ფინიკებით...“ ნავთობი და სხვადასხვაგვარი კლიმატი კი გვაქვს სსრკ-ში, მაგრამ – ფინიკები?

გაირკვა, რომ ჩემი მძლოლი საბჭოთა სამშობლოს კი არა, შორეულ ერაყს მისტიროდა, სადაც საერთაშორისო კოალიციური ძალები სადამ ჰუსეინს ებრძოდნენ.

რას იზამ, „ჩემისა“ და „შენის“ გარჩევა დიდი ქვეყნების



შვილებს ხშირად უჭირთ ხოლმე. მათ წარმოუდგენიათ, რომ სამყარო მხოლოდ „შენიანებისგან“ და „მონინაალმდეგებისგან“ შედგება, ხოლო რაც შენს მონინაალმდეგეს არ ეკუთვნის, ის შენია. ასე დამართვია ტაქსის მძღოლსაც: საკუთარი ქვეყანა თავზე ენგრეოდა და საბჭოთა კავშირის მეგობარ ერაცს კი ეპოტინებოდა, რომელიც უკვე თავისად მიაჩნდა.

ცოდვა გამხელილი სჯობსო და, ტაქსისტის განცდებმა „მშობლიური ერაცის“ გამო მეც არასერიოზულ ფიქრებში ჩამძირა. ამ სამყაროში ყველაფერი დასწრებაზეა; ჰოდა, იქნებ, ქართველებმაც წამოვაცენოთ ჩვენი პრეტენზიები ერაცზე? მერედა, არ გვაქვს საფუძველი, თუ რა? – ტაქსისტს აყოლილი ვფიქრობდი ჩემთვის და ვიხსენებდი ქართული წარმომავლობის მამლუქებს, რომლებიც საუკუნეების წინ ოსმალთა იმპერიაში მოქცეულ ერაცს მართავდნენ. მათ შესახებ ცნობებმა ჩვენამდეც მოაღწია.

მაგალითად, ერაცის პირველი მამლუქი გამგებელი იყო სულეიმან ფაშა აბუ-ლაილა. იგი თორმეტი წლისა წაიყვანეს საქართველოდან უცხოეთში და ერაცის გამგებელს – ჰასან ფაშას – მონად მიჰყიდეს. ნიჭისა და მამაცობისათვის ჰასან-ფაშამ იგი მონობიდან გაათავისუფლა და დაანინაურა. შემდეგ სულეიმან ფაშა ჰასანის ვაჟისა და მემკვიდრის, აჰმედ ფაშას სიძე გახდა. 1733 წელს მას მირმირანის (მთავარსარდლის) ტიტული უბოძეს და ქაჰიას (ფაშის მოადგილის) თანამდებობაზე დანიშნეს. 1747 წელს ადანის გამგებლად გადაიყვანეს, იქიდან ერთი წლის შემდეგ ბასრის მუთასალიმად (გამგებლად) გაგზავნეს. 1747 წელს, როცა აჰმედი გარდაიცვალა, ოსმალეთის სულთანმა, მამლუქებს რომ ძალაუფლება ხელთ არ აეღოთ, ბაღდადის გამგებლად (ვალი) თავისი კაცი დანიშნა, მაგრამ სულეიმანმა ის გააძევა და ქართველებზე დაყრდნობით 1749 წელს ერაცის პირველი

მამლუქი ფაშა გახდა. სწორედ მისი ზეობით იწყება ერაყში მამლუქთა გამგებლობის ხანა.

1780-1802 წლებში ბაღდადის ფაშა იყო ქართული წარმომავლობის სულეიმან ფაშა ბუიუქი. მისი ზეობა ითვლება ოქროს ხანად ერაყის მამლუქთა ისტორიაში. იგი ახალგაზრდობისას საქართველოდან ოსმალეთში ტყვედ გაყიდეს. მარდინის გამგებელმა მუჰამად ეფენდი ბეგმა ბაღდადში ჩაიყვანა და ერაყის გამგებელს, ჩვენთვის უკვე ცნობილ სულეიმან აბუ-ლაილას უფექაშა. ამ უკანასკნელმა სულეიმანი თანამემამულე მამლუქთაგან დაკომპლექტებულ რჩეულ სამხედრო რაზმში ჩარიცხა და დაანიწაურა. 1765 წელს ბასრის გამგებლად დანიშნეს, ხოლო 1780 წელს ერაყის ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში და ოცდამდე წელს განაგებდა. თავისი კლანის გასაძლიერებლად მან ერაყში უამრავი ქართველი შეიყვანა, განამტკიცა ბატონობა დაქსაქსულ მამლუქებზე და შეზღუდა იანიჩართა გავლენა. სულეიმანის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყო ერაყის გაძლიერება, ირანელთა თავდასხმებისა და არაბ ტომთა გამუდმებული თარეშის აღკვეთა, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ურთიერთობა ევროპასთან. ის გახლდათ ქულემენების ქართული დინასტიის ფუძემდებელი ერაყში.

ერაყის უკანასკნელი მამლუქი გამგებელი კი დაუდ ფაშა გურჯი იყო, რომელიც საქართველოში, ქვემო ქართლში დაიბადა, გვარად მანველაშვილი; ბავშვობაში ტყვეებით მოვაჭრეებმა გაიტაცეს და ოსმალეთში გაყიდეს. მოხვდა ბაღდადის ფაშა სულეიმან ბუიუქთან, რომელმაც ის მამლუქთა სასწავლებელში მიიბარა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეკავა სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობა. ერაყის მმართველად გახდომის შემდეგ განუდგა ოსმალეთის სულთანს და დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას

ატარებდა. არმია ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა, ერაყში გახსნა პირველი სტამბა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წლების ომში ცდილობდა ერაყის დამოუკიდებლობა განემტკიცებინა. 1830 წელს სულთანმა მის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. დაუდ ფაშა დამარცხდა და 1831 წელს თურქებს დანებდა. ამის შემდეგ იგი ბოსნიის გამგებელი იყო (1834-36), 1836 წელს სტამბოლში გადაიყვანეს, ხოლო 1839-41 წლებში განაგებდა ანკარის ვილაიეთს. 1841 წელს სახელმწიფო სამსახურიდან გადადგა. 1846 წელს მედინაში დასახლდა და თავისივე თხოვნით მოციქულ მუჰამედის საფლავის ზედამხედველად დაინიშნა. დაუდ ფაშა გურჯი მედინაში გარდაიცვალა. დაკრძალულია ხალიფა ოსმანის საფლავის ახლოს.

ცნობილია, რომ ქართული წარმომავლობის მამლუქები მართავდნენ არა მარტო ერაყს, არამედ ეგვიპტეს, ტრიპოლისა და ალჟირის საფაშოებს, ეკავათ ოსმალეთის იმპერიაში დიდი ვეზირისა და ვეზირის თანამდებობები. 1798 წელს ეგვიპტელების ბრძოლას ნაპოლეონის წინააღმდეგ (ე.წ. პირამიდებთან ბრძოლა) ხელმძღვანელობდა იბრაჰიმ ბეი ალ-ქაბირი – ბავშვობაში ტყვედ გაყიდული აბრამ სინჯიკაშვილი. ირანშიც მრავლად იყვნენ ქართული წარმოშობის დიდი სამხედრო მოღვაწეები, მათ შორის უნდილაძეები, სააკაძეები.

...ალბათ ეს ჩვენი წარსული ნაკლებად საინტერესო იქნებოდა მოსკოველი ტაქსის მძღოლისთვის, რომელმაც მხოლოდ ის იცოდა, რომ ერაყის თანამედროვე დიქტატორ სადამ ჰუსეინს საბჭოთა კავშირი მფარველობდა.

ერაყის თემა მაშინ მარტო ტაქსისტს როდი აინტერესებდა. მთელი მსოფლიო შესცქეროდა ამ არაბულ სახელმწიფოში განვითარებულ მოვლენებს. ბევრმა ენციკლოპედიებშიც ჩაიხედა ქვეყნის ისტორიის გასაც-

ნობად. ცნობარებში კი წერია, რომ თანამედროვე ერაყის ტერიტორია – მესოპოტამია (შუამდინარეთი) – კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციების კერაა. XVI-XVII საუკუნეებში ეს რეგიონი ოსმალეთისა და სპარსეთის დაპირისპირების საგანი იყო. 1639 წელს მათ შეთანხმებას მიაღწიეს (ზოჰაბის ზავი) და სასაზღვრო ხაზი დაანესეს ორ იმპერიას შორის, რომელიც დღეს ერაყ-ირანის საზღვარია. მომდევნო საუკუნეებში აღნიშნული საზღვარი არა მხოლოდ ოსმალეთსა და სპარსეთს ჰყოფდა, არამედ არაბებს – სპარსელებისგან, ხოლო შიიტურ სამფლობელოებს – სუნიტური სამფლობელოებისგან.

I მსოფლიო ომის დასრულებისა და ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1921 წელს, ბრიტანელებმა გააერთიანეს სამი ყოფილი ოსმალური ვილაიეთი და ამ ტერიტორიაზე ერაყის სამეფო შეიქმნა (დიდი ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობა მან 1932 წელს მიიღო). მის შემადგენლობაში შევიდა უმთავრესად ქურთებით დასახლებული ყოფილი მოსულის ვილაიეთი ჩრდილოეთით, ძირითადად სუნიტებით დასახლებული ბაღდადის ვილაიეთი ქვეყნის ცენტრალურ რეგიონში და ბასრის ვილაიეთი – შიიტური ნაწილი ქვეყნის სამხრეთით. ერთ სახელმწიფოში ამ სამი სხვადასხვა ეთნო-რელიგიური ჯგუფის გაერთიანება თავიდანვე პრობლემური ჩანდა. სუნიტ მოსახლეობას შიიტებისაგან განსხვავებული იდენტობა ჰქონდა, ხოლო ქურთებს საერთოდ არ ჰქონდათ სურვილი არაბ შიიტებთან და არაბ სუნიტებთან ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებისა. ბრიტანელების ძალისხმევით ერაყის მეფედ შეირჩა არაბი სუნიტი ფაისალ I ჰაშიმიანთა საგვარეულოდან. მან და მისმა შთამომავლებმა ათეული წლების მანძილზე მართეს ერაყი. 1958 წელს ერაყელმა სამხედროებმა დაამხეს ჰაშიმიანთა დინასტია და რესპუბლიკა გამოაცხადეს.

ახალმა რეჟიმმა კვლავ არაბ სუნიტურ ელიტაზე დაყრდნობით გააგრძელა ქვეყნის მართვა. ეს, ერთი მხრივ, შიიტების უკმაყოფილებას იწვევდა, რომლებიც მოსახლეობის 55 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო მეორე მხრივ – ქურთებისა (20 პროცენტამდე). მათ წინააღმდეგ ხელისუფლება რეპრესიულ მეთოდებს იყენებდა.

ხელისუფლების ერთ ძალადობრივ ცვლილებას მეორე მოჰყვა (1963 წ.), მას კი მალევე – მესამე (1968 წ.). 1970-იანი წლების ბოლოს ერაყის ერთპიროვნულ მმართველად სადამ ჰუსეინი მოგვევლინა. მან დაუნდობლად გაანადგურა პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და თავი პრეზიდენტად გამოაცხადა. სადამმა სრულად დაიქვემდებარა პარტია „ბაასი“, რომელმაც „ანტიიმპერიალისტური“, ანუ ანტიდასავლური კურსი აირჩია და საბჭოთა კავშირთან დაიწყო „ფლირტი“.

პარტია „ბაასისა“ და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასაყრდენი ისევ სუნიტური ელიტა იყო, თუმცა, ეს ოფიციალურად საერო რეჟიმი აქცენტს არაბულ ნაციონალიზმზე აკეთებდა. მეტიც, სადამი ებრძოდა კიდევ რელიგიურ ფუნდამენტალიზმს.

მას შემდეგ, რაც 1979 წელს ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა და ხელისუფლების სათავეში აიათოლა ხომეინი მოვიდა, ერაყსა და ირანს შორის თავი იჩინა დიდმა წინააღმდეგობებმა. ხომეინის აშკარად არ ეპიტონავებოდა ნაციონალისტი სადამი, რომელიც არ იზიარებდა ისლამური რევოლუციის იდეებს და ავინრობდა შიიტებს. აიათოლა სწორედ ერაყის შიიტურ უმრავლესობაში ხედავდა იმ ნოყიერ ნიადაგს, რომელიც საშუალებას მისცემდა თეირანს, აღესრულებინა საუკუნოვანი ოცნება და გაეგრცვლებინა თავისი გავლენა მეზობელ ქვეყანასა და მთლიანად რეგიონში.

აიათოლას სადამის მიმართ პირადი წყენაც ჰქონ-

და. საქმე ისაა, რომ ირანიდან შაჰის მიერ გაძევებული ხომეინი ერთხანს სწორედ ერაცს აფარებდა თავს. იმავე შაჰის თხოვნით კი სადამმა აიათოლა 1978 წელს ერაციდან გააძევა (1979 წელს თეირანში ტრიუმფალურ დაბრუნებამდე იგი პარიზში ცხოვრობდა).

ირანში რევოლუციური ვნებათაღელვის დროს აიათოლამ მოუწოდა ერაცის შიიტურ მოსახლეობას, მოეშორებინათ „კორუმპირებული სეკულარული რეჟიმი“. სადამ ჰუსეინმა ამ მოწოდებას მხეცური ჟინით უპასუხა – მისი ბრძანებით დააპატიმრეს და სასტიკი წამებით მოკლეს ცნობილი ერაციელი შიიტი აიათოლა მუჰამად ბაქირ ალ-სადრი. ამის შემდეგ ხომეინიმ კიდევ უფრო აიმაღლა ხმა სადამის წინააღმდეგ. საპასუხოდ სადამმა 1980 წლის სექტემბერში ირანის ტერიტორიაზე ჯარი შეიყვანა და საომარი მოქმედებები დაიწყო.

ერაც-ირანის ომმა 8 წელს გასტანა და მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. სადამის ბრძანებით ერაცის არმია ქიმიურ იარაღსაც იყენებდა, რაც აკრძალულია საერთაშორისო კონვენციით. თავიდან ომს მსოფლიო მედია აქტიურად აშუქებდა, შემდეგ კი ნელ-ნელა ყველამ მიივიწყა.

შორიდან, ჩვენი გადასახედიდან, ეს იყო სრულიად უაზრო, ფანატიკური ხოცვა-ჟლეტა. ფაქტობრივად კი, ერაც-ირანის ომი გახლდათ დაპირისპირება არაბულ სუნიტურ ნაციონალიზმსა და ირანულ შიიტურ ისლამს შორის. ორივე მხარე დაუნდობლად იბრძოდა „ისტორიული სამართლიანობის“ აღსადგენად, რეალურად კი – გავლენის სფეროების გასაფართოებლად.

მაგრამ, 8-წლიანი ომის შედეგად რაიმე ხელშესახებ წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია და საბოლოოდ მდგომარეობა ომისწინანდელ სიტუაციას დაუბრუნდა. ეს ნიშნავდა არაბებსა და სპარსელებს,

სუნიტურ და შიიტურ სამფლობელოებს შორის ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ჩამოყალიბებულ ძალთა ბალანსის შენარჩუნებას, რაც მომდევნო ეპოქებში, მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური პერიპეტიისა, პრინციპულად არ შეცვლილა.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვი, რომ რეგიონში სტრატეგიულ ძალთა ბალანსი ვერც 1991 წლის სპარსეთის ყურის პირველმა ომმა შეცვალა. კოალიციური ძალები აშშ-ის ხელმძღვანელობით მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და თავს შეიკავებენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობისაგან.

რეგიონში თითქმის სამსაუკუნოვანი ძალთა ბალანსი დაირღვევა მხოლოდ 2003 წელს სადამის რეჟიმის განადგურების შემდეგ და ეს ვითარება ირანის სასარგებლოდ დაიწყებს ჩამოყალიბებას.

მაგრამ 1979 წელს, ერაყ-ირანის ომის დაწყებისას, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ერთ „მშვენიერ“ დღეს აშშ-ის პირველ მტრად სადამ ჰუსეინი მოგვევლინებოდა. საქმე ის არის, რომ ორი ქვეყნის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში აშშ-მა მაშინ ერაცის, ანუ სადამ ჰუსეინის მხარე დაიჭირა. პრეზიდენტ რონალდ რეიგანს დიდი არჩევანი არც ჰქონდა: ხომეინისა და სადამს შორის მან ეს უკანასკნელი არჩია. ვაშინგტონი სადამის რეჟიმს აწვდიდა იარაღს, სადაზვერვო ინფორმაციას, უწევდა პოლიტიკურ მხარდაჭერას. სხვათა შორის, ამას აკეთებდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაც.

ეს არჩევანი მხოლოდ ირანის ფაქტორით არ იყო ნაკარნახევი. რეიგანს არაბულ სამყაროში ძლიერი პარტნიორი სჭირდებოდა. მაგრამ, როდესაც გამოაშკარავდა მეთოდები, რომლებსაც სადამი მიმართავდა ირანის წინააღმდეგ, კერძოდ, ქიმიური და მომწამვლელი გაზების გამოყენების ფაქტები, ასევე ქვეყნის შიგნით ადა-

მიანის უფლებების მასობრივი დარღვევა, ვაშინგტონის ადმინისტრაციამ სტრატეგია შეცვალა. 1986 წელს ცნობილი გახდა, რომ ვაშინგტონმა საიდუმლოდ, კონგრესის ნებართვის გარეშე, თეირანს იარაღის პარტია მიანოდა, ხოლო ამ ოპერაციიდან ამოღებული თანხა, ასევე საიდუმლოდ, ნიკარაგუელ პარტიზანებს გადასცა, რომლებიც მარქსისტი სანდინისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ ისტორიას ვაშინგტონში დიდი სკანდალი მოჰყვა, რომელმაც რეიგანი კინალამ იმსხვერპლა.

ერაყ-ირანის ტრაგიკული ომის დასრულების შემდეგ სადამ ჰუსეინმა ჯავრი უმთავრესად ქვეყნის „მოღალატე“ ქურთ მოსახლეობაზე იყარა. სადამის უშუალო ხელმძღვანელობით 1987-1990 წლებში ერაყის ქურთისტანში ნამდვილი გენოციდი განხორციელდა. ერაყის ჩრდილოეთ რეგიონის გუბერნატორის, სადამ ჰუსეინის ბიძაშვილის ბრძანებით, ჯარს ქურთისტანში უნდა გაენადგურებინა „ყოველგვარი ცოცხალი არსება“. ბრძანება „ნარმატებით“ შესრულდა: მას 180 ათასამდე ქურთი შეენირა. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად ქურთისტანის ტერიტორიის დიდი ნაწილი საერთოდ გაუკაცრიელდა, პირისაგან მიწისა აღიგავა 4 ათასი სოფელი.

1990 წლის ზაფხულში სადამ ჰუსეინმა ახალი მასშტაბური ავანტიურა წამოიწყო. ამჯერად მეზობელი აყვავებული ქვეყნის – ქუვეითის წინააღმდეგ. როგორც პათოლოგიურ დიქტატორს, სადამს უღალესად აღიზიანებდა ქუვეითის კეთილდღეობა. ბუნებრივი რესურსები (ნავთობი) არც ერაყს აკლდა კეთილდღეობისთვის, მაგრამ სადამმა თავისი ქვეყნის სიმდიდრის გამოყენების ნაცვლად მეზობლის გაძარცვა გადაწყვიტა. ყაჩაღობის სურვილი იყოს და მიზეზი ყოველთვის მოიძებნება...

პრეტენზიებს ქუვეითის მიმართ სადამი ისტორიული არგუმენტებით ხსნიდა. საქმე ის არის, რომ 1913 წელს დიდ



ბრიტანეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის გაფორმებული შეთანხმებით ქუვეითი გამოეყო ბასრის ვილაიეთს და ცალკე საამიროდ გამოცხადდა. ამგვარად, სადამი თვლიდა, რომ ბრიტანელებმა ხელოვნურად ჩამოაშორეს ერაცს ქუვეითის ტერიტორია, რაც ისტორიული უსამართლობა და იმპერიალიზმის მორიგი დანაშაული იყო.

სადამ ჰუსეინი იმითაც იყო უკმაყოფილო, რომ ქუვეითის მთავრობამ არ ჩამოწერა ერაცის მრავალმილიარდიანი ვალი, რომელიც ქუვეითმა ბაღდადს გამოუყო ირანთან ომის დროს. სადამს მიაჩნდა, რომ ირანის წინააღმდეგ ბრძოლა არაბული ქვეყნების საერთო წმინდა ვალი იყო, ამიტომაც მარტო ერაცს არ უნდა გაეღო სისხლი და ფული. რის ვალი, რა ვალი...

გარდა ამისა, სადამი ძალიან უკმაყოფილო იყო ქუვეითის პოლიტიკით ნავთობის ფასთან დაკავშირებით, რის გამოც, ბაღდადის სტატისტიკით, ერაცი ყოველწლიურად მილიარდობით დოლარით ზარალდებოდა. ქუვეითი ნავთობს მოიპოვებდა ერაცის მოსაზღვრე რაიონში, რაც ბაღდადის პროტესტს იწვევდა. ამ უკანასკნელის მონაცემებით, ქუვეითი ნავთობს ერაცის ტერიტორიიდან „ისრუტავდა“. მოკლედ, კრავისა და მგლის ცნობილი არაკისა არ იყოს, სადამს ერთი სული ჰქონდა, ჭკუა ესწავლებინა სიმდიდრისაგან „თავგასული“ ქუვეითელებისათვის.

1990 წლის ივლისში აშშ-ის დაზვერვისათვის ცნობილი გახდა, რომ ერაცის სამხედრო ნაწილები ქუვეითის საზღვართან იწყებდნენ კონცენტრირებას. ვითარების გასარკვევად 25 ივლისს აშშ-ის ელჩი ერაცში ქ-ნი ეიპრილ გლასპი თვით სადამ ჰუსეინს შეხვდა. ეს შეხვედრა დღემდე ითვლება ამერიკული დიპლომატიის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ შეცდომად და ქრესტომათიულ მაგალითად, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს მალალი რანგის დიპლომატის მიერ განცხადების არას-

წორ ფორმულირებას. კერძოდ, ერაყ-ქუვეითის პრობლემატური ურთიერთობების განხილვისას აშშ-ის ელჩმა განაცხადა, რომ „ხელმძღვანელობს რა არა დაპირისპირების, არამედ მეგობრული სულისკვეთებით, აშშ თავს იკავებს თავისი პოზიციის გამოსატვისაგან არაბულ ქვეყნებს შორის კონფლიქტურ საკითხებზე“. ელჩმა ასევე განუცხადა სადამ ჰუსეინს, რომ ვაშინგტონი არ აპირებდა „ეკონომიკური ომის წარმოებას ერაყის წინააღმდეგ“\*.

ვარაუდობენ, რომ აშშ-ის ელჩის ეს ბუნდოვანი სიტყვები სადამ ჰუსეინმა აღიქვა, როგორც ვაშინგტონის „მწვანე შუქი“ ქუვეითის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დასაწყებად. ცოტა მოგვიანებით ამ მართლაც კურიოზულმა შემთხვევამ არაბულ სამყაროში გააჩინა ეჭვი, რომ ვაშინგტონმა სპეციალურად უბიძგა სადამს ავანტიურისაკენ, რათა მერე გაენადგურებინა იგი.

მართლაც, 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის ელიტური რესპუბლიკური გვარდიის დივიზიები ქუვეითის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

პირადად ჩემი აზრით, ძნელად წარმოსადგენია, სადამს თავისი სუიციდური სამხედრო ავანტიურა მხოლოდ ამერიკის ელჩის თუნდაც ასეთ პასუხზე აეგო; თუმცა, ქალბატონი გლასპის ამ განცხადებამ შეიძლება მართლაც მისცა მას დამატებითი ბიძგი ინტერვენციისათვის. დიქტატორს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ვაშინგტონი ქუვეითს არავის არ დაანებებდა. მაგრამ იგი ალბათ ფიქრობდა, რომ ამერიკელები, საბოლოოდ, შეეგუებოდნენ „ახალ რეალობას“ და ვაჭრობას დაიწყებდნენ ბაღდადთან ქუვეითის თაობაზე. აღმოსავლეთში კი ვაჭრობის ოსტატები არიან.

---

\* მოგვიანებით ქ-ნი გლასპი იმით გაიმართლებს თავს, რომ მისთვის ყოველად წარმოუდგენელი იყო მოვლენების შემდგომი დრამატული სცენარით განვითარება.

აღბათ, სადამს თავისი ძველი მეგობრის – კრემლის იმედიც ჰქონდა. ტყუილად ხომ არ იმყოფებოდა ერაყში 5 ათასამდე საბჭოთა სპეციალისტი. მისი აზრით, მოსკოვი მეგობარს არ განირავდა.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, დიქტატორი ვარაუდობდა, რომ დასავლეთი რეალურად ვერ გაიღებდა დიდ მსხვერპლს ქუვეითელების დასაცავად. დიქტატორს მიაწერენ ფრაზას, რომელიც ზუსტად მიანიშნებს მის ფსიქოლოგიურ გათვლაზე – „თქვენს (ანუ, დასავლეთის – ზ. ა.) საზოგადოებას არ შეუძლია განიროს 10 ათასი ადამიანი ერთი ბრძოლისათვის“. ანუ, დასავლეთი ვერ იზამს იმას, რასაც სადამი იკადრებს. სადამს კი რა ენაღვლება, თვლით ხომ არ ჩაიბარა ერაყელები თავისი წინამორბედი მეფე ფაისალისაგან?! რამდენსაც უნდა, იმდენს გაამწესებს სასაკლაოზე.

სადამი მწარედ შეცდა. ქუვეითში ინტერვენციით მან ფაქტობრივად განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს. ერთია თავს დაესხა ირანს – აშშ-ის მტერს, მეორე კი – ქუვეითს, სპარსეთის ყურეში ამერიკელების სტრატეგიულ მოკავშირეს. ეს რეგიონი წარმოადგენდა და წარმოადგენს აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების სფეროს, რომელიც ნავთობით კვებავს მთელ დასავლეთს. გარდა ამისა, 1987 წლიდან სპარსეთის ყურეში მოქმედებდა თავისუფალი ნაოსნობის რეჟიმი, ხოლო ქუვეითის 11 ტანკერი აშშ-ის დროშით ცურავდა. ვაშინგტონი ფაქტობრივად გახდა ამ რეგიონში თავისი მოკავშირეების ხელშეუხებლობის გარანტი. ამგვარად, ქუვეითში შეჭრა აშშ-ის არა მხოლოდ გამოწვევა, არამედ მისი ღირსების უკიდურესი შელახვაც იყო. ასეთ რამეს არ პატიობენ.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ ინტერვენციის შესახებ შეიტყო მოსკოვში მყოფი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯორჯ

ბეიკერისაგან. ეტყობა, საბჭოთა დაზვერვა ერაყში ან „ჭურში იჯდა“, ან საბჭოთა მინისტრს არ აწვდიდნენ ასეთ ინფორმაციას. ორივე შემთხვევაში, ჩემი მოსკოველი ნაცნობი ტაქსის მძღოლი ნამდვილად დამსახურებულად აკრიტიკებდა საბჭოთა მთავრობას.

ამ დრამატული ისტორიის დადებითი მხარე ის იყო, რომ ბეიკერისა და შევარდნაძის შეთანხმებით გადაწყდა, გაეროს უშიშროების საბჭოში მომზადებულყო მკაცრი რეზოლუცია აგრესორის წინააღმდეგ. ეს რეალურად პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ვაშინგტონი და მოსკოვი საერთაშორისო მასშტაბის კონფლიქტთან დაკავშირებით ერთი პოზიციით წარდგებოდნენ მსოფლიოს წინაშე.

ბეიკერ-შევარდნაძის გადაწყვეტილებამ დიდი აურზაური გამოიწვია; როგორც შევარდნაძე იგონებს: „დიდი ჯაფა დამადგა მაშინ, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ განცხადების განხილვისას სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტროში შემექმნა პრობლემები. უმცირესობაში აღმოვჩნდი. ზოგიერთი ჩემი მოადგილე და ექსპერტი წინააღმდეგი იყო: ერთნი – ფორმულირებებისა, მეორენი კი, საერთოდ – განცხადებისა. ერაყსა და ახლო აღმოსავლეთთან ჩვენ მართლაც განსაკუთრებული ურთიერთობანი გვქონდა, ამდენად, მათ პოზიციას სერიოზული საფუძველი ჰქონდა; მაგრამ საფუძვლიანი იყო ჩემი პოზიციაც, რომელიც მხოლოდ ერთ ქვეყანასა და ერთ რეგიონთან ურთიერთობის პრობლემებს კი არ ითვალისწინებდა, არამედ მთელი მსოფლიოს მომავალსა და საბჭოთა კავშირის როლს ამ მომავალში, საბჭოთა კავშირის ახალი პოლიტიკის კურსის გაგრძელებას... სხვა გზა არ იყო – კოლექტიური გადაწყვეტილების ნაცვლად, ერთპიროვნული გადაწყვეტილება მივიღე, პასუხისმგებლობაც მთლიანად ჩემს თავზე ავიღე“.

მაგრამ, რადგან მოსკოვში სადამ ჰუსეინს ჯერ

კიდევ მეგობრად მიიჩნევდნენ, გორბაჩოვმა ბალდადში, შვეარდნაძის გვერდის ავლით, არაბულ სამყაროში ავტორიტეტული პოლიტიკოსი – ევგენი პრიმაკოვი მიავლინა. ამან საგარეო საქმეთა მინისტრის უკმაყოფილება გამოიწვია: „არ შეიძლება ქვეყანას ორი საგარეო პოლიტიკა ჰქონდეს!“.

ამასობაში ერაყის ავიაციამ დაბომბა ქუვეითის დედაქალაქი, ხოლო სატანკო ნაწილებმა დაიკავეს სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის ქუვეითის ამირას სასახლე. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ქუვეითის შეიარაღებული ძალები ინტერვენციის წინ არ იყვნენ საბრძოლო მზადყოფნაში – ეტყობა, ქუვეითის დაზვერვაც რუსებთან ერთად „იჯდა ჭურში“; ოღონდ გასაკვირია, თუ რატომ არ ჰქონდათ ქუვეითელებს შესაბამისი ინფორმაცია ამერიკელებისაგან.

მიუხედავად ქუვეითელების საკმაოდ გმირული წინააღმდეგობისა, ერაყის 120 ათასიანმა ჯარმა, 850 ტანკის თანხლებით, საკმაოდ სწრაფად მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია. ქუვეითის ამირა საუდის არაბეთში გაიქცა, ხოლო მისი უმცროსი ძმა ერაყელებმა სასახლეში შეიპყრეს და შემდეგ ტანკით გასრისეს. ველურობაში ისინი თავიანთ უმაღლეს მთავარსარდალს არ ჩამორჩებოდნენ.

სადამ ჰუსეინმა „თავისუფალ ქუვეითს“ ახალი პრემიერ-მინისტრი და გუბერნატორი ბალდადიდან მოუვლინა.

ბალდადში სამშვიდობო მისიით ჩასული რუსეთის ფედერაციის მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი და პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი ცდილობდა დაერწმუნებინა სადამ ჰუსეინი, სასწრაფოდ გაეყვანა ჯარი ქუვეითიდან. სადამი თითქოს თანახმა იყო, თუკი მას „სახის შენარჩუნების“ საშუალება მიეცემოდა. პრიმაკოვი თავის მემუარებში იგონებს:

„– შენ უნდა იცოდე, რომ ერაყის ხელმძღვანელობა-

ში მარტო ქორები კი არა, მტრედებიც არიან, – მითხრა სადამმა და ერაყის რევოლუციური საბჭოს წევრებს გადახედა.

ჩემს რეპლიკაზე, რომ მე მხოლოდ მტრედებთან ვამჯობინებდი საუბარს, ვიცე-პრეზიდენტმა რამადანმა ასე მიპასუხა:

– მაშინ ჩვენ ყველას აქედან ნასვლა მოგვიწევს, ხოლო თქვენ – ჩვენს საყვარელ ლიდერთან პირისპირ დარჩენა“.

ასეთი აღმოსავლური თავაზიანობით რამადანი ხაზს უსვამდა, თუ როდენ დიდი ჰუმანისტი იყო სადამი, რომელსაც, ვითომ, საკუთარ მთავრობაში ოპოზიციაც კი ჰყავდა.

პრიმაკოვმა კრემლსა და ვაშინგტონის ადმინისტრაციას აცნობა ის პირობები, რომლებსაც სადამი აყენებდა ქუვეითიდან გამოსვლის საფასურად. ამ წინადადებებზე პრეზიდენტ ბუშის რეაქცია ასეთი იყო: „სადამმა ჰიტლერის მსგავსი დანაშაული ჩაიდინა, მასთან ლაპარაკი და მისთვის რაიმეს დათმობა არ შეიძლება“.

პრიმაკოვი თავის მოგონებებში ამტკიცებს, რომ ბალდადში მისი მისიისა და კომპრომისული მიდგომის წინააღმდეგ შევარდნაძემ „დაქოქა“ ამერიკელები.

ასეა თუ ისე, 1990 წლის 29 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 678, რომელმაც ულტიმატუმის სახით მოსთხოვა ერაყს 1991 წლის 15 იანვრამდე გამოეყვანა ჯარები ქუვეითიდან. სხვაგვარად ერაყის წინააღმდეგ მიღებული იქნებოდა „ნებისმიერი საჭირო ზომა“.

ისტორიას დარჩება კადრი, რომელიც ასახავს, თუ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი, უშიშროების საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, როგორ აძლევს ხმას ამ რეზოლუციას. სწორედ მაშინ თქვა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა: „სპარსეთის ყურის კრიზისმა, მთელი თავისი სერიოზუ-

ლობის მიუხედავად, ჩვენ მოგვცა იშვიათი შესაძლებლობა თანამშრომლობის ისტორიულ პერიოდზე გადასასვლელად. ამ წინააღმდეგობრივ დროთა წიაღიდან შეიძლება დაიბადოს „ახალი მსოფლიო წესრიგი“.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი უკვე მთლიანად უარყოფითად იყო განწყობილი სადამის წინააღმდეგ. ამ დიდ საინფორმაციო კამპანიაში წამყვანი როლი CNN-სა და დასავლეთის სხვა ტელეარხებს ენიჭებოდა. ისინი სრულად და გამუდმებით აღწერდნენ იმ საშინელებებს, რაც ქუვეითის მოსახლეობას დაატყდა თავს: 400 ათასი ქუვეითელი, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის 50%, იძულებული გახდა, მეზობელ ქვეყნებში გახიზნულიყო. ქვეყნიდან გარბოდნენ უცხოელებიც. ერაყელებმა ბევრი ქუვეითელი დააპატიმრეს და ერაყში გადაიყვანეს. არაფერს ვამბობთ ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებსა და ძარცვა-გლეჯაზე.

ემიგრაციაში მყოფმა ქუვეითის მთავრობამ დაიქირავა პიარკომპანიები, რომლებმაც მასშტაბური საინფორმაციო შეტევა განახორციელეს ერაყის რეჟიმზე. მოგვიანებით გაირკვა, რომ ზოგიერთი დრამატული ისტორია ერაყელების სისასტიკის შესახებ შეთხზული იყო. რას იზამ, ომი ომია. ინტერვენცია ხომ ნამდვილად მოხდა.

აშშ-მა ითავა კოალიციური სამხედრო ძალების შექმნა, რომლებში მონაწილეობის მიღებაზეც თანხმობა განაცხადა მსოფლიოს 34 სახელმწიფომ, აქედან – 14-მა ისლამურმა ქვეყანამ. კოალიციის საერთო რაოდენობის 73% აშშ-ის (956 ათასი) სამხედრო კონტინგენტით დაკომპლექტდა. კოალიციურ ჯარებს ამერიკელი გენერალი ნორმან შვარცკოფი უხელმძღვანელებდა.

საყურადღებოა, რომ იაპონიამ და გერმანიამ თავი შეიკავეს სამხედრო კამპანიაში უშუალო მონაწილეობისგან, მაგრამ სამაგიეროდ გამოყვეს დიდი ფინანსური სახსრე-

ბი – 10-და 6,6 მილიარდი დოლარი შესაბამისად. კოალიციის მონაწილეობა არც საბჭოთა კავშირმა ისურვა.

17 იანვარს, ანუ გაეროს რეზოლუციით გათვალისწინებული ულტიმატუმის გასვლისთანავე, კოალიციურმა ძალებმა დაიწყეს მასშტაბური საჰაერო კამპანია ერაყის წინააღმდეგ – ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“. პირველი სამიზნეები იყო ერაყის ავიაცია და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები, ასევე მართვის პუნქტები და კომუნიკაციის საშუალებები. უნდა განადგურებულიყო საბჭოური წარმოების „სკადის“ ტიპის რაკეტები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ერაყის მეზობელ ქვეყნებს, განსაკუთრებით საუდის არაბეთსა და ისრაელს.

რამდენიმე საათში ერაყელ ხალხს რადიოთი მიმართა სადამ ჰუსეინმა სიტყვებით: „დაიწყე დიდი ორთაბრძოლა, მშობელი ყველა ბრძოლისა. ჩვენი გამარჯვება ახლოვდება. დიდ არს ალაჰი!“

ჩვენ თბილისში ტელევიზორებთან ვისხედით და დაზაფრულები შევცქეროდით საჰაერო ბრძოლის პირდაპირ კადრებს. ვხედავდით, თუ როგორ მიფრინავდნენ მონინააღმდეგის გასანადგურებლად აშშ-ის ავიამზიდებიდან რაკეტები, ბომბდამშენები. კარგად მახსოვს საბჭოთა ტელეკომენტატორის სიტყვები: „ახლა სადამს ალაჰიც ველარ უშველის!“ სხვათა შორის, საბჭოთა „ვრემიას“ რეპორტიორს ისიც ძალიან ახალისებდა, რომ ამერიკულმა ავიაციამ თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაანადგურა ერაყის საჰაერო თავდაცვის სისტემა, რომელიც სადამს საბჭოთა კავშირმა მიჰყიდა. აი, ასეთ ჭკუაზე იყვნენ მაშინ მოსკოვში. არასდროს არ ყოფილა ასეთი ერთსულოვნება დასავლეთსა და რუსეთს შორის.

გავა სულ რაღაც 5-6 წელი და მოსკოვი კვლავ თავისებური ბრაზიანი ტონით დაიწყებს ლაპარაკს ვაშინგტონთან. მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება.



30 იანვარს ერყის სატანკო ნაწილებმა დაიკავეს საუდის არაბეთის მოსაზღვრე ქალაქი ქაფჯი. ორდღიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ საუდის არაბეთის ეროვნულმა გვარდიამ და აშშ-ის საზღვაო ქვეითებმა შეძლეს ერყელეების დამარცხება და განდევნა.

საუდის არაბეთში შეჭრა სადამის მორიგი სიბეცე იყო. გარდა იმისა, რომ ამ აგრესიას სამხედრო თვალსაზრისით არანაირი აზრი არ ჰქონდა, სადამს უნდა სცოდნოდა, რომ ქუვეითის დასაცავად აშშ ომს გამოუცხადებს ნებისმიერ აგრესორს, საუდის არაბეთის დასაცავად კი ბირთვულ იარაღსაც გამოიყენებს. ეს სახელმწიფო სპარსეთის ყურეში ვაშინგტონის უმთავრესი მოკავშირეა, მასზეა დამოკიდებული აშშ-ისა და დასავლეთის ბევრი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება, ანუ ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ინტენსიური საჰაერო კამპანია ერყის წინააღმდეგ რამდენიმე კვირა გაგრძელდა. თავიდან საჰაერო შეტევებს დასავლეთის ტელეარხები აშუქებდნენ. მაგრამ მალე ერყის ხელისუფლებამ ბაღდადიდან ყველა დაითხოვა და ერთადერთი არხი, რომელიც სასტუმრო „ალ რაშიდის“ ზემო სართულიდან აშუქებდა მოვლენებს პირდაპირ ეთერში, CNN იყო.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ კოალიციის საჰაერო შეტევამ გაანადგურა ერყის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი: ელექტროსადგურები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, ხიდები, რადიო და ტელე-სადგურები, ქარხნები და ა. შ. ამგვარად, მოხდა ის, რაც ხშირად ხდება ხოლმე: ტირანის მიერ ჩადენილი დანაშაულის საფასურს ერყელი ხალხი იხდიდა.

ერყმა კოალიციის ძალების საჰაერო შეტევებს ისრაელის, საუდის არაბეთის, ბაჰრეინისა და კატარის წინააღმდეგ სარაკეტო დარტყმებით უპასუხა. საყურ-

ადლებოა, რომ ისრაელი არ მონაწილეობდა კოალიციური ძალების ოპერაციაში, ამიტომ, როგორც იტყვიან, საერთოდ არაფერ შუაში იყო; მაგრამ სადამი საგანგებოდ ცდილობდა თელ-ავივის პროვოცირებას. მან იცოდა, თუკი ისრაელი ერაცის აგრესიას ძალითვე უპასუხებდა, არაბულ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი პროტესტის ნიშნად უარს იტყოდა კოალიციაში მონაწილეობაზე, რადგან ისინი ისრაელს მტრად მიიჩნევდნენ; ამიტომ ვაშინგტონის ადმინისტრაციას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა შეეკავებინა ისრაელის მთავრობა საპასუხო ნაბიჯებისაგან. ერაცმა ისრაელის მიმართულეებით 40-ზე მეტი საბჭოთა წარმოების „სკადის“ რაკეტა გაუშვა, რამაც სულ რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა, რაკეტების უმრავლესობა ზღვაში ან უშენ ადგილას ჩამოვარდა. ისრაელი პასუხისაგან თავს იკავებდა.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თელ-ავივის ერთ-ერთ კინოთეატრში გადაღებულმა ტელეკადრებმა: საზოგადოება ფილმის სანახავად აირჩინალებით იყო მისული – ისრაელში ერაცის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას არ გამორიცხავდნენ. არანაირი პანიკა, არავითარი შიში. პირიქით, ხუმრობდნენ კიდევც – „სადამმა აქლემს ატომური ბომბი აჰკიდა და აქეთ გამოუშვა“. არც თავიანთი ჯარის სიძლიერეში ეპარებოდათ ეჭვი. მაგალითად, ისრაელის არმიის ოფიცერი თავის კოლეგას ეკითხება:

- ბაღდადი ხომ არ აგველო?
- ეგ სადილამდე. სადილის შემდეგ?

ისრაელისა და მისი მოქალაქეების მოთმინება მართლაც სამაგალითო იყო!

მალე აშშ-მა ისრაელს „პეტრიოტის“ ტიპის რაკეტ-სანინალმდეგო სისტემები გადასცა, რამაც საგრძნობლად შეამცირა „სკადის“ ეფექტურობა. „პეტრიოტის“ სისტემები თურქეთსაც მიაწოდეს. 25 თებერვალს ერაც-

იდან გაშვებულმა „სკადის“ რაკეტამ ძლიერ დააზიანა აშშ-ის სამხედრო ბაზა საუდის არაბეთში, დაიღუპა 28 ამერიკელი ჯარისკაცი.

23 თებერვალს აშშ-ის ნაწილები ქუვეითის ტერიტორიაზე შევიდნენ და ერაყელებს შეუტიეს. არაბული ქვეყნების შენაერთებმა დაიწყეს ერთდროული შეტევა სხვა მიმართულებიდან. ამ ოპერაციაში ქუვეითის ჯარიც მონაწილეობდა, რომელსაც პირველს უნდა გაეთავისუფლებინა ოკუპანტებისაგან დედაქალაქი. კოალიციის კარგად დაგეგმილმა და ეფექტურმა შეტევამ, რომელშიც 150 ათასამდე ჯარისკაცი და ათასზე მეტი ტანკი მონაწილეობდა, ერაყელების წინააღმდეგობა საკმაოდ სწრაფად დათრგუნა.

25 თებერვალს სადამ ჰუსეინმა ბრძანება გასცა ჯარების ქუვეითიდან გამოყვანის შესახებ. ერაყისკენ უკანდახევა მათ დაიწყეს მთავარი ავტოსტრადით, რომელზეც მრავალკილომეტრიანი სამხედრო ტექნიკისა და პერსონალის კოლონა გაიჭიმა. კოალიციის ავიაციამ მასირებული შეტევა მოახდინა ამ სამხედრო ტექნიკაზე და განაადგურა კიდევ იგი. ბევრმა ერაყელმა სამხედრომ „სიკვდილის ავტოსტრადიდან“ გაქცევით უშველა თავს.

სანამ ერაყის ჯარი ქუვეითს დატოვებდა, სადამის ბრძანებით სამხედროებმა ცეცხლი წაუკიდეს ნავთობის საბადოებს, რამაც კოლოსალური ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია. ხანძრის ჩაქრობას თვეები დასჭირდა.

მაშინ, როცა ერაყის ჯარი ქუვეითის დატოვებას ცდილობდა, ხოლო სადამის პროპაგანდისტული მანქანა მოსახლეობას ამ ჯარის უდიდეს გამარჯვებებზე ზღაპრებს უყვებოდა, კოალიციურმა ჯარებმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ქვედანაყოფების ლიდერობით, ერაყის ტერიტორიაზე განავითარეს შეტევა. ახლა

კი იკადრას სადამმა და დაიჯერა, რომ საქმეს ცუდი პირი უჩანდა. 27 თებერვალს მან განაცხადა, რომ თანახმა იყო მიეღო საბჭოთა წინადადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რაც ითვალისწინებდა გაეროს დამკვირვებელთა მონაწილეობით ჯარების დაშორიშორებას ერაყ-ქუვეითის საზღვარზე. მაგრამ უკვე გვიან იყო – კოალიციის წევრებისათვის ეს შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა.

ქუვეითში ბრძოლისაგან განსხვავებით, ერაყის ჯარმა საკუთარ ტერიტორიაზე უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაუწია კოალიციის ძალებს. მაგრამ ამ უკანასკნელს, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, დიდი უპირატესობა ჰქონდა, ერაყელი ჯარისკაცები კი არ იყვნენ განვრთნილი ისე, როგორც ამერიკული, ბრიტანული, ფრანგული თუ კანადური ქვედანაყოფები. ბრიტანელებმა ამ ოპერაციაში თავიანთი ლეგენდარული სპეციალური ძალები – SAS – ჩართეს, რომლებსაც მსოფლიოში ბადალი არ ჰყავთ. გარდა ამისა, ერაყის საზღვარზე თურქეთმა 100-ათასიან კონტინგენტს მოუყარა თავი. ამან ძლიერი ზეგავლენა იქონია ერაყელებზე.

ერაყელებმა ბრძოლებში დაკარგეს 20 ათასამდე ჯარისკაცი. რამდენიმე ათასი სამოქალაქო პირი დაბომბვების ე. წ. გვერდითი ეფექტის მსხვერპლი გახდა. კოალიციის წევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი მსხვერპლი აშშ-მა გაიღო – 294 ჯარისკაცი.

28 თებერვალს პრეზიდენტმა ბუშმა ქუვეითის გასათავისუფლებელი საბრძოლო მოქმედებები დასრულებულად გამოაცხადა. კოალიციურმა ძალებმა და ერაყის ხელისუფლებამ ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომელმაც, გაეროს უშიშროების მანდატის შესაბამისად, შეზღუდვები დაუწესა ერაყის შეიარაღებულ ძალებს. სამოქალაქო მოსახლეობის დახმარებისა და ჰუმანიტარული ოპერაციებისათვის ერაყის მთავრობამ

ითხოვა სამხედრო ვერტიკლების გამოყენების უფლება. ეს თანხმობა ბალდადმა მიიღო, რაც მოგვიანებით ტრაგიკულად შემოუბრუნდა იმავე ერაყის მოსახლეობას.

ამგვარად, კოალიციურმა ძალებმა, და უპირველესად, აშშ-მა ზედმინევენით შეასრულეს გაეროს უშიშროების მანდატი. მათ გაათავისუფლეს ქუვეითი, მაგრამ თავი შეიკავეს ბალდადის ოკუპაციისა და პოლიტიკური რეჟიმის ძალადობრივი შეცვლისაგან. გარდა იმისა, რომ არ ჰქონდა გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი მანდატი, ვაშინგტონის ადმინისტრაციამ სადამის ჩამოგდებისგან იმიტომაც შეიკავა თავი, რომ არ დაერღვია ერაყში საუკუნეების მანძილზე არსებული ძალთა ბალანსი. კერძოდ, სადამისა და მისი „ბაასის“ პარტიის განადგურება გამოინვევდა შიიტური ელიტის გაძლიერებას, რომლის უკანაც ირანი მოიაზრებოდა. ასევე ვაშინგტონი ანგარიშს უწევდა იმ საფრთხეს, რომ ერაყში არსებული პოლიტიკური რეალობის შეცვლა გამოინვევდა ერაყის დაშლას და მის ჩრდილოეთ ნაწილში ქურთისტანის სახელმწიფოს წარმოქმნას, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის მოკავშირე თურქეთი.

უკვე ერთი თვის შემდეგ, ანუ მარტის მეორე ნახევრიდან, აშშ-მა სპარსეთის ყურიდან თავისი 540 ათასიანი კონტინგენტის გაყვანა დაიწყო.

კოალიციის სამხედრო ოპერაცია დიდი წარმატებით დასრულდა. ამერიკელ სამხედროებს სამშობლოში ისეთივე აღრფთოვანებით ხვდებოდნენ, როგორც II მსოფლიო ომში გამარჯვებულებს. გენერალი ნორმან შვარცკოფი ნამდვილი გმირი გახდა. აშშ-ის პრესტიჟი მსოფლიოში უდიდესი იყო, მისი პირველობა არავის ეჭვს აღარ იწვევდა.

საერთო ჯამში ეს იყო ბოროტების წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის უპრეცედენტო სოლიდა-

რობის გამოვლინება. დასავლეთის ქვეყნები და ისლამური სამყარო არასდროს ყოფილა ასე ერთიანი, არც მანამდე და არც მას შემდეგ. სამწუხაროდ, ამ ერთიანობის შენარჩუნება მომდევნო წლებში ვერ მოხერხდა.

საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად ქუვეითის განთავისუფლება და აგრესორის დასჯა იყო მკაცრი გაფრთხილება სხვადასხვა ჯურის ტირანების მისამართით – კაცობრიობა მათ ტერორს აღარ მოითმენდა. ეს სრულებით ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისს ჰგავდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, თვით ერაციის პრობლემა მოუგვარებელი დარჩა, ხოლო სადამ ჰუსეინი მარცხის შემდეგ სრულებითაც არ აპირებდა ხელი აელო უსასტიკესი მეთოდებისაგან.

სადამის დამარცხებით შეგულიანებულმა ქურთებმა, კოალიციის საბრძოლო ოპერაციების დამთავრების შემდეგ ერაციის ჩრდილოეთით, ხოლო შიიტებმა – ქვეყნის სამხრეთით, აჯანყება წამოიწყეს. მათ შეიარაღებულ გამოსვლებს ხელი შეუწყო პრეზიდენტ ბუშის მონოდებამ ერაციელი ხალხის მიმართ, აელოთ პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედზე. ასეთსავე მონოდებებს ავრცელებდა საუდის არაბეთის ტერიტორიიდან რადიოსადგური „თავისუფალი ერაცი“, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხარდაჭერით ფუნქციონირებდა.

სადამი განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა აჯანყებულებს. მათ წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენეს სწორედ იმ ვერტიკალურიდან, რომლებიც დაზარალებულ მოსახლეობას უნდა დახმარებოდა. ამავე პერიოდში გაირკვა, რომ სადამ ჰუსეინის ელიტური რესპუბლიკური გვარდია კვლავ მწყობრში იყო, კოალიციური ძალების მიერ მიყენებული ზარალი არც თუ ისე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ჯარმა უმოწყალოდ გაანადგურა არა მხოლოდ აჯანყებული შიიტები, არამედ

მშვიდობიანი მოსახლეობა, რელიგიური პირებიც. დაან-  
გრიეს მათი სალოცავები, საცხოვრებლები, სოფლები.  
სულ, 1991 წლის მარტი-სექტემბრის პერიოდში მოკლეს  
300 ათასამდე (!) შიიტი.

ტირანის სადიზმს საზღვარი არ უჩანდა. სადამის  
ბრძანებით წყლის მინოდება შეუწყვიტეს ე. წ. ქურნას  
ჭაობების რეგიონში მცხოვრებ შიიტ მოსახლეობას. ამან  
20 ათასამდე კვ. კილომეტრი აქცია უდაბნოდ, ხოლო  
მოსახლეობა – ლტოლვილებად. დაიღუპა 40 ათასამდე  
ადამიანი. ეს სადამის მიერ განხორციელებული მორიგი  
გენოციდი იყო.

ასეთივე ტრაგიკული ბედი ეწიათ ქურთებს, რომლე-  
ბიც კოალიციური ძალების გამარჯვების შემდეგ თითქ-  
მის მთლიანად აკონტროლებდნენ ქურთისტანს და მის  
მთავარ ქალაქ კირკუკს. სადამის სადამსჯელო ექსპედი-  
ციამ აიძულა 500 ათასი ქურთი მიეტოვებინათ სამშობლო  
და მეზობელ თურქეთში გადასულიყვნენ. მსხვერპლი  
აქაც უდიდესი იყო.

გაერომ მხოლოდ დიდი დაგვიანებით მოახდინა ამ  
სიმხეცეზე რეაგირება. ერაყის რეჟიმს დაუნესეს შიდა  
საზღვრები, რომლის იქით მის ავიაციას არ შეეძლო  
გადაადგილება („არასაფრენი ზონა“).

ამერიკელი დიპლომატი პიტერ გელბრაიტი, რომელიც  
ამ ტრაგიკული მოვლენების „ცხელ კვალზე“ ეწვია ქურ-  
თისტანს, იგონებს: „ყოველ ნაბიჯზე ვანყდებოდით სადამ  
ჰუსეინის „მემკვიდრეობას“. ჩვენ მოვინახულეთ ბალისა-  
ნის ველი, სადაც სადამმა 1987 წელს პირველად გამოიყენა  
ქიმიური იარაღი. მანამდე აქ სიცოცხლე ჩქეფდა, სოფლე-  
ბი კი მოსახლეობით იყო სავსე. 1991 წელს აქ ერთ მოსახ-  
ლესაც ვეღარ შევხვდით. აღმოსავლეთ ქურთისტანში  
ჩვენ მოვინახულეთ ქალაქი დიზა, სადაც ადრე 100 ათასი  
ადამიანი ცხოვრობდა. ამ ქალაქის ნანგრევებში აღარავინ

ჩანდა, ყოველი შენობა დინამიკით იყო აფეთქებული... ასე გამოიყურებოდა ბერლინი 1945 წელს“.

სადამის მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოჩენილი სისასტიკის შედეგებს მომდევნო წლებში გაეროს ეკონომიკური სანქციებიც დაემატა, რომელთა შედეგად სადამის ოჯახსა და გარემოცვას არაფერი დაკლებია, სამაგიეროდ, გაეროს მონაცემებით, 500 ათასამდე (!) ბავშვი შიმშილითა და საკვების უკმარისობით გამოწვეული დაავადებებით გარდაიცვალა.

გაცილებით ნაკლები მასშტაბის, მაგრამ მაინც დრამატული, მოვლენები განვითარდა აგრესორებისაგან განთავისუფლებულ ქუვეითშიც. იმის გამო, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ და მისმა ლიდერმა იასირ არაფატმა მხარი დაუჭირეს სადამ ჰუსეინს, ქუვეითის მთავრობამ ქვეყნიდან გააძევა 450 ათასი პალესტინელი, რომლებიც მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ. ეს იყო ფაქტობრივად ეთნიკური წმენდა და თავისი მასშტაბით პალესტინელების მეორე ყველაზე დიდი ძალადობრივი ადგილმონაცვლეობა.

ასეთი ჰუმანიტარული, ეკოლოგიური და ეკონომიკური კატასტროფა მოუტანა სადამ ჰუსეინის რეჟიმმა საკუთარ ხალხსა და რეგიონის ქვეყნებს.

კოალიციაში შემავალმა ქვეყნებმა სადამის შეჩერებას, საკუთარი ჯარისკაცების სიცოცხლის გარდა, კოლოსალური თანხა – 61 მილიარდი დოლარი – შესწირეს.

უდიდესი მსხვერპლის მიუხედავად, სადამის რეჟიმის გადარჩენამ უზრუნველყო ისტორიულ ძალთა ბალანსის შენარჩუნება რეგიონში. ეს სტრატეგიული ბალანსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა დასავლეთისათვის საგანგაშო ინფორმაციის – ირანის მიერ ბირთვული პროგრამის – განხორციელების ფონზე, აშშ-ისათვის უპირველესი ამოცანა ირანის გავლენის შეკავება იყო.



2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, აშშ-ს 2003 წელს მოუწევს სადამის წინააღმდეგ ახალი ომის დაწყება და მისი დამხობა, რაც ამჯერად მოხდება გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე, საკმაოდ ნაჩქარევად და გაუაზრებლად. ეს გამოიწვევს ახალ ტრაგედიას, მნიშვნელოვნად შეცვლის ძალთა ბალანსს ერაყში და შექმნის სრულებით ახალ ვითარებას რეგიონში.

2012 წელს „ნიუ-იორკ თაიმზი“ მოიშველიებს სუნიტი ერაყელის სიტყვებს: „2003 წლის შემდეგ სუნიტები ისე ვგრძნობთ თავს ერაყში, როგორც თევზი აკვარიუმში, სადაც ზვიგენი ცურავს. ჩვენ არც აკვარიუმის შიგნით შეგვიძლია დარჩენა და არც გარეთ გასვლა. ჩვენი მთავრობა ცდილობს ყველა სუნიტის მოსპობას და მათ ადგილზე ირანის აგენტების მოყვანას ერაყისა და არაბი ხალხის გასანადგურებლად“.

იმავე 2012 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „სტრატეგიული ხედვა“ ზბიგნევ ბჟეზინსკი აღიარებს, რომ 2003 წელს ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების „აუცილებლობა არ იყო და საჭირო იყო მისი თავიდან აცილება“.

ერაყის ტრაგედია დღესაც გრძელდება.

2005 წელს სასამართლომ უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა სადამ ჰუსეინს – ჩამოხრჩობა. ამ განაჩენს მსოფლიოში ბევრი დღემდე ანტიჰუმანურად და არაცივილიზებულად მიიჩნევს.

სადამს სიცოცხლის ბოლო წუთებში საკმაოდ ღირსეულად ეჭირა თავი.

მკითხველმა განსაჯოს, იმსახურებდა თუ არა ასეთ განაჩენს უღირსი და უსასტიკესი სადამ ჰუსეინი.

## გერმანიის გაერთიანება: ძველი ევროპის ახალი სახლი

*„ერთი კაცის ოცნება მხოლოდ ოცნებად რჩება.  
ორი ადამიანის ოცნება კი – უკვე რეალობაა“.*

*ჯონ ლენონი*

უცნაური რამ იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, აღმოსავლეთი ბერლინი 1970-იან წლებში აშკარად წარსულის ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთი მხრივ, გდრ გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე „უფროსი ძმა“ – საბჭოთა კავშირი. ორგანიზებული გერმანელებისა შეგშურდებოდა კიდევ. ყველგან სისუფთავე, შუქნიშანთან მდგომი მოქალაქე ცარიელ ქუჩაშიც არ დაარღვევდა მოძრაობის წესებს – კანონი კანონია...

მაგრამ, ამავე დროს, ჩნდებოდა რალაც ხელოვნურობის, არაბუნებრივობის განცდა; დაახლოებით ისეთი, როდესაც ადამიანს რამდენიმე ზომით პატარა კოსტიუმი ან პერანგი აცვია. ნათელი იყო, აღმოსავლელი გერმანელები საბჭოთა სოციალიზმში ვერ ეტეოდნენ. მართლაც, რატომ უნდა ენარმოებინა გდრ-ს ისეთი სრული გაუგებრობა, როგორიც „ტრაბანტი“ იყო? ეს პლასტიმასის ორცილინდრიანი ავტომანქანა კუსტარულად დამზადებულს ჰგავდა და თან იწვევდა დასავლეთ-გერმანულ „მერსედესთან“ შედარების სურვილს. არადა, „ტრაბანტიცა“ და „მერსედესიც“ გერმანელების გაკეთებული იყო. თანაც, ამ გაჭირვებული „ტრაბანტისთვისაც“ აღმოსავლეთგერმანელებს წლების განმავლობაში უწევდათ რიგში დგომა. ამ თემაზე ასეთ ანეკდოტსაც ჰყვებოდნენ: გდრ-ის მოქალაქე „ტრაბანტს“ ყიდულობს, მას

კი მანქანის წასაყვანად 10 წლის შემდეგ იბარებენ. „დღის პირველ ნახევარში მოვიდეთ თუ მეორეში?“ – ეკითხება გამყიდველს პედანტი გერმანელი და შემდეგ დასძინს – „ეს იმიტომ მაინტერესებს, რომ დილით სანტექნიკოსი მყავს დაბარებული“.

მაშინ, აღმოსავლეთ ბერლინის ცენტრში, უზარმაზარ უნივერსამში, დიდხანს და უშედეგოდ ვეძებე სანუკვარი ჯინსი და „ბიტლზის“ ფირფიტები. სამაგიეროდ, ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების არჩევანი მართლაც სანიმუშო იყო.

მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ აღმოსავლელი გერმანელები საერთოდ არ იმჩნევდნენ ბერლინის კედელს, რომელსაც არც დასაწყისი უჩანდა და არც ბოლო. კედელთან ახლოს ცხოვრება ჩვეულებრივ მიედიანებოდა. თითქოს ეს რკინაბეტონის მონსტრი სულ დასაბამიდან აქ ყოფილიყო და თვითონ ამოსულიყო მიწიდან ყვავილივით.

მხოლოდ 1989 წელს, ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ გავიაზრე, თუ რაოდენ დიდი სიძულვილი ჰქონდათ გერმანელებს ამ კედლის მიმართ, რომელიც არა მარტო გერმანიას აორებდა, არამედ ადამიანებსაც.

1990 წლის პირველ იანვარს ევროპამ ოპტიმისტური განწყობით გაიღვიძა; და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ წელს ადამიანს იმედიანად ყოფნა სჩვევია – XX საუკუნის ბოლო ათწლეული თავისუფლებისა და დემოკრატიის ნიშნით იწყებოდა.

განსაკუთრებული მოლოდინი გერმანელებს ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედელი დაინგრა, აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის საზღვარი ფაქტობრივად მოიშალა. ერთ დროს რკინაბეტონის კედლით გაყოფილმა გერმანელებმა

თავისუფლად დაინწყეს მიმოსვლა როგორც გფრ-ის, ასევე გდრ-ის მიმართულებით.

II მსოფლიო ომის შემდეგ 45 წლის მანძილზე გაყოფილი ერის ოცნება რეალობა ხდებოდა – გერმანია ერთიანდებოდა.

თუმცა ამ ოცნების აღსრულებას ბევრი სირთულის გადალახვა სჭირდებოდა. ბერლინის კედელი და საზღვარი კი მოიშალა, მაგრამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა არავის გაუუქმებია და არც მისი მმართველები გაუჩინარებულან.

გდრ, ისევე როგორც საბჭოთა გავლენის სფეროში მოქცეული მთელი აღმოსავლეთი ევროპა, II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის რეალობა იყო, სსრკ-ის მთავარი სტრატეგიული მონაპოვარი. 1970-1972 წლებში გაფორმებული რამდენიმე ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა გდრ-ის სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო აღიარება. 1973 წელს გდრ გაეროს წევრი გახდა. ეს კრემლის საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატება იყო. ამ სოციალისტური სახელმწიფოსა და მისი „სუვერენიტეტის“ დასაცავად კი კრემლი აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ინარჩუნებდა უძლიერეს საბჭოთა სამხედრო კონტინგენტს.

ეს საბჭოთა არმიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაჯგუფება გახლდათ, რომელიც 1980-იან წლებში შედგებოდა 11 სატანკო და 8 მოტომსროლელთა დივიზიისგან. მათ შეიარაღებაში იყო 7700 ტანკი, ათასამდე თვითმფრინავი, 15 სამხედრო პოლიგონი, 24 აეროდრომი. სატანკო არმიები იდგა ყველა დიდ ქალაქთან, მათ შორის დრეზდენტან, ფიურსტენბერგთან, მაგდებურგთან, ვიუნსდორფთან, ნორასთან. ოფიცერთა და ჯარისკაცთა პირადი შემადგენლობა 500 ათასს (!) აღემატებოდა.

საბჭოთა სამხედროების ამ შთამბეჭდავ რაოდენო-

ბაზე გერმანელები მწარედ ხუმრობდნენ. მაგალითად, ამბობდნენ, რომ სოციოლოგიური კვლევის შედეგად კითხვაზე: „ბევრი რუსია გდრ-ში?“ პასუხები ასე გადანანილდა: 50% – „ja“, 50% – „HET!“. საბჭოთა სტრატეგები ამ სამხედრო ძალას მოზიდულ ისარს ადარებდნენ, რომლის შეჩერებას ლამანშის სრუტეც კი ვერ შეძლებდა.

გერმანელები კი ოცნებობდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს აღსრულდებოდა ყველაზე მოკლე გერმანული ზღაპარი, შემდეგი ტექსტით – „ნავიდნენ!“

მართალია, ბერლინის კედლის ნგრევის დროს მოსკოვმა ჯარი და ძალა არ გამოიყენა, მაგრამ აღმოსავლეთ გერმანიაზე უარის თქმას კრემლი ჯერ კიდევ არ აპირებდა. გარდა სტრატეგიული ფასეულობისა, გერმანიის საკითხს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის. გერმანელ ფაშისტებთან ომს ემსხვერპლა 20 მილიონი\* საბჭოთა ადამიანი, მათ შორის 250 ათასამდე ქართველი. ომის დროს ფაშისტებს ოკუპირებული ჰქონდათ სოფელი, სადაც სსრკ-ის მომავალი ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი იზრდებოდა.\*\* ამიტომ, „პერესტროიკის“ მონინალმდეგენი მოსკოვში გააფთრებით უპირისპირდებოდნენ ნებისმიერ ნაბიჯს, რაც სსრკ-ის პოზიციების შესუსტებას მოასწავებდა მსოფლიოში და, უპირველეს ყოვლისა, ევროპაში. „რისთვის ვიბრძოლეთ? ვისთვის დაიღვარა სამამულო ომში მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცის სისხლი?“ – კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე იყო.

\* ეს ოფიციალური ციფრია. არაოფიციალური მონაცემებით, მსხვერპლი 27 მილიონს აღემატებოდა.

\*\* სხვათა შორის, ფაშისტების მიერ ლენინგრადის ბლოკადის დროს გარდაიცვალა ვ. პუტინის უფროსი ძმა.

კომპარტიის XXVIII ყრილობის მზადების პერიოდში 1990 წელს რეტროგრადულმა ძალებმა ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ეგორ ლიგაჩოვის მეთაურობით, იდეოლოგიური შეტევა განახორციელეს გორბაჩოვისა და მისი მომხრეების, უპირატესად შევარდნაძისა და იაკოვ-ლევის წინააღმდეგ. ლიგაჩოვს პოზიციებს უმაგრებდნენ თავდაცვის მინისტრი იაზოვი და სუკ-ის თავმჯდომარე კრიუჩკოვი. კერძოდ, შევარდნაძეს ადანაშაულებდნენ შეიარაღების სფეროში დასავლეთის მიმართ ცალმხრივ დათმობებსა და კომპრომისებში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის „დაკარგვაში“.

საერთოდ, საბჭოთა მმართველებს ახასიათებდათ უცნაური თვისება, როდესაც სხვის ტერიტორიებზე საკუთარი გავლენის შესუსტებას ამ მიწების „დაკარგვად“ მიიჩნევდნენ. ასეთი მენტალიტეტის ნიმუშებს მეც არაერთხელ შევხვედრივარ: „ჩვენ ვერ დავკარგავთ პოლონეთს,“ ან რუმინეთს, ან უნგრეთს. თითქოს ეს ქვეყნები მოსკოვის ნაპოვნია და აღმოჩენილი ყოფილიყო.

წინააღმდეგობის მიუხედავად, გორბაჩოვის გარემოცვაში ნათლად აცნობიერებდნენ, რომ „პერესტროიკა“ მხოლოდ საბჭოთა კავშირის გარდაქმნას არ ნიშნავდა. ძირეული ცვლილებები გარდუვალი იყო ევროპის კონტინენტზე, კონკრეტულად კი გერმანიის საკითხთან დაკავშირებით.

ეს პრობლემა კუნძულ მალტაზე 1989 წლის 2-3 დეკემბერს გორბაჩოვ-ბუშის მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა. საბჭოთა ლიდერი აჩქარების წინააღმდეგი იყო, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტმა დაინახა, რომ მოსკოვისათვის ეს თემა კატეგორიულად მიუღებელი არ ჩანდა. რამდენიმე კვირაში ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას შევარდნაძემ მიანიშნა, რომ გერმანიის მომავალი განხილვას საჭიროებდა.

იმავდროულად საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა მაქსიმალურად შეენარჩუნებინა ინიციატივა და გავლენა საერთაშორისო პროცესებზე. გორბაჩოვი დასავლელ ლიდერებს მიანიშნებდა, რომ გერმანიის საკითხის მოგვარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ევროპული ინსტიტუტების, ანუ ევროპული უსაფრთხოების ერთიან კონტექსტში და არა რომელიმე სამხედრო ბლოკის ჩარჩოებში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გერმანიის გაერთიანების პროცესი მოსკოვისათვის მხოლოდ მაშინ იქნებოდა მისაღები, თუკი ერთიანი გერმანია დატოვებდა ნატოს რიგებს და გახდებოდა ნეიტრალური სახელმწიფო. ასეთი პერსპექტივა მიუღებელი ჩანდა როგორც დასავლეთ ევროპელთათვის, ასევე ამერიკელებისთვისაც. ისინი არწმუნებდნენ გორბაჩოვს, რომ ერთიანი გერმანია აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოქცეული ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ჩარჩოებში. მათი აზრით, არანაირი გარანტია არ არსებობდა იმისა, რომ ნეიტრალური და ყველასგან დამოუკიდებელი გერმანია ერთ მშვენიერ დღეს ისევ რევანშისტულ გზას არ დაადგებოდა და ვინმე კვლავ არ შემოსძახებდა ომახიანად: „Heil!“

საერთოდ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გერმანიის გაერთიანება არავის არ სურდა, გერმანელების გარდა. თუმცა, ორივე გერმანიის მოსახლეობისაგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა გდრ-ის კომუნისტ ხელმძღვანელობას, რომელიც გაერთიანების შემთხვევაში ყველაფერს კარგავდა. გორბაჩოვი ამკარად არ სწყალობდა აღმოსავლეთ გერმანიის ორთოდოქს ლიდერ ერიჰ ჰონეკერს, ვინრო წრეში რამდენჯერმე უკმეხად მოიხსენია, რაც მალევე გახდა ცნობილი ჟურნალისტებისთვის.

გერმანიის გაერთიანების მიმართ განსაკუთრებით უარყოფითად იყო განწყობილი დიდი ბრიტანეთის პრე-

მიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი. ითვალისწინებდა რა ისტორიულ გამოცდილებას, გერმანელთა ეროვნულ თავისებურებებს, ასევე ამ ქვეყნის დიდ ეკონომიკურ და პოტენციურ სამხედრო ძალას, ტეტჩერი შიშობდა, რომ გაერთიანებული გერმანია ევროპისათვის დესტაბილიზაციის ფაქტორი უფრო იქნებოდა, ვიდრე მშვიდობის გარანტი. ტეტჩერმა პირდაპირ განაცხადა 1989 წელს სტრასბურგში გამართულ ევროგაერთიანების სამიტზე: „ჩვენ ამ საუკუნეში გერმანია ორჯერ დავამარცხეთ. ახლა ისინი უკან ბრუნდებიან!“ ამ განცხადებამ სკანდალი და გფრ-ის კანცლერის, ჰელმუტ კოლის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

1990 წლის 26 მარტს ჟურნალ „შპიგელში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ტეტჩერმა განაცხადა, რომ პირად საუბრებში კანცლერი კოლი არ აღიარებდა გერმანიის ოდერ-ნოისეს საზღვარს პოლონეთთან, რომელიც II მსოფლიო ომის შემდეგ დაწესდა. ინტერვიუს კოლის მორიგი რისხვა მოჰყვა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ტეტჩერი ამ თემაზე გორბაჩოვსაც ფრიად გულახდილად ესაუბრებოდა: „ჩვენ არ გვჭირდება ერთიანი გერმანია!“ „რკინის ლედის“ იმდენად უმტყუნა ნერვებმა, რომ გორბაჩოვისთვის აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა ჯარის მაქსიმალური დროით შენარჩუნებაც კი შეუთავაზებია. ტეტჩერი ფიქრობდა, რომ გერმანიის გაერთიანების პროცესი წლების მანძილზე უნდა გაგრძელებულიყო.

„რკინის ლედი“ ცდილობდა თავისი ხედვის სისწორეში დაერწმუნებინა საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი. გაირკვა, რომ მიტერანს ბრიტანელი კოლეგის შეგონებები სრულებითაც არ სჭირდებოდა. „ერთიანი გერმანია ახლა შეიძლება უფრო საშიში იყოს, ვიდრე ჰიტლერის დროს“ – ტეტჩერის პესიმიზმს ასეთი აპო-



კალიპსური შეფასებით გამოეხმაურა მიტერანი 1990 წლის 20 იანვარს. მისი აზრით, გაერთიანებულ გერმანიაში, რალაც ეტაპზე, ხელისუფლებაში კვლავ მოვიდოდნენ „ცუდი გერმანელები“, რომლებიც შეეცდებოდნენ დაებრუნებინათ II მსოფლიო ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები, აღედგინათ გავლენა მეზობლებსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. ამასთანავე, მიტერანი ხედავდა, რომ გერმანიის გაერთიანება უკვე გარდაუვალი იყო; ამიტომ ცდილობდა მაქსიმალურად დაეცვა საფრანგეთის ინტერესები. მისი აზრით, ევროგაერთიანებას\* და ნატოში ერთიანი გერმანიის წევრობა გარკვეულად დაიცავდა საფრანგეთსა და ევროპას შესაძლო უსიამოვნო სიურპრიზებისაგან.

დაახლოებით ასევე იყვნენ განწყობილნი გერმანიის გაერთიანების მიმართ ევროპის სხვა ლიდერებიც. მაგალითად, იტალიის პრემიერი ჯულიო ანდრეოტი პანგერმანიზმის რეანიმაციის საფრთხეს წინასწარმეტყველებდა, ხოლო ნიდერლანდების პრემიერი რუდ ლუბერსი ამტკიცებდა, რომ ამ ორი სახელმწიფოს გაერთიანება 1995 წლამდე დაუშვებელი იყო.

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც გერმანია გაერთიანდა, ფრანგებსა და ბრიტანელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რათა მოეპოვებინათ გერმანელების სიმპათიები და დაერწმუნებინათ ისინი, რომ ტეტჩერი და მიტერანი სულაც არ იყვნენ ერთიანი გერმანიის ოპონენტები. მომდევნო წლებში დიდი ბრიტანეთის „ფორინ ოფისმა“ ვადაზე გაცილებით ადრე მოხსნა გრიფი „საიდუმლო“ დიპლომატიურ მასალებზე,\*\* რომლებიც ადასტურებენ, რომ ბრიტანელი დიპლომატები იმთავითვე პოზიტიურად აღიქვამდნენ გერმანელების მისწრაფებას გაერთიანები-

\* მაშინ ევროკავშირს ევროგაერთიანება ეწოდებოდა.

\*\* ჩვეულებრივ ამას 30 წელი დასჭირდებოდა.

სკენ. დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ ნეგატიურად განწყობილი მხოლოდ პრემიერი ტეტჩერი იყო.

მომდევნო წლებში ტეტჩერისა და მიტერანის ანტიგერმანულ განცდებზე ხუმრობდნენ კიდეც. დამამახსოვრდა მომავალი 2000 წლის ასეთი იუმორისტული პროგნოზი: „მარგარეტ, თქვენ აშკარად აზვიადებდით გერმანული რევანშიზმის საფრთხეს და იგნორირებას უკეთებდით ჩინეთის ექსპანსიონიზმს“, – ეუბნება ნახატზე მიტერანი პეკინის რიკეში მასთან ერთად ჩაბმულ ტეტჩერს.

ეს ხუმრობა მართლაც ზუსტი „მორტყმა“ იყო, რადგან სანამ ევროპელები ერთმანეთში საქმეებს არჩევდნენ, ჩინეთი მსოფლიოს ბაზრებს იპყრობდა; ოღონდ ეს სხვა თემაა და ამაზე მოგვიანებით გვექნება საუბარი.

ბერლინის კედლის დაცემის 20 წლისთავზე კი პარიზში მოეწყო პომპეზური პრეზენტაცია ფრედერიკ ზოსის წიგნისა „მიტერანი, „ცივი ომის“ დასასრული და გერმანიის გაერთიანება“. ამ წიგნის პათოსი ასეთია: ფრანსუა მიტერანი სრულებითაც არ იყო გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგი; პირიქით, იგი შინაგანად მუდამ ამაზე ფიქრობდა და ზრუნავდა კიდეც.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად ირწმუნეს გერმანელებმა ინგლისელებისა და ფრანგების დაგვიანებული „ალიარებები“. ფაქტია, რომ ევროპელები ამ უსიამოვნო ეპიზოდებზე დღეს თითქმის აღარ საუბრობენ. გერმანელებმა ალბათ ფრანგი რევოლუციონერის, მირაბოს სენტენციაც დაივიწყეს – „პრუსიელების მთავარი ეროვნული ინდუსტრია ომია“.

საერთოდ, თანამედროვე ევროპელებს ეხერხებათ ისტორიული გულმავიწყობა. ეს, პრინციპში, ფრიად დადებითი თვისებაა. ასე რომ არ იყოს და ევროპელები წამდაუნუმ ახსენებდნენ ერთმანეთს ცოდვებს, მშვიდობა ევროპაში ვერასდროს დაისადგურებდა.

იქნებ ჩვენც, კავკასიაში, დროულად გვესწავლა ევროპელებისაგან კონსტრუქციული გულმაწინყოფა. დარწმუნებული ვარ, ყველას ნაგვადგებოდა.

დავუბრუნდეთ ისევ გერმანიის გაერთიანების ისტორიას. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ამერიკელები იმთავითვე არ იზიარებდნენ ევროპელების პესიმიზმს გერმანელების მიმართ. ვაშინგტონის ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ 1989 წლის ბოლოს დაადასტურა ერთიანი გერმანიის მტკიცე მხარდაჭერა. ამ მხარდაჭერის პირობა ის იყო, რომ გერმანია აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნატოს წევრი. ამ მიდგომას დაეთანხმა კანცლერი კოლი, რომელიც აცნობიერებდა, რომ გერმანიის ნეიტრალიტეტი გამოიწვევდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაშლას, შემდგომ, შესაძლოა, ამერიკელების სტრატეგიულ გასვლას ევროპიდან და საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო კავშირის ჩამოყალიბებას. ეს კი, საბოლოოდ, ნიშნავდა ევროპის მიბრუნებას XX საუკუნის დასაწყისისაკენ.

რაც შეეხება კანცლერ კოლის დამოკიდებულებას სსრკ-ის მიმართ, როგორც მომდევნო წლებში გახდა ცნობილი, გერმანელები მზად იყვნენ გადაეხადათ მოსკოვისათვის ნებისმიერი საფასური გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ. თუნდაც 100 მილიარდი გერმანული მარკა! არადა, გერმანელების გასაოცრად, კრემლი ნელ-ნელა თვითონ „მწიფდებოდა“ ერთიანი გერმანიის საკითხთან დაკავშირებით.

1990 წლის თებერვალში გორბაჩოვმა განაცხადა, რომ გერმანელებს თვითონ უნდა გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი. ამ განცხადებამ საგონებელში ჩააგდო ყველა: გერმანელები, მათი მეზობლები და ამერიკელები. როგორც ჩანს, ამ დროისათვის კრემლშიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ერთიან, მეზობლებზე უფრო ძლიერ

და ყველასგან დამოუკიდებელ გერმანიას ისევ ნატოს „მარნუხებში“ მოქცეული გერმანია სჯობდა. მოსკოვის პოზიცია ამ საკითხის მიმართ სავარაუდოდ გორბაჩოვის მომხრეთა ვინრო წრეში „იხარშებოდა“. როგორც შემდეგ მოიგონებს ცენტრალური კომიტეტის მაღალჩინოსანი – სსრკ-ის ყოფილი ელჩი ვაშინგტონში ანატოლი დობრინინი, „დაუჯერებელია, მაგრამ გერმანიის გაერთიანების საკითხი პოლიტიკურად არასდროს განხილულა“. ალბათ, გორბაჩოვს ეგონა, რომ თუ ეს თემა პოლიტიკურად განხილვის საგანი გახდებოდა, გონივრულ გადანყვებილებას ვერასდროს ვერ მიიღებდნენ.

გაერთიანების პროცესისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი დიპლომატიური მექანიზმის შექმნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა II მსოფლიო ომში გამარჯვებული „დიდი ოთხეული“ (აშშ, სსრკ, ინგლისი, საფრანგეთი), ასევე, ბუნებრივია, გფრ და გდრ. ამგვარად, ამ მექანიზმს თავიდან „4+2“ ეწოდა, რასაც ჰელმუტ კოლის კრიტიკა მოჰყვა. კანცლერისათვის ამ „აღგორითში“ ორი გერმანული სახელმწიფოს მეორეხარისხოვანი მოხსენიება ისე გაისმოდა, თითქოს გერმანელების ბედს სხვა ქვეყნები აგვარებდნენ. ამიტომ, საბოლოოდ ყველანი შეჯერდნენ ფორმულაზე „2+4“.

აღნიშნული ფორმატის ამოქმედებისა და კონსულტაციების დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ გორბაჩოვი და შევარდნაძე ძლიერ ზენოლას განიცდიდნენ კონსერვატორთა მხრიდან. საბჭოთა დიპლომატები ხან აცხადებდნენ, რომ ნატოში გაერთიანებული გერმანიის წევრობა მიუღებელი იყო, ხან კი იმას ამტკიცებდნენ, რომ ალიანსში გერმანიის დარჩენის შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა თვით ნატოს ძირეული ტრანსფორმაცია. მოსკოვი მოლაპარაკებაზე ასევე ითხოვდა, რომ გაერთიანებული გერმანიის შეიარაღებული ძალები-

სათვის (ბუნდესვერი) დაენესებინათ საკმაოდ მკაცრი ლიმიტი.

მოსკოვის მერყეობას ბონსა და ვაშინგტონში ისე აღიქვამდნენ, რომ მოსკოვი გერმანიის გაერთიანების საფასურად მეტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას ითხოვდა „პერესტროიკისათვის“; როგორც აშშ-ის ცენტრალური სადაზღვევო სამმართველოს ყოფილი შეფი, შემდგომ კი თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი იგონებს, „ჩვენ ორი ხერხით ვცდილობდით საბჭოელების მოთაფვლას გერმანიის საკითხთან დაკავშირებით: პირველი – ეს გახლდათ გერმანელების მზადყოფნა, ქვეყნის გაერთიანების სანაცვლოდ გადაეხადათ დიდი თანხა მოსკოვისათვის, რაც მას უაღრესად წაადგებოდა შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში. საბჭოელებმა კრედიტებისათვის ჩვენც მოგვმართეს, მაგრამ ჩვენ არც დადებით პასუხს ვაძლევდით და არც უარყოფითს, რათა მოსკოვს გადაედგა დამატებითი ნაბიჯები. მეორე – ჩვენ ვცდილობდით რამდენიმე წინადადების შემუშავებას ნატოში გაერთიანებული გერმანიის წევრობასთან დაკავშირებით, რომლებიც მისაღები იქნებოდა გორბაჩოვისთვის...“.

პრინციპული შეთანხმება ნატოში გაერთიანებული გერმანიის წევრობის შესახებ მიღწეულ იქნა გორბაჩოვ-ბუშის შეხვედრაზე თეთრ სახლში 1990 წლის მაისის ბოლოს.

გერმანიისა და, საერთოდ, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თაობაზე გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა 1990 წლის 2-13 ივლისის სკკპ XXVIII ყრილობაზე. კონსერვატორებმა გორბაჩოვ-შევარდნაძე დაადანაშაულეს სოციალისტური ბანაკისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლაში. კრემლის წამყვანმა გერმანისტმა, ყოფილმა საბჭოთა ელჩმა ფფრ-ში ფალინმა „ქართული თამაშებიც“ კი უწოდა შევარდნაძის პოლიტიკას.

ამ კრიტიკის საპასუხოდ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაუბრა იმ გარანტიებზე, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო აშშ-ის ადმინისტრაციისაგან გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით. ეს გარანტიები გულისხმობდა ბუნდესვერისთვის შეზღუდვების დაწესებას, გერმანიის მხრიდან ყოველგვარი ტერიტორიული პრეტენზიის უარყოფას, იმ პოზიციის დადატურებას, რომ გერმანია კვლავაც უარს ამბობდა ბირთვულ იარაღზე. ერთ-ერთი მთავარი პუნქტი ის გახლდათ, რომ აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე არ განლაგდებოდა ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურა.

შევარდნაძის არგუმენტებმა ყრილობის დელეგატთა უმრავლესობაზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მათ უკვე სამუდამოდ ირწმუნეს, რომ დასავლეთმა საბჭოთა კავშირი „გადააგდო“.

სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა საბჭოთა ნომენკლატურისა და სამხედრო ხელმძღვანელობის მეტად უარყოფითი დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ. მაშინვე გაჩნდა მითები და შეთქმულების თეორიები იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიჯიბეს გორბაჩოვმა და შევარდნაძემ მილიონები გერმანიის გაერთიანების საფასურად. შევარდნაძის მიმართ ეს აუგი დამოკიდებულება მომდევნო წლებში ძვირად დაუჯდა საქართველოს. ფაქტია, რომ რუსეთში შევარდნაძის უარყოფითი იმიჯის ჩამოყალიბებაში მისმა ქართულმა წარმომავლობამაც ითამაშა გარკვეული როლი. სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ის, რომ გერმანიის გაერთიანებისათვის გორბაჩოვს ნობელის პრემია მიენიჭა, ხოლო მისი საგარეო საქმეთა მინისტრი რუსმა „დერჟავიკებმა“ მოღალატედ მონათლეს.

საერთოდ, როდესაც დიდი ქვეყნის ისტორიაში მცირე ერის წარმომადგენლის მონაწილეობაზე ვლაპარაკობთ,

ალბათ, მხოლოდ რუსეთი არ უნდა გაგვახსენდეს. მაგალითად, თავისი დიდების პიკს საფრანგეთმა კორსიკელის მეშვეობით მიაღწია, მესამე რეიხი კი ავსტრიელმა შექმნა. რუსეთის ზეობა-დაღმასვლაში ქართველთა ხელი მართლაც ზედმეტი დოზით ურევია, ერთმა ააშენა საბჭოთა იმპერია, მეორის აქტიური მონაწილეობით კი ეს იმპერია დაინგრა.

მივყვეთ გერმანიის გაერთიანების ისტორიას. პროცესიდან „გადაგდებულად“ მალე ამერიკელებმაც იგრძნეს თავი, რადგან მოსკოვმა აშშ-სა და „2+4“ ფორმატის სხვა წევრთა გარეშე დაიწყო გერმანელებთან პირდაპირი მოლაპარაკების წარმოება. კომპარტიის სკანდალური ყრილობის შემდეგ, 1990 წლის 14 ივლისს, საბჭოთა ლიდერმა მშობლიურ სტავროპოლში მიიწვია კანცლერი კოლი. სწორედ ამ შეხვედრაზე მიეცა საბოლოო მწვანე შუქი გერმანიის გაერთიანებას, აქვე მიიღო კოლმა თანხმობა, რომ გაერთიანებული გერმანია დარჩებოდა ნატოს წევრ-სახელმწიფოდ, რის საპასუხოდაც საბჭოთა კავშირს ეძლეოდა 3-4 წელი აღმოსავლეთ გერმანიიდან ჯარის გასაყვანად, ხოლო ამ პროცესის დასაფინანსებლად გერმანელები გამოყოფდნენ 15 მილიარდ დოლარს და კიდევ 5 მილიარდს სესხის სახით. ამ მიზნისთვის გამოყოფილი საერთო თანხა ახლოსაც კი ვერ მივიდოდა იმ ციფრთან, რომლის გადახდისთვის შინაგანად მზად იყვნენ გერმანელები.

გორბაჩოვის ოპონენტები საბჭოთა ხელმძღვანელის კომპრომისულ მიდგომას გერმანიის საკითხის მიმართ პიროვნული სისუსტითა და უპრინციპობით ხსნიდნენ. რეალურად კი, საბჭოთა ეკონომიკური ვითარების მკვეთრად გაუარესების გამო, მოსკოვს სჭირდებოდა დასავლეთის კრედიტები და ამ მხრივ გერმანიის დახმარება. „პერესტროიკის“ პოლიტიკური წარმატებისათვის გორ-

ბაჩოვს დასავლეთის პოლიტიკური მხარდაჭერაც სჭირდებოდა, რადგან 1990 წლისათვის საბჭოთა კავშირის დაშლა უკვე რეალურ პერსპექტივად იქცა.

პრამატულმა გერმანელებმა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფაქტობრივი გაერთიანება ერთიანი ვალუტის შემოღებით დაიწყეს. 1990 წლის 18 მაისს ხელი მოეწერა შეთანხმებას გფრ-სა და გდრ-ის მიერ ერთიანი სავალუტო, ეკონომიკური და სოციალური კავშირის შექმნის შესახებ\*. იმავე წლის პირველ ივლისს კი დასავლეთგერმანული მარკა გდრ-ის ოფიციალურ ვალუტად გამოცხადდა. ამგვარად აღმოსავლეთ გერმანიამ თავისი ფინანსური სუვერენიტეტი გფრ-ს გადაულოცა, რომელმაც ითავა გდრ-ის ბიუჯეტისა და სოციალური სფეროს სუბსიდირება.

აღმოსავლელმა გერმანელებმა დაიწყეს საკუთარი დანაზოგის პრესტიჟულ დასავლეთგერმანულ მარკებზე გადაცვლა. საყურადღებოა, რომ ხელფასები, სტიპენდიები, პენსიები და სოციალური დახმარებები გაიცემოდა კურსით 1:1, ხოლო სხვა შემოსავლები – კურსით 2:1. გდრ-ში დიდი ოპტიმიზმი და სადღესასწაულო განწყობა სუფევდა ისევე, როგორც დასავლეთ გერმანიაში; თუმცა, შიგადაშიგ იქ გაისმა ასეთი ხმებიც: აღმოსავლელ გერმანელები მთლიანად ჩვენ უნდა ვარჩინოთ, თუ მათაც შეუძლიათ მუშაობა?

რაც შეეხება ამ პროცესის პოლიტიკურ მხარეს, მის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა 1990 წლის 18 მარტს გდრ-ში ჩატარებული თავისუფალი არჩევნები, რომლებშიც გამარჯვებული გამოვიდა „ალიანსი გერ-

---

\* 1990 წლის მაისში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში (ხელმძღვანელი ვიცეპრემიერი ვ. ლორთქიფანიძე) დავესწარი გფრ-ის ბუნდესტაგის სხდომას, რომელზეც ქვეყნის გაერთიანების საკითხს განიხილავდნენ. თავშეკავებული გერმანელების გამოსვლებში აშკარად იგრძნობოდა ემოციურობა და ოსტორიული მომენტის განცდა.



მანიისათვის“. ეს პოლიტიკური ძალა ორიენტირებული იყო გფრ-ის მმართველ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირზე კანცლერ ჰელმუტ კოლის მეთაურობით. მოდერნიზებულმა გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ,\* რომელიც გდრ-ს თითქმის 40 წლის განმავლობაში მართავდა, ამომრჩეველთა მხოლოდ 16,33% მიიღო.

იმავე წლის 31 აგვისტოს ბერლინის „უნტერ დენ ლინდენის“ სასახლეში ხელი მოეწერა ორმხრივ „ხელშეკრულებას გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ“. 12 სექტემბერს კი მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „2+4“. ეს საერთაშორისო შეთანხმება ადასტურებდა, რომ გაერთიანებული გერმანია იქნდა სრულ სუვერენიტეტს გფრ-ის, გდრ-ისა და ერთიანი ბერლინის ფარგლებში. გერმანია უარს ამბობდა ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზე, ბირთვულ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღზე. ერთიან გერმანიას ჰქონდა უფლება სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში განეწიანებინა, რაც მის ნატოს წევრობაზე მიუთითებდა.

ფაქტობრივად, „2+4“ ხელშეკრულება იყო სამშვიდობო შეთანხმება II მსოფლიო ომის დროს დაპირისპირებულ მხარეთა შორის. 12 სექტემბერს წერტილი დაესვა ომის-შემდგომი გერმანიის 45-წლიან დრამატულ ისტორიას, რომლის არითმიული გულისცემა უარყოფითად მოქმედებდა მთელი ევროპის სხეულზე.

საინტერესოა გერმანიის გაერთიანების სამართლებრივი მხარეც. გაერთიანების აქტი განხორციელდა გფრ-ის 1949 წლის კონსტიტუციის 23-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც გერმანიის ისტორიულ მხარეებს უტოვებდა შესაძლებლობას, შესულიყვნენ ერთიანი სახელმწიფოს

---

\* 1989 წლის დეკემბერში მას დემოკრატიული სოციალიზმის პარტია დაერქვა.

შემადგენლობაში. კონსტიტუციის ამ მუხლის გავრცელებაზე გდრ-ის შემადგენლობაში მყოფ 5 ისტორიულ ოლქზე (Lander) სამართლებრივი საფუძველი მისცა გფრ-ის პარლამენტს, მხარი დაეჭირა აღნიშნული ოლქების შემოერთებისათვის.

ამგვარად, როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი თვალსაზრისით, მოხდა არა ორი სახელმწიფოს გაერთიანება\*, არამედ გფრ-ის შემადგენლობაში გდრ-ის ინკორპორაცია 5 ისტორიული ოლქის სახით. ესენია:

- ბრანდერბურგი;
- მეკლენბურგ – ვორპომერნი;
- საქსონია;
- საქსონია-ანჰალტი;
- თიურინგია.

გაერთიანებულ ბერლინთან ერთად ოლქების საერთო რაოდენობამ განახლებულ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 16 ერთეული შეადგინა.

1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა.

ქვეყნის გამთლიანების შემდეგ საჭირო გახდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. იმავე 23-ე მუხლში გაკეთდა ჩანანერი იმის თაობაზე, რომ გერმანიის გაერთიანების პროცესი დასრულდა. ამ ჩანანერის მთავარი ამოცანა იყო მეზობლების, კერძოდ, პოლონეთის დარწმუნება, რომ გერმანელებს არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნდათ მათ მიმართ.

ამგვარად, ტერმინი „გაერთიანება“ ზუსტად ვერ ასახავს რეალობას. ეს იყო არა ორი სახელმწიფო წარმონაქმნის შერწყმა, არამედ ერთის ინკორპორაცია მეორის შემადგენლობაში. ამიტომ, პოლიტიკურად მგრძობიარე

---

\* ასეთი სამართლებრივი გზა ახალი კონსტიტუციის შექმნას მოითხოვდა.

ნიუანსების გათვალისწინებით, გერმანელები სიტყვა „გაერთიანებას“ ამჯობინებენ ტერმინს „die Wende“, რაც ერთობას, ერთიანობას ნიშნავს. გერმანიის ეროვნული დღესასწაული – 3 ოქტომბერი – სწორედ „გერმანული ერთობის დღეა“.

გერმანიის გაერთიანების მე-20 წლისთავზე ცნობილი გახდა, თუ რა ძალისხმევა და რესურსები დასჭირდა ქვეყნის გამთლიანებას. აღმოსავლელი გერმანელების ცხოვრების დონის ამაღლება და, საერთოდ, „ახალი მიწების“ მოდერნიზაცია გერმანელებისგან მართლაც კოლოსალურ მონდომებას მოითხოვდა. საჭირო გახდა სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკული და კომუნალური ინფრასტრუქტურის თითქმის მთლიანად განახლება. გდრ-ის სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილის პრივატიზაციისათვის შეიქმნა სპეციალური სამეთვალყურეო საბჭო, რომელმაც 1994 წლისათვის მოახდინა 15 ათასამდე საწარმოს პრივატიზება. 3,6 ათასი საწარმო საერთოდ გაუქმდა და დაიხურა.

საბოლოოდ, 20 წლის მანძილზე გერმანიის გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა ასტრონომიული თანხა – 1,3 ტრილიონი ევრო. ხარჯების დაფარვა ნაწილობრივ მოხდა სპეციალური „სოლიდარობის გადასახადის“ მეშვეობით, რომლის შემოღებასაც გერმანელები გაგებით შეხვდნენ.

გაერთიანების 20 წლისთავზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ყოფილი გდრ-ის თითოეულ მოსახლეზე პრაქტიკულად გაორმაგდა. დასავლეთ გერმანიაში ამავე მაჩვენებლის ზრდამ კი 12% შეადგინა. ეს ციფრები კიდევ ერთი ნათელი მაგალითია საზოგადოებაში სოლიდარობის მაღალი დონისა. ამავე პერიოდში აღმოსავლეთ გერმანელების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 6 წლით იმატა. აღარაფერს ვამბობთ

ზოგადად მათი ცხოვრების ხარისხზე, დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე და ა. შ.

1991 წლიდან გერმანიის მოქალაქეებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ გდრ-ის საიდუმლო პოლიციის „შტაზის“ მასალებს. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახურის არქივებში ბევრი ისეთი რამ აღმოაჩინეს, რაც ათასობით დეტექტიურ რომანს „დაამშვენებდა“. 1957 წლიდან 1989 წლამდე (32 წელი!) „შტაზის“ უცვლელად ხელმძღვანელობდა ლეგენდარული ერიჰ მილკე, ხოლო ამ ორგანიზაციის სადაზვერვო სამსახურს – არანაკლებ ლეგენდარული მარკუს ვოლფი (29 წელი!). „შტაზი“ აწარმოებდა არა მხოლოდ ჯაშუშობას, არამედ მოქალაქეთა თვალთვალს, პოლიტიკურ ტერორს, დივერსიულ საქმიანობას, იარაღით ვაჭრობას. არქივებში ინახებოდა გდრ-ის თითქმის ყველა მოქალაქის პირადი დოსიე. 1989 წლისათვის „შტაზის“ 100 ათასამდე თანამშრომელი ჰყავდა, უშტატო ინფორმატორთა რაოდენობა კი ნახევარ მილიონზე მეტი იყო. „შტაზის“ საქმიანობას ხშირად მისი უფროსი ძმა – KГБ-ც კი შურით შესცქეროდა. ამაოდ არ დამაშვრალან ფაშისტური „გესტაპოს“ ამაგდარები...

მილკეს უწყების მეშვეობით გდრ ენეოდა ფრიად ორიგინალურ ბიზნესს – დასავლეთ გერმანიას შესაბამისი გამოსასყიდით გადასცემდა პოლიტიკურ პატიმრებს, დისიდენტებს და იმათი ოჯახის წევრებს. მოკლედ, ხდებოდა ელემენტარულად ადამიანებით ვაჭრობა. ამგვარად, 1963 წლიდან 1989 წლამდე გფრ-მ კომუნისტური გერმანიისაგან შეიძინა 30 ათასამდე ადამიანი. თითოეულ მათგანში ჰონეკერის მთავრობას უხდიდნენ საშუალოდ 100 ათას დასავლეთგერმანულ მარკას, რამაც მთლიანად 3 მილიარდი მარკა შეადგინა; მშვენიერი თანხაა მშრომელთა სამოთხის ასაშენებლად!

ორ გერმანიას შორის ადამიანებით ვაჭრობის შუამავალი იყო ვინმე იურგენ შტანგე დასავლეთ ბერლინიდან. როდესაც გდრ-ს საკვები პროდუქტი შემოაკლდა, ამ პიროვნების მეშვეობით დაიწყო პრიმიტიული ბარტერული ოპერაციების განხორციელება. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს გდრ-ის 800 მოქალაქე გაიცვალა კარაქის, ყავის, შხამქიმიკატების საკმაოდ დიდ პარტიებზე. ნეტავ რას იტყოდნენ გერმანელი ხალხის მართლაც დიდი შვილები მარქსი და ენგელსი თავიანთი სამშობლოს ასეთ კომუნისტურ მომავალზე?

ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში ოფიციალურად მოქმედებდნენ სუკის რეზიდენტურები. ისინი ადგილობრივ სპეცსამსახურებთან ერთად მუშაობდნენ დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ. ცალკეულ სოციალისტურ ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ დელიკატურ ცნობებს სუკის აგენტებს აწვდიდნენ ადგილობრივი აგენტები; თუმცა მილკეს უწყება ამ მხრივაც გამონაკლისი იყო. მისი თანამშრომლები ზევიდან უყურებდნენ საბჭოთა აგენტებს და მათ მხოლოდ იმ ინფორმაციას უზიარებდნენ, რომელსაც თვითონ მიიჩნევდნენ საჭიროდ. იყო შემთხვევები, როდესაც ზედმეტად აქტიურ და ცნობისმოყვარე საბჭოთა ჩეკისტებს გერმანელი „ამხანაგები“ სამშობლოში მიაბრძანებდნენ ხოლმე. ამბობენ, მილკეს წინააღმდეგ ყოვლისშემძლე ანდროპოვიც კი უსუსური იყო.

დღესაც დავის საგანია, თუ ვის მეტი ძალაუფლება ჰქონდა – პარტიულ ხელმძღვანელობას თუ „შტაზის“. გერმანელები ხუმრობდნენ, ერიჰ ჰონეკერის ჰობი საკუთარ თავზე ანეკდოტების შეგროვებაა; მილკესაც იგივე ჰობი აქვს – ჰონეკერზე ანეკდოტების გავრცელებაო.

ფრიად დელიკატური პრობლემა აღმოჩნდა გდრ-ის

ყოფილი ხელმძღვანელების გასამართლება-არგასამართლების საკითხი (რა თქმა უნდა, არა მათი ჰობის გამო). მათ მიმართ მთავარი ბრალდება მოქალაქეთა ტერორი და ფიზიკური განადგურება იყო. ერიჰ ჰონეკერი, რომელიც გდრ-ის გაუქმების შემდეგ მოსკოვში ეძებდა თავშესაფარს, ბერლინში დააბრუნეს და სასამართლოს წინაშე წარდგა. მძიმე ავადმყოფობის გამო ჰონეკერი გაათავისუფლეს და ნება დართეს ჩილეში წასულიყო ემიგრაციაში. გასამართლების შემდეგ ერიჰ მილკეც მალევე გაათავისუფლეს. ისიც ჯანმრთელობას უჩიოდა. ეტყობა არ დაუზოგავს თავი... „ხალხის სამსახურში“.

გერმანიის ერთიან ქვეყნად და ერად გამთლიანება დღესაც სერიოზულ პრობლემებს აწყდება. ბერლინის კედლის ნაცვლად აღმოსავლელ და დასავლელ გერმანელებს ახლა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური კედელი ჰყოფს. აღმოსავლელი გერმანელები დღემდე განიცდიან იდენტურობის პრობლემას. 2011 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეთა 50%-ს (!) არ ჰქონდა იმის განცდა, რომ ისინი ერთიანი ქვეყნის მოქალაქენი არიან. განსაკუთრებით უფროსი თაობებისთვის მეტად რთული აღმოჩნდა იმის შეგრძნება, რომ სოციუმი, რომელშიც ისინი გაიზარდნენ და ცხოვრობდნენ, აღარ არსებობს.

აღმოსავლელ გერმანელთა დიდ ნაწილს მოუწია ახალი პროფესიების ათვისება, რადგან გდრ-ში მიღებულ კვალიფიკაციას ვერსად იყენებდნენ. შესაბამისად, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში უმუშევრობა დღემდე მნიშვნელოვნად აღემატება დასავლეთ ნაწილის მაჩვენებლებს. ფაქტობრივად, მოხდა აღმოსავლეთ გერმანიის დეინდუსტრიალიზაცია, რადგან ე. წ. სოციალისტური საწარმოები, მცირე გამონაკლისის გარდა, სრულებით

არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდნენ ღია და თავისუფალ ბაზარზე.

ამასთანავე, სოციოლოგიური გამოკითხვები იმასაც ადასტურებს, რომ გერმანელების აბსოლუტურ უმრავლესობას არ უნდა დაბრუნება და მთლიანად მხარს უჭერს ერთიან სახელმწიფოს.

გაერთიანების შემდეგ გერმანელები არასტანდარტულ პრობლემებსაც წააწყდნენ. ერთმა ჟურნალისტმა იხუმრა, ღმერთმა გერმანელი რომ შექმნა, მას გერმანული ნაგაზი მიუჩინა მეგობრადო. ის, რომ ჰიტლერის გერმანიაში ნაგაზებს ფრიად აფასებდნენ, ცნობილი ფაქტია; მაგრამ მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ გდრ-ის სადარაჯოზე იდგა 5 ათასზე მეტი ნაგაზი, როტვეილერი და შნაუცერი. რა უნდა ექნათ ძაღლების ამ არმიისთვის? სამწუხაროდ, მათი ადგილი ერთიან დემოკრატიულ გერმანიაში აღარ იყო.

გაერთიანების სირთულეების მიუხედავად, II მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელი ხალხის მიერ განვლილი გზა უაღრესად შთამბეჭდავი და სამაგალითოა. ომის შედეგად გაჩანაგებულმა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ სულ რაღაც 10-15 წლის მანძილზე მთლიანად აღიდგინა ომისწინანდელი ეკონომიკური პოტენციალი, 1960-იანი წლებისათვის კი იგი იქცა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ და დემოკრატიულ ქვეყნად.

დღეისათვის გერმანია ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერია.

აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა კავშირის სატელიტური რეჟიმის ჩამოშლამ და გერმანიის გამთლიანებამ რადიკალურად შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება ევროპაში. გდრ-ის სახით საბჭოთა კავშირმა დაკარგა „ბუფერული ზონა“, რაც კრემლის დრომოჭმული ხედვით აუცილებელი ფაქტორი იყო დასავლეთთან ძალთა

ბალანსის შესანარჩუნებლად. მომდევნო წლებში გერმანიის გაერთიანების ლოგიკური გაგრძელება იყო პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის, ხოლო შემდგომ – პრაქტიკულად მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გაერთიანება ნატოში.

დღეს რუსეთში ჯერ კიდევ ბევრი მისტირის „დაკარგულ“ გერმანიასა და აღმოსავლეთ ევროპას. „დერჟავნიკები“ დღემდე ადანაშაულებენ დასავლეთის ქვეყნებს, რომ მათ ისარგებლეს საბჭოთა კავშირის დროებითი სისუსტით და მზაკვრულად გამოსტაცეს კრემლს ხელიდან აღმოსავლეთ გერმანია და ევროპის დიდი ნაწილი.

ვერაფერს ვიტყვით, ეს სრული ჭეშმარიტებაა. დასავლეთმა, ისევე, როგორც გერმანიისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხებმა, მართლაც ისარგებლეს საბჭოთა სისტემის დემოკრატიზაციით და თავიანთი არჩევანი გააკეთეს.

„დერჟავნიკებისგან“ განსხვავებით, რუსეთის სალად მოაზროვნე ადამიანებს ესმით, რომ სტაბილური და დემოკრატიული სამეზობლო თანამედროვე რუსეთისათვის არა მხოლოდ უსაფრთხოების ფაქტორია, არამედ – ეკონომიკური განვითარებისა და მოდერნიზაციის ხელშემწყობი გარემო. მართლაც, ისტორიის პარადოქსად შეიძლება ჩაითვალოს, რომ რუსეთი და გერმანია, რომლებიც ბოლო 100 წლის განმავლობაში ორ მსოფლიო ომში იყვნენ ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული, დღეს ხმაშენწყობილი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორები არიან.

განა ასეთი მეზობელი არ სჯობს ვასალსა და „უმცროს ძმას“, რომლის მოსარჯულებლად ჯარია გასაგზავნი ცხრა მთას იქით?

იქნებ საქართველოსთანაც ასეთი ურთიერთობა ამჯობინოს ერთ მშვენიერ დღეს რუსეთმა?



მაშინ, როცა გერმანია ერთიანდებოდა, უკვე რეალურად იკვეთებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის პერსპექტივა. 1991 წლის გაზაფხულზე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს ლიტვამ და საქართველომ, მომდევნო თვეებში კი – სხვა მოკავშირე რესპუბლიკებმაც.

მაგრამ ბევრს ისეთი განცდა ჰქონდა, რომ ყველაფერი ეს ილუზორული, დროებითი იყო. აბა, მართლა ხომ არ დაინგრეოდა ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი?!

## „10 დღე, რომელმაც შექრა მსოფლიო“

(1991 წლის აგვისტოს პუტჩი და რევოლუცია)

1990 წელს გამოიკვეთა, რომ საბჭოთა რეჟიმისათვის „ჭეშმარიტების მომენტი“ დგებოდა. აშკარა იყო სისტემური დეზინტეგრაციის პროცესი. უზარმაზარ სახელმწიფოში ყველა უკმაყოფილო იყო: გორბაჩოვის მომხრეები იმის გამო, რომ, მათი აზრით, „პერესტროიკა“ წელა მიმდინარეობდა, მონინალმდეგეთა შეხედულებით კი გარდაქმნის პოლიტიკა ზედმეტად სწრაფად ხორციელდებოდა და ეს ქვეყნისათვის დამლუპველი იყო.

საბჭოთა მონოლითის რღვევის იმპულსები, უპირველესად, რუსეთის ფედერაციიდან მოდიოდა, რომლის ახლი ლიდერი ბორის ელცინი ღიად უპირისპირდებოდა საკავშირო ხელისუფლებას.

ელცინი ჩვენზე გაორებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. ერთი მხრივ, იგი უფრო დემოკრატად გამოიყურებოდა, ვიდრე სხვა საბჭოთა ლიდერები. ამის დასტური ისიც იყო, რომ ელცინმა 1990 წლის 12 ივლისს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე ოფიციალურად უარი თქვა ამ პარტიის წევრობაზე. ერთი თვით ადრე, 29 მაისს, იგი რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს და მისი ინიციატივით მიღებული „დეკლარაცია რსფსრ-ის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“ რუსეთის კანონებს უპირატესობას ანიჭებდა საკავშირო კანონმდებლობასთან შედარებით. ესეც, ჩვენი აზრით, წინგადადგმული, პროგრესული ნაბიჯი იყო.

ელცინი საბჭოთა ნომენკლატურის კორუფციასა და

პრივილეგიებზე ღიად და მწვავედ საუბრობდა, რითაც მოქალაქეების სიმპათიებს იმსახურებდა. იგი ცდილობდა ძლიერი ლიდერის ავტორიტეტის მოპოვებას, რაც მას გორბაჩოვისგან განასხვავებდა: ძალას რუსეთში განსაკუთრებით აფასებენ. ძლიერი პიროვნების იმიჯის შექმნაში ელცინს ერთი პატარა დეტალიც ეხმარებოდა. კერძოდ, მარჯვენა ხელზე მას ორი თითი აკლდა. ხმები დადიოდა, თითები ტაიგაში დათვმა მოაჭამაო. მართლაც, რით არ იყო იგი ერთი შეხედვით თანამედროვე ილია მურომელი\*?

1991 წლის 12 ივნისს, დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ (ხმათა 57,30%), ბორის ელცინი რუსეთის ფედერაციის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. საყოველთაო არჩევნების შედეგად გაპრეზიდენტება ელცინს დიდ უპირატესობას ანიჭებდა გორბაჩოვთან შედარებით, რადგან ეს უკანასკნელი სსრკ-ის პრეზიდენტად სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე იყო არჩეული, და არა მოსახლეობის მიერ.

მეორე მხრივ, ელცინთან დაკავშირებული სკანდალური ისტორიები ხალხში დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა. კარგად მახსოვს მისი სატელევიზიო გამოსვლა 1989 წლის ზაფხულში აშშ-ში ვიზიტის დროს. დიაგნოზი ნათელი იყო: შეზარხოშებული ელცინი აცნობდა ამერიკელებს თავის დემოკრატიულ ფასეულობებს. იმავე წლის სექტემბერში ელცინი სადღაც მოსკოვის მიდამოებში ხიდიდან მდინარეში გადავარდა – ნასვამი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ელცინი, კვლავ სიმთვრალის მიზეზით, ავტოავარიაში მოყვა. ყველაფერი ეს კითხვებს აჩენდა, თუმცა თვით რუსეთის მოსახლეობა ამას უფრო ფილოსოფიურად უყურებდა და გარკვეულ სოლიდარობის გრძნობასაც განიცდიდა არყისმოყვარული ელცინის

\* ძველი რუსული ეპოსის გმირი.

მიმართ: როგორც რუსები იტყვიან – „მთვრალი კაცი თითქმის წმინდანია!“

ელცინის ბრძანებულებამ რუსეთის სახელმწიფო ორგანოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ (1991 წლის 20 ივლისი) საბოლოოდ ბოლო მოუღო კომპარტიის 70-წლიან მონოპოლიას ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

რუსეთის ფედერაციასა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში დაიწყო საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოებისა და ცალკეული დარგების ნაციონალიზაცია. საწარმოთა ურთიერთობების ერთბაშად საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანამ მოშალა ათწლეულების მანძილზე სსრკ-ში შექმნილი სამეურნეო კავშირები და ეკონომიკა კოლაფსამდე მიიყვანა. სამომხმარებლო საგნებისა და კვების პროდუქტების დეფიციტმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. მაღაზიებში აღარაფერი იყიდებოდა, პურის გარდა.

საერთოდ, ბრეჟნევი-გორბაჩოვის ეპოქა ისტორიაში შევა, როგორც სახალხო იუმორის განვითარების საუკეთესო ერა. ტოტალურ დეფიციტს მოსახლეობა ტოტალური იუმორით, ირონიითა და ცინიზმით უპასუხებდა. მაგალითად, დიალოგი საბჭოთა „გასტრონომში“:

მყიდველი: თევზი გაქვთ?

გამყიდველი: ეს, მოქალაქევი, ხორცის განყოფილებაა, ამიტომ აქ ჩვენ ხორცი არ გვაქვს. თევზი კი არა აქვთ თევზის განყოფილებაში.

მართალია, „პერესტროიკამ“ ხალხს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მისცა, მაგრამ მშვიერ კუჭზე ბევრს არაფერი არ ჰქონდა სათქმელი, გარდა მთავრობის ლანძღვა-გინებისა. ხუმრობდნენ კიდევ, პლურალიზმი ნიშნავს იმ ვითარებას, როდესაც სსრკ-ის პრეზიდენტის

აზრი არანაირად არ შეესაბამება მოსახლეობის აზრსო.

საბჭოთა ეკონომიკისათვის ძლიერი დარტყმა იყო მსოფლიოში ნავთობზე ფასების ვარდნა. რუსეთის ყოფილი პრემიერი ეგორ გაიდარი ამ ფაქტორს საერთოდ გადამწყვეტად მიიჩნევდა. „სსრკ-ის კრახის კონკრეტული თარიღი ცნობილია. ეს გახლავთ 1985 წლის 13 სექტემბერი, როდესაც საუდის არაბეთმა, ალბათ აშშ-ის თანხმობით, მიიღო გადაწყვეტილება, გაეზარდა ნავთობის მოპოვება. მომდევნო 6 თვის მანძილზე მან ნავთობის მოპოვება 3,5-ჯერ გაზარდა, რამაც „შავი ოქროს“ ფასი შეამცირა 6-ჯერ (!). საბჭოთა ეკონომიკისთვის, რომელიც ნავთობის ექსპორტით სულდგმულობდა, ეს უმძიმესი გამოცდა გამოდგა.

ასეთ რთულ ვითარებაში კრემლის ინიციატივით დაიწყო საბჭოთა მონსტრის – სამხედრო მრეწველობის – კონვერსია, რაც, ფაქტობრივად შეიარაღებაზე ხარჯების დაზოგვას ნიშნავდა. სამხედრო სექტორის დაფინანსება ერთბაშად 50%-ით შემცირდა. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ძალოვნების უკმყოფილება გორბაჩოვის პოლიტიკით.

იქმნებოდა ადგილობრივი „არაფორმალური“ გასამხედროებული ჯგუფები, გვარდიები, მხედრიონები. ზოგიერთ რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიც, სუკის სტრუქტურები ადგილობრივ ხელისუფლებას დაექვემდებარა. აშლილ და არეულ ქვეყანაში წინა პლანზე გამოდიოდნენ ათასი ჯურის ავანტიურისტები, აფერისტები, ბანდიტები. მახსოვს, როგორ გვპირდებოდა თბილისში ჩამოსული ერთი თალღითი იტალიელი „ფერარის“ ქარხნის აშენებას. ჩემი ნაცნობი ესპანელი კი მზად იყო დაებანდებინა საქართველოში 100 მილიონი დოლარი ისე, ყოველგვარი ანგარების გარეშე, „ქართველების სიყვარულით“ (საბოლოოდ, ესპანელმა „ინვესტორმა“ ჩემგან 350 დოლარი ისესხა და უგზო-უკვლოდ გაქრა).

რეალურად მილიონების „მოტეხვის“ ყველაზე ნაღდი სქემა ასეთი იყო: მოქრთამვით ისესხებდი სახელმწიფო ბანკიდან, ვთქვათ, 100 მილიონ რუბლს 6 თვის ვადით. გადაცვლიდი ამ თანხას 10 მილიონ დოლარზე. ამ რაოდენობიდან 5 მილიონ დოლარს 5 თვის შემდეგ უკვე ორჯერ გაუფასურებულ რუბლებზე გადმოცვლიდი და კვლავ 100 მილიონს მიიღებდი. ჯიბეში კი დაგრჩებოდა 5 მილიონი დოლარი, ყოველგვარი ნერვიულობისა და თავის ტკივილის გარეშე.

ასეთი სქემებით სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე მაშინ არაერთმა მომავალმა მილიონერმა შეიქმნა საბაზისო კაპიტალი. ამ და მსგავსი გზით ნაშოვნი მილიონებით ზოგი ამერიკაში გაიქცა, ზოგი ევროპასა თუ ავსტრალიაში. ასე ნაშოვნი ფულით იყიდიან ცოტა მოგვიანებით ქარხნებს, გიგანტურ კომბინატებს, საბადოებს, შექმნიან ბანკებს, „პირამიდებს“, სხვადასხვა სანარმოს, რომლებიც საგან ზოგი გადარჩება, უმეტესობას კი წყალი წაიღებს.

ეკონომიკური მექანიზმების მოშლას თან ახლდა სახელმწიფოებრივი დეზინტეგრაციაც. ლიტვა პირველი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გავიდა და 1990 წლის 11 მარტს სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლიტვის აღნიშნულ გადანყვეტილებას იმ ეტაპზე მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის აღიარება არ მოჰყოლია, გარდა ისლანდიისა. კრემლს საკმაოდ მწვავე რეაქცია ჰქონდა: ლიტვას ჯერ „ეკონომიკური ბლოკადა“ დაუწესეს, შემდეგ კი საბჭოთა საჯარისო ნაწილებმა ძალაც გამოიყენეს ვილნიუსში ტელევიზიის შენობის დასაკავებლად, რასაც 13 ადამიანი ემსხვერპლა.

„დამოუკიდებლობის აღლუმში“ საქართველო რიგით მე-2 იყო. 1990 წლის ნოემბერში დემოკრატიული არჩევნების შედეგად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმ-

ჯდომარე გახდა დისიდენტი ზვიად გამსახურდია. მომდევნო წლის 31 მარტს ჩატარებულ საყოველთაო რეფერენდუმზე სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 98,93%-მა, 9 აპრილს კი უმაღლესმა საბჭომ მიიღო აქტი, რომლის შესაბამისად საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა.

ამგვარად, ლიტვა და საქართველო დამოუკიდებლობის გზაზე პირველები იყვნენ. დამოუკიდებლობა 1991 წლის აგვისტოს მოსკოვში სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ სხვა რესპუბლიკებმაც გამოაცხადეს. დასავლეთის ქვეყნები კი, და საერთოდ მსოფლიო, ამ დამოუკიდებლობის აღიარებას არ ჩქარობდნენ, თითქოს ბოლომდე ვერავინ ვერ იჯერებდა, რომ სსრკ ფინალს უახლოვდებოდა.

სიტუაცია კომიკურიც კი იყო. ალბათ, ათეული წლების მანძილზე როგორ ოცნებობდნენ ვაშინგტონსა თუ ევროპის დედაქალაქებში, რომ ერთ ბედნიერ დღეს საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა. არადა, როდესაც ეს დღე მართლაც მოახლოვდა, დასავლელი პოლიტიკოსები საგონებელში ჩაცვივდნენ: კი მაგრამ, ვის ხელში აღმოჩნდებოდა დაშლილი სსრკ-ის ბირთვული იარაღი? ან ვინ მოუვლიდა ამ თვალუწვდენელ სივრცეში წარმოქმნილ ეთნიკურ თუ სხვა კონფლიქტებს, ეკონომიკურ პრობლემებს, მილიონობით მიგრანტს?

გარდა ამისა, დასავლეთში ელემენტარულად მწირი წარმოდგენა ჰქონდათ იმაზე, თუ რა ხდებოდა მოსკოვს იქით – საბჭოთა რესპუბლიკებში. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი რობერტ გეიტსი თავის მემუარებში წერს: „წლების განმავლობაში ჩვენი ძალისხმევა კონცენტრირებული იყო მოსკოვზე; ამიტომ, რაღაც ეტაპზე აღმოვაჩინეთ, რომ ძალიან ცოტა რამ ვიცოდით არარუსულ რესპუბ-

ლიკებსა და ეთნიკურ ჯგუფებზე. მაგალითად, როდესაც ერევანსა და ბაქოს შორის პრობლემები წარმოიშვა, რამდენიმე დღე გვჭირდებოდა ამ ქალაქებიდან გაზეთების მისაღებად. ასეთ რეგიონებში ჩვენი ინფორმაციის სხვა საშუალებები ძალიან შეზღუდული იყო“.

1991 წლის ივნისში, კიევში ვიზიტისას, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) მრავალათასიან მომიტინგეთა წინაშე საჯაროდ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის „რალაც ფორმით“ შენარჩუნებას. ამან უკრაინელების დიდი გაცემა გამოიწვია: ეს როგორ?!

იმავე 1991 წლის ნოემბერში – სსრკ-ის ფორმალურ დაშლამდე 1 თვით ადრე (!) – რომში გამართულ ნატოს სამიტზე მიიღეს დეკლარაცია. დიპლომატიური ფრაზების მიღმა იკითხება მარტივი მოწოდება საბჭოელების მიმართ: ღმერთი არ გაგინყრეთ, არ დაშალოთ მთლიანად სსრკ!

უკვე გვიან იყო. კარგად ვგრძნობდით, თუ რით დამთავრდებოდა საბჭოთა „ლაინერიდან“ ჩვენი უპარაშუტოდ გადახტომა, მაგრამ როგორ უნდა გადავმხტარიყავით სხვა თვითმფრინავში, არავინ არ იცოდა.

ამავე დროს, ირგვლივ დოსტოევსკის გმირების აჩრდილებიც გამოჩნდნენ. საბჭოთა პრესაში ჩახედული კაცი იმასაც იგრძნობდა, რომ სადღაც, მოსკოვის ხელისუფლების მაღალ წრეებში, სმერდიაკოვი და რასკოლნიკოვი მკვლელობას გეგმავდნენ.

„პერესტროიკის“ მონინააღმდეგები აღმფოთებას არ მალავდნენ: საბჭოთა სამშობლოს გვინგრევენ! გორბაჩოვი მოლაღატა! საჭიროა ძლიერი ხელი დამანგრეველი პროცესის შესაჩერებლად და წესრიგის დასამყარებლად!

საბჭოთა ფუნქციონერებმა ჩილელი დიქტატორის, პინოჩეტის დროშა ააფრიალეს. მერე რა, რომ ადრე მას პირსისხლიან ფაშისტს უწოდებდნენ?! ახლა გენერალი



ჭემმარიტ პატრიოტად მონათლეს, რომელმაც ქვეყნის გადასარჩენად დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტიც კი გამოასალმა სიცოცხლეს. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მეგობარ აუგუსტო პინოჩეტს!

პრესაში გამოჩენილი ყოველი ნიშანდობლივი პუბლიკაცია საყოველთაო განსჯისა და პროგნოზების საგანი ხდებოდა. მაგალითად, გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ 1990 წლის 26 დეკემბერს მოჰყავდა სუკ-ის თავმჯდომარის, ვლადიმერ კრიუჩკოვის სიტყვები: „სუკ-ის შემადგენლობაშია სასაზღვრო ჯარები და სპეციალური დანიშნულების ნაწილები. მათი ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საფრთხე დაემუქრება არსებულ სახელმწიფო წყობას და აუცილებელი გახდება წესრიგის დამყარება... მეც ძალიან ველავ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, ამიტომ ვმუშაობთ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ვარიანტზე“.

უმალლესი საბჭოს რეაქციული ნაწილის ერთ-ერთი ლიდერი პოლკოვნიკი ალქსნისი გვარნმუნებდა, რომ შექმნილი კრიზისული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი იყო საგანგებო მდგომარეობის სასწრაფოდ შემოღება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამავე დროს, მისივე აზრით, აუცილებელი იყო გორბაჩოვისა და ელცინის მოშორება პოლიტიკური ავანსცენიდან.

საბჭოთა სამხედრო ფლოტის მთავარსარდალი ადმირალი ჩერნიავინი ფიქრობდა, რომ საყოველთაო ქაოსის დროს მხოლოდ არმია შეძლებდა სამოქალაქო წესრიგის დამყარებას, საჰაერო ხიდებით რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირებას, სტრატეგიული რეზერვებიდან მოსახლეობის გამოკვებას, ეპიდემიებთან და კრიმინალთან ბრძოლას, ქვეყნის უსაფრთხოების შენარჩუნებას.

ასეთი გამოსვლები ხშირი იყო. ის, რომ გორბაჩოვისა და მისი გუნდის წინააღმდეგ რალაც მზაკვრობა მზად-

დებოდა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. შევარდნაძემ, როგორც ჩანს, მარტო პრესიდან არ იცოდა. „საგანგებო სიტუაცია იყო. ვუთხარი კიდეც გორბაჩოვს – ცნობები მომდიოდა, როგორც სუკ-იდან, ისე უცხოეთში ჩვენი ელჩებისგან. ჩემს თანაშემწეებსაც საკმაო ინფორმაცია დაუგროვდათ. ამ ინფორმაციის მიხედვით, იქმნებოდა ორგანიზაცია, რომელსაც გადატრიალება უნდა მოეხდინა. ყველაფერი ეს მარტო გორბაჩოვისთვის როდი მითქვამს – სხვებსაც ვეუბნებოდი. გორბაჩოვი თითქოს მომენდო, მაგრამ...“.

1990 წლის დეკემბერში სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე შევარდნაძემ გააკეთა სუპერსენსაციური განცხადება გადადგომის შესახებ, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა: „გვიახლოვდება დიქტატურა! არავინ იცის, თუ რა სახის დიქტატურა იქნება ეს და როგორი დიქტატორი მოვა, როგორი წესები დამკვიდრდება... დაე, ჩემი გადადგომა, თუ გნებავთ, იყოს პროტესტი დიქტატურის წინააღმდეგ“. ამ განცხადებამ საბჭოთა კავშირსა და მთელ მსოფლიოში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია.

შევარდნაძის ამ ნაბიჯს საქართველოში ათასწილი ვხსნიდით: ალბათ, გაეროში გადაჰყავთ, ან მოჰბეზრდა მინისტრობა, ან ამერიკელებმა ურჩიეს, ან ცოლმა სთხოვა, ან კიდეც... როგორც ყოველთვის, მოსმენილისა და ნანახის არავის არ სჯეროდა.

საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლის შემდეგ გორბაჩოვმა ყრილობაზე განაცხადა, რომ არაფერი სმენია ასეთი საფრთხის შესახებ; თუმცა, მოგვიანებით, მინსკში, პარტიული აქტივის კრებაზე, თავის მომხრეებს სიფრთხილისაკენ მოუწოდა, რადგან დიქტატურის საფრთხე რეალური იყო. ეს განცხადება გააკეთა და დასასვენებლად ყირიმში წავიდა.

შევარდნაძის გადადგომამ ერთხანს შეაჩერა სამხ-

ედრო გადატრიალების მსურველები, მაგრამ დოსტო-  
ევსკის რასკოლნიკოვები და სმერდიაკოვები მხოლოდ  
დროებით მიყუჩდნენ.

ძნელი სათქმელია, როგორ გუნებაზე ისვენებდა გორ-  
ბაჩოვი ყირიმში. დაშლის საფრთხის წინაშე იდგა არა  
მხოლოდ საბჭოთა კავშირი, არამედ რუსეთის ფედერა-  
ცია და ცალკეული რესპუბლიკები. კერძოდ, რუსეთის  
დეზინტეგრაციის გაძლიერებას ხელი შეუწყო თვით  
ბორის ელცინის განცხადებამ, რომლითაც მან ავტონო-  
მიებს მიმართა 1990 წლის 6 აგვისტოს: „აიღეთ იმდენი  
სუვერენიტეტი, რამდენის მონელებასაც შეძლებთ“.  
რალა თქმა უნდა, ყველამ მყისიერად განაცხადა, რომ  
მზად იყვნენ გადაეყლაპათ სუვერენიტეტის მაქსიმალ-  
ური დოზა.

ამჯერად უკვე ავტონომიური რესპუბლიკების „სუვე-  
რენიტეტების აღლუმი“ დაიწყო. 1990 წლის ივლის-  
ოქტომბერში დეკლარაციები სახელმწიფო სუვერენიტე-  
ტის შესახებ მიიღეს ჩრდილო ოსეთის, კარელიის, კომის,  
უდმურტიის, ბურიატიის, ბაშკირეთისა და სხვა ავტონო-  
მიებმა. მაგრამ თუკი ამ ავტონომიებს თავიანთი მომა-  
ვალი და სუვერენიტეტი რუსეთის ფედერაციის შემად-  
გენლობაში ესახებოდათ, თათარსტანში სხვაგვარად  
ფიქრობდნენ. 1991 წლის 18 ოქტომბერს მან მიიღო სახ-  
ელმწიფო დამოუკიდებლობის აქტი და გამოთქვა სურ-  
ვილი განახლებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში  
დამოუკიდებლად შესვლის შესახებ. მეტად რთული პრო-  
ცესები მიმდინარეობდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონო-  
მიურ რესპუბლიკაში.

„სუვერენიტეტების აღლუმსა“ და კანონების ომს  
ნამდვილი ომები და კონფლიქტები მოჰყვა. ერთმანეთს  
ებრძოდნენ სომხები და აზერბაიჯანელები, ოსები და  
ინგუშები, სამოქალაქო ომი მძვინვარებდა ტაჯიკეთ-

ში, კონფლიქტები ღრმავდებოდა დნესტრისპირეთში, ყირიმში. სასტიკი სისხლისღვრა იწყებოდა ცხინვალის რეგიონში, შემდეგ კი – აფხაზეთში.

ეს კონფლიქტები, მეტწილად, იმპერიის დეზინტეგრაციის შედეგი იყო, ნაწილობრივ კი – თვით მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო წრეების მიერ ინსპირირებული. ამასთანავე, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან ადგილობრივი ელიტებიც, რომლებმაც თავიანთი გამოუცდელობით, დანაშაულებრივი ინფანტალიზმითა თუ ვერაგული პოლიტიკური ანგარებით ხელი შეუწყვეს სისხლისღვრას.

საქართველოშიც ბევრი იყო ასეთი ადამიანი, მათაც ბევრი ცოცხალი ანგვთ კისერზე. ამ ავანტიურისტი „პატრიოტების“ სინდისზეა თბილისში ხალხის დარაზმვა და მიტინგების ჩასატარებლად ავტობუსებით ცხინვალში გაგზავნა, შეტაკებების ინსპირირება, სისხლი. თუმცა, არც მეორე მხარეს აკლდა პროვოკატორები.

ძალიან მძიმე ემოციებს იწვევს იმ პერიოდის დეტალების გახსენება. რამდენ უბედურებას ავიცილებდით, ცოტა გონიერება და ადამიანურობა რომ შეგვენარჩუნებინა...

დავუბრუნდეთ ისევ ყირიმში მყოფ გორბაჩოვს. იგი იმედს უმთავრესად 20 აგვისტოზე ამყარებდა – ამ დღეს უნდა დაწყებულიყო ახალი საკავშირო ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესი, რომელიც დასაბამს მისცემდა რეფორმირებულ საბჭოთა კავშირს.

ის, რომ საბჭოთა კავშირი ფუნდამენტურ რეორგანიზაციას საჭიროებდა, ნათლად გამოჩნდა „პერესტროიკის“ პირველსავე წლებში, მაგრამ გორბაჩოვმა, რომელიც გადანყვეტილებებს ხშირად ნაჩქარევად იღებდა, ამჯერად დაყოვნება არჩია და ჯიუტად დაიწყო ცენტრიდანული პროცესების შეჩერება. არადა, საწყის

ეტაპზე რესპუბლიკების პრეტენზიები ავტონომიურობის გაზრდის შესახებ საკმაოდ მოკრძალებული იყო. მაგალითად, ბალტიის რესპუბლიკები ითხოვდნენ მხოლოდ ე. წ. რეგიონულ „სამეურნეო ანგარიშს“, ანუ ისეთი ეკონომიკური უფლებების მინიჭებას, რაც საშუალებას მისცემდა მათ, თვითონ მოეგვარებინათ საკუთარი სამეურნეო პრობლემები; თუმცა კრემლმა ამ რაციონალური იდეისგან თავი შეიკავა და პროცესების განვლვის ტაქტიკა ამჯობინა. მოვლენებმა კი მომდევნო წლებში სწრაფად დაიწყო განვითარება და რაც ბალტიელებისათვის, უკრაინელებისა ან ქართველებისათვის წინა დღით მისაღები იყო, მეორე დღეს უკვე „ჩავლილ მატარებლად“ ითვლებოდა.

სსრკ-ის რეორგანიზაციის შესახებ საგნობრივი საუბარი მხოლოდ 1990 წელს, ანუ იმპერიის დაშლამდე ერთი წლით ადრე დაიწყო.

დეკემბრის ბოლოს სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ განიხილა პრეზიდენტ გორბაჩოვის ინიციატივით მომზადებული ახალი საკავშირო ხელშეკრულების პროექტი და მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას „სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის სახით“. გორბაჩოვის მოთხოვნით ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე საკავშირო საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

რეფერენდუმი გაიმართა 1991 წლის 17 მარტს და მონაწილეთა 76%-მა მხარი დაუჭირა განახლებული საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას: მაგრამ ეს განახლებული საბჭოთა კავშირი დიდი ბზარით იწყებდა რეინკარნაციას, რადგან ბალტიის სამმა რესპუბლიკამ, საქართველომ, მოლდოვამ და სომხეთმა უარი განაცხადეს რეფერენდუმის მონაწილეობაზე. ამასთანავე, რეფერენდუმი ჩაატარეს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა

ძალებმა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ვითარება საქართველოში.\*

ამგვარად, რეფერენდუმის ლეგიტიმურობა აშკარად მოიკოჭლებდა, თუმცა კრემლში მაინც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და ფიქრობდნენ, რომ ნელ-ნელა ურჩ რესპუბლიკებსაც მოუგრეხდნენ კისერს.

მოსკოვში დაიწყეს ახალ ხელშეკრულებაზე მუშაობა, რომელიც სამართლებრივი საფუძველი უნდა გამხდარიყო განახლებული, დეცენტრალიზებული ფედერაციისა. მას სახელიც კი ახალი ექნებოდა – სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი.\*\* ახალი ხელშეკრულების პროექტი გვამცნობდა, რომ „სახელმწიფოები, რომლებიც ქმნიან კავშირს, სარგებლობენ სრული პოლიტიკური ძალაუფლებით. ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თავიანთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყობას, ხელისუფლების ორგანოთა და მართვის სისტემებს. მათ შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი უფლებამოსილებების ნაწილობრივ დელეგირება სხვა სახელმწიფოთა სასარგებლოდ, რომლებიც არიან ამ ხელშეკრულების წევრები...“

ამგვარად, ფაქტობრივად, საუბარი იყო ე. წ. რბილ ფედერაციულ ან უფრო კონფედერაციულ სისტემაზე. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა „უფლებამოსილი დელეგაციების მიერ“ ხელმონერისთანავე. ერთდროულად ძალას კარგავდა 1922 წლის ხელშეკრულება სსრკ-ის შექმნის შესახებ.

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ ეს იყო საბჭოთა კავშირის რეფორმირების საკმაოდ ფუნდამენტური მცდელობა. რესპუბლიკების მიერ ამ ხელშეკრულების ხელმონერის პროცესი იწყებოდა 1991 წლის 20 აგვისტოს. პირველ რიგში იდგნენ: რუსეთის ფედერაცია, ბელორუ-

\* რეფერენდუმი ჩატარდა დნესტრისპირეთშიც.

\*\* Союз суверенных государств.

სია, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. შემოდგომაზე ამ ჯგუფს სავარაუდოდ შეუერთდებოდნენ უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი და თურქმენეთი.

ამგვარად, საბჭოთა კავშირი 1991 წლის 20 აგვისტოს ისტორიული გარდატეხის წინაშე დგებოდა. ინყებოდა მისი გარდასახვა.

19 აგვისტოს დილით ახლობელმა დამირეკა და აუღელვებელი, ინდიფერენტული ტონით მაცნობა: „მოსკოვში სამხედრო გადატრიალებაა“. ასე მშვიდად მას შეეძლო ეთქვა, მაგალითად, „სურდო მაქვს“, ან „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ და რატომღაც გადანყვიტა, რომ მეტ ემოციას არც ეს ინფორმაცია არ მოითხოვდა.

მეცხვე ტელევიზორი ჩავრთეთ. ეკრანიდან საკავშირო პირველი არხის დიქტორი მრისხანე სახით გვამცნობდა: „გათელეს რა დემოკრატიის ახალგაშლილი კვირტები, ექსტრემისტულმა ძალებმა კურსი აიღეს საბჭოთა კავშირის ლიკვიდაციისაკენ, სახელმწიფოს დაშლისა და ნებისმიერი გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ. მათ ფეხქვეშ გაათელეს საერთო ეროვნული რეფერენდუმის შედეგები მშობლიური ქვეყნის ერთობის შესახებ“.

ეს გახლდათ ერთ-ერთი პასაჟი საბჭოთა ხალხისადმი მიმართვიდან, რომლის ავტორიც იყო ჩვენთვის ჯერ უცნობი ორგანიზაცია ძნელად დასამახსოვრებელი სახელწოდებით – საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი, ანუ რუსულად ГКЧП.\*

მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ველარ ასრულებდა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას. ამიტომ პასუხისმგებლობას ქვეყნის ბედზე „გკჩპ“ იღებდა.

ესეც შენი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი...“ პროლეტარიატის სამშობლოში – დიად სსრკ-ში – ლათინური

\* Государственный комитет по чрезвычайному положению.

ამერიკის ყაიდის სახელმწიფო გადატრიალებასაც მოვესწარით.

მალე „გკჩპ“-ის წევრებიც ვიხილეთ ეკრანზე, რომლებმაც პრესკონფერენცია გამართეს. მათ შორის იყვნენ პრემიერ-მინისტრი პავლოვი, თავდაცვის მინისტრი იაზოვი, სუკ-ის თავმჯდომარე კრიუჩკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი პუგო. პუტჩისტებს ხელმძღვანელობდა სსრკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, გორბაჩოვის მიერ ხელდასმული გენადი იანაევი.

ეს უცნაური პრეს-კონფერენცია იყო. მაგიდასთან ისხდნენ საბჭოთა კავშირის უპირველესი ძალოვნები: მთავრობა, ჯარი, სუკი, მილიცია. აბა, ვინ და რა დაუდგებოდა მათ წინ?! ძალა მათ მხარეს იყო.

მაგრამ, რატომღაც, ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნებოდა, რომ თვითმარქვია „გკჩპ“-ის ლიდერები არ იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ თავში და ძალიან ნერვიულობდნენ. განსაკუთრებით თვალში მოგვხვდა იანაევის აკანკალებული ხელი, რომლითაც ძლივს იკავებდა წყლიან ჭიქას.

არა, ამხანაგებო, როდესაც ასეთ ნაბიჯზე მიდიხართ, ხელი არ უნდა აგიკანკალდეთ! გაიხსენეთ დიდი ბელადები – ლენინი-ტროცკი-სტალინი!

პრეს-კონფერენციაზე ისიც გამოჩნდა, რომ „პერესტროიკის“ პერიოდში „დემოკრატიის ახალგაშლილ კვორტებს“ თავისი საქმე, მართლაც, უკვე გაუკეთებიათ: ჟურნალისტები ღიად, უშიშრად უსვამდნენ პუტჩისტებს კითხვებს: სად არის გორბაჩოვი? ვინ მოგცათ ძალაუფლების ხელში აღების უფლება?

ეს უკვე აღარ იყო ძველი საბჭოთა კავშირი.

მოსკოვის ტელევიზია „გკჩპ“-ის განცხადებების შუალედებში, კლასიკურ საბჭოურ სტილში, ჩაიკოვსკის „გედების ტბას“ გვიჩვენებდა. ამ ბალეტის ტრანსლირება,



ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილებით, ან პოლიტიკურად რომელიმე წევრის, ან თვით გენერალური მდივნის გარდაცვალების ნიშანი იყო; ამიტომაც გაგვიჩნდა ეჭვი, რომ გორბაჩოვის ცოცხალი აღარ იყო. გაფაციცებით ვეძებდით „ამერიკის ხმის“, „თავისუფლების“, „ბი-ბი-სის“ ინფორმაციებს. ამ „ხმების“ საშუალებით ჩვენთვის ცნობილი ხდებოდა სახელმწიფო გადატრიალების (თუ მისი მცდელობის?) ცალკეული დეტალები:

კერძოდ, 19 აგვისტოს გარიჟრაჟზე სუკის სპეცდანიშნულების რაზმმა მოახდინა ფაროსში (ყირიმი) გორბაჩოვის აგარაკის ბლოკირება. გადაიკეტა ასაფრენი ბილიკები ახლომდებარე აეროპორტში, სადაც იდგა პრეზიდენტის თვითმფრინავი.

თავდაცვის მინისტრმა, შეთქმულთა წევრმა იაზოვმა დილით თათბირზე მოიწვია გენერალიტეტი და სამხედრო ობიექტების გაძლიერებული დაცვის ბრძანება გასცა. „დანარჩენს გაიგებთ რადიოთი და გაზეთებით“, დასძინა მან.

მოსკოვის ქუჩებში გამოჩნდა სამხედრო ტექნიკა. „გკჩპ“-ის მხარდასაჭერად რუსეთის ქალაქებში იქმნებოდა „გადარჩენის კომიტეტები“. ადგილობრივი ტელევიზიით გამოდიოდნენ სამხედრო კომენდანტები, რომლებიც აცნობდნენ მოსახლეობას შექმნილ ვითარებაში მოქცევის წესებს, მაგრამ გაუგებარი იყო: ეს საგანგებო მდგომარეობა იყო, თუ არა? პუტჩისტების მხარდამჭერები გამოჩნდნენ უმაღლეს საბჭოშიც – დეპუტატთა ჯგუფი „სოიუზი“ (ალქსნისი, მაკაშოვი და სხვ.). „გკჩპ“-ს მხარს უჭერდნენ კომპარტიის რეგიონული ორგანიზაციები, მათ შორის, ბალტიის რესპუბლიკებში.

ცნობილი გახდა, რომ ცენტრალური საბჭოთა ტელევიზიის შეფის, კრავჩენკოს განკარგულებით რუსეთის ტელევიზიისა და რადიოს გადაცემები შეჩერდა. სამხ-

ედროების მიერ ბლოკირებულია ტელეცენტრები სხვა ქალაქებშიც.

რადიო „სვაბოდის“ ჟურნალისტმა ინტერვიუ აიღო საბჭოთა ოფიცრისგან, რომლის ნაწილიც საინფორმაციო სააგენტოს (TACC) შენობის წინ იდგა.

– თუკი იქნება ბრძანება, გამოიყენებთ იარაღს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ?

– თუკი იქნება ბრძანება, გამოვიყენებთ. აბა რა ვქნათ?

მოკლედ, საქმე ცუდად იყო. „გკჩპ“ ვითარებას აკონტროლებდა.

მაგრამ, იმავე 19 აგვისტოს ჩნდება იმედისმომცემი ცნობებიც. დღისით ცნობილი ხდება ბორის ელცინის „მიმართვა რუსეთის მოსახლეობისადმი“. გორბაჩოვის გადაყენებასა და „გკჩპ“-ის სხვა ნაბიჯებს ელცინი აფასებს, როგორც „რეაქციულ, ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებას“. რუსეთის პრეზიდენტი მოუნოდებს მოსახლეობას, არ დაემორჩილონ თვითმარქვია კომიტეტს. მოითხოვს მოსკოვში გორბაჩოვის სასწრაფოდ დაბრუნებასა და სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საგანგებო ყრილობის მოწვევას. ამ მოთხოვნების შესრულებამდე კი რუსეთის ფედერაციაში ცხადდება საყოველთაო უვადო გაფიცვა. ელცინი ასევე იმედოვნებს, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა შესაბამის შეფასებებს მისცემს „მემარჯვენე გადატრიალების ცინიკურ მცდელობას“.

რუსეთის პრეზიდენტის ასეთი მტკიცე განცხადება სერიოზული საქმეა!

საპროტესტო ხმები გაისმის ბალტიის რესპუბლიკებიდან – ლიტვიდან, ლატვიიდან, ესტონეთიდან. სხვა რესპუბლიკები ჯერ დუმილს ამჯობინებენ, ელოდებიან მოვლენების განვითარებას. საქართველოს ტელევიზიით გამოდის პრეზიდენტი გამსახურდია. შთაბეჭდილება

მრჩება, შეფასებებში ისიც თავშეკავებას ამჯობინებს: „ისე არ წვიმს, როგორც ქუხს“, ამბობს იგი.

მოსკოვის მერიასთან სტიქიურად იკრიბება საპროტესტო მიტინგი. ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ ჯავშანტრანსპორტიორებზე ახალგაზრდები ამძვრალან ტრანსპარანტი: „ძირს ფაშიზმი!“

რუსეთი დიდი ქვეყანაა; ამიტომ ზოგიერთ რეგიონში ჯერ არც კი იციან, თუ რა ხდება დედაქალაქში. მაგალითად, მოსკოველი კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაა შორეულ აღმოსავლეთში, ამ თვალუწვდენი მხარის მესაზღვრეთა უფროსი, ვინმე ბუტენკო, ენერგიულად უპასუხებს: „დიდი წვიმებია. მესაზღვრეები გმირულად ებრძვიან წყალდიდობის დამანგრეველ შედეგებს!“

დემონსტრანტებმა მოსკოვის ცენტრში მოძრაობა გადაკეტეს და სამხედრო ტექნიკას გადაადგილების საშუალებას არ აძლევენ.

13.00 სთ-ზე მომიტინგეებთან მიდის ელცინი. იგი ცნობილი ტამანის დივიზიის ტანკზე შეხტება და წაიკითხავს თავის ცნობილ მიმართვას. ეს კადრები მალე მთელ მსოფლიოს მოედება, შემდეგ კი ისტორიაში შევა.

ჩვენ აღფრთოვანებას ვერ ვფარავთ: ესეც ელცინი – უშიშარი, მიზანმიმართული, პრინციპული. ნამდვილი ლიდერია!

19 აგვისტო მთელი საუკუნე გრძელდება. ღამით ვერავინ ვერ იძინებს. რადიოთი უკვე მერამდენედ ვისმენტ ერთსა და იმავე ინფორმაციას. სრული გაურკვეველობაა.

ვის გინდა ჰკითხო რჩევა?!

გვიან ღამით მეგობარს მივაკითხე, იმასაც უძილობა დამართა „გკჩპ“-მ. დიდხანს ვისაუბრეთ. წარმოდგენაც

კი გვიჭირდა, თუ რას გვიქადადა მოსკოვში რეაქციული ძალების გამარჯვება. ფაქტია, რომ ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი საქართველო გახდებოდა, რომელიც თავს უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნევდა. უკან, საბჭოთა წარსულში დაბრუნების იდეა გვზარავდა. ისევ რეპრესიები, ისევ იდიოტიზმი, ისევ ლენინის პორტრეტები...

აივანზე მეგობრის ბაბუა იჯდა, მუხლებზე გადაფარებული „პლედით“. ბაბუა ძველი ბოლშევიკი – რევოლუციონერი გახლდათ, ამიტომ მას ხუმრობით ვლადიმირ ვისარიონოვიჩის\* სახელით მოვიხსენიებდით ხოლმე. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და არც ჩვენ ვანუხებდით დისკუსიებით. როგორც ჩანს, ბაბუა ჩვენს გრძელ საუბარს ისმენდა, რადგან კარგა ხნის შემდეგ გადმოგვხედა და მშვიდად გვითხრა: „მოთავებულია, ახალგაზრდებო, მაგათი საქმე. დრო დაკარგეს, პირველსავე დღეს უნდა აეღოთ „სმოლნი“. არაფერი გამოუვათ“.

ვლადიმირ ვისარიონოვიჩი პუტჩისტებს გულისხმობდა, თან 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციურ გამოცდილებასაც იგონებდა, როდესაც ბოლშევიკებმა ერთი დარტყმით აიღეს ხელისუფლება ხელში.

ეს პროგნოზი მთელ მომდევნო დღეს – 20 აგვისტოს – მიტრიალებდა თავში. მგონი, ვისარიონოვიჩი მართალი იყო.

პუტჩის მეორე დღეს გამოჩნდა, რომ შეთქმულთა ზოზონს განხეთქილება შეჰქონდა მათ რეალურ და პოტენციურ მომხრეებში, ხოლო მოწინააღმდეგეებს მობილიზების საშუალებას აძლევდა.

„გკჩპ“-სთვის ყველაზე ცუდი ნიშანი ის იყო, რომ ჯარი სრულად არ დაექვემდებარა თვითმარქვია ხელისუფლების ბრძანებებს. მაგალითად, 19 აგვისტოს დედაქა-

---

\* ლენინის სახელი და სტალინის მამის სახელი.

ლაქის გარეუბნებიდან მოსკოვში შესვლაზე უარი განაცხადა რამდენიმე მოტომსროლელმა დივიზიამ. ტულის სადესანტო დივიზია კი რუსეთის ხელისუფლების მხარეზე გადავიდა და მისი დაცვა გადანიჭა. ცნობილი გახდა, რომ ამავე პოზიციაზე იყო საბჭოთა სადესანტო ჯარების მხედართმთავრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი პაველ გრაჩოვი\*.

ჯარში განხეთქილება, მოგეხსენებათ, სამოქალაქო ომის „პირველი მერცხალია“. მართლაც, მოვლენების განვითარება მეტად სახიფათო იერს იძენდა. მოსკოვის საავადმყოფოებს დაშავებულთა მისაღებად ამზადებდნენ. ამასთანავე, ჩანდა, რომ დაპირისპირება „ხელის გადანევა-გადმოწევის“ სტადიაში შევიდა და მთავარი ბრძოლა წინ იყო.

რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან და ქალაქიდან მოდიოდა ცნობები: „გკჩპ“-ის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, სხვადასხვა პროფესიული კავშირი, გაფიცვებს აცხადებდნენ მუშები. რუსეთის მეორე ქალაქის – ლენინგრადის მერი ანატოლი სობჩაკი საქვეყნოდ გამოხდა პუტჩისტების ქმედებას და სსრკ სახალხო დეპუტატთა საგანგებო ყრილობის მოწვევას ითხოვდა.

ცნობილი გახდა ბორის ელცინის განკარგულება, რომლის შესაბამისადაც ყველა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს უნდა ემოქმედათ მხოლოდ სსრკ-ისა და რსფსრ-ის კონსტიტუციების შესაბამისად. „გკჩპ“ და მისი მხარდამჭერები „სამშობლოს მოლაღატეებად“ გამოცხადდნენ.

საბჭოთა ან უკვე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (ლიტვა, საქართველო) ხელისუფალთა პოზიციები „გკჩპ“-ის მიმართ არაერთგვაროვანი იყო. მაგალი-

---

\* რუსეთის ფედერაციის მომავალი თავდაცვის მინისტრი.

თად, ბალტიის სამივე რესპუბლიკამ, აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე, პირველსავე დღეს დაგმო „გკჩპ“-ის უკანონო ქმედება და მოუწოდა მოქალაქეებს გაენიათ „არაძალადობრივი წინააღმდეგობა“ თვითმარქვია ხელისუფლებისათვის. რიგითი ბალტიელები მართლაც სამაგალითო მოქალაქეობრივ სოლიდარობას ამჟღავნებდნენ. ამასთანავე, ისინი იუმორის გრძნობასაც არ კარგავდნენ. მაგალითად, ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორი განწყობა იყო მოსახლეობაში, რიგითმა მოქალაქემ ასე უპასუხა: „მოსახლეობა დაიყო ოპტიმისტებად, პესიმისტებად და რეალისტებად. ოპტიმისტები სწავლობენ ადგილობრივ ენებს, პესიმისტები – ციმბირის რუკებს, ხოლო რეალისტები – კალაშნიკოვის ავტომატს“.

გამონაკლისს მხოლოდ ადგილობრივი კომპარტიები და მოსკოვის მიერ შექმნილი „ინტერნაციონალური მოძრაობები“ წარმოადგენდნენ. ისინი ღიად უჭერდნენ მხარს საბჭოთა ჯარისა და ე. წ. ომონის ნაწილებს, რომლებიც სტრატეგიულ ობიექტებს იკავებდნენ.

ასეთივე პრინციპული, ვაჟკაცური პოზიცია დაიკავა მოლდოვის ხელმძღვანელობამ. რესპუბლიკის მთავრობამ და პარლამენტმა მიიღეს „გკჩპ“-ის საწინააღმდეგო ერთობლივი დეკლარაცია. ამ ორგანოს ყველა სამართლებრივი აქტი უკანონოდ ცხადდებოდა მოლდოვის მთელ ტერიტორიაზე.

რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკამ მოლოდინის პოლიტიკა აირჩია პრინციპით: „ჩვენ უკვე სუვერენულები ვართ და ჩვენთვის მთავარია მოსკოვის ნებისმიერმა ხელისუფლებამ აღიაროს ეს სუვერენიტეტი“. მაგალითად, უკრაინის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ლეონიდ კრავჩუკმა, 19 აგვისტოს განაცხადა, რომ ვითარებაში გასარკვევად დრო იყო საჭირო, ხოლო საგანგებო მდგო-

მარეობა ამ რესპუბლიკაში არ გამოცხადდებოდა. მომდევნო დღეს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანომ – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა – ვერ შეძლო მიეღო ერთობლივი განცხადება „გკჩპ“-ის ანტიკონსტიტუციური ქმედების შეფასებით. ასეთი დოკუმენტის წინააღმდეგ გამოვიდნენ კომუნისტი დეპუტატები. მომდევნო 21 აგვისტოს კრავჩუკმა და დეპუტატებმაც უფრო გამოკვეთილად ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები „გკჩპ“-ის მიმართ. მოსკოვში სასწორი შეთქმულთა წინააღმდეგ იხრებოდა, ამიტომ პრინციპულობის გამოჩენა უკვე ნაკლებად სახიფათო იყო.

„თანმიმდევრული მოლოდინი“ არჩიეს ბელორუსიისა და შუა აზიის რესპუბლიკების ხელმძღვანელმა ორგანოებმაც. კერძოდ, ბელორუსიის ლიდერმა იმდენად „შეუძლოდ“ იგრძნო თავი, რომ პუტჩის დასრულებამდე საერთოდ არ გამოჩნდა მინსკში და შვებულებასი ამჯობინა ყოფნა. თუმცა, ამ რესპუბლიკის დემოკრატიული ორგანიზაციები უფრო ღირსეულად მოიქცნენ და საყოველთაო გაფიცვისთვის დაიწყეს მზადება.

ევოლუცია მოლოდინიდან პრინციპულობისკენ განიცადა ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის პოზიციამაც. მან 19 აგვისტოს ჯერ ზოგადად ისაუბრა რესპუბლიკის სუვერენიტეტზე, ხოლო მომდევნო დღეებში „გკჩპ“-ის ანტიკონსტიტუციური ქმედებებიც დაინახა და ჯეროვნად შეაფასა.

რაც შეეხება სომხეთს, ამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის 19 აგვისტოს ერთობლივი განცხადება შემოიფარგლა მოსახლეობისადმი მოწოდებით, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და დისციპლინა. მოსკოვის მოვლენების რაიმე პოლიტიკური შეფასება არ გაკეთებულა. პრემიერმა ვაზგენ მანუკიანმა საერთოდ ყველას აჯობა გულახდილობით: „სომხეთის

სახელმწიფო ორგანოებმა ჯერჯერობით თავი უნდა შეიკავონ რაიმე კონკრეტული შეფასებებისაგან. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს მოსკოვში, მთავარია, როგორი იქნება მისი პოზიცია მთიანი ყარაბაღის პრობლემის მიმართ“.

19 აგვისტოს ირანში ვიზიტად მყოფმა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აიაზ მუთალიბოვმა მხარი დაუჭირა „გკჩპ“-ს. ოპოზიციურმა სახალხო ფრონტმა კი მოსკოვის მოვლენები სახელმწიფო გადატრიალებად შეაფასა და მოუწოდა რესპუბლიკის მოსახლეობას, არ ეთანამშრომლათ თვითმარქვია ხელისუფლებასთან.

სამწუხაროდ, გამორჩეულად ბუნდოვანი და არათანმიმდევრული იყო საქართველოს ხელმძღვანელობის რეაქცია. ამიერკავკასიაში საბჭოთა ჯარის დაჯგუფების მთავარსარდლის, ვალერი პატრიკეევის ინფორმაციით, 19 აგვისტოს იგი შეხვდა პრეზიდენტ გამსახურდიას და მასთან შეათანხმა მოქმედების საერთო გეგმა. კერძოდ, „ქართულმა მხარემ მისცა მას დაპირება 24 აგვისტოსათვის შეესრულებინა „გკჩპ“-ის ყველა მოთხოვნა“.

მომდევნო დღეს ცნობილი გახდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „შინაგანი ჯარების – საქართველოს რესპუბლიკის შსს ეროვნული გვარდიის – რეორგანიზაციის შესახებ“, რაც, ფაქტობრივად, ახალშექმნილი ეროვნული გვარდიის გაუქმებას ნიშნავდა. ეს გადაწყვეტილება იმავე წლის დეკემბერში გახდებოდა თბილისში სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ამასთანავე, 20 აგვისტოს გამსახურდიამ მიმართვა გაუგზავნა დასავლეთის ქვეყნებს, რომელშიც ითხოვდა საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დე-ფაქტო და დე-იურედ სასწრაფოდ აღიარებას, ასევე მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას.



21 აგვისტოს კლასიკურ საბჭოთა სტილში – ურთ-  
იერთგამომრიცხავი ინფორმაციებისა და მოვლენების  
ვითარებაში ჩაიარა; როდესაც ამ სტილს ვახსენებ,  
მხედველობაში მაქვს საბჭოთა და რუსული პოლიტი-  
კის უნიკალური თვისება, როდესაც ადამიანი ერთ-  
დროულად წინაც მიდის და უკანაც, თეთრი ფერი –  
შავია, ან, ვთქვათ, ტრამვაის ერთი ვაგონი მარცხნივ  
უხვევს, ხოლო მეორე – მარჯვნივ. ამ თვისების უკეთ  
აღწერა შეუძლებელია, ეს რუსმა კლასიკოსებმაც კი ვერ  
შეძლეს. ეტყობა სწორედ ამ ფენომენს გულისხმობდა  
იოსიფ ბროდსკი, როდესაც განაცხადა „რუსი ხალხის  
ყველაზე დამახასიათებელი თვისება ორაზროვნებაა“.

მაგალითად, მთელი დღის მანძილზე მედია ავრცელებ-  
და უტყუარ ცნობებს, რომ მოსკოვიდან სამხედრო ტექნი-  
კა გაჰყავდათ. იგივე მედია გვიმტკიცებდა, რომ სამხე-  
დროები კოლონებით მოსკოვის ცენტრისაკენ მიემართე-  
ბოდნენ. სხვადასხვა დონის სამხედრო ჩინოვნიკები კატ-  
ეგორიულად უარყოფდნენ პუტჩში თავიანთ მონაწილეო-  
ბას. არადა, მოსკოვში ყველა ხედავდა ჯარისკაცებისა  
და ჯავშანტექნიკის დიდ რაოდენობას. შუადღისას ახალ  
არბატთან პროტესტის ნიშნად გამოსულმა მოსკოველებ-  
მა ჯავშანტრანსპორტიორი დაწვეს. ძალოვანი უწყებების  
წარმომადგენლებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ეს მან-  
ქანა მათ არ ეკუთვნოდა. შეიძლება ჯავშანტრანსპორ-  
ტიორს პატრონი არ ჰყავდეს? ზემოხსენებული ფენო-  
მენის მიხედვით თუ დავასკვნით, – შეიძლება!

„გკჩპ“-ის მთავარი სამიზნე რუსეთის ფედერაციის  
ხელისუფლების შტაბი – ე. წ. „თეთრი სახლი“ იყო. აქ  
მოიყარეს თავი ელცინისა და გორბაჩოვის მხარდამ-  
ჭერებმა, პოლიტიკოსებმა, დეპუტატებმა, ცნობილმა  
მოღვაწეებმა. შენობას იცავდნენ კანონიერი ხელისუ-  
ფლების ერთგული სამხედროები. „თეთრი სახლის“

ირგვლივ მოსკოველებმა ბარიკადები აღმართეს. მათ დღის განმავლობაში შეაჩერეს სამხედროთა რამდენიმე მცდელობა, გაერღვიათ ბარიკადები. ყველა ელოდა გადამწყვეტ შეტევას – შეთქმულთა მხარდამჭერი სუკისა და სპეცრაზმის შტურმს.

ეს იყო რუსეთის დემოკრატიული საზოგადოების უაღრესად შთამბეჭდავი ბრძოლა მოყავისფრო-მოშავო რეტროგრადების წინააღმდეგ. როგორც 1941 წელს, ახლაც ბარიკადებზე გაჩნდა ლოზუნგი: „Фашизм не пройдет!“

მსოფლიო მედიაში გავრცელდა კადრები, თუ როგორ იდგა გენიალური რუსი მუსიკოსი მსტისლავ როსტროპოვიჩი „თეთრი სახლის“ გუშაგებთან ერთად. ამჯერად ვიოლენჩელოს მაგივრად ხელში მოუხერხებლად ეჭირა ავტომატი, რომლის მიმართაც ჰუმანისტი მაესტრო დემონსტრაციულად ავლენდა უარყოფით დამოკიდებულებას.

ბარიკადებზე მოსკოვის დამცველებთან მივა უკვე ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. მოსკოველები მას ეხვევიან, ჰკოცნიან, ხელში აყვანას ცდილობენ. შევარდნაძეც აღელვებას ვერ მალავს.

ეს უკვე სხვა მოსკოვია, სხვა რუსეთი!

„ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორმა შესანიშნავი სათაური შეურჩია თავის პუბლიკაციას – „Good morning Russia!“ მართლაც, 70 წლიანი ლეთარგიის შემდეგ იღვიძებდა ახალი რუსეთი. ნეტავ როგორი იქნება იგი?

ამ სტატიამ ერთ ჩემს მოსკოველ მეგობარს ასეთი ანეკდოტი გაახსენა: გორბაჩოვის მიერ გამოცხადებული ანტიალკოჰოლური კამპანიის პიკზე კრემლში მიიღეს რუსეთის ერთი დიდი რეგიონის ხელმძღვანელის ტელეგრამა: „სასწრაფოდ გამოგვიგზავნეთ 10 ვაგონი არაყი.“

ხალხი გამოფხიზლდა და გვეკითხება, სად არის ჩვენი მეფეო“.

ხუმრობა ხუმრობად იყოს და მეფის სურვილი რუს ხალხს მომდევნო წლებში მართლაც გაუჩნდება.

21 აგვისტოს ცნობილი გახდა სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი II-ის მიმართვა: „ის, ვინც აღმართავს იარაღს თავისი მოყვრისა და უიარალო ადამიანების წინააღმდეგ, ჩაიდენს უდიდეს ცოდვას, რომელიც მას დააშორებს ეკლესიასა და უფალს“. ეს სიტყვები აშკარად შეთქმულთა მისამართით იყო ნათქვამი.

არადა, „ცოდვის ზღვარი“ უკვე გადალახული იყო: ახალგაზრდა მოსკოველი, რომელიც სამხედრო კოლონის შეჩერებას ცდილობდა, სამხედროებმა პირდაპირი გასროლით გამოასალმეს სიცოცხლეს. ეს პირველი მსხვერპლი იყო.

მუშაობა დაიწყო რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიამ, დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა: „სახელმწიფო გადატრიალების შედეგად შექმნილი სიტუაცია რსფსრ-ში“. დეკრეტებმა ერთსულვნად დაგმეს „გკჩპ“.

იმავე დღეებში პრინციპული პოზიციით თავი გამოიჩინა მოსკოვის ვიცე-მერმა იური ლუჟკოვმა, რაც მოგვიანებით მას დაუფასდება კიდევც. ლუჟკოვი მერის თანამდებობას მიიღებს და ამ პოსტზე დარჩება 18 წელიწადს!

მთელი ღამის განმავლობაში კვლავ „თავისუფლებას“ ვუსმენდი; რალაც მომენტში კორესპონდენტმა სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით გვამცნო, რომ „თეთრ სახლზე“ შტურმი იწყებოდა. შენობის წინ სპეცრაზმელთა და ტექნიკის გადაადგილება დიდ სისხლისღვრას მოასწავებდა: სამხედრო ძალის უპირატესობა აშკარად შეთქმულთა მხარეს იყოს. ჟურნალისტებმა ერთ-ერთ რუს დეპუტატს გადასცეს მიკროფონი. პოლიტიკოსი საუ-

ბრობდა მშვიდად, მტკიცედ, მაგრამ მისი სიტყვები დამშვიდობებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ინტერვიუს: „მივმართავ ჩემს ამომრჩევლებს, თანამემამულეებს, მეგობრებს, ოჯახის წევრებს. ისინი აუცილებლად მოესწრებიან ამ ქვეყანაში სამართლიანობისა და დემოკრატიის გამარჯვებას. იმედი მაქვს, რომ მაშინ ისინი ჩვენც გაგვიხსენებენ“.

რადიომსმენელებს დაგვემშვიდობა „თავისუფლების“ კორესპონდენტიც: „ირგვლივ ყველა შეტაკების მოსაგერიებლად ემზადება. ამ ვითარებაში რეპორტაჟის გაგრძელებას ველარ შევძლებ. ბოდიშს გიხდით...“

დიდხანს ჩუმად ვისხედით დადუმებულ რადიოსთან. ასეთი მრავლისმთქმელი დუმილი არასდროს მინახავს.

ზუსტად არ მახსოვს, თუ რამდენ ხანს გასტანა პაუზამ. „ხდება საოცრება, სპეცრაზმები და სამხედრო ტექნიკა „თეთრი სახლის“ წინამდებარე ტერიტორიას ტოვებენ. მგონი შტურმი აღარ შედგება!“ – იმავე კორესპონდენტის ხმაში გაოცებაც იგრძნობოდა და სიხარულიც. ნუთუ გადავრჩით?

22 აგვისტო, ანუ პუტჩის მე-4 და ბოლო დღე, კლასიკური ამერიკული „ჰეპი ენდის“ სცენარით წარიმართა.

ადრე დილით, მოსკოვში გორბაჩოვის ჩამოსაყვანად, ყირიმში თვითმფრინავით გაემართა რუსეთის ხელისუფლების დელეგაცია. რამდენიმე საათის შემდეგ „საყვარელ პრეზიდენტთან“ გაემგზავრნენ „გკჩპ“-ის წარმომადგენლებიც. მათმა თვითმფრინავმა სულ რამდენიმე წუთით გაუსწრო რსფრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს 50-კაციან ჯგუფს, რომელსაც მითითება ჰქონდა პუტჩისტების დაკავების თაობაზე.

გორბაჩოვმა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თბილად მიიღო, პარალელურად კი ხელი მოაწერა ბრძანებას „ხუნტის წევრების“ დაპატიმრების შესახებ.

იმავე დღეს, მოგვიანებით, მთელი მსოფლიო იხილავს კადრებს, თუ როგორ ჩამოდის თვითმფრინავის ტრაპზე მოსკოვის აეროპორტში მიხეილ გორბაჩოვი მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად.

ჩვენი დასკვნა ასეთი იყო: ეს ის ენერგიული გორბაჩოვი აღარ არის, ადრე ენთუზიაზმით იმედის ნაპერწკალს რომ გვიღვივებდა. „პერესტროიკის“ შემოქმედს აშკარად ეტყობოდა გადაღლა და იმის გაცნობიერებაც, რომ მისი „ვარსკვლავი“ ჰორიზონტს იქით ჩასასვენებლად ემზადებოდა.

რუსეთის ცაზე ახალი მნათობი აკიაფდა, სახელად ბორის ელცინი.

სასწორი რომ საბოლოოდ „გკჩპ“-ის სანინააღმდეგოდ გადაიხარა, მაშინაც დავრწმუნდით, როდესაც მოვისმინეთ სომხეთის ხელმძღვანელთა ახალი განცხადება. ამჯერად ისინი აღტაცებას ვერ ფარავდნენ პუტჩისტების ნინააღმდეგ რუსეთის ლიდერების თავგამოდებული ქმედების გამო.

უხერხულად დუმდა საქართველოს ხელისუფლება. ოფიციალური პროპაგანდა კი გვიმტკიცებდა, რომ რუსეთში მიმდინარე მოვლენები ჩვენ სულაც არ გვეხებოდა, საქართველო ხომ უკვე დამოუკიდებელი იყო?!

არ გვეხებოდა (?!), მაგრამ ჩვენ მაინც გვახარებდა ცნობები პუტჩისტების – იანაევის, პავლოვის, იაზოვის, კრიუჩკოვის დაპატიმრების შესახებ. სხვაგვარი იყო დამოკიდებულება შინაგან საქმეთა მინისტრის პუგოს მიმართ. საქმე ის არის, რომ მან დაპატიმრებას თვითმკვლელობა არჩია (თავი მოიკლა მისმა ცოლმაც). ამ პიროვნებამ ოფიცრის ღირსება შეინარჩუნა, რაც პატივისცემას იმსახურებდა. იგივე შეიძლება ითქვას საბჭოთა გენშტაბის ყოფილი მეთაურის, გორბაჩოვის მრჩევლის, მარშალ სერგეი ახრომეევის თვითმკვლელობაზეც.

დასავლეთის დამოკიდებულება „გკჩპ“-ის მიმართ არაერთგვაროვანი იყო. ერთადერთი დასავლელი ლიდერი, რომელმაც მყისიერად სახელმწიფო გადატრიალებად შეაფასა მოსკოვის მოვლენები, დიდი ბრიტანეთის პრემიერი ჯონ მეიჯორი იყო. სხვა ევროპელმა ლიდერებმა პუტჩის სანყის ეტაპზე მოლოდინი ამჯობინეს. საკმაოდ ბუნდოვანი იყო პრეზიდენტ ბუშის პირველი რეაქცია, თუმცა მოვლენების განვითარების კვალდაკვალ ვაშინგტონის მხარდაჭერა გორბაჩოვისა და ელცინის მიმართ სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა.

1991 წლის აგვისტოს ბოლო ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე მომენტი იყო რუსეთის ისტორიაში. ძველი რომაელები ამბობდნენ: „რევოლუციის შემდეგ ყველაზე კარგი დღე მომდევნო დღეა“. მართლაც, ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს: ახლა, როცა დესტრუქციული ძალები გაანადგურეს, რუსეთის ბედნიერ მომავალს წინ არაფერი დაუდგება!

გავა სულ რამდენიმე წელი და რუსეთის რევანშისტული ძალები „გკჩპ“-ის წევრებს გმირებად მონათლავენ. პუტჩისტები მალე გამოვლენ ციხიდან და მისცემენ ინტერვიუებს, გამოაქვეყნებენ სტატიებს, მოგონებებს იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი მშობლიური სსრკ-ის გადარჩენას და როგორ უბიძგა მათ პუტჩისკენ თვით მიხეილ გორბაჩოვმა. გორბაჩოვს კი, როგორც „სსრკ-ის დამაქცეველს“, რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა თითქმის მოლაღატედ გამოაცხადებს. მოგვიანებით მას ელცინსაც მიაყოლებენ, მაგრამ ეს – რამდენიმე წლის შემდეგ.

მაშინ კი ყველა ოპტიმისტურად შესცქეროდა მომავალს.

იმ დღეებსა და მომდევნო გრძელი დღესასწაულების პერიოდში თითქმის ვერავინ შეამჩნია, რომ აგვისტო-

ოქტომბერში სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოაცხადა 11-მა მოკავშირე რესპუბლიკამ.\* საბჭოთა კავშირი ფაქტობრივად აღარ არსებობდა.

8 დეკემბერს ბელორუსიაში (ბელოვეჟის ნაკრძალი) რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრკ-ის ლიკვიდაციისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ (დსთ). ამ შეთანხმებას 21 დეკემბრისათვის შეურთდნენ სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც. მათ შორის არ ფიგურირებდნენ ბალტიის ქვეყნები და საქართველო.

ამგვარად, საბჭოთა კავშირის დაშლა იურიდიულადაც გაფორმდა.

ავვისტოს პუტჩმა რეალურად დაასრულა „პერესტროიკა“ და დასაბამი მისცა რუსეთში სრულიად ახალ ისტორიულ ეპოქას. ამ ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი, წინა საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, იქნება, უმთავრესად, კერძო საკუთრება და საბაზრო ეკონომიკა. მომდევნო წლებში რუსეთში საკმაოდ სწრაფად დაიშლება საბჭოთა პერიოდისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელი სოციალური თანასწორობა, მოხდება სახელმწიფო საკუთრების პრივატიზება და ოლიგარქიული ჯგუფების ჩამოყალიბება. ეს ძირეული ცვლილებები, ბუნებრივია, შეეხება პოლიტიკურ სისტემასაც, რომლის გარდაქმნა განხორციელდება გარკვეულ პლურალისტულ საფუძველზე.

თუკი ვიხელმძღვანელებთ კლასიკური კატეგორიებით და გავითვალისწინებთ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების მასშტაბებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1991 წლის აგვისტოში რუსეთში განხორციელდა მორიგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული

\* ყაზახეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 16 დეკემბერს.

რევოლუცია. ამგვარი რევოლუცია რუსეთში მოხდა 1917 წლის თებერვალშიც, რასაც შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალება და 70-წლიანი კომუნისტური ექსპერიმენტი მოჰყვა. ასე რომ, 1991 წელს რუსეთი იმავე ეკონომიკურ-პოლიტიკურ ფორმაციას დაუბრუნდა, რომელიც უკვე იქმნებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისში.

ამერიკელი ჟურნალისტის, ჯონ რიდის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი წიგნი „10 დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“. მასში აღწერილია 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციური პერიპეტიები, როდესაც რუსეთმა ერთბაშად უარი თქვა ახალშობილ კაპიტალიზმზე და უცნობი გზა – სოციალიზმის მშენებლობა აირჩია.

ჯონ რიდს 1991 წლის აგვისტომდე რომ ეცოცხლა\*, შეეძლო დაენერა ახალი წიგნი იმავე სათაურით და ამჯერად მოეთხრო, თუ როგორ კარდინალურად და თავდავინწყებით იბრუნა პირი რუსეთმა სოციალიზმიდან კვლავ კაპიტალიზმისაკენ.

ალბათ, სწორედ ამ ისტორიულმა გამოცდილებამ ათქმევინა ერთ ჩემს მოსკოველ ნაცნობს საინტერესო ფრაზა: „რუსეთში 10 დღეში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ 100 წელიწადში – თითქმის არაფერი“.

1991 წლის 25 დეკემბერს, ანუ კათოლიკური შობის დღეს, მიხეილ გორბაჩოვი ტელეფონით დაუკავშირდა აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს (უფროსს) და აცნობა თავისი გადაწყვეტილება სსრკ-ის პრეზიდენტის პოსტის დატოვების შესახებ. ე. ნ. ბირთვული ჩემოდნის მფლობელი ბორის ელცინი ხდებოდა. „ამგვარად, შეგიძლიათ მშვიდად აღნიშნოთ შობის დღესასწაული და წყნარად

---

\* ჯონ რიდი გარდაიცვალა 1920 წელს. იგი დასაფლავებულია კრემლის კედელთან.



დაიძინოთ. მე კი არ ვაპირებ ტაიგაში გადასახლებას, დავრჩები პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში“, – დასძინა გორბაჩოვმა.

საპასუხოდ აშშ-ის პრეზიდენტმა დაარწმუნა კოლეგა, რომ იგი ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნებოდა ამერიკაში და პირადად მის ოჯახში.

19:00 სთ-ზე გორბაჩოვმა პირდაპირი სატელევიზიო ეთერით ამცნო მოქალაქეებს გადადგომის შესახებ: „დსთ-ის შექმნასთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებაში მე ვწყვეტ ჩემს მოღვაწეობას სსრკ-ის პრეზიდენტის პოსტზე“.

19:38 სთ-ზე კრემლის თავზე ჩამოეშვა სსრკ-ის სახელმწიფო დროშა და აღიმართა რუსეთის ფედერაციის სამფერიანი აღამი.

სალამოს გორბაჩოვმა გამართა ვახშამი კრემლის ერთ-ერთ დარბაზში. ვახშამს 5 კაცი დაესწრო.

იმავე დღეს აშშ-მა ოფიციალურად ცნო რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის დამოუკიდებლობა. საქართველო, რომელიც ერთ-ერთი პირველი გადახტა საბჭოთა „ლაინერიდან“, ამ ნუსხაში არ იყო.

რობერტ გეიტსი იხსენებს იმ დღეებში აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერთან გამართული შეხვედრის საინტერესო დეტალებს. კერძოდ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით ბეიკერმა განაცხადა, რომ აშშ მათ მხარს დაუჭერდა გამომდინარე საკუთარი პრინციპებიდან და ფასეულობებიდან. საქართველოსთან დაკავშირებით კი მან დასძინა: „საქართველოს პრეზიდენტი ყველაზე მეტს საუბრობს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ იგი დემოკრატი არ არის“.

საქართველო, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გამო-

აცხადა 1991 წელს დამოუკიდებლობა, ამ ისტორიული მოვლენის რეალურ დადგომას ტრაგიკულ ვითარებაში შეეგება – თბილისში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

მოსკოვში აგვისტოს მოვლენების დროს საქართველოს ხელისუფლების პოზიციამ, ასევე საშინაო პოლიტიკაში დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა ქვეყნის მმართველ „მრგვალ მაგიდაში“ განხეთქილება გამოიწვია. პრეზიდენტ გამსახურდიას გუნდი მის მომხრეებად და მონინააღმდეგებად დაიყო. პოლიტიკური დაძაბულობა და კრიზისი მალე ორ ჯგუფს შორის შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა.

სამოქალაქო დაპირისპირების შედეგები უმძიმესი აღმოჩნდა: ადამიანთა მსხვერპლი, თბილისის ცენტრის დანგრევა, კანონიერი ხელისუფლების დამხობა. რაოდენ კრიტიკულადაც უნდა ვაფასებდეთ გამსახურდიას პოლიტიკას, ძალადობა სრულებით მიუღებლად მიმაჩნდა და მიმაჩნია. ამ ძალადობამ მომდევნო წლებში გამოიწვია უდიდესი განხეთქილება ქვეყნის მოსახლეობაში და პრაქტიკულად მოშალა საზოგადოებრივი ცნობიერება.

ჩემი აზრით, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკული პერიოდის შეფასება, მცირე გამონაკლისის გარდა, დღემდე არაობიექტურად ხდება. მე ადრე პოლიტიკაში ორაზროვნების რუსული სტილი ვახსენე, რაც აშკარად რაღაც კომპლექსის გამოხატულებაა. ჩვენი ქართული სტილი კი ყველაფრის სხვაზე გადაბრალება მგონია. კარგად მახსოვს, თუ როგორ მონდობით, დაუნდობლად და დამიზნებით ვესროდით ტყვიებს ქართველები ერთმანეთს, ყველაფერს კი ვაბრალებდით გორბაჩოვს, ელცინს, „მესამე ძალას“. არც მთავრობის სასახლის წინ ხელისუფლების მომხრეთა მიერ გამოფენილი „საუკუნის ლოზუნგი“ – „ძირს ბუში, კრემლის აგენტი!“ – არ ამომდის მეხსიერებიდან ყველაფერი ეს სხვისი

ბრალი იყო, ჩვენ კი ყველანი უცოდველნი და ფრთაშესხ-  
მული ანგელოზები ვიყავით!

რა თქმა უნდა, მაშინაც ალბათ მრავლად იყვნენ აგენტ-  
ტები, მაგრამ ერთად შეკრულ და გონიერ ხალხს ვერანაი-  
რი პროვოკატორები ვერ მოერევიან. რატომ ვერ გადაჰ-  
კიდეს ერთმანეთს აგენტებმა ლიტველები, ლატვიელები,  
ესტონელები?

თვითკრიტიკის ასეთმა დეფიციტმა მომდევნო წლებ-  
შიც არაერთხელ გადაგვყარა უბედურებას. მეჩვენება,  
რომ საკუთარი შეცდომების დანახვის უნარი დღესაც  
გვაკლია. ჩვენს სიტყვასა და ქმედებას ხშირად კვლავ  
ის ფენომენი განსაზღვრავს, რასაც სრულიად საქართ-  
ველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II კატეგორიულ  
აზროვნებას უწოდებს.

1991-1992 წლების დრამატული ზამთრის პასუხისმგე-  
ბლობა მთელ ქართველ საზოგადოებას აწევს კისერზე.  
ეს ჩვენ მიერ ჩადენილი კოლექტიური დანაშაულია და  
ამ დანაშაულის მონანიება მხოლოდ მიტევებითა და  
ერთიანობით არის შესაძლებელი.

## იუგოსლავია: ჯოჯოხეთი ტურისტულ სამოთხეში

*„გონების ძილი ურჩხულებს ბადებს“  
ფრანსისკო გოია*

იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში მოხვედრა საბჭოთა ადამიანის ოცნება იყო.

თუკი ბულგარეთში ან, ვთქვათ, გდრ-ში სამოგზაუროდ საბჭოთა ტურისტს სუკის სპეციალური შემონმება არ სჭირდებოდა, იუგოსლავიაში გამგზავრება მხოლოდ ამ ორგანიზაციის თანხმობით ხდებოდა. მიზეზი მარტივი იყო – ბულგარეთიდან დასავლეთში ვერ გაიქცეოდი, იუგოსლავიის საზღვრები კი კაპიტალისტურ მეზობლებთან ფაქტობრივად ღია იყო. ამიტომ, ჩვენთვის ნორმალურად ჟღერდა ფრაზა – „იუგოსლავია სოციალისტურია, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნად ითვლება“.

მათთვის, ვისაც სსრკ-ში არ უცხოვრია, ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ ითვლებოდა სოციალისტური ქვეყანა კაპიტალისტურად. იუგოსლავია ნათლად გამოირჩეოდა საბჭოთა მოდელის სხვა სახელმწიფოებისაგან: მაღაზიები სავსე იყო ადგილობრივი და დასავლური ხარისხიანი ნაწარმით, კურორტები კი – გერმანელი, ფრანგი, სკანდინავიელი, იტალიელი ტურისტებით. მათი რაოდენობით იუგოსლავიას ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ეკავა ევროპაში. იუგოსლავიელები მოსაზღვრე იტალიასა და ავსტრიაში თავისუფლად მოგზაურობდნენ, რაც ასევე განასხვავებდა მათ სსრკ-ის სხვა „მომქე სოციალისტური“ ქვეყნების მოქალაქეებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანას კომუნისტური პარტია მართავდა, მისი რეჟიმის ლიბერალიზმი საბჭოთა მოქალაქეებისათვის თვალში საცემი იყო. თუნდაც ის რად ღირდა, რომ იქ თავისუფლად შეიძლებოდა დასავლური ჟურნალ-გაზეთების ყიდვა და იმ ფილმების ნახვა, რომლებსაც სსრკ-ში იდეოლოგიური მოსაზრებებით არ გვიჩვენებდნენ.

იუგოსლავიელებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ სსრკ-ში „თითქმის კაპიტალისტურებად“ მიიჩნევდნენ, ამიტომ ცოტა ქედმაღლურადაც ეჭირათ თავი გაღლეტილ საბჭოთა ტურისტებთან. ისინი თავს გვანონებდნენ ორიგინალური და საკმაოდ ეფექტური ეკონომიკური სისტემით, რომელიც კერძო და სახელმწიფო საკუთრების ნაზავს წარმოადგენდა. საწარმოების მფლობელები თვითდასაქმებულთა კოლექტივების წევრები იყვნენ, სოფლის მეურნეობა კი თითქმის მთლიანად ფერმერთა საკუთრება იყო. იუგოსლავიელებისა ისიც გვშურდა, რომ ისინი დასავლეთ ევროპაში მასობრივად გადიოდნენ საშოვარზე, მამაკაცები უმთავრესად შავ სამუშაოზე, ქალები კი – მომვლელებად. დასავლეთ ევროპაში მომუშავე და მოხეტიალე იუგოსლავიელებს შორის ბევრი ქურდი და კრიმინალი იყო.

იუგოსლავია სხვა „ძმებისგან“ იმითაც გამოირჩეოდა, რომ არ იყო ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი და მოსკოვისაგან დისტანცირებულ პოლიტიკას ატარებდა. მისი უცვლელი პრეზიდენტი იოსიფ ბროზ ტიტო, 1950-იან წლებიდან მოყოლებული, ე.წ. მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი გახლდათ.

ამ ქვეყნის მიმართ სსრკ-ს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჯერ კიდევ სტალინის დროს ჩამოუყალიბდა. საქმე ისაა, რომ ბროზ ტიტო ერთადერთი კომუ-

ნისტი ლიდერი იყო, რომელმაც ხელისუფლება მოსკოვისაგან დამოუკიდებლად მოიპოვა. ტიტო II მსოფლიო ომის დროს გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ იუგოსლავიელ პარტიზანთა ბრძოლას ხელმძღვანელობდა და ნაცისტების დამარცხების შემდეგ 35 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას. იგი თავის ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და დასავლეთშიც საკმაოდ პოპულარული იყო. ტიტოს ხან აშშ-ის პრეზიდენტები ხვდებოდნენ და ხან დიდი ბრიტანეთის დედოფალი. ის საბჭოთა კავშირის კრიტიკის უფლებასაც კი აძლევდა თავს.

ტიტოს დამოუკიდებლობა და „თვითნებობა“ სტალინს ძალიან აღიზიანებდა. 1947 წელს მისი მითითებით შეიქმნა მსოფლიოს კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიურო, ე.წ. კომინფორმი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ტიტოს წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლა იყო. 1949 წელს კომინფორმმა მიიღო რეზოლუცია სათაურით „იუგოსლავიის კომპარტია ჯაშუშებისა და მკვლევლების ხელში“. შინაარსი ალბათ კომენტარს არ საჭიროებს.

მოგვიანებით ხრუშჩოვი იხსენებდა, რომ სტალინი ტერორისტულ ოპერაციებს ამზადებდა იუგოსლავიის ლიდერის წინააღმდეგ. კერძოდ, ოდესიდან ბულგარეთის გავლით საიდუმლოდ გაიგზავნა საკმაოდ დიდი სპეცრაზმი, რომელსაც ტიტო უნდა გაენადგურებინა. რალაც მიზეზების გამო ოპერაცია ვერ განხორციელდა.

მომდევნო წლებში ტიტოს მოკვლა დაევალა ლათინურ ამერიკაში „ჩანერგილ“ საბჭოთა აგენტს ვინმე იოსიფ გრიგულევიჩს, რომელიც კოსტა-რიკის მთავრობამ იუგოსლავიაში გააგზავნა ელჩად. გრიგულევიჩს ტიტო ან ტყვეით უნდა მოეკლა, ან მოენამლა. საბჭოთა ჩეკისტების ეს გეგმაც ჩაიშალა, რამაც ტიტოც გადაარ-

ჩინა და გრიგულევიჩი. ეს უკანასკნელი სიცოცხლის ბოლოს მოსკოვში ცხოვრობდა და საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი იყო.

ტიტომ კარგად იცოდა სტალინის შავბნელი გეგმების შესახებ, მაგრამ ფაშისტებთან ბრძოლებში გამობრძმედილი იუგოსლავიელი ლიდერის დაშინება რთული საქმე აღმოჩნდა. მან ასეთი „ქუჩური“ შეტყობინებაც კი მიახალა საჯაროდ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს: „შენყვიტე მკვლელების გამოგზავნა, ჩვენ ხუთი მათგანი უკვე დავიჭირეთ... თუ ამას კვლავ გააგრძელებ, ისეთ ფეხმარდ ხალხს გამოვუშვებ მოსკოვში, რომ მეტის გამოგზავნა აღარ დამჭირდება“. ასეთი შეურაცხყოფა ბელადისათვის არავის არ მიუყენებია!

ტიტოსა და მის მოადგილე ალექსანდრ რანკოვიჩს სტალინის პრესა პირსისხლიან ყასბებად ხატავდა. ამბობდა, რომ ისინი ნაჯახებით აჭირდნენ თავებს იუგოსლავიელ პატრიოტებს. საბჭოთა მოსახლეობას უმტკიცებდნენ, რომ იუგოსლავია ფაშისტური ქვეყანა იყო. ამ დროს ბელგრადის რადიო კომუნისტური ჰიმნით – „ინტერნაციონალით“ – იწყებდა და ამთავრებდა გადაცემებს.

ალექსანდრე სოლჟენიცინის ვერსიით, როდესაც სტალინს წარუდგინეს ტიტოს მოკვლის მორიგი გეგმა, მან ყურადღებით მოისმინა ვრცელი ინფორმაცია და ბოლოს მშვიდად, საქმიანად დასვა მხოლოდ ერთი კითხვა: „А Ранкович?“ ბუნებრივია, გეგმაში „კორექტივები“ შეიტანეს.

ხრუმჩოვის მმართველობის დროს იუგოსლავიასთან ურთიერთობები მოსკოვმა მეტ-ნაკლებად დაარეგულირა. ნიკიტა სერგეევიჩი ბელგრადს ეწვია და ბევრი ხელშეკრულებაც გააფორმა ტიტოს მთავრობასთან. მომდევნო ათეული წლების მანძილზე ბელგრადი ანვ-

დიდა სსრკ-ს ტექსტილის ნაწარმს, ავეჯს, კვების პროდუქტებს, მედიკამენტებს. საბჭოთა მოქალაქისათვის იუგოსლავური კოსტიუმის შექმნა დიდი მიღწევა იყო.

ხრუშჩოვის შემდეგ იუგოსლავიის ეკონომიკურ მოდელს მოსკოვში ერთხანს აკვირდებოდნენ კიდევც. პრემიერ-მინისტრ ალექსეი კოსიგინს სურდა საბჭოთა კავშირში ამ გამოცდილების დანერგვა, მაგრამ ბრეჟნევიმა ეს არ ისურვა.

1980 წელს, ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, ვითარება წარმატებულ და გაბრწყინებულ ქვეყანაში უარესობისკენ შეტრიალდა. საქმე ის იყო, რომ იუგოსლავია, ანუ სამხრეთ სლავეთი, უაღრესად ჭრელ ეთნო-რელიგიურ კონგლომერატს წარმოადგენდა. საუკუნეების განმავლობაში ეს ტერიტორია იყო დასავლეთიდან კათოლიკეების, აღმოსავლეთიდან – მართლმადიდებელი ქრისტიანების, ხოლო სამხრეთიდან მუსლიმურ ოსმანთა იმპერიის ექსპანსიის ობიექტი.

თანამედროვე ერთიანი სახელმწიფოს – მონარქიის – სახით იუგოსლავია I მსოფლიო ომის დასრულებისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა, ხოლო II მსოფლიო ომის შემდეგ სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა. ამგვარად, ერთად ცხოვრების ისტორიული გამოცდილება ამ სახელმწიფოში შემავალ ერებს არ ჰქონდათ. სერბები, მონტენეგროელები და მაკედონიელები მართლმადიდებლები არიან. სხვა სლავური ეთნოსები კი ან კათოლიკეები (მაგ., სლოვენები და ხორვატები), ან მუსლიმები. კოსოვოს მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმი ალბანელები არიან და არ მიეკუთვნებიან სლავებს. მუსლიმები არიან ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მცხოვრები ე.წ. ბოსნიაკები – შუა საუკუნეებში ისლამზე მოქცეული სერბულენოვანი ხალხი. მუსლიმები იუგოსლავიის ფედერაციის



სხვა რესპუბლიკებშიც მრავლად ცხოვრობდნენ. ასეთი მრავალფეროვნების გამო ბალკანეთს ბევრი კავკასიასაც კი ადარებს.

თვით ბროზ ტიტო წარმოშობით ხორვატიიდან იყო. მას ძალიან არ სიამოვნებდა იმის გახსენება, რომ 1941-1945 წლებში ხორვატიის კვაზიდამოუკიდებელი სახელმწიფო ჰიტლერს უჭერდა მხარს.

გარდა ამ ეთნორელიგიური სიჭრელისა, იუგოსლავიაში შემავალი ორ ფედერაციული რესპუბლიკის\* სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ერთობ უთანაბროდ გამოიყურებოდა. კერძოდ, თუკი ტურისტულ ხორვატიასა და სლოვენიაში ცხოვრების დონე დასავლეთ ევროპულთან იყო მიახლოებული, ბოსნია-ჰერცეგოვინის მოსახლეობა ჩამორჩენილი აგრარული წესით ცხოვრობდა. ყველაზე ძლიერი ამ რესპუბლიკებიდან სერბეთი იყო. იგი პრაქტიკულად იუგოსლავიის სახელმწიფოებრივი ხერხემალი გახლდათ.

იუგოსლავიაში იყო შიდა პოლიტიკური წინააღმდეგობებიც. მაგალითად, ამ ფედერაციაში შემავალი ცალკეული რესპუბლიკები, უპირველესად ხორვატია და სლოვენია, მეტ ავტონომიას ითხოვდნენ, ხოლო სერბეთში უნიტარული პოლიტიკის მომხრეებს ქვეყნის მეტად ცენტრალიზება სურდათ. სანამ ტიტო ცოცხალი იყო და ავტორიტარულად მართავდა ქვეყანას, ეს შიდა წინააღმდეგობები ნაკლებად იგრძნობოდა. აი, იუგოსლავიის ბელადის გარდაცვალების შემდეგ კი ახალ კოლექტიურ ხელისუფლებასა და თვით ცალკეულ რესპუბლიკებში თავი იჩინა სერიოზულმა პრობლემებმა. ფედერაციის ძალაუფლების სათავეში მოსულმა სერბმა სლობოდან მილოშევიჩმა თავისი პოლიტიკის მთავარ ამოცანად

---

\* ესენია: სერბეთი, მონტენეგრო, ბოსნია-ჰერცეგოვინა, სლოვენია, მაკედონია, ხორვატია.

სწორედ სერბეთის პოზიციების გაძლიერება დაისახა. აღნიშნული მიმართულებით მილოშევიჩის პირველსავე ნაბიჯებს საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა კოსოვოში, რომელსაც ავტონომიური სტატუსი ჰქონდა სერბეთის შემადგენლობაში.

1990 წელს იუგოსლავიის კომუნისტთა ლიგის XXIV ყრილობაზე მოხდა დიდი განხეთქილება – მილოშევიჩის პოლიტიკით უკმაყოფილო ხორვატიისა და სლოვენიის დელეგაციებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს ფორუმი. იმავე წელს სოციალისტურ იუგოსლავიაში გაიმართა პირველი დემოკრატიული არჩევნები. ყველა ცალკეულ რესპუბლიკაში დიდი უპირატესობით ნაციონალისტურმა, ზოგ შემთხვევაში კი რადიკალური ორიენტაციის პარტიებმა გაიმარჯვეს. ეს დიდი უბედურების მომასწავებელი იყო, რადგან თანხმობის ძიების ნაცვლად, ცალკეულმა რესპუბლიკებმა და პოლიტიკურმა ძალებმა თავისკენ „საბნის გადაქაჩვის“ ტაქტიკა არჩიეს. ფედერაციის ცენტრმა – ბელგრადმა – ამ არეულობის ძალისმიერი გზით მოგვარება გადაწყვიტა; და, როგორც იტყვიან, აირია მონასტერი...

1991 წლის ივნისში სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სლოვენიამ და ხორვატიამ, ხოლო სექტემბერში – მაკედონიამ. მილოშევიჩს რომ ჩეხოსლოვაკიის გზა აერჩია\*, იგი შეძლებდა მოვლანათა ტრაგიკული განვითარების თავიდან აცილებას. მაგრამ, საუბედუროდ, მილოშევიჩი არ იყო ვაცლავ ჰაველი და ეს ძვირად დაუჯდა მილიონობით ადამიანს.

მოგვიანებით, რუსეთში ყოფნისას და საქართველოშიც, არაერთხელ მსმენია, რომ დასავლეთმა ხელი შეუწყო იუგოსლავიის დაშლას. ეს არასწორია. რეალობა ის

---

\* ჩეხოსლოვაკია 1992 წელს მშვიდობიანად დაიშალა ორ სახელმწიფოდ – ჩეხეთად და სლოვაკეთად.

არის, რომ სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა თავიდან არ აღიარა არც ევროკავშირმა და არც აშშ-მა. დასავლეთი კატეგორიულად იდგა იმ პოზიციაზე, რომ პრობლემები ფედერაციის ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის მოლაპარაკების გზით უნდა მოგვარებულიყო. დასავლეთი პრინციპულად უჭერდა მხარს იუგოსლავიის ფედერაციის შენარჩუნებას. თუმცა, მომდევნო პერიოდში მილოშევიჩის მიერ განხორციელებულმა უაღრესად აგრესიულმა ქმედებებმა აიძულა დასავლეთი შეეცვალა პოზიცია.

მილოშევიჩის პირველი სამიზნე სლოვენია გახდა. ამ რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების საპასუხოდ ბელგრადმა გადანყვიტა სლოვენიაში იუგოსლავიის სახალხო არმიის ნაწილების შეყვანა. იმავდროულად, უკანონოდ გამოაცხადა ე. წ. ტერიტორიული დაცვის ძალები, რომლებიც ტიტოს მიერ იყო შექმნილი და ადგილობრივ მთავრობებს ექვემდებარებოდა. სლოვენიის მთავრობამ ამ გადანყვიტალებებს საკუთარი ძალების მობილიზაციითა და ახალი სამხედრო ფორმირებების შექმნით უპასუხა.

ბელგრადში სამხედროები ურჩი სლოვენიის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ორ ვარიანტს განიხილავდნენ – ფართომასშტაბიანი ინტერვენცია, ან ძალის დემოსტრირება დაშინების მიზნით. ბოლოს მეორე ვარიანტზე შეჩერდნენ. ამასთან, ჯარს ამოცანად დაუსახეს ავსტრიასა და იტალიასთან სლოვენიის სასაზღვრო გადასასვლელების გაკონტროლება; მაგრამ 27 ივნისს სლოვენიის ტერიტორიაზე ფედერალური ჯარის ნაწილების გამოჩენას წინააღმდეგობა, სისხლიანი შეტაკებები და პირველი მსხვერპლი მოჰყვა. ვითარების ესკალაცია იმდენად სწრაფად მოხდა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ რეაგირება ვერ შეძლო.

ჩვენ ტელევიზიით შევცქეროდით საბრძოლო სცენებს და გვიკვირდა, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო ევროპის შუაგულში, ცივილიზებულ ქვეყანაში, ტურისტულ სამოთხეში. ვხედავდით, როგორ მიმდინარეობდა შეტაკებები სლოვენის კოპნია სოფლებსა და დასახლებებში, მონესრიგებული ავტოსტრადებიდან და გზებიდან კი ტანკები მონინალმდეგეს ბომბებს უშენდნენ. ბელგრადი სლოვენელების წინააღმდეგ სამხედრო ავიაციასაც იყენებდა. მართლაც წარმოუდგენელი რამ იყო!

სლოვენის რაზმების ბრძოლის პარტიზანული მეთოდი ფრიად ეფექტური აღმოჩნდა. ისინი მოულოდნელად ესხმოდნენ თავს ფედერალებს და საკმაოდ დიდ ზიანსაც აყენებდნენ; როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფედერალურ ჯარში მყოფმა სლოვენელებმა არც კი იცოდნენ, რომ საკუთარი მხარის წინააღმდეგ საბრძოლველად მიჰყავდათ. ამიტომ ბევრი მათგანი სლოვენელებს მიემხრო.

როდესაც სამხედროებმა ბელგრადში დაინახეს, რომ შეზღუდულმა სამხედრო ოპერაციამ შედეგი ვერ გამოიღო, მათ მთავრობას სრულმასშტაბიანი ინტერვენციის გეგმა წარუდგინეს. აღსანიშნავია, რომ ტიტოს მიერ განვრთვნილი და შეიარაღებული არმია ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში. ოფიცერთა შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა კი სერბი იყო. სამხედროების ეს გეგმა რომ განხორციელებულიყო, უდიდესი მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა. მაგრამ ფედერალური მთავრობის მეთაურმა ბორისლავ იოვიჩმა გონიერება გამოიჩინა და ეს გეგმა უარყო.

საერთაშორისო ზენოლის გათვალისწინებით, ბელგრადი იძულებული გახდა ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მალე ბელგრადმა თავისი საჯარისო ნაწილები მთლიანად გაიყვანა სლოვენიიდან.

ომი სლოვენიაში მხოლოდ 10 დღეს გაგრძელდა და დიდი მსხვერპლი არ მოჰყოლია: იუგოსლავიის სახალხო არმიამ დაკარგა 44 მეომარი, ხოლო სლოვენიელებმა – 18, მაგრამ ომს მძიმე პოლიტიკური შედეგები მოჰყვა ფედერაციული იუგოსლავიისათვის. სლოვენიელებისა და ევოპელებისთვის ეს იყო არა მხოლოდ „დავითის ბრძოლა გოლიათთან“, არამედ შოვინისტური ბელგრადის რეჟიმის დაპირისპირება დემოკრატიულ სლოვენიასთან. დასავლეთში მალე გააცნობიერეს, რომ მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ იუგოსლავიის ერთიან სახელმწიფოში სლოვენიის შენარჩუნება უკვე შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ევროგაერთიანებამ სლოვენიის მთავრობას მისცა გარკვეული პერიოდი ბელგრადთან ურთიერთობის დასარეგულირებლად. 1992 წლის 15 იანვარს ევროკავშირის ქვეყნებმა სლოვენიის\* დამოუკიდებლობა აღიარეს.

ბელგრადის მიერ სლოვენიის წინააღმდეგ უფრო მასშტაბური და მკაცრის ზომების მიღებას ხელი შეუშალა რამდენიმე გარემოებამ. უპირველესად, იუგოსლავიის ეს ყველაზე განვითარებული რესპუბლიკა ესაზღვრება ავსტრიას, იტალიასა და უნგრეთს. ამ ქვეყნებთან უშუალო სიახლოვეს ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების წარმოება ბელგრადისათვის უაღრესად წამგებიანი იქნებოდა. გარდა ამისა, სერბეთს არა აქვს საზღვარი უშუალოდ სლოვენიასთან, მათ ხორვატიის ტერიტორია ყოფს. ასევე, იმის გამო, რომ სლოვენიაში სერბი ეროვნების მოსახლეობა მცირეა, მილოშევიჩს ამ რესპუბლიკაში არ ჰქონდა პოლიტიკური დასაყრდენი.

და, რაც მთავარია, მილოშევიჩისათვის იმ ეტაპზე მთავარი ამოცანა ხორვატიის დამორჩილება იყო.

---

\* დღეისათვის სლოვენია ნატოსა და ევროკავშირის წევრია.

როდესაც ხელისუფლება და ზოგადად საზოგადოება წარსულზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე აწმყოსა და მომავალზე, საქმე, როგორც ნესი, ცუდად მთავრდება.

ევროპაში ძნელად მოიძებნება ერი, რომელსაც მეზობელთან წარსულში პრობლემები არ ჰქონია. გონიერი ხალხი წარსულის შეცდომების გამეორებას ერიდება, უგუნური – ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს, უმთავრესად – თავის საზიანოდ. საუბედუროდ, ასეთი სენი შეეყარათ იუგოსლავიის დაშლის პროცესში ჩართულ პოლიტიკოსებს, რომლებიც ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

რაც უფრო ნათლად იკვეთებოდა ხორვატიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების პერსპექტივა, მით უფრო აგრესიული ხდებოდა ხორვატების მიმართ მილო-შევიჩის ხელისუფლება. სერბებმა გაიხსენეს, თუ როგორ დაუნდობლად დევნიდნენ მათ II მსოფლიო ომის დროს ხორვატიის მმართველი ფაშისტი უსტაშები. იხსენებდნენ ყველა უბედურებას, რაც უკვე ჩავლილი ან მივიწყებული იყო. მეორე მხრივ, ხორვატებმა ჩართეს „სიძულვილის მანქანა“ და დაიწყეს სერბების ლანძღვა-გინება. ამ უკანასკნელთ აბრალებდნენ იმპერიალისტურ ზრახვებს, „დიდი სერბეთის“ შექმნის მცდელობებს, ხორვატთა შევიწროვებას, მათი ინტერესების უგულვებლყოფას და ა.შ.

ვინც ადრე იუგოსლავიის ხალხთა მეგობრობასა და ინტერნაციონალიზმს ქადაგებდა, სწორედ მათ ააფრიალეს ყველაზე მაღლა ნაციონალიზმის დროშა. მრავალეროვან ქვეყანაში კი ნაციონალიზმის გაღვივება უაღრესად სახიფათო რამაა. პოლიტიკოსების, ფსევდოპატრიოტებისა და უპასუხისმგებლო პრესის აგრესიამ მალე მოსახლეობასაც გაახსენა მივიწყებული წყლულები. სიტყვიერი ძალადობა საკმაოდ სწრაფად გადაიზარდა ფიზიკურში.

ხალხში აგრესიულობის მატების უტყუარი „დეტექტორი“ ფეხბურთია. 1990 წლის მაისში მატჩი ბელგრადის „ცვერნა ზვეზდასა“ და ზაგრების „დინამოს“ შორის უმსგავსო კოლექტიურ ცემა-ტყეპაში გადაიზარდა. ვინც მატჩს არ ესწრებოდა, ხორვატი თუ სერბი, სახლში ტელევიზორთან იგინებოდა – „უჰ, თქვენი!“ იმავე თვის ბოლოს ხორვატიის პარლამენტმა დაამტკიცა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც სერბებმა თავიანთი უფლებების შელახვა ამოიკითხეს. ტიტოს დროს ხორვატიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ბევრი სერბი იყო, ახალმა ხელისუფლებამ ამ „ცდომილების გამოსწორებაც“ დაიწყო. კერძოდ, პოლიცია მთლიანად ხორვატებს დაექვემდებარა.

ასეთი „თავნებობით“ განრისხებულმა მილოშევიჩმა ხორვატიის აღმოსავლეთ ნაწილში კომპაქტურად დასახლებული სერბების წაქეზება დაიწყო, რომლებმაც ცალკეულ ანკლავებში სერბული კრაინის სუვერენიტეტი და ავტონომია გამოაცხადეს. როდესაც სერბებმა ამ თემაზე რეფერენდუმის ჩატარება გადაწყვიტეს, ხორვატიის მთავრობამ პოლიციის სპეციალური ძალები დარაზმა, მაგრამ მათ წინ იუგოსლავიის სახალხო არმია გადაეღობა.

1991 წლის აპრილში ადგილობრივმა სერბებმა ხორვატი პოლიციელები დახოცეს (ამას სერბები კატეგორიულად უარყოფდნენ). ვითარება უკიდურესად გამწვავდა. 25 ივნისს, საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ (სერბებმა მას ბოიკოტი გამოუცხადეს), ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. არადა, ხორვატიის ტერიტორიის 30%-ს იუგოსლავიის სახალხო არმია და ადგილობრივი სერბების შეიარაღებული რაზმები აკონტროლებდნენ.

თუკი ბელგრადის ხელისუფლებამ სლოვენელების

წინააღმდეგ მასშტაბური ძალის გამოყენებისგან თავი შეიკავა, ხორვატიაში კატასტროფული შეცდომა დაუშვა – აგვისტოდან იუგოსლავიის ჯარმა დაიწყო ქალაქების ბლოკადა და მათი დაბომბვა. მსოფლიო გაოგნებული შესცქეროდა შემზარავ სცენებს. იბომბებოდა შიბენიკი, ზადარი, შიშაკი, კარლოვაცი, გოსპინი. პირადად მე ამ ულამაზესი ქალაქების სახელები ადრე იუგოსლავიაში ტურისტული მოგზაურობიდან მახსოვდა. მხოლოდ ქალაქ ვუკოვარში მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლმა სამი ათას ადამიანს გადააჭარბა. ვუკოვარი პრაქტიკულად მთლიანად განადგურდა, დაინგრა 15 ათასი (!) შენობა. შეიარაღებული რაზმები არ ინდობდნენ ლტოლვილებსა და მშვიდობიან მოსახლეობას.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ტერმინ „ეთნიკური წმენდის“ ინტენსიური გამოყენება, რაც შემდგომ ფართოდ გავრცელდა. ევროპელებმა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მეზობლად საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის შესახებაც პირველად შეიტყვეს. ასეთ ბანაკებში ტყვეები ჰყავდათ როგორც სერბებს, ასევე ხორვატებს.

ომი ყოფილ იუგოსლავიაში ნამდვილი შოკი აღმოჩნდა ევროპელებისთვის. ერთია, როდესაც ომია სადღაც აფრიკაში ან თუნდაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მეორეა, როცა ეს ხდება მეზობელ ქვეყანაში, სადაც ევროპელების დიდი ნაწილი საზაფხულო არდადეგებს ატარებდა. მაგალითად, დუბროვნიკის დაბომბვას ევროპელები, ალბათ, კომმარშიც ვერ წარმოიდგენდნენ. ამ ისტორიამ მთელი ევროპა მართლაც ყალყზე დააყენა. მსოფლიოს საგანძურად აღიარებული კულტურისა და არქიტექტურის ძეგლების დანგრევას სერბეთის მიმართ ევროკავშირის სანქციების დაწესება მოჰყვა. საერთაშორისო საზოგადოება ბელგრადის



წინააღმდეგ ამხედრდა, მსოფლიოს მედია კი სრულად აშუქებდა ხორვატიის ტრაგედიას.

მალე კონფლიქტის ორბიტაზე რუსეთიც გამოჩნდა. მოსკოვში გაიხსენეს, რომ ისინი ღრმადმორწმუნე მართლმადიდებლები არიან, ხოლო სერბები – ოდითგან მათი სლავური სისხლი და ხორცი. ერთ-ერთი პირველი ვლადიმერ ჟირინოვსკი იყო. იგი ბელგრადს ეწვია და განაცხადა, რომ სერბი ხალხის მტრების წინააღმდეგ რუსეთი უახლეს იარაღს – „ელიპტონს“ – გამოიყენებდა. ჟირინოვსკის თქმით, ეს იარაღი მომაკვდინებელ ხმაურს გამოსცემდა და ამით მასობრივად ანადგურებდა მოწინააღმდეგეს. დასავლეთის სამხედრო ექსპერტები სერიოზულად არკვევდნენ, თუ რა იარაღს გულისხმობდა რუსი პოლიტიკოსი. საბოლოოდ, ეს ბლეფი გაშიფრეს და დაასკვნეს, რომ „ელიპტონი“ მეგაფონით შეიარაღებული ჟირინოვსკი იყო.

სამხედრო აგრესიასთან ერთად ბელგრადმა ხორვატიის წინააღმდეგ პოლიტიკური აგრესიაც განახორციელა – 1991 წლის დეკემბერში კრაინის ავტონომია სერბული კრაინას რესპუბლიკად გარდაიქმნა. ეს იყო მცდელობა, ხორვატიის ტერიტორიაზე შექმნილიყო სეპარატისტული სახლმწიფო, რომელიც არ მალავდა სერბეთთან გაერთიანების სურვილს.

ბელგრადმა სწორად ვერ გათვალა. მოვლენათა დრამატული განვითარებით შეძრულმა ევროპელებმა ხორვატებს დახმარების ხელი გაუწოდეს. ხორვატიის დამოუკიდებლობა პირველმა ისლანდიამ აღიარა, შემდეგ – გერმანიამ, 1992 წლის იანვარში კი – ევროკავშირის სხვა ქვეყნებმაც. ეს ხორვატიის დიდი საერთაშორისო წარმატება იყო.

1992 წლის დასაწყისში კონფლიქტის დარეგულირებაში ჩაერთო გაერო, რომლის ძალისხმევითაც დაპირისპირე-

ბულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მალე კონფლიქტის ზონაში გაერთიანებული ერების დაცვის ძალები (UNPROFOR) განთავსდა. იუგოსლავიის არმია იძულებული გახდა, გაეყვანა ხორვატიიდან თავისი შენაერთები, თუმცა სერბების გასამხედროებული ჯგუფები კვლავ აკონტროლებდნენ ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს.

გაეროს ძალისხმევის მიუხედავად, 1992-1993 წლებში სისხლიანი შეტაკებები არ წყდებოდა, რაც მსხვერპლს, ლტოლვილთა რაოდენობასა და ეთნიკური წმენდის ფაქტებს ამრავლებდა. ერთ-ერთი ასეთი შეტაკების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ უკან დახეულმა სერბებმა დანაღმეს პერუჩას დიდი ჰიდროელექტროსადგური. რომ არა ბრიტანელი ოფიცრის, მარკ გრეის, თავდადებული და პროფესიონალური ქმედება, წყლის ნიაღვარი ახლოს მდებარე რაიონებში 20 ათასამდე ადამიანს შეინიარავდა. აი, ასეთ ბოროტებაზეც კი მიდიოდნენ ადამიანები, რომლებიც სულ რაღაც 3-4 წლის წინ ერთ ქვეყანაში ბედნიერად ცხოვრობდნენ.

საყურადღებოა, რომ ხორვატებმა საკმაოდ სწრაფად მოახერხეს საკუთარი საბრძოლო პოტენციალის სრულყოფა და ეფექტურ კონტრშეტევებზე გადასვლა. იუგოსლავიის სახალხო არმიასთან დაპირისპირება სახუმარო საქმე არ იყო. მის რიგებში მსახურობდა 170 ათასი სამხედრო, მათ შორის, 70 ათასი ოფიცერი, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ 2 ათასამდე ტანკითა და 300-მდე თვითმფრინავით. მაგრამ სამხედროების დიდი ნაწილი არ იყო მეზობლებთან საომრად მოტივირებული. გარდა ამისა, ფედერალური ჯარის ნაწილებს თვითნებურად ტოვებდნენ ალბანელები, ხორვატები, მაკედონიელები, სლოვენელები და იქ უმთავრესად სერბები და მონტენეგროელები რჩებოდნენ. 1992 წლის შემდეგ ხორვატთა

წინააღმდეგ უმთავრესად ადგილობრივი სერბები და კრაინას სამხედრო ფორმირებები იბრძოდნენ.

ხორვატთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც ფაქტობრივად პოლიციის ბაზაზე შეიქმნა, საკუთარ მიწა-წყალს იცავდნენ და ეს დიდი უპირატესობა იყო.

1993-1994 წლებში სამხედრო ინიციატივა ხორვატთა მხარეს გადავიდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა სულ უფრო ძლიერ ზეწოლას ახდენდა მილოშევიჩის ხელისუფლებაზე. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ხორვატებს სამხედრო სფეროში დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანაც ეხმარებოდა. კერძოდ, ბრიტანული პრესის მონაცემებით, ხორვატიის ჯარის განვრთნაში განსაკუთრებული როლი პენტაგონს მიუძღოდა. გარდა ამისა, სერბების მთავარი ძალისხმევა ბოსნია-ჰერცეგოვინისკენ იყო მიმართული, სადაც კონფლიქტმა საერთო ევროპული მასშტაბი მიიღო.

ხორვატებმა რამდენიმე წარმატებული ოპერაცია განახორციელეს და საკმაოდ შეავიწროვეს კრაინას სერბების ძალები. გაერომ არაერთხელ მოუწოდა ხორვატებს, შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები, მაგრამ უშედეგოდ.

1993-1994 წლის დასაწყისში ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა აცნობა გაეროს გენერალურ მდივანს, რომ ხორვატთა აღარ მიიჩნევა შესაძლებლად UNPROFOR-ის მისიის გაგრძელებას. ამის მიზეზად დასახელდა ბელგრადის მცდელობა, დაეკანონებინა სერბული კრაინას არსებობა და მიეერთებინა იგი იუგოსლავიისათვის.

1995 წლის 5-8 აგვისტოს ხორვატიის შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს უაღრესად ეფექტური და წარმატებული „ოპერაცია გრიგალი“, რომლის შედეგადაც მათ პრაქტიკულად მთლიანად დაიქვემდებარეს

ხორვატიის მთელი ტერიტორია. ეს იყო II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ჩატარებული ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, მასში მონაწილეობდა ხორვატიის არმიის 100 ათასამდე სამხედრო.

ახლა უკვე ხორვატების „ჯერი დადგა“ დაეწყოთ ეთნიკური წმენდა და მასობრივი ძალადობა. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 200 ათასი სერბი იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი, დაიღუპა მრავალი სამხედრო და სამოქალაქო პირი, ადგილი ჰქონდა ნამებისა და საკუთრების განადგურების უამრავ ფაქტს.

მომდევნო წლებში ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაეცემა არაერთი სერბი და ხორვატი სამხედრო პირი, რომელთა ქმედება შეფასდება დანაშაულად კაცობრიობის წინაშე.

*სხვადასხვა მონაცემით ხორვატიის ომში დაიღუპა 20 ათასამდე ადამიანი, აქედან 13 ათასამდე ხორვატი და 7 ათასამდე სერბი. 50 ათასამდე ადამიანი დაიჭრა და დასახიჩრდა. 220 ათასამდე ხორვატი და 300 ათასამდე სერბი ლტოლვილი გახდა, დაინგრა 180 ათასამდე შენობა. ეკონომიკურმა ზარალმა, სულ მცირე, 30 მილიარდი დოლარი შეადგინა.*

1995 წლის 12 ნოემბერს მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელმაც ფაქტობრივად დაასრულა ეს სამხედრო კონფლიქტი. გაეროს მანდატით ხორვატიაში ახალმა სამშვიდობო მისიამ დაიწყო მუშაობა (UNTAES).

1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქალაქებში მათხოვრები მომრავლდნენ. ეს ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო, მათი ვინაობა ჯერ ყველამ არ იცოდა. ეს ადამიანები რალაციით ბოშებს ჰგავდნენ, მაგრამ ბოშებისგან განსხვავებით, უფრო მოკრძალებულად ეჭირათ თავი. ჩანდა, მათხოვრობა მათთვის ჩვეული

საქმე არ იყო. მათ შორის უმეტესობა ქალები და ბავშვები იყვნენ.

ესენი ბოსნიელი ლტოლვილები იყვნენ.

თუკი ბალკანეთი ევროპის ყველაზე რთულ რეგიონად ითვლებოდა, ბოსნია ამ რეგიონში თავისი პრობლემატურობით გამოირჩეოდა. შემთხვევითი არ არის, რომ I მსოფლიო ომი სარაევოში გასროლილ ტყვიას მოჰყვა.

ერთიანი იუგოსლავიის არსებობის ბოლო პერიოდში ბოსნია-ჰერცეგოვინის მოსახლეობის 44% ბოსნიელი მუსლიმები იყვნენ (ე.წ. ბოსნიაკები), 31% – სერბები, 17% – ხორვატები, 8% კი სხვა ეროვნებების წარმომადგენლები.

ბოსნიაში 1990 წელს ჩატარებული დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა 3 პარტიისაგან შემდგარი კოალიცია. ამ პარტიების ამომრჩევლები რელიგიურ-ეთნიკური ნიშნით დაიყვნენ: მუსლიმი ბოსნიელები, სერბები, ხორვატები. ე. წ. პრეზიდენტის თავმჯდომარე გახდა ბოსნიელი მუსლიმი, პრემიერ-მინისტრი – ხორვატი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე – სერბი. ეს კოალიცია სწრაფად დაიშალა, რადგან მუსლიმებსა და ხორვატებს საქმე ბოსნიის დამოუკიდებლობისაკენ მიჰყავდათ, ხოლო სერბები იუგოსლავიის შემადგენლობაში დარჩენის მომხრენი იყვნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურობდა სერბული დემოკრატიული პარტიის ლიდერი რადოვან კარაჯიჩი. სერბი დეპუტატები 1991 წლის ოქტომბერში პროტესტის ნიშნად გამოვიდნენ პარლამენტიდან და შექმნეს პარალელური საკანონმდებლო ორგანო – *სერბი ხალხის სკუპ-შჩინა*, მომდევნო წლის იანვარში კი მათ გამოაცხადეს *ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სერბული რესპუბლიკის* შექმნის შესახებ (მოგვიანებით – *სერბული რესპუბლიკა*). ამ რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა რადოვან კარაჯიჩი.

საპასუხოდ მუსლიმებმა და ხორვატებმა 1992 წლის პირველ მარტს ჩაატარეს რეფერენდუმი, რომელმაც მხარი დაუჭირა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფო დამოუკიდებლობას (სერბებმა რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადეს).

როდესაც 6 აპრილს ევროკავშირმა აღიარა ბოსნიის დამოუკიდებლობა, იქ უკვე სამოქალაქო ომი იწყებოდა.

„გონების ძილი ურჩხულებს ბადებს“ – გენიალური ესპანელი მხატვრის, ფრანსისკო გოიას მიერ 200 წლის წინ წარმოთქმული ეს სიტყვები სავსებით მიესადაგება ბოსნიის ტრაგედიას.

ბოსნიის ომი იმდენად რთული და „ჩახლართული“ ისტორიაა, რომ მისი ზუსტად აღწერაც კი ძნელია. ამ ომში, მართლაც, ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა. სერბები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი სერბებით დასახლებული ტერიტორია გაეკონტროლებინათ, რის გამოც ისინი ადგილობრივ მუსლიმებსა და ხორვატებსაც დაუპირისპირდნენ. სერბული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს (დაახლოებით რამდენიმე ათასი) გენერალი რატკო მლადიჩი ედგა სათავეში. იგი იუგოსლავიის სახალხო არმიისა და ბელგრადის ხელისუფლების ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობდა. სერბებს ეხმარებოდა 4 ათასამდე მოხალისე მართლმადიდებელი ქვეყნებიდან, მათ შორის რუსეთიდან, უკრაინიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან...

ხორვატები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ბოსნიის ის ნაწილები, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ მათი თანამემამულენი. ამით ისინი სერბებსაც უპირისპირდებოდნენ და ბოსნიელ მუსლიმებსაც. ბოსნიელი ხორვატებისა და ე.წ. *ხორვატთა თავდაცვის საბჭოს* რიგებში იბრძოდა 50 ათასამდე ადამიანი. მათ იარაღითა და ცოცხალი ძალით მხარს უმაგრებდა ხორვატიის რესპუბ-

ლიკის რეგულარული არმია. გარდა ამისა, ხორვატთა გვერდით იბრძოდნენ ბოვეიკები და ნეონაციისტები დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

ყველაზე ცუდ დღეში ომისათვის მოუმზადებელი ბოსნიელი მუსლიმები აღმოჩნდნენ, რომლებსაც სერბებთანაც მოუწიათ ბრძოლა და ხორვატებთანაც. *ბოსნიის რესპუბლიკის არმია* უმთავრესად მუსლიმებით იყო დაკომპლექტებული. ბოსნიელი მუსლიმების დასახმარებლად დაირაზმა ათასობით მოჯაჰედი ისლამური ქვეყნებიდან. კონფლიქტის ბოლო ეტაპზე ბოსნიაში შეიქმნა მუსლიმ მოხალისეთა რამდენიმე ბრიგადა.

ბრძოლებში ასევე მონაწილეობდნენ კბილებამდე შეიარაღებული კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც ხან მონოეთნიკური ნიშნით ერთიანდებოდნენ და ხან – არა. ისინი ზოგჯერ პოლიტიკურ შეფერილობასაც იძენდნენ, თუმცა მეტწილად უბრალოდ ყაჩაღობდნენ. მათ დასახელებებში ხშირად „არნივი“ თუ „ლომი“ ფიგურირებდა. ამგვარი „არნივები“ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოშიც გვხვავს.

1992-1993 წლებში სამხედრო უპირატესობა სერბების მხარეზე იყო, ისინი ბოსნიის 70%-ს აკონტროლებდნენ, ხორვატები – 20%-ს. ეთნიკური წმენდის ბარბაროსულ მეთოდებს სამივე მხარე იყენებდა. ამ მხრივ სერბთა ლიდერების – კარაჯიჩისა და მლადიჩის – მომხრეები გამოირჩეოდნენ.

ბოსნიის სამოქალაქო ომმა თავიდანვე საერთაშორისო კონფლიქტის სახე მიიღო. უფრო მეტიც, კონფლიქტი საერთაშორისო ცხოვრების ცენტრალურ თემად იქცა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მთავარ მსხვერპლად იმთავითვე ბოსნიის მუსლიმი მოსახლეობა გამოიკვეთა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ისლამურ სამყაროში. განსაკუთრებით აიმაღ-

ლა ხმა თურქეთმა, რომელსაც ისტორიულად დიდი კავშირი ჰქონდა ამ რეგიონთან. გარდა ამისა, სლოვენისა და ხორვატიისაგან განსხვავებით, ძალადობას ბოსნიაში გაცილებით დიდი და ბარბაროსული მასშტაბები ჰქონდა. ამ ომის სისასტიკე გერმანელი ნაცისტების ქმედებას უტოლდებოდა თავისი საკონცენტრაციო ბანაკებითა და მოსახლეობის მასობრივი განადგურებით. ბოსნიის საბრძოლო მოქმედებები მეზობელ ქვეყნებზე კონფლიქტის გავრცელების საფრთხესაც კი ქმნიდა.

ყოველივე ამის გამო კონფლიქტის დარეგულირებაში აქტიურად ჩაერთო ნატო.

იმ და მომდევნო პერიოდში ბევრი შეთქმულების თეორია შეიქმნა. ერთნი ნატოს ადანაშაულებდნენ მუსლიმების მხარდაჭერაში, მეორენი – სერბებს, მესამენი – ხორვატებს და ა.შ. რეალობა კი ის გახლდათ, რომ კოლექტიურმა „გონების ძილმა“ ურთულესი დილემა წარმოშვა: როგორ და ვის უნდა შეეჩერებინა ეს კოლექტიური ძალადობა?

1993 წლის ივნისიდან ნატოში საქართველოს დიპლომატიურ მისიას ვხელმძღვანელობდი. ამ რანგში რეგულარულად მიწევდა ახალშექმნილი *ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს*\* შეხვედრებში მონაწილეობა, სადაც დეტალურად განიხილებოდა ვითარება ბოსნიაში. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ნატოს ხელმძღვანელი ორგანოების, პოლიტიკური და სამხედრო სამსახურების უმაღლესი პირები, ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები. ბოსნიის პრობლემა მუდამ პირველ საკითხად ფიგურირებდა დღის წესრიგში. აშკარა იყო, დასავლეთი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო მექანიზმებით ამ კონფლიქტის დარეგულირებას.

---

\* North Atlantic Co-operation Council (NACC)



ნატო სულ სხვა მიზნებისათვის, კერძოდ, საბჭოთა კავშირის შესაძლო აგრესიის შესაჩერებლად იყო შექმნილი „ცივი ომის“ დასაწყისში. ახლა ეს ორგანიზაცია სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე იდგა, რომლის საპასუხოდ მას არ ჰქონდა გამოცდილება. არადა, კონფლიქტის მოგვარების რეალური რესურსი არც ერთ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციას არ გააჩნდა. ამგვარად, ნატო იძულებული ხდებოდა ჩარეულიყო თავის სამეზობლოში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში, თანაც დროულად, სანამ ეს ხანძარი ნატოს „შენობასაც“ მოედებოდა.

რა ევოლუცია განიცადა აშშ-ის პოზიციამ ბოსნიის კონფლიქტის მიმართ, საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი ბილ კლინტონის მემუარებში. კერძოდ, ვაშინგტონის მიდგომა საწყის ეტაპზე ასეთი იყო – ევროპელების პრობლემებისათვის თვითონ ევროპელებს უნდა მიეხედათ. ინიციატივით ევროგაერთიანება გამოვიდა. მისმა წარმომადგენელმა ლორდმა კარინგტონმა კონფლიქტის მხარეებს შესთავაზა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ბოსნიის დაყოფას ეთნიკური ნიშნით. ეს წინადადება არ მიიღეს, რადგან ბოსნიის ეთნიკური პალიტრის დანაწევრება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

გეგმა კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა სერბებისათვის, რომელთა სამხედრო ფორმირებები მუსლიმებს ატერორებდნენ და თან არწმუნებდნენ მსოფლიოს, რომ თვით სერბები იყვნენ ტერორის მსხვერპლნი.

1992 წლის 27 აპრილს იუგოსლავია გარდაიქმნა ახალ სახელმწიფოდ სერბიისა და მონტენეგროს შემადგენლობით. მისი ლიდერი, მილოშევიჩი, აგრძელებდა ბოსნიელი სერბების სამხედრო დახმარებას, რაც რთულ მდგომარეობაში აყენებდა ევროგაერთიანებასა და გაეროს. საქმე ის იყო, რომ ომის შესაჩერებლად, როგორც მინიმუმ, საჭირო ხდებოდა იარაღზე საერთაშორისო ემბარ-

გოს დაწესება, მაგრამ სერბებს იმდენი იარაღი ჰქონდათ, რომ ემბარგო მათ ნაკლებად აზიანებდა, ხოლო ბოსნიელი მუსლიმები კვლავ დაუცველნი რჩებოდნენ.

მედიაში შუქდებოდა შემზარავი ამბები. მაგალითად, სერბების მხრიდან ბოსნიის დედაქალაქის – სარაევოს – ბლოკადა 1992 წლიდან 3,5 წლის მანძილზე გაგრძელდა, რაც უახლესი ისტორიის სამარცხვინი რეკორდია. ქალაქში ბევრი ბოსნიელი მუსლიმი ცხოვრობდა და სწორედ ისინი დაზარალდნენ ყველაზე მეტად. სარაევოს ცუდად შეიარაღებულ დამცველთა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სერბები იყენებდნენ მძიმე არტილერიას, ჰაუბიცებს, რაკეტებს. სნაიპერები, პირდაპირი მნიშვნელობით, ნადირობდნენ ადამიანებზე. 1994 წლის 5 თებერვალს სარაევოს ხალხმრავალ ბაზარში ყუმბარმტყორცნის პირდაპირი გასროლით მოხდა აფეთქება, რამაც 66 ადამიანი იმსხვერპლა, 200-მდე კი დაშავდა.

სარაევოს ალყის დაწყების წინ რადოვან კარაჯიჩმა განაცხადა: „რამდენიმე დღეში სარაევოში 500 ათასი ცხედარი დაიყრება, ხოლო ერთი თვის შემდეგ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მუსლიმები საერთოდ აღარ იქნებიან“. კარაჯიჩის წინასწარმეტყველება არ გამართლდა, მაგრამ, მთლიანად, სარაევოში დაიღუპა 12 ათასამდე ადამიანი, აქედან 1500-დე ბავშვი, დაიჭრა და დასახიჩრდა 55 ათასამდე მოქალაქე.

ამ დამორგუნველ სცენებსა და სტატისტიკას მსოფლიო უმწეოდ შესცქეროდა.

ბოსნიის ისტორიული ქალაქი მოსტარი ხორვატთა შეიარაღებული ფორმირებების მიერ 10 თვის განმავლობაში იყო გარშემორტყმული. როდესაც 2001 წელს ვენვიე ამ ქალაქს, ომის ჭრილობები ჯერ კიდევ ეტყობოდა როგორც შენობებს, ასევე ადამიანებს. ქალაქის მოსახლეობა ისევ გაყოფილი იყო: მუსლიმები – ცალკე,

ქრისტიანები – ცალკე. ომის დასრულების შემდეგ ორივე მხარე კვლავ ტურიზმის ინდუსტრიაზე გადაერთო. ქრისტიანი და მუსლიმი გიდები ბეჯითად უყვებოდნენ უცხოელ ტურისტებს, თუ როგორ დაუნდობლად დაანგრიეს მომხდურებმა მოსტარი. მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობა ცნობილი *ძველი ხიდი* იყო. მე-16 საუკუნის ეს საოცრება ალყის დროს ბოსნიელმა ხორვატებმა ააფეთქეს გაოგნებული მსოფლიოს თვალწინ. ეს ვანდალიზმი სამხედროებმა რაღაც „სტრატეგიული მიზანშეწონილებით“ ჩაიდინეს, რის გამოც მოგვიანებით ჰააგის სასამართლოს წინაშე წარდგნენ.

2001 წელს ამ ხიდის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა, რაც 2004 წელს დასრულდა. მოსტარის მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება.

1992 წლის შემოდგომაზე ევროგაერთიანების ახალმა წარმომადგენელმა დევიდ ოუენმა და გაეროს წარმომადგენელმა საირუს ვენსმა\* შეიმუშავეს წინადადება ავტონომიებად ბოსნიის დაყოფის შესახებ. ამ ავტონომიების ადმინისტრაციებს ექნებოდათ ყველა ფუნქცია, გარდა თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობებისა, რაც ბოსნიის ცენტრალური ხელისუფლების ხელში დარჩებოდა. ავტონომიების ეთნიკური კონფიგურაცია ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ბოსნიელი სერბების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს არ ჰქონოდათ საშუალება, მიერთებოდნენ იუგოსლავიას, რათა შეექმნათ ე.წ. დიდი სერბეთი. ეს გეგმა მომდევნო პერიოდში აქტიური განხილვის საგანი გახდა. 1994 წლის 18 მარტს ვაშინგტონში ბოსნიელი მუსლიმებისა და ხორვატების ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის შესაბამისად იქმნებოდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია.

\* აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი (1977–1980 წ.).

იმავედროულად, ევროპელები და აშშ ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ მილოშევიჩსა და კარაჯიჩზე, რათა მათ შეეჩერებინათ სამხედრო მოქმედება ბოსნიაში და მიეღოთ საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინადადებები. გაეროს ეგიდით დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციები, კერძოდ, იმ რაიონებში, რომლებიც უსაფრთხოების ზონებად გამოცხადდა და სადაც გაეროს ცისფერჩაფხუტიანები განთავსდნენ. ერთ-ერთ ასეთ „უსაფრთხო“ ზონაში, აღმოსავლეთ ბოსნიაში, იყო უმეტესად მუსლიმებით დასახლებული ქალაქი *სრებრენიცა*. ბოსნიელმა სერებმა რამდენჯერმე სცადეს ქალაქის აღება, მაგრამ უშედეგოდ. მოსახლეობა სრებრენიცას არ ტოვებდა, რადგან გაეროს თავდაცვის ძალების (UNPROFOR) ხელმძღვანელობისაგან მიღებული ჰქონდა უსაფრთხოების გარანტიები.

1995 წლის ივნისში სერებმა, გენერალ რატკო მლადიჩის მეთაურობით, აიღეს სრებრენიცა და ერთდროულად მოკლეს 8 ათასი (!) მუსლიმი. გაეროს ცისფერჩაფხუტიანებმა – 400-მა ჰოლანდიელმა სამხედრომ – წინააღმდეგობა არ გაუწიეს აგრესორებს.\* მოგვიანებით ნატოს შტაბ-ბინაში განაცხადეს, რომ ალიანსის სამხედრო თვითმფრინავები ცდილობდნენ სერებების შეჩერებას და მათი პოზიციების დაბომბვას, მაგრამ ცუდმა ამინდმა მათ ხელი შეუშალა. ამ განმარტებამ, ბუნებრივია, ვერავინ ვერ დააკმაყოფილა.

როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, სრებრენიცაში მოხდა „ევროპაში II მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი სამხედრო დანაშაული“. ამ ტრაგედიის შემდეგ სერებები, პრაქტიკულად, სრულ საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდნენ. მათ ლიდერებს – მილო-

---

\* ამ ფაქტს ჰოლანდიაში სკოლის მოსწავლეებს აცნობენ, როგორც სამხედროთა უღირსი ქცევის ნიმუშს.

შევიჩს, კარაჯიჩს, მლადიჩსა და სხვებს – მსოფლიოს პრესა უკვე ფაშისტებს ადარებდა.

გავა 17 წელი და სერბეთის ახლად არჩეული პრეზიდენტი – მილოშევიჩის მთავრობის ყოფილი მინისტრი – ტომისლავ ნიკოლიჩი განაცხადებს, რომ „სრებრენიცაში გენოციდს ადგილი არ ჰქონია“, ხოლო ის, რაც მოხდა, იყო სერბი ხალხის „ზოგიერთი წარმომადგენლის“ მძიმე დანაშაული. ეს განცხადება მსოფლიოში დიდ გაოცებას გამოიწვევს.

სრებრენიცის ტრაგედიამ 1995 წელს გამოააშკარავა თანამედროვე ბარბაროსობის წინაშე დემოკრატიული თანამეგობრობის უსუსურობა. როგორც ამერიკელმა დიპლომატმა რიჩარდ ჰოლბრუკმა განაცხადა, ჩვენ თვალწინ იყო „დასავლეთის ყველაზე დიდი კოლექტიური წარუმატებლობა უსაფრთხოების სფეროში ბოლო 60 წლის მანძილზე“.

ნატოს სამხედრო ჩარევა ბოსნიის კონფლიქტში ეტაპობრივი და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო. ამ დრამატული ნაბიჯის გადადგამამდე დასავლეთმა პრაქტიკულად ყველა არსებულ ხერხს მიმართა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით, მაგრამ სამწლიანმა მოლაპარაკებებმა, ცალკეული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივამ, ემბარგომ და თვით ნატოს არაერთგზის გაფრთხილებამ თუ ულტიმატუმმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად შუაგულ ევროპაში მიმდინარეობდა არნახული მასობრივი ძალადობა და ეთნიკური წმენდა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. ერთი მხრივ ექსტრემიზმმა, ხოლო მეორე მხრივ გაეროს უმწეობამ, შექმნა ვითარება, როდესაც ნატოს ან ბედის ანაბარა უნდა მიეცოვებინა ბოსნიის მოსახლეობა, ან მიეღო არაორდინალური ზომები.

უშედეგო ქმედება ეჭვქვეშ აყენებდა ნატოს ავტორიტეტს, რომელსაც ევროპაში უშიშროების მთავარ გარანტად აღიქვამდნენ როგორც მისი წევრი, ასევე პარტნიორი ქვეყნები. პრესის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდება: გვეყო ლაპარაკი, დროა საქმით შევუდგეთ ბოსნიაში მშვიდობის დამყარებას.

ბოსნიაში მშვიდობის ძალისმიერი მეთოდებით დამყარებისათვის საჭირო იყო გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი მანდატის მიღება, რაც საკმაოდ პრობლემურ ამოცანას წარმოადგენდა რუსეთის პოზიციის, ანუ სერბების მიმართ მოსკოვის აშკარა სიმპათიების გამო. მიუხედავად ამისა, რუსეთი იმ ეტაპზე საკმაოდ იოლად დათანხმდა გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატზე; თუმცა ამან ხელი არ შეუშალა რუსეთს, მოგვიანებით დაედანაშაულებინა ნატო ამ მანდატის პირობების დარღვევაში.

გაერო-ს მანდატის შესაბამისად, ნატომ განახორციელა ე. წ. პრევენციული საჰაერო კამპანია, რომელიც შემოიფარგლებოდა სერბების ცალკეული სამხედრო პოზიციების იმგვარი დაბომბვით, რომ ამას რაიმე მსხვერპლი ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი არ მოჰყოლოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს ზედმეტად მოკრძალებულმა სამხედრო აქციამ კიდევ უფრო გაათამამა სერბები – პრაქტიკულად უბიძგა მათ ბოსნიელი მუსლიმების წინააღმდეგ უფრო აქტიური მოქმედებისაკენ. სერბებმა გააძლიერეს შეტევა გაეროს მიერ ბოსნიის ტერიტორიაზე დაწესებული ე. წ. სამშვიდობო ზონების წინააღმდეგ და მიქვლებოდაც კი აიყვანეს გაეროს სამშვიდობო პერსონალის წარმომადგენლები. აღნიშნული მოვლენები ნატოს პრესტიჟისა და აშშ-ევროპის სოლიდარობის უმძიმეს გამოცდად იქცა.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა მუშაობა ნატოში იმისათვის, რომ გამოძებნილიყო ბოსნიის სამშვიდობო პროცესში რუსეთის პოზიტიური ჩართვის გზები. მოგვიანებით რუსეთისთვის მისაღები აღმოჩნდა წინადადება თავისი სამხედრო შენაერთების მონაწილეობის შესახებ ბოსნიის სამშვიდობო ძალებში (IFOR).

1995 წელს ნატომ გააძლიერა სამხედრო ოპერაციები სერბების პოზიციების წინააღმდეგ, რამაც, პოლიტიკურ ზენოლასთან ერთად, აიძულა ისინი დეიტონის (აშშ) მოლაპარაკებისას წასულიყვნენ სერიოზულ დათმობებზე.

ამ მოლაპარაკების საბოლოო შედეგს – „ბოსნიის სამშვიდობო შეთანხმებას“ – კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ხელი მოაწერეს პარიზში 1995 წლის 14 დეკემბერს.

„დეიტონის შეთანხმება“ ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში მეტად რთული სახელმწიფოებრივი კონფიგურაციის ჩამოყალიბებას. ტერიტორიის 51% ეთმობოდა ბოსნიელებითა და ხორვატებით დასახლებულ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციას, ხოლო 49% – უმთავრესად სერბებით დასახლებულ სერბულ რესპუბლიკას. ფედერალურ ერთეულებს არ ჰყოფს ერთიანი ადმინისტრაციული საზღვარი და აქვთ „მიმოფანტული“ ანკლავები, რაც ართულებს სახელმწიფოებრივ მმართველობასა და სტაბილურობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მომდევნო წლებში მოვლენათა განვითარებამ დადასტურა ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სიცოცხლისუნარიანობა.

15 დეკემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით IFOR-ს დაევალა ამ შეთანხმების ე. წ. სამხედრო ნაწილის განხორციელება. მომდევნო დღეებში დაიწყო ბოსნიაში 80-ათასიანი IFOR-ის ეტაპობრივი განთავსება და ოპერაცია სახელწოდებით „Joint Endeavour“.

„დეიტონის შეთანხმების“ შესაბამისად, IFOR-ის მთავარი სამხედრო ფუნქცია იყო ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის უზრუნველყოფა, დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება და მათთვის მძიმე შეიარაღების ჩამორთმევა, ასევე ბოსნიის საჰაერო სივრცის კონტროლი. ამ ფუნქციების შესრულებას ხელი უნდა შეეწყოს „დეიტონის ხელშეკრულების“ ე. წ. სამოქალაქო ნაწილის რეალიზაციისათვის, რომლის მთავარი მიზანი იყო ქვეყანაში მშვიდობისა და ნორმალური ცხოვრების პირობების აღდგენა.

აღნიშნულ ოპერაციაში რუსეთი პრაქტიკულად ჩაერთო 1996 წლის იანვრიდან, რაც ნატოსა და რუსეთს შორის სპეციალური შეთანხმებით გაფორმდა. ამ შეთანხმების მიხედვით, რუსეთის სამხედრო-სამშვიდობო კონტინგენტი უშუალოდ ექვემდებარებოდა რუს გენერალს, რომელიც ამავე დროს ინიშნებოდა ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის (SACEUR) მოადგილედ.

თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნული ოპერაციის განხორციელებას – იქმნებოდა ნატოს საზღვრებს მიღმა მისი სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის გამოყენების პრეცედენტი, რაც უნიკალური იყო იმითაც, რომ ოპერაციაში ერთობლივად მონაწილეობდნენ „ცივი ომის“ ეპოქის მოწინააღმდეგეები – ნატო და რუსეთი. ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ჯ. ჯულვანი წერდა: „დეიტონის შეთანხმება არის რუსეთთან დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შეთანხმებამ არა მარტო მშვიდობა მოუტანა ბოსნია-ჰერცეგოვინას და შეამცირა ფართომასშტაბიან ომში კონფლიქტის გადაზრდის საფრთხე, არამედ შექმნა



ნატო-რუსეთს შორის ორმხრივი ნდობის საფუძველიც. ამით ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა... ვხედავ, რომ ნატოსა და რუსეთს შეუძლიათ ერთად მუშაობა და ეს თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს“.

1996 წლისათვის სამშვიდობო ოპერაციამ ბოსნიაში მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამ დროს უკვე დაგროვდა მდიდარი გამოცდილება როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით. აქტუალური ხდებოდა ამ გამოცდილების გაანალიზება და მისი შესაძლო გამოყენება სხვა არსებული კონფლიქტების მოგვარების მიზნით. ასეთი კუთხით „ბოსნიის მოდელი“ საქართველოს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი ალტერნატივა.

1996 წლის სექტემბერში ბოსნიაში არჩევნების ჩატარების შემდეგ IFOR-მა წარმატებით დაასრულა მასზე დაკისრებული მისია. დღის წესრიგში დადგა ამ ოპერაციისათვის პროფილის შეცვლა, რაც უკვე ორიენტირებული იქნებოდა ბოსნიაში სიტუაციის სტაბილიზაციასა და მშვიდობის შემდგომ განმტკიცებაზე. ნატოს წინადადების შესაბამისად, 1996 წლის 12 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ „დეიტონის ხელშეკრულების“ სამხედრო ასპექტების შესრულება დაავალა IFOR-ის კანონიერ „მემკვიდრეს“ – სტაბილიზაციის ძალებს (SFOR). ეს ახალი მისია, შემცირებული სამხედრო პერსონალით (დაახლოებით 31 ათასი), თავისი წინამორბედის მიღწევების განმტკიცებასთან ერთად, მიზნად ისახავდა ხელის შეწყობას ბოსნიაში სამშვიდობო პროცესის მომდევნო ეტაპზე გადასვლისათვის, რათა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალება მისცემოდათ. ამ ეტაპზე SFOR-ის მოქმედების პერიოდი განისაზღვრა 18 თვით.

ისევე, როგორც წინა ოპერაციის დროს, SFOR-ის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მომენტი ის იყო, რომ მასში კვლავ ერთობლივად მონაწილეობდნენ ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნები, მათ შორის რუსეთი.

*დასასრულ, მკითხველს ვთავაზობ „მცირედ“ სტატიის-ტიკას II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ყველაზე დიდი ტრაგედიის – ბოსნიის ომის – ჰუმანიტარული და მატერიალური შედეგების შესახებ. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რამდენი სისხლი და ცრემლია ამ მშრალი ციფრების უკან:*

*დაიღუპა 100 ათასზე მეტი ადამიანი, აქედან დაახლოებით 50 ათასი სამოქალაქო პირი; დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობიდან 38 ათასი მუსლიმი და ხორვატია, 18 ათასამდე – სერბი; დაღუპულ სამხედრო პირთა შორის 6 ათასი ხორვატია, 14 ათასი სერბი და 28 ათასი მუსლიმი;*

*ომმა გაანადგურა და დააზიანა შენობათა და საცხოვრებელი სახლების 2/3; დაინგრა 2 ათასი კმ. სიგრძის საავტომობილო გზები, 70 კაპიტალური ხიდი, მთლიანად მოიშალა სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. სხვადასხვა შეფასებით ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა 50-80 მილიარდი დოლარი, ანუ შიდა ეროვნული პროდუქტის 75%;*

*ეთნიკური წმენდისა და კოლექტიური ძალადობის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 2 მილიონზე მეტი;*

*გაუპატიურების მსხვერპლი გახდა 40-დან 50 ათასამდე ქალი და მცირეწლოვანი. სექსუალური ძალადობა უმთავრესად ხორციელდებოდა მუსლიმ ქალებზე. მასობრივი გაუპატიურება წარმოადგენდა „ეთნიკური წმენდის“ პოლიტიკის ნაწილს და მისი მიზანი იყო უმთავრესად მუსლიმი მოსახლეობის კულტურული და სოციალური კავშირების მოშლა;*

ომის დროს დაპირისპირებული მხარეების მიერ შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკების ჯგუფობით გაიარა ათიათასობით ადამიანი. საკონცენტრაციო ბანაკები, ან როგორც მათ ადგილზე უწოდებდნენ, „თავმოყრის პუნქტები“, სამხედრო ტყვეებისათვის იყო განკუთვნილი, თუმცა რეალურად იქ მშვიდობიანი მოსახლეობაც ჰყავდათ ტყვეობაში, მათ შორის ქალები და ბავშვები.

ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილმა საერთაშორისო ტრიბუნალმა ჩადენილი სამხედრო დანაშაულებებისათვის აღძრა საქმეები 161 პიროვნების წინააღმდეგ. მათგან დღეისათვის განაჩენი გამოუტანეს 64 პიროვნებას, აქედან 47 სერბს, 12 ხორვატსა და 5 ბოსნიელ მუსლიმს.

იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საერთაშორისო სასამართლოს სასჯელს ელის რადოვან კარაჯიჩი.

2011 წელს ჰააგის სასამართლოს გადასცეს გენერალი რატკო მლადიჩი.

საუბედუროდ, ტრაგედია ამით არ დასრულებულა. მომდევნო წლებში იუგოსლავიის დაშლის პროცესი კოსოვოში გაგრძელდა და მოვლენათა ამ ახალმა განვითარებამ შეცვალა არა მხოლოდ ევროპის რუკა, არამედ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საფუძვლებიც. დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება კი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომისა.

## „ისტორიის დასასრული“ თუ კონფრონტაციის ახალი ერა?

1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთში განსაკუთრებული ეიფორია სუფევდა: კომუნისტური სისტემა დაიშალა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის რუსეთი, გათავისუფლდნენ ტოტალიტარული (ვაცლავ ჰაველის მიხედვით – პოსტ-ტოტალიტარული) რეჟიმებისაგან. ევროპა ერთიანდებოდა და, რაც მთავარია, ყველგან მიმდინარეობდა დემოკრატიული ცვლილებები. დემოკრატიის საყოველთაო გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა.

ასეთ მაჟორულ ფონზე დასავლეთის მოაზროვნე წრეებში საინტერესო პროგნოზები კეთდებოდა. ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო გახლდათ ამერიკელი მეცნიერის, ფრენსის ფუკუიამას, 1992 წელს გამოქვეყნებული წიგნი დამაინტრიგებელი სათაურით: „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“. ამ ნაშრომმა მთელი პოლიტოლოგიური მიმდინარეობა შექმნა, რომელიც დღემდე აქტუალურია.

„ისტორიის დასასრულის“ ცნება ახალი როდია. ის დაკავშირებულია ჰეგელისა და მარქსის სახელებთან. ჰეგელი ლიბერალურ სახელმწიფოს მიიჩნევდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლეს ეტაპად, ანუ ისტორიის დასასრულად, ხოლო მარქსი – კომუნისტურ საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ისინი არ გულისხმობდნენ კაცობრიობის ფიზიკური არსებობის ან საზოგადოებრივი ცხოვრების შეწყვეტას. მათ მხედველობაში ჰქონდათ, რომ რაღაც ეტაპზე დასრულდებოდა საზოგადოებრივი

ინსტიტუტებისა და პრინციპების სრულყოფა. ამ მოსაზრებების საფუძველად ის იგულისხმება, რომ ისტორია მიზანმიმართულად მიედინება და საბოლოოდ მიიყვანს კაცობრიობას ლიბერალურ დემოკრატიაში (ჰეგელის მიხედვით), ან კომუნისტურ საზოგადოებრივ წყობილებამდე (მარქსის მიხედვით).

ფუკუიამას აზრით, ლიბერალური დემოკრატია ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და მყარი სისტემაა. წარსულს ჩაბარდა მონარქიები, არისტოკრატიული თუ თეოკრატიული რეჟიმები. XX საუკუნეში ლიბერალურ დემოკრატიას გაუჩნდა ორი უძლიერესი მონინააღმდეგე – ფაშიზმი და კომუნიზმი. ერთი შეხედვით, ორივე ჩინებულად იყო ორგანიზებული. თუმცა ფაქტია, რომ ფაშიზმიც და კომუნიზმიც ასევე ჩაბარდა ისტორიას. საბოლოოდ, მათი დამარცხების მთავარი მიზეზები უნდა ვეძებოთ არა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიბრტყეებში, არამედ სისტემების არალეგიტიმურობაში. ეს დასკვნა განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენთვის, ვისაც საბჭოთა კავშირში მოგვინია ცხოვრება. ფუკუიამას აზრით, საბჭოთა კავშირის ეკომიკური პრობლემები უნდა განვიხილოთ უფრო ფართო კრიზისის კონტექსტში. ეს გახლავთ მთელი საბჭოთა სისტემის ლეგიტიმურობის კრიზისი. ნებისმიერი დიქტატურა, რომელიც მხოლოდ ძალას ეყრდნობა და არა ლეგიტიმურ პრინციპებს, ადრე თუ გვიან განწირულია. ლეგიტიმურობის ერთადერთი წყარო დღევანდელ მსოფლიოში კი დემოკრატიაა!

ამავე დროს, წიგნის ავტორი განასხვავებს დემოკრატიული რეჟიმების ხარისხს და ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ლიბერალური დემოკრატიაა თავისი არსით ყველაზე სრულყოფილი თვისებების მატარებელი. მაგალითისთვის, თავისებურად დემოკრატიული ქვეყანაა ირანის ისლამური რესპუბლიკა. იქ რეგულარულად ტარდება არჩევნები,

არსებობს წარმომადგენლობითი ორგანოები, მაგრამ ირანი არ არის ლიბერალური სახელმწიფო, ეს არის თეოკრატიული დემოკრატია, ან დემოკრატია ისლამის ჩარჩოებში.

ისლამი სისტემატიზებული და თანმიმდევრული იდეოლოგიაა თავისი ძლიერი ზნეობრივი კოდექსითა და სოციალური თანასწორობის პრინციპებით. თანამედროვე მსოფლიოში ისლამმა ჩაანაცვლა ლიბერალური დემოკრატიები მუსლიმური სამყაროს რამდენიმე ქვეყანაში, მაგრამ, ფუკუიამას აზრით, ლიბერალური დემოკრატიისაგან განსხვავებით, ისლამი არ არის უნივერსალური ფასეულობების მატარებელი. მისი გავლენა მუსლიმური სამყაროს ფარგლებს გარეთ მინიმალურია.

დღევანდელ სამყაროში მიმდინარე პროცესებს თუ დავაკვირდებით, კერძოდ, მასობრივ გამოსვლებს არაბულ ქვეყნებში დემოკრატიული ცვლილებებისათვის, შეიძლება საინტერესო პარალელების დანახვა ზემოხსენებულ ანალიზსა და რეალობას შორის.

საყურადღებოა სტატისტიკა, რომელიც ასახავს ბოლო საუკუნის მანძილზე ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოების ზრდის დინამიკას; თუკი 1900 წელს მათი რაოდენობა მსოფლიოში 13-ს არ აღემატებოდა, 1990 წლისათვის ამ ციფრმა 60-ს გადააჭარბა. ეს ფაქტობრივი სურათიც აძლიერებს იმ დაკვირვებას, რომ არსებობს ფუნდამენტური პროცესი, რომელიც განსაზღვრავს ერთიან ევოლუციურ კანონზომიერებას მთელი კაცობრიობისათვის. ეს გახლავთ უნივერსალური ისტორია, რომელსაც ყველა მივყავართ ლიბერალური დემოკრატიისაკენ.

ჰეგელი ისტორიული პროცესის კულმინაციას ხედავდა თავისუფლების რეალიზაციაში, რაც განხორციელდება კონკრეტული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიერ. ამგვარად, ფუკუიამა აღნიშნავს,

რომ უნივერსალური ისტორია განხილული უნდა იყოს „ადამიანთა თავისუფლების ზრდის სახით“ და იხსენებს ჰეგელის სენტენციას: „აღმოსავლეთის სამყაროში ადამიანებმა იცოდნენ, რომ თავისუფალი იყო მხოლოდ ერთი ადამიანი (მმართველი. ზ.ა.), ბერძნებმა და რომაელებმა იცოდნენ, რომ თავისუფლები იყვნენ რჩეულნი, ჩვენ კი ვიცით, რომ თავისუფალია ყველა ადამიანი“. ცნობილია ისიც, რომ ჰეგელი საკუთარ თავს თავისუფლების ფილოსოფოსად მიიჩნევდა.

მარქსის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ეკონომიკის სფეროში იმ მექანიზმის გაშიფვრა, რომელსაც წარმოების სისტემა პირველყოფილი ნყობილების პრიმიტიული ფორმებიდან მიჰყავს კაპიტალისტურ სისტემამდე. ამ კონტექსტში ფუკუიამა აანალიზებს უაღრესად საინტერესო საკითხს: წარმოადგენს თუ არა ლიბერალური დემოკრატიის არსებობა თანამედროვე სახელმწიფოს წარმატებული ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას? ან: არის თუ არა მოდერნიზაციული ეკონომიკური განვითარების აუცილებელი შედეგი ლიბერალური დემოკრატიის ჩამოყალიბება? პასუხი ორივე შემთხვევაში უარყოფითია.

ასეთი პასუხის დასაბუთება ხდება იმ ძირითადი არგუმენტების უარყოფით, რომლებიც მიღებულია თანამედროვე მეცნიერებაში და ასაბუთებენ კორელაციას ეკონომიკურ განვითარებასა და ლიბერალურ დემოკრაციას შორის. კერძოდ, ეს არგუმენტებია:

– მხოლოდ დემოკრატიული პოლიტიკური მექანიზმებით არის შესაძლებელი თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში წინააღმდეგობრივი, ხშირად ანტაგონისტური ინტერესების დაბალანსება; ანუ, თუ არ არსებობს პოლიტიკური „ადაპტორი“, ზარალდება ეკონომიკა;

– დემოკრატია იმარჯვებს არა იმიტომ, რომ საზოგა-

დოება მისკენ აუცილებლად მიილტვის, არამედ იმიტომ, რომ წარმოადგენს ელიტათა ბრძოლის საბოლოო პროდუქტს. დიქტატორულ ან ავტორიტარულ რეჟიმებს საწყის ეტაპზე შეუძლიათ ეკონომიკური წარმატების მიღწევა, მაგრამ შემდეგ დღის წესრიგში დგება ელიტის უფრო ფართო წრის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა, რაც მხოლოდ დემოკრატიული პოლიტიკური მექანიზმებითაა შესაძლებელი;

– ფართო ინდუსტრიალიზაცია ქმნის საშუალო ფენას, რომელიც გარკვეულ ეტაპზე ითხოვს პოლიტიკაში ჩართვასა და თავისი უფლებების რეალიზაციას; საშუალო კლასისათვის დამახასიათებელია განათლების მაღალი დონეც, რაც ასევე დაკავშირებულია დემოკრატიის მოთხოვნასთან.

ფუკუიამას აზრით, არგუმენტი, რომ ლიბერალური დემოკრატია არეგულირებს ეკონომიკურ ინტერესებს, მხოლოდ ნაწილობრივად არის მართებული. ისეთ საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილია ანტაგონისტურ კლასებად, ეროვნულ ან რელიგიურ ჯგუფებად, დემოკრატია შეიძლება იქცეს საზოგადოების შემდგომი დეზორგანიზაციის წყაროდ. ამის მაგალითი ბევრია განვითარებად ქვეყნებში. დემოკრატია ასევე ხშირად ვერ უზრუნველყოფს ეთნიკური წინააღმდეგობების დარეგულირებას. მაგალითად, დილემა ეროვნულ სუვერენიტეტთან დაკავშირებით ფაქტობრივად გამოორიცხავს კომპრომისის შესაძლებლობას. ისეთ განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი, როგორიც კანადაა, ლიბერალური დემოკრატია ვერ აგვარებს ფრანგული კვებეკის პრობლემას. ეს შეიძლება ითქვას ესპანეთზეც (ბასკეთი, კატალონია), დიდ ბრიტანეთზეც (ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია) და სხვ.

ფუკუიამას აზრით, განვითარებად ქვეყანაში მოდერნ-



იზაციასა და საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებულ ავტორიტარულ რეჟიმებს უფრო მეტი შანსი აქვთ, მიაღწიონ სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას, ვიდრე ლიბერალურ დემოკრატიულ რეჟიმებს. ამის მაგალითებიც საკმაოდ ბევრია: ფრანკისტული ესპანეთი, პინოჩეტის ჩილე, სინგაპური, ტაივანი, სამხრეთ კორეა და სხვა (დღევანდელი ჩინეთი ცალკე თემაა). გარკვეული დროის შემდეგ ეკონომიკური პროგრესი იძლევა დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებისა და სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის საშუალებას.

ასევე, მხოლოდ ნაწილობრივ არის გაზიარებული არგუმენტი, რომ ინდუსტრიალიზაციის შედეგად შექმნილი განათლებული საშუალო კლასი აუცილებლად მოითხოვს ლიბერალურ უფლებებსა და პოლიტიკაში ფართო ჩართვას. საქმე ისაა, რომ როდესაც მოდერნიზაციაზე ორიენტირებული ავტორიტარული ქვეყნის ელიტას უწევს რაციონალური არჩევანის გაკეთება ეკონომიკურ განვითარებასა და სტაგნაციას შორის, ის არჩევანს კვლავ აკეთებს არსებული ავტორიტარიზმის შენარჩუნების სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში მათთვის ალტერნატივა ის დემოკრატიული რეჟიმებია, რომლებიც იძულებულნი არიან გაითვალისწინონ საზოგადოების ფართო ფენების მოთხოვნები და აქცენტი გააკეთონ სოციალურ პროგრამებზე, გადასახადების შემცირებაზე, არაკონკურენტუნარიანი საწარმოებისა და ეკონომიკური სექტორების დაცვაზე, რასაც მიყვარათ ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციის ზრდისა და, საბოლოოდ, ეკონომიკური სტაგნაციისკენ. ამგვარად, ავტორიტარულ რეჟიმებს უფრო უადვილდებათ ჭეშმარიტად ლიბერალური ეკონომიკური კურსის განხორციელება. მაგალითად, სამხრეთ კორეის შთამბეჭდავი ეკონომიკური

განვითარება სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც ქვეყანაში იყო საკმაოდ მკაცრი, მაგრამ, ამავე დროს, სწრაფ მოდერნიზაციაზე ორიენტირებული ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი.

ამგვარად, ამ ეტაპზე დასკვნა ასეთია: ლიბერალური დემოკრატია შეეთავსება ეკონომიკურ განვითარებასა და მოდერნიზაციასთან, თუმცა აუცილებელი კავშირი ამ ორ ფენომენს შორის არ არსებობს.

ამ კონტექსტში ფუკუიამას სადისკუსიოდ შემოაქვს ტერმინი, რომელიც ნათელს ჰფენს ბევრ ეჭვსა და წინააღმდეგობას. ეს გახლავთ „ტიმოსი“ – ცნება, რომელსაც პლატონი განსაზღვრავს როგორც „სულიერებას“, ხოლო ჰეგელი – როგორც „ბრძოლას აღიარებისათვის“. აღინიშნება, რომ ადამიანის ქმედება განისაზღვრება სურვილისა და გონიერების კორელაციით: სურვილი უბიძგებს ადამიანს მრავალი მიზნისაკენ, გონიერება კი კარნახობს მას მიზნის მიღწევის საუკეთესო გზას. მაგრამ ადამიანს აქვს სხვა თვისებაც – სწრაფვა საკუთარი ღირებულების აღიარებისაკენ. მას სურს, რაც შეიძლება ფართოდ იყოს აღიარებული მისი ჭკუა, სილამაზე, წარმატება და ა.შ. ეს თვისება, ანუ თანამედროვე ტერმინით – პრესტიჟის განცდა – შეიძლება განვსაზღვროთ აგრეთვე როგორც სამართლიანობის თანდაყოლილი ადამიანური გრძნობა. აღიარების სურვილი და მასთან დაკავშირებული ემოციები წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ კატეგორიასაც.

საკუთარი პრესტიჟისათვის ბრძოლა არის ისტორიული პოლიტიკური პროცესების მამოძრავებელი ძალა. მასთან არის დაკავშირებული ბრძოლა სამართლიანობისათვის, უფლებებისათვის, თანასწორობისათვის, საბოლოოდ კი – დემოკრატიისათვის. იმ საზოგადოებებში, რომლებიც ეფუძნება ინდივიდუალიზმის პრინციპებს,

ცალკეული პიროვნების ბრძოლა აღიარებისათვის თვალსაჩინოა. ასეთია დასავლეთის სამყარო. დასავლური სამყაროს ინდივიდუალიზმის საფუძვლები უნდა ვეძებოთ კულტურულ და სოციალურ ფაქტორებში. მაგალითად, ფუკუიამა იზიარებს მაქს ვებერის მოსაზრებას, რომ ინდივიდუალისტური ცნობიერების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს პროტესტანტიზმი, რომელიც ინტიმური, პირადული რელიგიაა, რადგან ადამიანი უშუალოდ უკავშირდება უფალს, ღმერთმსახურთა „შუამავლობის“ გარეშე. პროტესტანტიზმი ასევე სტიმულს აძლევს ადამიანის პირად წარმატებას, კერძოდ, ეკონომიკურ საქმიანობაში.

მეორე მხრივ, ორთოდოქსულ იუდაიზმსა და ისლამს ნიგნის ავტორი ტოტალიტარულ რელიგიებად მიიჩნევს, რადგან ისინი მკაცრად არეგულირებენ ადამიანის როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებას. დამოკიდებულება ინდუიზმის მიმართ არაერთგვაროვანია. ეს საკმაოდ ტოლერანტული რელიგიაა, რომელიც სეკულარიზმთან ფრიად კომფორტულად თანაარსებობს, თუმცა ისიც არაეგალიტარულია, რაც ასევე ნაკლებად შეესაბამება დემოკრატიას.

ტიმოსისს გამოვლინება გაცილებით ნაკლებია იმ საზოგადოებებში, სადაც კულტურული ტრადიცია ეფუძნება კოლექტიურ ცნობიერებას. ასეთია, კერძოდ, ჩინეთი. ჩინური ტრადიცია და მენტალიტეტი ემყარება არა ძლიერ ინდივიდუალიზმს, არამედ საზოგადოებრივი, ანუ კოლექტიური ინტერესების პრიმატს. ეს „ვერტიკალურად“ აგებული საზოგადოებაა, სადაც უმცროსი უნდა ემორჩილებოდეს უფროსს როგორც ასაკის, ასევე სოციალური მდგომარეობის გამო. ჭეშმარიტება, კონფუციანისტური მსოფლმხედველობის მიხედვით, მიიღწევა განსწავლულობით, გარჯით, ცხოვრებისეულ საფეხ-

ურებზე ნაბიჯ-ნაბიჯ ასვლით. ასეთი მიდგომა რადიკალურად განსხვავდება დასავლური მიდგომისაგან, რომლის თანახმად, ჭეშმარიტება მიიღწევა სხვადასხვა აზრის, პოზიციის ჭიდილში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რა ასაკისაა და რა სოციალური მდგომარეობა აქვს.

იგივე შეიძლება ითქვას რუსეთზეც, სადაც ისტორიულად ძლიერია კოლექტიური ყოფის ტრადიცია. საუკუნეების მანძილზე რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა ე.წ. ობშჩინებში, რომლებიც შემდგომ საბჭოთა კოლმეურნეობებმა შეცვალა. ასე რომ, სწორედ ამ კულტურულ სიბრტყეში უნდა განვიხილოთ დღევანდელ რუსეთში დემოკრატიული ცვლილებების მოთხოვნის შეზღუდული მასშტაბი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ითხოვს წესრიგს, მაგრამ ნაკლებად ითხოვს დემოკრატიული უფლებების დაკმაყოფილებას.

ჩინეთის მაგალითი შეიძლება ნაწილობრივ გადავიტანოთ სინტონისტურ იაპონიაზეც, რომლის ლიბერალურ დემოკრატიას ადგილობრივი თავისებურებები გააჩნია. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიას ათეული წლების მანძილზე მართავდა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რაც ხშირად აღიქმებოდა მსოფლიოში, როგორც ამ პარტიის ე.წ. „მსუბუქი პოლიტიკური დიქტატურა“.

ფაქტია, რომ გარკვეულ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბებული ქართული ხასიათი გამოირჩევა აშკარად გამოკვეთილი, ხშირად თეატრალიზებამდე მისული ინდივიდუალიზმით. ეს გამოხატულებას პოულობს ყველაფერში: ხელოვნებაში, პოლიტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთი ტიპოლოგიისათვის დამახასიათებელია საკუთარი თავის გამოჩენის, პრესტიჟის, ანუ ტიმოსის მწვავე განცდა.

ამრიგად, თუკი ვირწმუნებთ ფუკუიამას ფორმულას,

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ საზოგადოებას აქვს ძლიერი შინაგანი მოთხოვნა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელიც მაქსიმალურად იძლევა პიროვნული ან გარკვეული ჯგუფების, პარტიების ინტერესთა გამოვლენის საშუალებას. ასეთი საზოგადოებრივი სისტემაა ლიბერალური დემოკრატია.

როგორც უკვე აღინიშნა, ფუკუიამას მიხედვით არ არსებობს დემოკრატიის ეკონომიკური მიზეზები. პირიქით, ხშირად დემოკრატია ზედმეტი ტვირთიცაა ეფექტური ეკონომიკისათვის. დემოკრატია დამოუკიდებელი არჩევანია ცალკეული საზოგადოებისა, რომლის მამოძრავებელი ძალა აღიარების, ტიმოსის ფაქტორია.

ამგვარად, საბოლოოდ, ფუკუიამას აზრით, ყოველი ერი თვითონ ირჩევს პოლიტიკური მმართველობის ფორმას.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დემოკრატია არის არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა აღიარების სურვილი და თანაარსებობის ყველაზე ეფექტური ფორმა, არამედ თავდაცვის მექანიზმიც. ეს დაკავშირებულია ლეგიტიმურობის პრობლემასთან. ხელისუფლების ლეგიტიმურობა წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე სახელმწიფოების ყველაზე ძლიერ იარაღს. ამ ფენომენს ვაცლავ ჰაველმა უწოდა „უძლურთა ძალა“. რაც უფრო ლეგიტიმურია ხელისუფლება, მით უფრო ძნელია ამ სახელმწიფოს ხელყოფა. ეს დებულება საქართველოზეც შეგვიძლია გავავრცელოთ.

როგორც ფუკუიამა აღნიშნავს, თანამედროვე დემოკრატიებს აქვთ კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი თვისება: ისინი ერთმანეთთან არ ომობენ. მართლაც, რთულია წარმოვიდგინოთ ომი, ვთქვათ, ბელგიასა და ჰოლანდიას, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. ამგვარად, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესია არა

მხოლოდ საკუთარი დემოკრატიული სისტემის სრულყოფა, არამედ დემოკრატიის დამკვიდრება მეზობელ ქვეყნებშიც.

ფუკუიამას საინტერესო პროგნოზით, მომავალში მსოფლიო დაიყოფა ე.წ. „პოსტისტორიულ“ და „ისტორიულ“ ნაწილებად. „პოსტისტორიულ სამყაროში“ შევა განვითარებული ლიბერალური დემოკრატიები, რომლებმაც მიაღწიეს ისტორიის დასასრულის სტადიას, ხოლო „ისტორიული სამყარო“ კვლავაც იქნება დაკავებული რელიგიური, ნაციონალური და იდეოლოგიური კონფლიქტებით. „პოსტისტორიული“ და „ისტორიული“ სამყაროები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებიან სხვადასხვა მიმართულებით. პირველი გახლავთ ნავთობის ფაქტორი. „პოსტისტორიული“ სამყაროს კეთილდღეობა ბევრად იქნება დამოკიდებული „ისტორიულზე“ იმის გამო, რომ ენერგორესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ აქ მოიპოვება.

პოსტისტორიულ სამყაროზე ასევე დიდ გავლენას იქონიებს მასობრივი ემიგრაცია ისტორიაში ჩარჩენილი ქვეყნებიდან, სადაც კონფლიქტები სულ უფრო მეტ ადამიანს უბიძგებს ეძებოს თავშესაფარი განვითარებულ ქვეყნებში. ასევე, ორი სამყაროს თანაარსებობაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გლობალური მასშტაბის ფაქტორები, ვთქვათ, ბირთვული იარაღის გავრცელების საშიშროება. მთავარი ტენდენცია იქნება პოსტისტორიული სამყაროს გაფართოება, რაც, ფუკუიამას აზრით, სულ უფრო მეტ ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვების ტოლფასია; რადგან დემოკრატიები ერთმანეთთან არ ომობენ, ეს გაფართოება მოხდება მშვიდობიანად და წარმატებულად.

ისტორიის დასასრული ნიშნავს ასევე ომებისა და სისხლიანი რევოლუციების დასასრულს. პოეტები გააგრძე-

ლებენ ლექსების წერას სიყვარულზე, კვლავ შეიქმნება სიმღერები სილამაზეზე და ა.შ., მაგრამ არაფერი ფუნდამენტური საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღარ შეიცვლება; აზრს დაკარგავს ფილოსოფიაც, რადგან, ჰეგელის სისტემით, ის მიაღწევს ჭეშმარიტების სტატუსს.

ასეთი საკმაოდ იდილიური პროგნოზი კეთდებოდა 1990-იანი წლების დასაწყისში.

\* \* \*

„ცივი ომის“ შემდეგ იდეალური სამყაროს შექმნისა და ძალადობის ისტორიის დასასრულის პერსპექტივას ბევრი არ ეთანხმებოდა\*. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ უკვე ყოფილ სოციალისტურ სამყაროში იფეთქა სისხლიანმა დაპირისპირებებმა: ყარაბალი, ფერგანა, აფხაზეთი, დნეპრისპირეთი და ევროპისათვის ყველაზე მტკივნეული – იუგოსლავიის კონფლიქტი. ახალმა და „მიძინებულმა“ კონფლიქტებმა თავი იჩინა მესამე სამყაროშიც.

1990-იანი წლების დასაწყისშივე გაისმა ხმები იმის თაობაზე, რომ იდეოლოგიათა დაპირისპირების დასასრული სრულებითაც არ ნიშნავდა დიდი წინააღმდეგობების გადალახვას მსოფლიოში. ზოგმა პირდაპირ მიუთითა კიდევც ამ ახალ ისტორიულ გამოწვევაზე. ეს გახლდათ ცივილიზაციათა დაპირისპირება.

ამ ახალი თეორიის ავტორად მოგვევლინა ჰარვარდის

---

\* 1990-იან წლებში არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა გააკრიტიკა ფუკუი-ამას მოსაზრებები და პროგნოზები. 2008 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი მეცნიერის, რობერტ კაგანის გახმაურებული წიგნი, რომელიც უარყოფს ფუკუიამას მთავარ თეზას ისტორიის „დასასრულის“ შესახებ. თვით ნაშრომის სათაური – „ისტორიის დაბრუნება და ილუზიების დასასრული“ – ნათლად მიუთითებს კაგანის მთავარ კონცეფციაზე. მოგვიანებით თვით ფუკუიამამაც აღიარა ნაწილობრივ თავისი უზუსტობები.

უნივერსიტეტის პროფესორი სემიუელ ჰანტინგტონი. მისი წიგნი „ცივილიზაციათა შეხლა და ახალი მსოფლიო წესრიგი“ უმალ ბესტსელერად იქცა. ამ წიგნის ირგვლივ დისკუსიები დღესაც გრძელდება.

წიგნის ავტორმა „ცივი ომის“ შემდგომ მსოფლიოში სრულიად ახალი ტიპის საფრთხეები ამოიკითხა, განსაკუთრებით იქ, სადაც საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოები აღმოცენდა. ეს გახლავთ ძველი, მივიწყებული ან დაკარგული იდენტურობის ძიება, ეროვნული ან ეთნიკური აღმშენებლობა, რაც ხშირად ახალი ან ძველი მტრების ძიების ფონზე მიმდინარეობს, ანუ ეროვნული თუ პოლიტიკური იდენტურობის დასამკვიდრებლად აუცილებელი ხდება მტრების პოვნა.

ჰანტინგტონის აზრით, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ მსოფლიოში დაპირისპირებების მთავარი მიზეზები უნდა ვეძებოთ არა იდეოლოგიაში, ეკონომიკასა ან პოლიტიკაში, არამედ უმთავრესად კულტურულ ფაქტორებში. ეს არის კულტურული სხვაობები ადამიანებს, ეროვნებებს, ქვეყნებსა და დიდ რეგიონებს შორის. ახალ მსოფლიოში ადამიანები იწყებენ ერთმანეთის განსხვავებას თავიანთი წარსულის, რელიგიის, ენის, ჩვევატრადიციებისა და სხვა ფასეულობების მიხედვით, ანუ ჩვენ ვარკვევთ, თუ ვინ ვართ, როდესაც პასუხს ვპოულობთ კითხვაზე: ვინ არ ვართ ჩვენ? ან, კიდევ უარესი: ვის წინააღმდეგ ვართ ჩვენ?

ჰანტინგტონის მიხედვით, ცივილიზაციის ცნება უმთავრესად მოიცავს კულტურულ და რელიგიურ ფაქტორებს. ერთ ცივილიზაციურ არეალში გაერთიანებულ სახელმწიფოებს, როგორც წესი, კარგი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. კონფლიქტის რისკი მეტია სხვადასხვა ცივილიზაციურ სივრცეში მყოფ სახელმწიფოებს შორის.



ამგვარად, ჰანტიგტონი მიდის დასკვნამდე, რომ თანამედროვე მსოფლიოში „ცივ ომში“ მოქიშპე ორი ზესახელმწიფოს ადგილს იკავებს დაპირისპირებები მსოფლიოს მთავარ ცივილიზაციებს შორის. მათ საზღვრებზე, ანუ შეხების წერტილებში, ჩნდება ყველაზე მწვავე კონფლიქტები. ამ დებულების დასამტკიცებლად ავტორი საკმაოდ შთამბეჭდავ სტატისტიკასაც იშველიებს.

ჰანტიგტონის მიხედვით, მსოფლიოს მთავარი ცივილიზაციებია:

- ჩინური ან კონფუციანური ცივილიზაცია, რომელიც აერთიანებს 1,2 მილიარდ ჩინელს, ასევე ქვეყნებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მათ შორის კორეასა და ვიეტნამს;
- იაპონური ცივილიზაცია (ზოგიერთი მეცნიერი აერთიანებს ჩინურ და იაპონურ ცივილიზაციებს);
- ინდუისტური ცივილიზაცია, თავისი სამიათასწლიანი ისტორიითა და 1,2 მილიარდი მოსახლეობით;
- ისლამური ცივილიზაცია, რომელიც VII საუკუნეში წარმოიშვა და შემდეგ მოიცვა არაბული, თურქული, სპარსული და მალაიზიურ-ინდონეზიური სუბცივილიზაციები;
- დასავლური ცივილიზაცია, რომელიც ყალიბდება VII-VIII საუკუნეებიდან და დღეისათვის უმთავრესად მოიცავს ევროპას, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკას, ავსტრალია-ახალ ზელანდიას, ანუ ქრისტიანულ სამყაროს (ლათინურ ამერიკას თავისი სპეციფიკა აქვს, რადგან იგი ევროპული, ასევე ადგილობრივ ინდიელთა და აფრიკული ელემენტების ნაჯვარია);
- მართლმადიდებლური ცივილიზაცია, რომლის ნაწილია საქართველო;
- იუდაისტური და აფრიკული ცივილიზაციები,

რომელთა არსებობის შესახებ ბევრი განსხვავებული აზრი არსებობს;

- ბუდისტური ცივილიზაცია: შრი-ლანკა, მიანმა, ტაილანდი, ლაოსი, კამპუჩია. ბუდიზმის საფუძველზე ჩინეთში ჩამოყალიბებულ კონფუციანიზმსა და ტაოიზმს ისტორიულად მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ ბუდისტურ ცივილიზაციასთან;

ამგვარად, დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მულტიცივილიზაციურ სამყაროში, რაც თავისთავად კონფლიქტურობის მატარებელი გარემოება არ უნდა იყოს; მაგრამ, ჰანტიგტონის აზრით, საქმე ის არის, რომ ყოველი ცალკეული ცივილიზაცია საკუთარ თავს მიიჩნევს მთავარ ფენომენად და განიხილავს მსოფლიოს საკუთარი სამრეკლოდან. მაგალითად, დასავლური ცივილიზაცია თავს მიიჩნევს უნივერსალური ფასეულობების მატარებლად და ამ ფასეულობების დამკვიდრებას ცდილობს მსოფლიოში, თუმცა ამის რესურსები ნელ-ნელა იწურება. ისლამური ცივილიზაციის უპირატესობის შეგრძნება ეფუძნება სოციალურ მობილიზაციასა და დემოგრაფიულ ზრდას.

ჩინური ცივილიზაციის გამონწვევა სწრაფ ეკონომიკურ პროგრესს ეფუძნება. საერთოდ კი, აზიელების აზრით, ეკონომიკური პროგრესი მათი კულტურული მემკვიდრეობის შედეგია, რომელიც კოლექტიურ ცნობიერებაზე აკეთებს აქცენტს და არა – ინდივიდუალიზმზე.

ინდუისტური და მართლმადიდებლური ცივილიზაციები ასევე ხაზს უსვამენ თავიანთ განსაკუთრებულობას.

ამგვარად, ჰანტიგტონის აზრით, დაპირისპირების საფუძველი უნდა ვეძიოთ ცივილიზაციების რელიგიურ და კულტურულ არსში. ამ თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ კონფლიქტურ მუხტს იგი ხედავს ისლამსა და ქრისტიანობაში, რადგან ორივე რელიგია მონოთეისტურია და უნი-

ვერსალური. საბოლოო ჭეშმარიტების ამბიციით შეპყრობილს, ორივეს აქვს მისიონერული მისწრაფება. ამ დაპირისპირების სხვა ფაქტორებია მუსლიმური სამყაროს სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, მზარდი მიგრაცია დასავლეთის ქვეყნებში, მუსლიმური ცნობიერების აღზევება, ასევე დასავლეთის ქვეყნების ჩარევა მუსლიმური სამყაროს საქმეებში. ისიც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ კომუნიზმის დამხობის შემდეგ დასავლეთი და მუსლიმური სამყარო ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

ამერიკელი მეცნიერი აანალიზებს XX საუკუნის მანძილზე მომხდარი დემოგრაფიული და ეკონომიკური ცვლილებების დინამიკას. დასკვნა ასეთია: დასავლურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის დაპირისპირებისას პერსპექტივაში ეს უკანასკნელი იმარჯვებს, ოღონდ მუსლიმურ სამყაროს არ ჰყავს ლიდერი ქვეყანა (core state). უფრო მეტიც, ამ ლიდერობისათვის მუსლიმურ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს საკმაოდ მწვავე კონკურენცია.

მიუხედავად ამისა, ჰანტინგტონი ფიქრობს, რომ დასავლეთის მთავარი გამოწვევა თუ ოპონენტი არის არა მუსლიმური სამყარო, არამედ ჩინეთი. გამოითქმება პროგნოზი, რომ აზიის ქვეყნები, თვით იაპონიაც, XXI საუკუნეში იძულებული გახდებიან სულ უფრო გადაიხარონ პეკინის ორბიტისაკენ. საყურადღებოა წინასწარმეტყველება მომავალში კონფუციანური (ჩინური) და ისლამური ცივილიზაციების დაახლოების შესახებ.

ყველაზე ნაკლები კონფრონტაციული მუხტი დასავლურ და მართლმადიდებლურ სამყაროებს შორის იკითხება. კონფუციანურ-მუსლიმური კავშირის დასაბალანსებლად მართლმადიდებლური სამყაროს ლიდერი – რუსეთი – იძულებული გახდება, რომ მჭიდროდ დაუახლოვდეს დასავლეთს.

ჰანტინგტონის თეორიის წინააღმდეგ კრიტიკული

ხმები დღემდე ისმის. ზოგი მას ისლამის დემონიზაციაში სდებს ბრალს, ზოგიც – დაპირისპირების წაქეზებაში. მიუხედავად ამისა, ფაქტია: „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ისტორია არ დამთავრდა. მსოფლიო გაცილებით უფრო დანაწევრებულია და არაპროგნოზირებადი. ისიც ფაქტია, რომ დასავლეთის მიმართ უარყოფითი ტენდენციების ზრდა შეიმჩნევა მუსლიმურ ქვეყნებში და იმ სამყაროშიც, რომელსაც ჰანტინგტონი კონფუციანურ ცივილიზაციას უწოდებს.

ბერლინის კედლის დაცემა ისტორიად იქცა. 1990-იან წლებში მსოფლიოში ტექტონური ცვლილებები მოხდა; ერთი მხრივ, ნაწილობრივ გამართლდა მათი ხედვა, ვინც ისტორიის დასასრულს, ანუ დემოკრატიის საყოველთაო გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. მართლაც, მე-20 საუკუნის დასასრულს მსოფლიოს რუკაზე გაცილებით მეტი დემოკრატიული სახელმწიფო იყო, ვიდრე 10 წლის წინათ. დემოკრატიის დამკვიდრება მოხდა თითქმის მთელი ამერიკის კონტინენტზე, გაერთიანდა თავისუფალი ევროპა, დემოკრატიული ცვლილებები განხორციელდა პოსტსაბჭოთა სივრცეშიც. ამ თვალსაზრისით არც რუსეთის შედარება შეიძლება ყოფილ საბჭოთა კავშირთან.

მაგრამ დემოკრატიულ ცვლილებებთან ერთად მსოფლიომ თითქოს კვლავ დიდ ნაწილებად, დაპირისპირებულ ცივილიზაციებად და ძალებად დაიწყო დაყოფა. განსაკუთრებით გამოიკვეთა წინააღმდეგობები დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის, რასაც ხელს უწყობს დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში. 2001 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში განხორციელებულმა ტერაქტებმა და ამის შემდგომ აშშ-ის მიერ წამოწყებულმა გლობალურმა ბრძოლამ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ კიდევ უფრო დაძაბა ეს ისედაც რთული

ურთიერთობები. მუსლიმთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ეს ბრძოლა მიმართულია არა ტერორიზმის, არამედ ისლამური სამყაროს წინააღმდეგ. ასეთ განცდას აძლიერებს დასავლეთის აქტიურობა ერაცა და ავღანეთში, ასევე კოლიზიები ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. ისლამურ სამყაროში განვითარებული წინააღმდეგობრივი პროცესები გამოვლინდა ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ (2011 წელი) შედეგად მომხდარ მასშტაბურ ცვლილებებში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ცივილიზაციური დაპირისპირების ელემენტები დღევანდელ მსოფლიოში თვალსაჩინოა. მაგრამ კონფრონტაციული დინამიკის წინააღმდეგ ამუშავდა ერთობ ძლიერი ფენომენი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში არნახული მიზიდულობის ძალით აერთიანებს ცივილიზაციებს, ქვეყნებს, ხალხებს, ადამიანებს. ეს გლობალიზაციის პროცესია. მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობა – ვაჭრობა, ინფორმატიკა, ტურიზმი და სხვა – ხელს უწყობს უნივერსალური კულტურისა და ცნობიერების შექმნას.

გლობალიზებული მსოფლიოს გენერატორად გვევლინება მოდერნიზაცია, რომლის განხორციელებასაც ყველა თავისებურად ცდილობს. ზოგი ქვეყნისათვის მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია ტოლფასი ცნებებია, ბევრი კი დასავლური ფასეულობების დამკვიდრების გარეშე ცდილობს გათანამედროვეებას (მაგ., ჩინეთი). საყურადღებოა, რომ ასეთ მოდერნიზაციაზე უარს არ ამბობს მუსლიმური სამყაროს დიდი ნაწილიც.

ამასთანავე, გლობალიზაცია გარკვეულ საფრთხეს უქმნის მცირე ქვეყნების თვითმყოფადობას, კულტურას. ეს კი, თავის მხრივ, ამზადებს მომავალი ახალი გამონვევების საფუძველს.

როდესაც ჩვენ ირგვლივ და ზოგადად მსოფლიოში სწრაფად მიმდინარე კლიმატურ ცვლილებებს ვაკვირდებით, სამართლიანად გვიჩნდება განცდა, რომ ჩვენ ყველანი სრულებით ახალი გლობალური საფრთხის წინაშე ვართ. და თუკი ახლო მომავალში კაცობრიობა ვერ შეძლებს შეთანხმებული ზომების მიღებას, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ბუნებაზე ადამიანის უარყოფითი გავლენა, გვერდზე დაგვრჩება ცივილიზაციათა დაპირისპირება, გლობალიზაცია და საყოველთაო დემოკრატიაც.

მაშინ შეიძლება მართლაც დადგეს ისტორიის დასასრული.

## ჩვენი დროის „გმირი“ – საერთაშორისო ტერორიზმი

ვინც 1990-იან წლებში ისტორიის დასარულს წინასწარმეტყველებდა, მალე თვითონ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ გათვლებში რალაც არასწორი იყო. ისტორია არა მარტო არ სრულდებოდა, არამედ მსოფლიო ასპარეზზე ახალი „აქტორებიც“ კი გვევლინებოდნენ. კერძოდ, ეს „ახალი მოთამაშე“ აღმოჩნდა საერთაშორისო ტერორიზმი\*, რომელიც სულ უფრო აქტიურად იმკვიდრებდა ადგილს.

ტერორიზმი მსოფლიო ისტორიაში უძველესი მოვლენაა, მისი საწყისები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩანს. შუა საუკუნეებში ტერორიზმის მასშტაბები საგრძნობლად გაფართოვდა. მაგალითად, ე. წ. ასასინების\*\* სამხედრო სექტის გამოყენებას ცდილობდა ახლო აღმოსავლეთის ბევრი სულტანი და ხალიფა, ასევე ევროპელი მმართველებიც. ასასინების მთავარი ტაქტიკა ინდივიდუალური მკვლელობა იყო. კლასიკური ტერორისტები იყვნენ დღეისათვის რომანტიკული შარავანდედით შემოსილი მეკობრეებიც.

XIX საუკუნის რუსეთში ტერორიზმის იდეოლოგიური საფუძვლების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო სერგეი ნეჩაევი, რომელმაც თავის მსოფლმხედველობას საფუძვლად დაუდო ჯერ კიდევ იეზუიტების ორდენის მიერ ჩამოყალიბებული ლოზუნგი „მიზანი ამართლებს“

\* ამ ფენომენის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლა რეალურად დაიწყო 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში აღ-კაიდას მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ.

\*\* ჰაშიმის მწველი. არაბ.

საშუალებას“. ნეჩაევის მიერ დაფუძნებული „ნაროდ-ნაია რასპრავა“ („სახალხო შურისძიება“) ტერორისტული მეთოდებით ებრძოდა ცარიზმს, რაც შემდგომ სხვებმაც აიტაცეს, კერძოდ, „ნაროდნაია ვოლიამ“ („სახალხო ნება“) და ბოლშევიკებმა („ნითელი ტერორი“). რუსმა ტერორისტმა-რევოლუციონერებმა რვაჯერ სცადეს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მოკვლა და ბოლოს, 1881 წელს, მიაღწიეს კიდეც საწაღელს.

საინტერესოა, რომ საბჭოთა ეპოქაში რუსი ტერორისტების სახელები ერქვა თბილისის ქუჩებს (ჟელიაბოვის, გელფმანის, გრინევიცკის, პეროვსკაიას, რისაკოვის, ზასულიჩისა და სხვ.). თბილისელების საყვარელი ელბაქიდის დაღმართი ათეული წლების განმავლობაში ბოლშევიკ-ტერორისტის სახელს ატარებდა. არკადი ელბაქიძემ 1919 წელს ამ ადგილას მძიმედ დაჭრა თეთგვარდიელი გენერალი ნ. ბარათოვი (ბარათაშვილი) და თვითონაც ემსხვერპლა ამ თავდასხმას. იყო ბოლშევიკ-ტერორისტის, სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანის (მეტსახელად „კამო“) სახელობის ქუჩაც. კამო რევოლუციური მოძრაობის დროს ბანკების დაყაჩაღებით იყო დაკავებული, რასაც ბოლშევიკებმა „მეცნიერული ტერმინი“ შეურჩიეს – ექსპროპრიაცია.

1914 წლის 28 ივნისს ახალგაზრდა სერბმა ნაციონალისტმა გავრილო პრინციპმა სარაევოში მოკლა ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი და მისი მეუღლე სოფი, რაც I მსოფლიო ომის დაწყების საბაზი გახდა.

საერთაშორისო ფაქტორის სახით ტერორიზმი უმთავრესად 1950–1960-იანი წლებიდან იწყებს ჩამოყალიბებას. II მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში კომუნისტურ, რევოლუციურ, რადიკალურ და დივერსიულ



ჯგუფებს, რომელთა წარმომადგენლები მომზადებას გადიოდნენ სსრკ-ის სპეციალურ ცენტრებში. ამ თვალსაზრისით მოსკოვს განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა არაბულ სამყაროში. კერძოდ, დასავლეთში ყველაზე დიდ ტერორისტულ ორგანიზაციად თვლიდნენ *პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას*, რომელიც კრემლის ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობდა.

თავის მხრივ, ასეთ საქმიანობას ეწოდნენ დასავლეთის ქვეყნებიც. კერძოდ, „ცივი ომის“ ეპოქაში აშშ-ს დიდი წვლილი მიუძღვის მთელი რიგი ტერორისტული ჯგუფების მომზადებაში, რომლებიც ვაშინგტონის მიმართ მტრულად განწყობილი ან პროსაბჭოთა რეჟიმების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

საერთაშორისო ტერორიზმი „ცივი ომის“ პერიოდში იყო ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის ბრძოლის ინსტრუმენტი. 1980-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში მოქმედებდა 500-დე ტერორისტული ორგანიზაცია. როგორც წესი, მათგან ყველაზე გავლენიან ჯგუფებს რალაც კავშირი ჰქონდათ საბჭოთა ან დასავლეთის სპეცსამსახურებთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი მათგანი მფარველის გარეშე დარჩა და იძულებული შეიქნა, დამოუკიდებლად გაეგრძელებინა არსებობა.

მსოფლიოს რუკიდან სსრკ-ის გაუჩინარებამ გააფართოვა ტერორისტული ორგანიზაციების გეოგრაფია. მათი მოქმედების არეალს დაემატა ბევრი ყოფილი კომუნისტური ქვეყანა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. გარდა ამისა, 1990-იან წლებში საერთაშორისო ტერორიზმის გაძლიერებას ხელი შეუწყო ყოვლისმომცველმა გლობალიზაციამ და ინფორმაციულმა რევოლუციამ. ჩამოყალიბდა მჭიდრო კავშირი საერთაშორისო ტერორიზმსა და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს შორის, რასაც კვებავს ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭ-

რობა, პროსტიტუცია, ტრეფიკინგი, „შავი“ ფულის მიმოქცევა და სხვ.

ამგვარად, 1990-იანი წლებიდან საერთაშორისო ტერორიზმი გადაიქცევა ავტონომიურ ფენომენად, რომელიც სულ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის ცალკეულ ქვეყნებსა და მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობას. ზოგიერთ სახელმწიფოში ასეთმა ორგანიზაციებმა სახელმწიფო ხელისუფლებაც კი აიღეს ხელში, მაგალითად, 1996 წელს თალიბებმა ავღანეთში.

ამასთანავე, არნახულად გაიზარდა საერთაშორისო ტერორიზმის მსხვერპლთა რაოდენობა, რაც შედეგია თანამედროვე იარაღთა და ტექნოლოგიებით ტერორისტების აღჭურვისა.

სპეციალურ ლიტერატურას თუ გავეცნობით, ან თუნდაც თვალს გადავავლებთ ინტერნეტის ინფორმაციებს, აღმოვაჩინებთ, რომ 1980-იანი წლების ბოლოს ტერორისტული აქტების კონტექსტში მოიხსენიებდნენ ფაქტობრივად ერთსა და იმავე ქვეყნებსა და ორგანიზაციებს. ესენი, უმთავრესად, იყვნენ:

დიდი ბრიტანეთის ჩრდილო ირლანდიაში – ე.წ. ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA);

ესპანეთის ბასკეთში – ETA;

თურქეთში – „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“ დაკავშირებული პარტიზანული ჯგუფები;

ავღანეთში მოქმედი სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფება;

კოლუმბიაში – ნარკონარმოებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული კარტელები;

პერუში – მაოისტური პარტიზანული ორგანიზაცია „ნათელი გზა“ (Sendero Luminoso);

ახლო აღმოსავლეთში – ერთი მხრივ, ისრაელის მიმართ ჰამასისა და ჰეზბოლას მიერ განხორციელებული

აქტები, ხოლო მეორე მხრივ, ისრაელის ოპერაციები ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ;

ალჟირში – ე.წ. „ისლამური ხსნის არმია“ და „შეიარაღებული ისლამური ჯგუფი“;

შრი-ლანკაში – სეპარატისტი თამილების შეიარაღებული ორგანიზაციები\*;

ინდოეთში – ფენჯაბის, უტარ-პრადეშის, ასამის, ჯამუსა და ქაშმირის შტატებში მოქმედი სეპარატისტული დაჯგუფებები.

ცნობები ამ ქვეყნებში აღნიშნული ტერორისტული ჯგუფების მიერ განხორციელებული აქტების თაობაზე საბჭოთა მოქალაქისათვის თითქმის ტრივიალურად გაისმოდა. ბევრს ასეთი ინფორმაცია საბჭოთა პროპაგანდის ნაწილიც კი ეგონა: რის ტერორიზმი, რა ტერორიზმი?! მაგრამ როდესაც სსრკ-ის დანგრევის შემდეგ საზღვრები გაიხსნა და ტერორიზმის არეალიც დაგვიახლოვდა, მაშინ ვირწმუნეთ, რომ საბჭოთა პროპაგანდა ზოგჯერ არ ცრუობდა. მალე ამ არეალს კავკასია და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც შეუერთდნენ და ტერორიზმი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. მაგალითად, 1990 წლის აგვისტოში ააფეთქეს თბილისიდან აღდამში (აზერბაიჯანი) მიმავალი ავტობუსი, 20 ადამიანი დაიღუპა და 33 დაშავდა. 1991 წლის მაისში დაღესტანში ააფეთქეს ბაქოდან მოსკოვში მიმავალი მატარებელი, დაიღუპა 11 ადამიანი. 1994 წელს ბაქოს მეტროში მომხდარმა ორმა ტერორისტულმა აფეთქებამ 27 ადამიანი იმსხვერპლა. სამწუხაროდ, ამ სიის გაგრძელება შეიძლება.

განსაკუთრებით გააქტიურდნენ ისლამური რადი-

---

\* 1991 წელს თამილმა სეპარატისტებმა მოკლეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი, ხოლო 1993 წელს – შრი-ლანკის პრეზიდენტი რანასინგჰ პრემდასა.

კალური ორგანიზაციები. 1991 წელს ისლამისტებმა გამარჯვეს ალჟირის საპარლამენტო არჩევნებში, რამაც სრულიად ახალი სახის გამოწვევა შეუქმნა არაბული სამყაროს საერო ხელისუფლების მქონე სახელმწიფოებს. საქმე ის არის, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ალჟირელი ისლამისტები გეგმავდნენ ე.წ. შარიათის კანონების შემოღებასა და თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნას; ანუ, ისინი იყენებდნენ დემოკრატიულ არჩევნებს არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის დასამყარებლად. მაშ, რა გამოსავალია, თუკი თვით საზოგადოების უმრავლესობა დემოკრატიულად აკეთებს არადემოკრატიულ არჩევანს? ამ დილემის წინაშე ალჟირის გენერალიტეტმა გააუქმა არჩევნების შედეგები, აკრძალა „ისლამური ხსნის ფრონტი“ და ქვეყანა საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა. ამის შემდეგ მუსლიმმა რადიკალებმა ხელისუფლებას ნამდვილი ტერორისტული ომი გამოუცხადეს, რომელიც 11 წელი გაგრძელდა და 150 ათასამდე ადამიანი იმსხვერპლა\*.

1992 წლის მარტში ე.წ. *ისლამურმა ჯიჰადმა* ააფეთქა ისრაელის საელჩო ბუენოს-აირესში. დაიღუპა 29 ადამიანი, დაშავდა 242. ისრაელისა და დასავლეთის სპეცსამსახურების მონაცემებით ამ ტერაქტის უკან ჰეზბოლა და ირანი იდგნენ, თუმცა ეს უკანასკნელი კატეგორიულად უარყოფდა ამას. იმავე წლის თებერვალში ისრაელმა გაანადგურა ჰეზბოლას ერთ-ერთი ხელმძღვანელი აბას ალ-მუსავი.

იმ პერიოდის ყველაზე გახმაურებული და ჭეშმარიტად საერთაშორისო მასშტაბის შემთხვევა ნიუ-იორკში *მსოფლიო სავაჭრო ცენტრის* წინააღმდეგ განხორ-

---

\* 2012 წელს ალჟირში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ისლამისტებმა დიდი მარცხი განიცადეს.

ციელებული ტერაქტია. 1993 წლის 26 თებერვალს ნიუ-იორკის ცნობილი „ტყუპი“ ცათამბჯენის წინ უძლიერესი აფეთქება მოხდა. როგორც მალე გაირკვა, საბარგო ავტომანქანაზე დამონტაჟებული 600 კგ. ასაფეთქებელი ნივთიერების დეტონირება შედგა იმ ანგარიშით, რომ ჯერ ერთი ცათამბჯენი ჩამოშლილიყო, ხოლო შემდეგ – მეორე. ამგვარად, ეს თავდასხმა თავისებური რეპეტიცია გამოდგა 2001 წლის 11 სექტემბრის დიდი ტერაქტისა.

აფეთქებამ მთელ ამერიკაში დიდი შეშფოთება გამოიწვია. ამერიკელებისთვის ეს იყო არა მხოლოდ ტერაქტი, არამედ თავისებური კულტურულ-ფსიქოლოგიური შოკი. საქმე ის არის, რომ ევრაზიისა და სხვა „შარიანი“ კონტინენტებისგან მოშორებულ, ორი ოკეანითა და სუსტი მეზობლებით გარშემორტყმულ ამერიკელებს 300 წლის მანძილზე ჩამოუყალიბდათ გარეშე საფრთხეებისაგან სრული დაცულობის გრძნობა. ეს ფსიქოლოგია მეტ-ნაკლებად შეირყა „ცივი ომის“ პერიოდში, მას შემდეგ, რაც სტრატეგიულ მონინააღმდეგეს – საბჭოთა კავშირს გაუჩნდა იარაღი, რომელსაც შეეძლო ამერიკის ქალაქების დანგრევა. მაგრამ ბირთვული საფრთხის მიმართ ამერიკელებს მაინც აბსტრაქტული განცდა ჰქონდათ. მას შემდეგ კი, რაც სსრკ დაიშალა, ეს გლობალური საფრთხე თითქმის მთლიანად გაქრა. და აი, ტერორისტები უტევენ ნიუ-იორკის წმინდათაწმინდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრს! ილუპება 6 უდანაშაულო ადამიანი და დამავდება ათასზე მეტი. ასეთი რამ ამერიკას არ ახსოვს!

პოლიციამ და სპეცსამსახურებმა საკმაოდ სწრაფად გამოავლინეს ეჭვმიტანილები. მათმა ვინაობამ კიდევ უფრო დაზაფრა ამერიკის მოსახლეობა. ეს იყო არაბული წარმომავლობის ტერორისტული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვინმე რამზი იუსეფი. მას სპეციალ-

ური მომზადება ალ-კაიდას ბანაკში ჰქონდა გავლილი ავლანეთში. ჯგუფში ფიგურირებდა ქუვეითელი ჰალიდ შეიჰი მუჰამედი, რომელიც მოგვიანებით გახდება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მთავარი მოქმედი პირი\*.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, თავიდან ტერორისტების სამიზნე გაეროს შტაბ-ბინა იყო, მაგრამ იქ უსაფრთხოების სისტემა საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა და გეგმაც შეიცვალა.

ტერაქტის შემდეგ გავრცელდა ცნობები, თითქოს ტერორისტების უკან ერავის სპეცსამსახურები იდგნენ. ამ ინფორმაციის დადასტურებას ელოდნენ მას შემდეგ, რაც 2003 წელს ამერიკის ჯარი ბალდადში შევიდა და სადამ ჰუსეინის სასახლეები დაიკავა. სადამის კანცელარიაში რაიმე დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა ერავის დიქტატორის კავშირს 1993 წლის ტერაქტთან, ვერ აღმოაჩინეს.

იმავე წლის 24 აპრილს ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ მოწყობილმა აფეთქებამ ლონდონში უდიდესი ზარალი გამოიწვია, რომლის საერთო საფასური ერთ მილიარდ გირვანქა სტერლინგად (!) შეაფასეს. გარდაიცვალა ერთი ადამიანი.

1994 წლის 18 ივლისს ბუენოს-აირესში ტერორისტებმა ააფეთქეს ებრაული ორგანიზაციის (AMIA) შენობა. დაიღუპა 85 ადამიანი, დაშავდა 300-ზე მეტი. გამოძიების ვერსიით, ტერაქტი განახორციელა ისლამურმა რადიკალურმა ორგანიზაცია ჰეზბოლამ. იმავე წლის 19 ოქტომბერს ორგანიზაცია „ჰამასის“ ნევრი თვითმკვლელის აფეთქებას თელ-ავივში 22 ადამიანი ემსხვერპლა. ეს მოვლენები მხოლოდ ნაწილი იყო არაბებსა და ისრაელს შორის მრავალწლიანი დაპირისპირების მოჯადოებული წრისა, რომელშიც მტყუანისა და მართლის გარჩევა ძალიან ძნელი საქმეა. არაბების თავდასხმებს ისრაელმა,

\* შვიდი ტერორისტიდან ექვსი მართლმსაჯულების წინაშე წარდგა.

ჩვეულებისამებრ, ორგანიზებული ძალადობითვე უპასუხა (არაბების ვერსიას, რომ სწორედ მათ უპასუხეს ძალითვე ისრაელის აგრესიას), რასაც ასევე დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

არაბებსა და ისრაელს შორის სისხლიანი ანგარიში მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. ყველაზე დიდი მსხვერპლი 1996 წლის ტერაქტებს მოჰყვა, რომელსაც ისრაელის 60 მოქალაქე ემსხვერპლა. ისრაელის მიერ განხორციელებული რეიდების მსხვერპლის რაოდენობა ჩემთვის უცნობია.

1995 წლის 19 აპრილს ოკლაჰომა-სიტიში (აშშ), ალფრედ მარის სახელობის შენობის წინ, დიდძალი მომაკვდინებელი მასალით დატვირთული ავტომანქანის აფეთქებამ ამერიკის ისტორიაში (2001 წლის 11 სექტემბრამდე) ყველაზე დიდი ტერაქტი გამოიწვია. აფეთქებამ რამდენიმე კვარტალის რადიუსში დაანგრია ან დააზიანა 300-ზე მეტი შენობა, გაანადგურა 80-ზე მეტი ავტომანქანა. რაც მთავარი და ყველაზე სამწუხაროა, დაიღუპა 168 ადამიანი, დაშავდა 680. დაზიანებულ შენობებს შორის იყო რამდენიმე საბავშვო ბაღიც, ამიტომ დაღუპულთა შორის 19 ბავშვი აღმოჩნდა.

ამ არაადამიანური აქტის ავტორი და შემსრულებელი დანაშაულიდან რამდენიმე საათში დააკავეს. იგი აღმოჩნდა ვინმე ტიმოთი მაკვეი – აშშ-ის არმიის ვეტერანი. ოპერატიულად დააპატიმრეს მისი თანამზრახველებიც: ტერი ნიკოლსი, ასევე მაიკლ და ლორი ფორტიეები. საქმის გამოძიებაში ჩაერთო გამომძიებელთა მთელი არმია. მათ 28 ათასი ადამიანი დაკითხეს. გამოძიების 3-ტონიან (!) მასალაში თავი მოიყარა რამდენიმე მილიონმა დოკუმენტმა. გაირკვა, რომ დამნაშავეები იყვნენ ულტრამემარჯვენე ორიენტაციის მიმდევრები, რომლებმაც ხელისუფლებას „სამაგიერო გადაუხადეს“ 1992 წელს

პოლიციის მიერ ერთ-ერთი სექტის („დავითის შტო“) წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის გამო.

ოკლაჰომაში ჩასულმა პრეზიდენტმა კლინტონმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მოქალაქეებს: „თქვენ დაკარგეთ ძალიან ბევრი, მაგრამ თქვენ ყველაფერი არ დაგიკარგავთ. და, რა თქმა უნდა, თქვენ არ დაგიკარგავთ ამერიკა. ჩვენ დაგეხმარებით იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება“. სხვათა შორის, დალუპულთა შორის იყო პრეზიდენტ კლინტონის დაცვის სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ალ ვიჩერიც.

სასამართლომ მაკვეის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა (სისრულეში მოიყვანეს 2001 წელს), ნიკოლსს – სამუდამო პატიმრობა, მაიკლ ფორტიეს კი – 12 წელი.

ამ ტერაქტის შემდეგ აშშ-ის კონგრესმა რამდენიმე შესწორება შეიტანა კანონმდებლობაში ტერორიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრების მიზნით. პირველად ამერიკის ისტორიაში ფსიქოლოგებმა დაიწყეს მუშაობა ანალოგიურ შემთხვევებში ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამებზე.

ტერაქტს მსოფლიოში დიდი რეზონანსი მოჰყვა. აშშ-ის მთავრობასა და ხალხს სამიძიარი გამოუცხადა მსოფლიოს მრავალმა ლიდერმა, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერმა იასირ არაფატმა. შეგახსენებთ, რომ სწორედ არაფატი ხელმძღვანელობდა ათეული წლების მანძილზე შეირალებულ ბრძოლას აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირის – ისრაელის წინააღმდეგ.

ოკლაჰომას სინდრომი გადამდები აღმოჩნდა. ორიოდე კვირის შემდეგ მსოფლიოს სხვა წერტილში – ინდოეთის ქალაქ მუმბაიში (ბომბეი) – ნამდვილი ტერორისტული მინიომი გაჩაღდა.

ამ ქალაქში 1970-იანი წლების ბოლოს ვმუშაობდი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმილიონიან მეგაპოლისში



უამრავი გაჭირვებული, უპოვარი და მათხოვარი ცხოვრობდა, დანაშაულის დონე დაბალი იყო და ვითარებაც უსაფრთხო. რელიგიურ თუ ეთნიკურ საფუძველზე შიგადაშიგ ხდებოდა კონფლიქტები, რომლებსაც პოლიცია საკმაოდ ეფექტურად აქრობდა.

ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით უაღრესად ჭრელ ინდოეთში სამოქალაქო მშვიდობის მთავარი საფუძველია ინდუიზმისა და მისგან აღმოცენებული რელიგიების უაღრესად ტოლერანტული ბუნება, რამაც ათასობით წლების მანძილზე განსაკუთრებული არაძალადობრივი მსოფლმხედველობა ჩამოაყალიბა. უახლეს ისტორიაში ამ მსოფლმხედველობამ გამოხატულება ჰპოვა თანამედროვე ინდოეთის იდეოლოგიასა და სახელმწიფო პოლიტიკაშიც, რომლის ფუძემდებელი იყო დიდი მაჰატმა განდი.

1980-იან წლებში ინდოეთში გააქტიურდნენ რადიკალური რელიგიური ძალები. ამან ურთიერთობა დაძაბა ჰინდუსებსა და მუსლიმებს შორის. 1992-1993 წლებში ექტრემისტმა ჰინდუსებმა ბომბეში დაანგრიეს მეჩეთი, რასაც სისხლიანი დაპირისპირება მოჰყვა. ზოგადად ვითარების გაუარესებით ისარგებლეს კრიმინალურმა დაჯგუფებებმა, რომლებმაც ძლიერი კარტელები შექმნეს ეკონომიკური გავლენის სფეროებით. სპეცსამსახურებმა დაადგინეს, რომ მათ კავშირი ჰქონდათ პაკისტანში ბაზირებულ ალ-კაიდასთან და მის ლიდერთან, ოსამა ბინ-ლადენტან. პოლიციამ დამნაშავეთა რამდენიმე წევრი დააკავა, რის საპასუხოდაც კრიმინალ-ტერორისტები ფრონტალურ შეტევაზე გადავიდნენ.

1993 წლის 12 მარტს ბომბეის სხვადასხვა რაიონში, ერთიმეორის მოყოლებით, აფეთქებების სერია მოენყო. ერთი დღის მანძილზე ძლიერი აფეთქებები მოხდა სასტუმროებთან, კინოთეატრებთან, აეროპორტში, ავტო-

ბუხის გაჩერებებთან, სხვადასხვა დაწესებულებასთან (სულ 17 აფეთქება). კრიმინალებმა ხალხმრავალი ავტობუსის მგზავრებიც არ დაინდეს – აფეთქებამ 90 ადამიანი იმსხვერპლა. როგორც მოგვიანებით ჩემი ძველი ინდოელი მეგობარი იხსენებდა, ბომბეის ბევრმა მცხოვრებმა იფიქრა, რომ ომი დაიწყო, რამაც პანიკა გამოიწვია. მოსახლეობის ნაწილმა ბომბეიდან გაქცევა სცადა, მაგრამ როგორ გინდა თავი დააღწიო 15 მილიონიან ქალაქს?! დღის ბოლოსთვის ძალოვნებმა, სრული მობილიზაციით, შეძლეს ვითარების გაკონტროლება, მაგრამ ბევრი ინდოელისათვის უკვე დაგვიანებული იყო: დაიღუპა 257 ადამიანი და დაშავდა 1400-მდე.

მომდევნო დღეებში აფეთქებები კალკუტაშიც განხორციელდა, სადაც 50 ადამიანი დაიღუპა.

ტერაქტების მომწყობებისა და კრიმინალური კარტელების დაკავება და გასამართლება ინდოეთის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური პოლიციური ოპერაცია და სასამართლო პროცესი იყო. ამ ისტორიამ საკმაოდ დაძაბა ისედაც რთული ურთიერთობა ინდოეთსა და პაკისტანს შორის, რადგან ინდოელები ეჭვობდნენ, რომ ტერაქტების უკან მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურებიც იდგნენ.

ამ კრიმინალური ქრონიკით მხოლოდ ინდოელმა კინემატოგრაფისტებმა იხეირეს, რომლებმაც 1993 წლის სისხლიანი 12 მარტის შესახებ არაერთი უნიჭო ფილმი გადაიღეს.

არ ვიცი, რამდენად ისარგებლეს ინდოელი კინემატოგრაფისტების გამოცდილებით მათმა პერუელმა კოლეგებმა, რომლებსაც ფილმისთვის ფაბულა „შესთავაზეს“ ადგილობრივმა ტერორისტებმა პარტიზანული ორგანიზაციიდან „ნათელი გზა“. ამ პოეტური სახელწოდების ორგანიზაციას 1996 წლის დეკემბრიდან მომდევნო წლის აპრილამდე (4 თვის მანძილზე!) ქ. ლიმაში

მძევლებად ჰყავდა აყვანილი იაპონიის საელჩოს თანამშრომლები და სტუმრები. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ტერორისტები გაანადგურეს და მძევლები გაათავისუფლეს, მაგრამ ამ უკანასკნელთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას „საუკუნე“ დასჭირდა.

1995 წლის 20 მარტს ტოკიოს მეტროში განხორციელებული ტერორისტული შეტევა განსაკუთრებით შემამოფოთებელი მოვლენა იყო. იგი განსხვავდებოდა სხვა საერთაშორისო მასშტაბის ტერაქტებისაგან იმით, რომ ადამიანთა მასობრივი განადგურებისათვის გამოიყენეს იარაღი – ზარინი.\* ტერაქტი, რომლის შედეგადაც დაიღუპა 12 და დაშავდა 6-ათასამდე ადამიანი, განხორციელა რელიგიურმა სექტა „სინრიკომ“. ტერაქტს ხელმძღვანელობდა სექტის ლიდერი, ვინმე სიოკო ასაჰარა, რომელიც პოლიციამ ოპერატიულად დააკავა. მას სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. მომდევნო პერიოდში სექტის 200-მდე სხვა წევრიც დააპატიმრეს, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულში ამხილეს. მათ შორის საიკვდილით დასჯა კიდევ რამდენიმე პიროვნებას მიუსაჯეს. დამნაშავეთა ძებნა და დაპატიმრება მხოლოდ 2012 წელს დასრულდა.

იაპონიისათვის, სადაც ზოგადად დანაშაულის დონე დაბალია, ტერორიზმი მოულოდნელი მოვლენა იყო. ასეთი ფანატიკური სახითა და დაუნდობელი ხერხებით განხორციელებულმა ტერაქტმა ქვეყანაში დიდი შემოფოთება და დისკუსიები გამოიწვია. საზოგადოების უდიდესი ნაწილი გაგებით შეხვდა დამნაშავეთა მიმართ გამოტანილ უმკაცრეს განაჩენებს.

ამ ტერაქტის დეტალები დოკუმენტურად აღწერა ცნობილმა იაპონელმა მწერალმა ჰარუკი მურაკამიმ ნიგნში „მინისქვეშეთი“.

\* მიკროსკოპული რაოდენობაც კი საკმარისია ადამიანის მოსაკლავად.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთში მშვიდობიანობის დროს მომხდარ ყველაზე დიდ აფეთქებას – 1996 წლის მანჩესტერის ტერაქტს – ამ ისტორიის ფაბულა მცირე-ოდენ შეცვლა-შელამაზებასაც კი არ საჭიროებს. ასეთი ჟანრის სუპერფილმისათვის ყველაფერი „ადგილზეა“: დამაინტრიგებელი დასაწყისი, დრამატული სიუჟეტი და ბოლოს – „ჰეპი ენდი“. ჩემს თავს მცირედი ირონიის უფლებას მხოლოდ იმიტომ ვაძლევ, რომ მიუხედავად ტერაქტის უდიდესი დამანგრეველი შედეგებისა, არავინ დაღუპულა.

ამ პერიოდში დიდ ბრიტანეთში მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში – „ევრო 96“. მომდევნო დღისათვის დაგეგმილ მატჩს ოლდ ტრაფორდის სტადიონზე ბევრი ელოდა: ერთმანეთს ხვდებოდნენ გერმანიისა და რუსეთის ნაკრები გუნდები. რუსეთზე ფსონს თითქმის არავინ დებდა. გერმანია კი ინგლისელების ღირსეული მეტოქეა!

დილით (09.43) ქალაქის პოლიციაში უცნობმა დარეკა და ირლანდიური აქცენტით განაცხადა, რომ ქალაქის კომერციულ ცენტრ Armdale-ში ნაღმი იყო განთავსებული. პოლიციამ მიაგნო ავტოფურგონს, რომელშიც 1500 კგ (!) ასაფეთქებელი ნივთიერება იყო დამონტაჟებული. ასეთ ასაფეთქებლებს ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA) იყენებდა ტერაქტებისათვის.

პოლიციამ ოპერატიულად დაიწყო ხალხის ევაკუაცია მიმდებარე ქუჩებიდან და კვარტალებიდან. ეს რთული საქმე იყო, რადგან შესაძლო აფეთქების რადიუსში ამ დროისათვის 80 ათასამდე ადამიანი იმყოფებოდა.

სპეციალისტებმა რთული მოწყობილობის განაღმვა ვერ შეძლეს და 11 საათსა და 17 წუთზე მანჩესტერის ცენტრში მოხდა აფეთქება, რომლის დამანგრეველი პარამეტრები შეესაბამებოდა მცირე ატომური ბომბის

პოტენციალს. ქალაქის თავზე ამოვარდნილი „სოკოს“ სიმაღლემ 300 მეტრს გადააჭარბა.

მანჩესტერელები პოლიციას უნდა უმადლოდნენ, რომ ტერაქტს სასიკვდილო მსხვერლი არ მოჰყოლია, თუმცა 200-ზე მეტი ადამიანი დაშავდა და დაიჭრა. შუშის ნამსხვრევები ქალაქის მთელ ცენტრალურ რაიონს მოედო. ერთ-ერთ ქალბატონს ექიმებმა 300 ნაკერი დაადეს. დაინგრა, ან სერიოზულად დაზიანდა, ასი ათას (!) კვადრატულ მეტრზე მეტი საოფისე, სავაჭრო და საცხოვრებელი ფართი, საფასურმა 1,2 მილიარდ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა. ქალაქის კომერციული ცენტრის რესტავრაციას თითქმის 10 წელი დასჭირდა. ბევრი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ეს აფეთქება ფატალური აღმოჩნდა.

რაც „მთავარია“, მომდევნო დღეს გერმანია-რუსეთის მატჩი გაიმართა და მას 50 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. ამბობენ, პოლიციის რაოდენობა ბევრად არ ჩამოუვარდებოდა მაყურებლის რიცხვსო; როგორც მოსალოდნელი იყო, რუსები დამარცხდნენ ანგარიშით 0-3.

პოლიციამ იმავე დღეს ლონდონში დააპატიმრა IRA-ს 6 წევრი, რომლებსაც თავიდან სხვა ბრალდება წაუყენეს. რამდენიმე დღეში IRA-მ დაადასტურა, რომ ტერაქტი მის მიერ იყო ორგანიზებული.

ყოველივე ამის შემდეგ კი იწყება ჩახლართული დეტექტივი. პრესაში ჩნდება „გაჟონვა“ და უცნაური ცნობები, რომლებიც უალრესად აბნევენ საზოგადოებას. მომდევნო წლებში ნათელი გახდა, რომ ჩრდილოირლანდიელ ტერორისტთა ბედი გარიგების თემად იქცა IRA-ს, მის პოლიტიკურ მხარდამჭერებსა და ლონდონს შორის. საბოლოოდ, 1998 წელს ხელი მოეწერა ცნობილ *ბელფასტის შეთანხმებას*, რომელმაც ფორმალურად დაასრულა მანჩესტერის სიუჟეტი და ბრიტანეთის მთავრობასთან

IRA-ს თითქმის 70-წლიანი სისხლიანი დაპირისპირება. 2000 წელს კი ამ შეთანხმების საფუძველზე ტერაქტში ეჭვმიტანილი 6 პირიც გაათავისუფლეს.

ამგვარად, მანჩესტერის ტერაქტის გამო, საბოლოოდ, პასუხი არავის არ უგია და ბრიტანეთის სამაგალითო მართლსაჯულებას არავინ არ დაუსჯია. ყველაფერი პოლიტიკური გარიგების საფუძველზე მოგვარდა. ასეც ხდება ხოლმე: ზოგჯერ პოლიტიკური მიზანშეწონილობა ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი მართლმსაჯულებას ჯაბნის.

ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო და მანჩესტერის აფეთქებამ მართლაც ხელი შეუწყო ჩრდილო ირლანდიაში კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებას, თუმცა მას საბოლოო წერტილი მაინც ვერ დაესვა.

რადგან ამ კონფლიქტის თემას შევეხეთ, შეიძლება მოკლედ გავიხსენოთ მისი გამომწვევი მიზეზებიც. საქმე ის არის, რომ ირლანდიაში ბრიტანეთის გავლენა შუა საუკუნეებიდან იზრდებოდა, 1801 წელს კი ეს კუნძული გაერთიანებული სამეფოს ნაწილი გახდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ირლანდიელებმა 1919 წელს შეძლეს ნაწილობრივ აღედგინათ დამოუკიდებლობა, 1922 წელს კი დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიას შორის ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულება. ირლანდიამ მიიღო შეზღუდული სახელმწიფო დამოუკიდებლობა, ხოლო ამ კუნძულის 6 საგრაფო, ანუ ჩრდილო ირლანდია (ე.წ. ოლსტერი), დარჩა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში. მომდევნო ათწლეულების მანძილზე ირლანდიის დამოუკიდებლობის ხარისხი გაიზარდა და იგი 1949 წელს სრულყოფილ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ხოლო ჩრდილო ირლანდიაში პირიქით – ბრიტანეთის ცენტრალური მმართველობა გაძლიერდა. 1970-იანი წლებიდან იგი უშუალოდ ლონდონიდან იმართებოდა. მთელი მე-20

საუკუნის მანძილზე არ წყდებოდა ბრიტანეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის ავანგარდშიც იდგა IRA და პოლიტიკური პარტია „შინ ფეინი“. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი 1970-იან წლებში მიიღო, რასაც დიდი მსხვერპლი და მატერიალური ზარალი მოჰყვა. კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებას განსაკუთრებით უშლიდა ხელს რელიგიური პრობლემა. საქმე ის არის, რომ ჩრდილო ირლანდიის მეტწილად კათოლიკური მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე ბრიტანელმა პროტესტანტებმა „გააზავეს“. რალაც ეტაპზე ერთ მხარეს აღმოჩნდა კათოლიკური მოსახლეობა და მათი ინტერესების დამცველი ძალები, ხოლო მეორე მხარეს – პროტესტანტები, ბრიტანეთის პოლიცია, ჯარი და პროტესტანტების მხარდამჭერი ორგანიზაციები. კათოლიკეებისა და პროტესტანტების დაპირისპირების „ფრონტი“ ქალაქებზე, დასახლებულ პუნქტებსა და ქუჩებზე გადაიოდა. ერთი მხარის ისტორიული გამარჯვების დღესასწაული მეორე მხარისათვის გლოვის დღე იყო და ა.შ.

1998 წლის 10 აპრილის ბელფასტის ხელშეკრულების („Good Friday Agreement“) შესაბამისად აღადგინეს ჩრდილო ირლანდიის საკანონმდებლო ასამბლეა, შეიქმნა ჩრდილო და სამხრეთ ირლანდიის ერთობლივი მინისტრთა საბჭო, ასევე ბრიტანული კუნძულების საბჭო. შეთანხმება ითვალისწინებდა შეიარაღებული ჯგუფების განიარაღებას. 23 მაისს ჩატარებულმა რეფერენდუმმა მხარი დაუჭირა ამ ხელშეკრულებას, რამაც მეტი ლეგიტიმურობა და ძალა შესძინა სამშვიდობო პროცესს.

ბელფასტის შეთანხმება კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკოსებმა გამოიხონ გამოსავალი თითქმის ჩიხში შესული სიტუაციიდან. არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, თუკი კონფლიქტში ჩაბმულ

მხარეებს აქვთ პოლიტიკური ნება. მომდევნო წლებში ვითარება ჩრდილო ირლანდიაში არაერთხელ გართულდა, მაგრამ საერთოდ, ძალადობამ საგრძნობლად იკლო და მშვიდობიანი ცხოვრების პერსპექტივაც გამოჩნდა.

ამგვარად, მანჩესტერის 1996 წლის ტერაქტსა და „ფილმს“, მართლაც, „ჰეპი ენდი“ აქვს.

რაც შეეხება ისლამური საერთაშორისო ტერორიზმის ლიდერებს, ისინი ფართო საზოგადოებისათვის ერთხანს უცნობნი იყვნენ. ნიუ-იორკში 1993 წლის ტერაქტის შემდეგ პრესაში გაჩნდა ცნობები ალ-კაიდას შესახებ, მაგრამ ოსამა ბინ-ლადენის სახელი ბევრისთვის ჯერ „ახალი ხილი“ იყო. სპეციალისტებმა იცოდნენ, რომ ბინ-ლადენი საუდის არაბეთის ერთ-ერთი ცნობილი და მდიდარი ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ. ამ ოჯახმა მშენებლობის ბიზნესით შექმნა დიდძალი კაპიტალი, მაგრამ 1980-იან წლებში ოსამამ საოჯახო საქმეს თავი დაანება და სხვა გზა აირჩია. 1979 წელს იგი ავღანეთში წავიდა საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) ყოფილი თანამშრომლის, მაიკლ შოერის, ცნობით, ვაშინგტონში ამ პერიოდში ჰქონდათ ინფორმაცია ოსამას შესახებ, თუმცა რაიმე პირდაპირ კონტაქტებს მასთან არ ამყარებდნენ. ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის გასვლის შემდეგ ოსამამ ახალი მტერი გაიჩინა და მთლიანად აშშ-ის წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაერთო. იგი სუდანში გადავიდა და იქ შექმნა ტერორისტული ბაზები. 1994 წელს მას ჩამოართვეს საუდის არაბეთის მოქალაქეობა, ხოლო 1996 წელს სუდანიდან გააძევეს აშშ-ის ზენოლით. ოსამა ავღანეთში დაბრუნდა და თავისი ორგანიზაციის – ალ-კაიდას – საერთაშორისო ქსელის გაძლიერებას შეუდგა. ამ პერიოდისათვის მას უკვე ჰყავდა 3 ათასამდე



განვრთნილი მეომარი. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ტერაქტები ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგ იემენში (1992 წელი), სომალიში (1993 წელი), ასევე საუდის არაბეთში (1996 წელი). ოსამას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა სხვა ისლამურ ტერორისტულ ჯგუფებთან, კერძოდ, ეგვიპტურ ჯიჰადთან.

ბინ-ლადენის მეომრები იბრძოდნენ სომალიში, ერიტრეაში, ავღანეთში, ტაჯიკეთში, იემენში. სხვადასხვა მონაცემებით, იგი 1993 წელს იმყოფებოდა ბოსნიაში, ხოლო 1995 წელს – ალბანეთში. ჩრდილო კავკასიაში ბინ-ლადენის წარმომადგენელი, არაბი საველე მეთაური ჰატაბი 1995 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ჩეჩნეთის კონფლიქტში. მისი ლიკვიდირება რუსეთის სპეცსამსახურებმა მხოლოდ 2002 წელს შეძლეს.

1998 წლის 7 აგვისტოს ნაირობიში (კენია) და დარ ეს-სალამში (ტანზანია) აშშ-ის საელჩოების წინააღმდეგ ერთდროულად განხორციელებულმა ორმა უძლიერესმა აფეთქებამ ბინ-ლადენი ტერორიზმის „ვარსკვლავად“ აქცია. დანაღმული საბარგო ავტომანქანის აფეთქების შედეგად ნაირობიში 212 ადამიანი დაიღუპა და 4 ათასამდე დაშავდა, ხოლო დარ ეს-სალამში დაიღუპა 11 და დაშავდა 85. ნაირობიში დაღუპულთა შორის 12 ამერიკელი იყო.

პასუხისმგებლობა ტერაქტებზე თავიდანვე ალ-კაიდამ აიღო. მასშტაბური აფეთქებებით ბინ-ლადენმა თავისებურად აღნიშნა მშობლიურ საუდის არაბეთში აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის შეყვანის მეშვიდე წლისთავი (ერაყის წინააღმდეგ ომის დროს). თუმცა იმას, რომ დაღუპულთა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი აფრიკელები და მოძმე მუსლიმები იყვნენ, ოსამა არც მაშინ და არც მერე არ შეუწუხებია.

ვაშინგტონის რეაქცია აღნიშნულ აფეთქებებზე მყის-

იერი იყო: სარაკეტო დარტყმები განხორციელდა ტერორისტთა ბანაკებზე ავღანეთში, ასევე გაანადგურეს ფარმაცევტული ქარხანა სუდანში, სადაც, ამერიკის დაზვერვის მონაცემებით, ბიოლოგიურ იარაღს\* აწარმოებდნენ. როგორც ჩანს, ავღანეთში ალ-კაიდამ ამ შეტევით საკმაოდ დიდი ზარალი განიცადა, რადგან რეაქცია უაღრესად მწვავე იყო.

აფეთქებების შემდეგ ოსამა მსოფლიოს ყველაზე სახიფათო ტერორისტთა ათეულში შეიყვანეს, ხოლო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ 10 წლის მანძილზე აშშ-ის ყველაზე დიდ მტრად ითვლებოდა.

საელჩოების აფეთქებების მომწყობთა და მონაწილეთა 21-კაციანი სიიდან 2012 წლისათვის განადგურებულია 8 ტერორისტი (ბინ-ლადენის ჩათვლით), ხოლო სასჯელს იხდის 9.

მძიმე და დაუნდობელი ბრძოლების შემდეგ, 1996 წელს, ავღანეთის დედაქალაქი დაიკავეს თალიბებმა („თალიბ“ არაბულად სტუდენტს ნიშნავს), რომლებმაც ქვეყნის დიდ ნაწილში დაამყარეს უაღრესად რადიკალური ისლამური რეჟიმი. მე-20 საუკუნეში ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება ტერორისტულმა ორგანიზაციამ ჩაიგდო ხელში. ტერორისტები იყვნენ წითელი ჰმერები, რომლებმაც 1970-იან წლებში გენოციდი მოაწყვეს კამბოჯაში. დღევანდელი კრიტიკულობით, ტერორისტული ორგანიზაციები იყო გერმანული ნაცისტური და რუსეთის ბოლშევიკური პარტიებიც.

ავღანეთი განსაკუთრებული შემთხვევაა იმ თვალსაზრისით, რომ თალიბების თემა დღესაც უაღრესად აქტუალურია და მათ წინააღმდეგ საერთაშორისო კამპანიაში აქტიურად მონაწილეობენ ქართველი სამხედროები.

თალიბების აღმოცენება, ზოგადად, შედეგი იყო

---

\* მოგვიანებით დადასტურდა, რომ ეს მონაცემები ზუსტი არ იყო.

ავღანეთის სრული დესტაბილიზაციისა, რაც 1980-იან წლებში საბჭოთა ინტერვენციამ გამოიწვია. 1989 წელს დამარცხებული საბჭოთა ჯარის ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, ამბოხებულებმა პროსაბჭოთა რეჟიმი დაამხეს, ხოლო მისი ლიდერი მოჰამედ ნაჯიბულა ქაბულის ცენტრში მხეცურად მოკლეს და ხეზე ჩამოკიდეს (1992 წელს). ქვეყანაში სრული ქაოსი და განუკითხაობა გამეფდა.

პოლიტიკური ძალებისა და შეიარაღებული ჯგუფების უმრავლესობამ მოილაპარაკა ძალაუფლების განაწილების თაობაზე, შექმნეს დროებითი მთავრობა და ავღანეთს ისლამური სახელმწიფო უწოდეს. მეზობელმა ისლამურმა ქვეყნებმა დაინყეს ბრძოლა რეგიონული გაყენების გასაძლიერებლად, რასაც უფრო მეტი პოლარიზაცია შეჰქონდა განამებულ ქვეყანაში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ პაკისტანი, ირანი და საუდის არაბეთი. კერძოდ, პაკისტანი თავის უსაფრთხოებას განიხილავდა ავღანეთის მიმართულებით „სტრატეგიული სიღრმის“ შექმნის კონტექსტში. პაკისტანის ძლიერი სპეცსამსახურების (Inter-Services Intelligence, ISI) ხელშეწყობით, ფინანსური და სამხედრო დახმარებით ავღანეთის ქალაქ ყანდაარში შეიქმნა თალიბების შეიარაღებული ჯგუფი, რომელსაც მულა ომარი ჩაუდგა სათავეში. 1994 წლისათვის თალიბები უკვე აკონტროლებდნენ ავღანეთის ბევრ პროვინციას, სადაც შარიათის კანონებსა და მკაცრ რელიგიურ ნორმებს აწესებდნენ. ეთნიკურად ჭრელ ავღანეთში თალიბების დასაყრდენი იმთავითვე იყვნენ ფუშთუნთა ტომები, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ.

1995 წელს თალიბებმა შეტევა განახორციელეს ქაბულზე, მაგრამ კოალიციურმა ძალებმა თავდაცვის მინისტრის, აჰმად შაჰ მასუდის ხელმძღვანელობით დაამარცხეს ისინი. თალიბებმა უკან დაიხიეს, პაკისტანის

დახმარებით ძალები მოიკრიბეს და 1996 წლის 27 სექტემბერს ბრძოლით აიღეს ქაბული, ავღანეთი კი ისლამურ საამიროდ გამოაცხადეს. აჰმად შაჰ მასუდმა, თავისი ძალებით, ქვეყნის ჩრდილო რეგიონებში გადაინაცვლა.

დასავლეთის ქვეყნების სადაზვერვო მონაცემებით, ქაბულის აღების ოპერაციაში მონაწილეობდნენ პაკისტანის სამხედრო კონტინგენტი და სპეცრაზმები. მომდევნო წლებში პაკისტანის სამხედრო ძალები ასევე მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ თალიბებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის გაკონტროლებაში. ამ საქმეს პირადად ხელმძღვანელობდა პაკისტანის არმიის გენერალური შტაბის უფროსი და ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი ფერევე მუშარაფი. მაშინვე გაძლიერდა თანამშრომლობა ალ-კაიდასთან, რომელმაც მთელი ქსელი შექმნა ავღანეთში. ბრიტანეთის დაზვერვის მონაცემებით, ISI აქტიურად მონაწილეობდა ალ-კაიდას ტერორისტების მოსამზადებელი ბანაკების შექმნაში\*

თალიბებმა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ნამდვილი ჯოჯოხეთი მოაწყვეს. იმ ქალაქებისა თუ დასახლებებისგან, რომლებსაც ისინი ბრძოლით იღებდნენ, თითქმის არაფერი არ რჩებოდა. მაგალითად, მაზარ-ი შარიფის 1500 მოსახლიდან მხოლოდ 100 გადაურჩა სიკვდილს, 45-ათასიანი ისტალიფი კი მთლიანად დაანგრიეს და ცოცხლად დარჩენილები ლტოლვილებად აქციეს. იგივე მოხდა ქალაქ ბამიანშიც, სადაც უამრავი ბავშვი და ქალი დახოცეს. განსაკუთრებით არ ინდობდნენ სხვა ტომების წარმომადგენლებს – ტაჯიკებს, უზბეკებს, ხაზარელებს. მათ წინააღმდეგ დაუნდობელი ეთნიკური წმენდა განხორციელდა.

თალიბებმა დამშეულ ქვეყანაში საქმიანობა აუკრძა-

---

\* 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ პაკისტანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ განყვიტა ყოველგვარი კონტაქტები თალიბებთან.

ლეს გაეროს სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც საკვების მინიმუმით ამარაგებდნენ 200 ათასამდე ადამიანს.

თალიბების იდეოლოგიისა და პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ქალები გახდნენ. შარიათის კანონების მკვეთრი რადიკალიზაციის გზით ქალებს აეკრძალათ სახის საფარის (ე.წ. ბურქა) გარეშე ხალხში გამოჩენა. ამ კანონების დამრღვევთა საჯაროდ და მხეცურად დასჯა ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა. მასობრივი ხასიათი მიიღო გაუპატიურებამ და ტრეფიკინგმა. გოგონებს აეკრძალათ სკოლაში სიარული. სწავლა, პრაქტიკულად, ბიჭებისთვისაც შეუძლებელი გახდა, რადგან მასწავლებელთა უმრავლესობა ქალები იყვნენ. აიკრძალა კინო, გართობა, მუსიკა, თანამედროვე ტანსაცმელი, მხატვრობა, კოსმეტიკა, ტელევიზორი, კომპიუტერი, მოკლედ – ყველაფერი დასავლური (ფულისა და იარაღის გარდა). რელიგიური პოლიცია ყველაფერს უმკაცრესად აკონტროლებდა.

თალიბები არა მხოლოდ თავისიანებს, არამედ უცხოელებსაც არ ინდობდნენ. კერძოდ, 1998 წელს ირანელი დიპლომატებისა და ჟურნალისტების მკვლელობას მოჰყვა ირანის 250 ათასიანი ჯარის კონცენტრაცია ავღანეთის საზღვართან. პაკისტანის შუამდგომლობით ცხედრები თეირანში გადაასვენეს და სამხედრო ინტერვენცია თავიდან აიცილეს.

1999 წელს მთელმა მსოფლიომ იხილა თალიბების მორიგი ვანდალიზმი – მულა ომარის პირადი ბრძანებით დინამიტით ააფეთქეს მე-6 საუკუნის ბუდას უნიკალური ქანდაკებები ავღანეთის ცენტრალურ რაიონში (ე.წ. ბამიანის ბუდა).

თალიბების რეჟიმი აღიარეს მხოლოდ პაკისტანმა, გაერთიანებულმა საამიროებმა და საუდის არაბეთმა.

თალიბებმა სრული მონოპოლია დაამყარეს ვაჭრობაზე. მათი მთავარი ეკონომიკური პარტნიორი პაკისტანი გახდა, შემოსავლის მთავარი წყარო კი – ოპიუმი. 2000 წლისათვის ავღანეთი აწარმოებდა ოპიუმის მსოფლიო მოხმარების 75%-ს, რაც 80 ათას (!) ჰექტარზე მოჰყავდათ. ნარკობიზნესიდან შემოსავლის დიდი ნაწილი სამხედრო მიზნებს ხმარდებოდა. თალიბებს ფინანსურად ეხმარებოდა ბინ-ლადენიც. ამგვარად, ამ რეჟიმის მთავარი ეკონომიკური დასაყრდენი იყო ოპიუმი, პაკისტანი და ალ-კაიდა.

თალიბებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა აჰმად შაჰ მასუდი. ეს არაორდინალური პიროვნება წლების განმავლობაში იყო ერთ-ერთი მთავარი მებრძოლი საბჭოთა ინტერვენციის წინააღმდეგ. „უოლ სტრიტ ჯორნალმა“ 2001 წელს მას უწოდა „ავღანელი, რომელმაც „ცივი ომი“ მოიგო“. თვით ავღანელებმა კი მას „ფანჯშერის ლომი“ შეარქვეს. თალიბებთან 1996 წელს დამარცხების შემდეგ, მასუდმა, უზბეკ დოსტუმთან ერთად, შექმნა ე.წ. ერთიანი ისლამური ფრონტი (ჩრდილოეთის ალიანსი), რომელშიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იბრძოდნენ. მისთვის ყოველად მიუღებელი იყო თალიბების ფანატიზმი, იგი ყოველნაირად ცდილობდა ეროვნული თანხმობის მიღწევასა და ავღანეთში მშვიდობის დამყარებას. ერთიანი ფრონტის მიერ კონტროლირებად რაიონებს თალიბებისაგან გამოქცეული 400 ათასამდე ავღანელი აფარებდა თავს.

მასუდი 2001 წელს ეწვია ევროპას და სიტყვით გამოვიდა ევროპარლამენტში. მისგან ცნობილი გახდა, რომ მზადდებოდა დიდი ტერაქტი აშშ-ის წინააღმდეგ.

აჰმად შაჰ მასუდი მოკლეს ალ-კაიდას აგენტებმა ავღანეთში 2001 წლის 9 სექტემბერს, ანუ ნიუ-იორკის ტერაქტამდე 3 დღით ადრე.

დღეს ავღანეთში მასუდი ეროვნულ გმირად არის აღიარებული. იგი 2002 წელს ნობელის პრემიაზეც კი იყო წარდგენილი.

ნიუ-იორკის ტერაქტის შემდეგ აშშ-მა დაიწყო ავღანეთში სამხედრო ოპერაცია თალიბების წინააღმდეგ. თალიბები ქაბულიდან განდევნეს, მაგრამ ისინი დღემდე არ არიან დამარცხებულნი. ამ სახიფათო საერთაშორისო ტერორისტებს ებრძვიან დღეს ქართველი სამხედროები ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციის ფარგლებში (ISAF). 2014 წლიდან ნატო თავისი კონტინგენტის გამოყვანას გეგმავს ავღანეთიდან, რისთვისაც თალიბები გულმოდგინედ ემზადებიან.

იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ნატოს შესაძლო მარცხს ავღანეთში, ზბიგნევ ბრზეჟინსკი თავის ახალ ნაშრომში „სტრატეგიული ხედვა“ წერს: „ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში, ქვეყნის ბედი სავსე მეთაურების ხელში აღმოჩნდება. პაკისტანი და ინდოეთი ღიად და ინტენსიურად დაიწყებენ შეჯიბრებას ავღანეთში თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად... შესაბამისად, გაიზრდება ალბათობა პაკისტანსა და ინდოეთს შორის, როგორც მინიმუმ, არაპირდაპირი სამხედრო კონფლიქტისა. ირანი, ალბათ, ისარგებლებს პაკისტან-ინდოეთის დაპირისპირებით, რათა გაიძლიეროს რეგიონში პოზიციები..., რაც სერიოზულად შეცვლის ძალთა ბალანსს. შუა აზიის მეზობელი ქვეყნები ასევე ჩათრეული აღმოჩნდებიან ამ რეგიონულ ძალთა თამაშში. და რაც უფრო მეტი მოთამაშე გამოჩნდება ავღანეთში, მით უფრო მეტი იქნება დიდი რეგიონული კონფლიქტის ალბათობა... პაკისტანის დახმარებით, თალიბები ამ ვითარებაში კვლავ მოგვევლინებიან უდიდეს დესტრუქციულ ძალად... ასეთი ავღანეთი კიდევ მეტად შეუწყობს ხელს ნარკოტიკებით

საერთაშორისო ვაჭრობას და გახდება საერთაშორისო ტერორიზმის ბუდე“.

ამ პესიმისტურ პროგნოზს შეიძლება დავუმატოთ კიდევ ერთი მოსაზრება: ავღანეთში თალიბების დაბრუნების შემთხვევაში უთუოდ გააქტიურდებიან მუსლიმი რადიკალები კავკასიის რეგიონში. ეს გარემოება უარყოფით გავლენას იქონიებს მეზობელ აზერბაიჯანსა და თურქეთზე. მოსალოდნელია ჩრდილო კავკასიაში ვითარების შემდგომი რადიკალიზაცია. ყოველივე ეს სერიოზულ დამატებით საფრთხეებს შეუქმნის საქართველოს\*.

1990-იან წლებში მეტ-ნაკლებად დიდი თუ მცირე

---

\* საკუთარი ხალხისა და კაცობრიობის წინააღმდეგ თალიბების მიერ ჩადენილი დანაშაულის მასშტაბის სრული სურათი დღემდე უცნობია. 2011 წლის ბოლოსათვის დასრულდა ადამიანის უფლებათა დამცველი დამოუკიდებელი კომისიის 6-წლიანი მუშაობა, რომელმაც 800-გვერდ-იან ანგარიშში (Conflict Mapping in Afghanistan Since 1978) თავი მოუყარა დიდ მასალას, ავღანეთის საბჭოთა ოკუპაციის პერიოდიდან 1990-იანი წლების ჩათვლით. ავღანელი და დასავლელი ექსპერტების მონაცემებით, ადამიანების განადგურებასა და მათი უფლებების მასობრივ დარღვევებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი არა მხოლოდ თალიბები, არამედ მათი მოწინააღმდეგეებიც. მათ შორის იყვნენ ე.წ. ჩრდილოეთის ალიანსის ლიდერები: აჰმად შაჰ მასუდი, აბდულ რამიდ დოსტუმეი, ქარიმ შალილი, ათა მუჰამედ ნური და სხვ. (სულ 500-დე პიროვნება). კომისიამ აღმოაჩინა 13 სამარხი, სადაც განადგურებულ ადამიანებს ჯგუფურად ასაფლავებდნენ. მხოლოდ მაზარი-ი შარიფის მახლობლად ასეთ სამარხში 2 ათასამდე ადამიანის ნარჩენებია ნაპოვნი, მათ შორის ბავშვებისა და ქალების. არის ეჭვი, რომ ასეთი სამარხების რაოდენობა გაცილებით მეტია. ამავე მონაცემებით, ავღანეთის 35-წლიანი ტრაგედიის შედეგად მსხვერპლთა რაოდენობა 1,3 მილიონს აღემატება. დამავებულთა და დასახიჩრებულთა რაოდენობის დადგენა შეუძლებელია.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ანგარიშის გამოქვეყნების წინააღმდეგი ბევრია ავღანეთსა და მის ფარგლებს გარეთ. საქმე ისაა, რომ ანგარიშში მოხსენიებულნი არიან ისინიც, ვისაც დღევანდელ ავღანეთში მაღალი თანამდებობები უკავიათ. „ომი ომია და მას ვარდებით ვერ აწარმოებ“, განუცხადა ამერიკელ ჟურნალისტს ავღანეთის მთავრობის წევრმა, ყოფილმა მუჯაჰედმა. „თუკი ჩვენი გასამართლება სურთ, მაშინ ისინიც გაასამართლონ, ვინც უცხოეთიდან გვაიარალებდა“ (ნიუ-იორკ ტაიმსი, 22.07.12).



მასშტაბის ტერაქტები ხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში. მათი სრული ჩამოთვლა და აღწერა შეუძლებელია. ცნობილია, რომ 1990-1999 წლებში მსოფლიოში განხორციელდა 6 ათასამდე (!) ტერაქტი, რომლებმაც ათასობით ადამიანი იმსხვერპლა.

იმ დროს, როდესაც ნიუ-იორკში, ოკლაჰომასა თუ ბომბეიში მასშტაბური ტერაქტები ხდებოდა, საქართველოში დიდი გაჭირვება იყო. უსინათლობის, უფულობის, პურის რიგების, ქუჩებში სროლისა და განუკითხაობის ვითარებაში, ბევრი ვერც კი იგებდა, თუ რა ხდებოდა შორეულ ქვეყნებში. თანაც ყველას პირზე ეკერა ფრაზა: „ამაზე უარესი, აბა, რა უნდა ხდებოდეს?!“ სხვისი გაჭირვებისათვის ქართველებს მაშინ ელემენტარულად არ გვეცალა.

სამოქალაქო ომმა და კონფლიქტებმა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შექმნა ნიადაგი ჩვენთვის მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ფენომენის – პოლიტიკური მკვლევლობებისა და ტერორიზმისათვის. მაგალითად, 1994 წლის დეკემბერში ტერორისტებმა მოკლეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გიორგი ჭანტურია. 1995 წელს მოკლეს ედუარდ შევარდნაძის მეგობარი და თანამოაზრე სოლიკო ხაბეიშვილი. 1995 წლის აგვისტოში მოხდა პირველი ტერორისტული თავდასხმა ედუარდ შევარდნაძეზე, ხოლო 1998 წლის თებერვალში – მეორე თავდასხმა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების მოშლის, განუკითხაობის, კრიმინალის, სიდუხჭირის მაჩვენებლებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო ბოლო ადგილს ინანილებდა ტაჯიკეთთან ერთად. საბჭოთა იმპერიის ნგრევამ ყველგან მძიმე ეკონომიკური და სოციალური შედეგები გამოიღო, მაგრამ განსაკუთრებული – საქართველოში, რომელიც სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის.

თბილისის ომისა და შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე ხალხი მთლად აირია, ძმა ძმას გადაეკიდა, მეზობელი – მეზობელს, უმცროსი – უფროსს და ა.შ. ჩვენს ქუჩებში შეიარაღებული ადამიანის გამოჩენა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. გაჩნდა უამრავი „სადმო“, „შეფიცულთა რაზმები“, გვარდიელები, მხედრიონელები. ამ ხალხში პატრიოტი და ვაჟკაცი ადამიანებიც ერია, რომლებიც არეულ დროში თავისებურად ცდილობდნენ ბოროტებასთან ბრძოლას. ბევრმა მათგანმა აფხაზეთის ომში დაამთავრა სიცოცხლე. თუმცა, საზოგადოდ, „თოფიანი კაცის“ ყოველდღიურ სარბიელზე გამოსვლა სრული კატასტროფა იყო. ასეთი ძარცვა-გლეჯა ბევრის მნახველ ჩვენს მშობლებსაც არ ახსოვდათ. საზოგადოების კრიმინალიზაციასთან ერთად შემზარავ მასშტაბებს იძენდა ნარკომანია. ნარკოტიკებში შვების ძიება დაიწყო ერთ დროს წარმატებულმა ბევრმა ადამიანმა. დიდს, საშუალოს თუ პატარას ერთი კითხვა ეკერა პირზე: რა გვეშველება?

განუკითხაობამ მოიცვა რუსეთის ქალაქებიც. სისხლიანი გარჩევები თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა. კრიმინალური ელემენტები აკონტროლებდნენ ან ხელში იგდებდნენ ეკონომიკის მთელ სფეროებს, საწარმოებს, ფინანსებს, ნიშნავდნენ გუბერნატორებს, მინისტრებს. 1930-იანი წლების ჩიკაგო ამ პერიოდის მოსკოვთან შედარებით წყნარი ჟენევა იყო. რუსეთის დედაქალაქში კრიმინალური ჯგუფები განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებდნენ, რადგან ამ სფეროში ბევრი პროფესიონალი გადაბარგდა ძალოვანი სტრუქტურებიდან და სპეცსამსახურებიდან. ხელისუფლება და კრიმინალური სამყარო შაშვი-კაკაბივით ხმაშენწყობილად მოქმედებდნენ.

1993 წელს ერთ ჩემს ევროპელ ნაცნობს შევხდი მოსკოვში, რომელიც რუსეთში ბიზნესის დასაწყებად ჩამოვიდა. ფეშენებელურ სასტუმროში ადგილობრივმა

ბანდიტებმა სტუმარი ისე დაატერორეს, რომ იგი მზად იყო პირველივე ავიარებისით მოსკოვიდან გაქცეულიყო, თუნდაც ტოკიოს მიმართულებით. უცხოელი სტუმრის დასახმარებლად მოსულმა მილიციამ დაზარალებულს დარჩენილი ფული საქმიანად ჩამოართვა და გაუჩინარდა. ბოლოს ისევ მოსკოველმა ქართველმა „ავტორიტეტებმა“ უშველეს: სასწრაფოდ შექმნილი ავიაბილეთის საფასური (მოსკოვი-ტოკიო-პარიზის მარშრუტით) ვიზიტორს უკან დაუბრუნეს, მუშაობის უსაფრთხო პირობები შეუქმნეს და კარგი დროც გაატარებინეს. ევროპელი ბიზნესმენი, რომელსაც მანამდე მხოლოდ კინოში ჰყავდა ნანახი მაფიოზები, ვიზიტის ბოლოს მშვენივრად ფლობდა რუსულ-ქართულ ქურდულ „სლენგს“ და მგონი საქმის გარჩევებშიც მონაწილეობდა.

თუკი მოსკოვმა თვით ჩიკაგოსაც კი „აჯობა“, ჩრდილო კავკასიის ქალაქებმა და რეგიონებმა „მესამე რომი“ შორს, ჩამოიტოვეს. სახელდახელოდ შექმნილმა ჯამაათებმა ფაქტობრივად საკუთარი შეიარაღებული ძალები და ხელისუფლების პარალელური სტრუქტურები ჩამოაყალიბეს. ვითარების არნახულ კრიმინალიზაციას ხელს უწყობდა დაუნდობელი ომი ჩეჩნეთში, სადაც მსხვერპლი ყოველდღიურად მატულობდა.

1995 წლისთვის ჩეჩნეთის ტრაგედია საკუთრივ რუსეთის ქალაქებსაც მოედო. ყველაზე შთამბეჭდავი და დრამატული იყო ჩეჩენტა შეიარაღებული დაჯგუფების შეტევა ქალაქ ბუდიონოვსკზე (სტავროპოლის მხარე).

14 ივნისს ამ ქალაქში კონსპირაციულად შესულმა 200-მდე ბოევიკმა შამილ ბასაევის ხელმძღვანელობით სწრაფად დაიკავა ადმინისტრაციული შენობები და პოლიციის უბნები. ბოევიკებმა მძევლად აიყვანეს დაახლოებით 1500 ადამიანი, რომლებიც ადგილობრივ საავადმყოფოში გამოამწყვდიეს, ხოლო შემდეგ თავიანთი

მოთხოვნები წარუდგინეს რუსეთის ხელისუფლებას – ჩეჩნეთში საომარი მოქმედების შეწყვეტა, ფედერალური ჯარების გაყვანა და მოლაპარაკების დაწყება ჯოჰარ დუდაევის ხელისუფლებასთან.

იმ წლებში რუსეთში ტელევიზია საკმაოდ დიდი თავისუფლებით სარგებლობდა, ამიტომ ბუდიონოვსკი განვითარებულ ტრაგედიას მილიონობით ადამიანი თითქმის პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს. უმძიმეს შთაბეჭდილებას ტოვებდა საავადმყოფოში მყოფი მშობიარე ქალების კადრები. ისინი თეთრი ნაჭრების ფრიალით ითხოვდნენ შველას.

ფსბ-სა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმებმა 17 ივნისს სცადეს საავადმყოფოს შენობის შტურმით აღება, მაგრამ წარუმატებლად. შტურმს დიდძალი მხვერპლი მოჰყვა. იმავე დღეს შამილ ბასაევის ტელეფონით დაუკავშირდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი, რომელმაც ფაქტობრივად თანხმობა განაცხადა ბოევიკების მოთხოვნებზე. ამის შემდეგ ბასაევის ჯგუფმა გაათავისუფლა მძევალთა დიდი ნაწილი და შეთანხმებული მარშრუტით დატოვა ბუდიონოვსკი ჩეჩნეთის მიმართულებით.

ტერაქტის შედეგად დაიღუპა 129 ადამიანი და დაიჭრა 415. დაღუპულთა შორის უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეობა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები იყვნენ\*.

ამ საგანგებო ვითარებიდან რუსეთის ხელისუფლება ფაქტობრივად დამარცხებული გამოვიდა, რის გამოც თანამდებობები დატოვეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ერინმა, ფსბ-ს დირექტორმა სტეპაშინმა და სხვა მაღალი რანგის მოხელეებმა.

---

\* 2005 წლის მონაცემებით, ბოევიკების ჯგუფიდან ამ პერიოდისათვის ფედერალურმა ძალებმა გაანადგურეს 30 ადამიანი და დააპატიმრეს 20.

ბუდიონოვსკის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ რუსეთში მიიღეს სპეციალური კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც კრძალავს ტერორისტების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

1996 წლის 9-15 იანვარს ჩეჩენი ბოევიკის სალმან რადუევის ჯგუფმა დალესტნის ქალაქ ყიზლარში მძევლად აიყვანა ადგილობრივ საავადმყოფოში მყოფი ორი ათასამდე ადამიანი. ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ ბოევიკებმა მძვევალთა მცირე ჯგუფთან ერთად ჩეჩნეთისკენ აიღეს გეზი. მათი ბლოკირება რუსეთის ჯარის ნაწილებმა სცადეს, გაიმართა ბრძოლა, მაგრამ რადუევმა გაქცევა შეძლო.\*

ამ ტრაგედიას 78 ადამიანი ემსხვერპლა. რამდენიმე წლის შემდეგ სპეცსამასხურებმა რადუევი დაიჭირეს და მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. იგი ციხეში გარდაიცვალა.

მომდევნო წლებში მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში არაერთი ტერორისტული აქტი მოხდა. მაგალითად, 1999 წლის 19 მარტს ვლადიკავკაზის (ჩრდილო ოსეთი) ცენტრალურ ბაზარში აფეთქების შედეგად დაიღუპა 52 ადამიანი და დაშავდა 168.

ყველაზე მასშტაბური იყო საცხოვრებელი სახლების აფეთქებები 1999 წლის სექტემბერში ბუინაკსკში (დალესტანი), მოსკოვსა და ვოლგოდონსკში (როსტოვის ოლქი). დაიღუპა 300-მდე ადამიანი და დაშავდა თითქმის 1500. ამ აქტების ავტორებად რუსეთის სამართალდამცავებმა არაბი ტერორისტები ჰატაბი და აბუ უმარი დაასახელეს, ხოლო შემსრულებლებად – ჩეჩენი ბოევიკები. ჩეჩნებმა ეს ბრალდება კატეგორიულად უარყვეს, რამაც გააჩინა ბევრი ეჭვი და ვერსია.

---

\* რადუევის აღიარებით, იგი 1998 წელს პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტრაქტის ერთ-ერთი ავტორი იყო.

ეს აფეთქებები ერთ-ერთი მიზეზი გახდა 1999 წელს ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ჯარების ხელმეორედ შეყვანისა და ჩეჩნეთის ე.წ. მეორე ომის დაწყებისა.

ოფიციალურად კი მოსკოვისათვის ომის მთავარი მიზეზი გახლდათ 1999 წლის აგვისტოში შამილ ბასაევისა და ჰატაბის შეიარაღებული რაზმების შეჭრა დაღესტანში, რასაც ჩრდილო კავკასიასა და ზოგადად, საერთაშორისო მასშტაბით, ძლიერი უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის ხელისუფლებამ და მისმა პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა არ დაუჭირეს მხარი ამ თავდასხმას, თუმცა არც მის წინააღმდეგ მიიღეს რაიმე ზომები. მოსკოვმა საპასუხოდ დაიწყო ჩეჩნეთა რაზმებისა და ბაზების დაბომბვა და დიდი ძალების მობილიზება. 13 აგვისტოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ შეტევები ბოევიკებზე განხორციელდებოდა ნებისმიერ ადგილას, მათ შორის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე: „ტერორისტებს დავედევნებით ყველგან; თუ აეროპორტში აღმოჩნდებიან – აეროპორტში, თუ ტუალეტში იქნებიან – ტუალეტში. საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია“.

16 აგვისტოს ასლან მასხადოვმა ჩეჩნეთში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. დაიწყო რეზერვისტების მობილიზაცია, შემდგომ კი – ჩეჩნეთის მეორე ომი.

მზარდი ტერორიზმის ფონზე ცივილიზებული მსოფლიო დიდხანს მხოლოდ სტატისტიკის როლში გამოდიოდა: ცნობები ტერაქტების შესახებ, ფაქტობრივად, შემოიფარგლებოდა მსხვერპლისა და ზარალის აღწერით, ასევე მონაცემებით თვით ტერორისტების შესახებ. ღრმა ანალიზი იმისა, თუ რა იდგა ტერორიზმის უკან, ნაკლებად ხდებოდა. ზოგადი პოზიცია ისეთი იყო, რომ ტერორიზმის აღმოფხვრა მხოლოდ ტერორისტების

განადგურებით ან დასჯით იყო შესაძლებელი. თუმცა, გადიოდა წლები და ტერორისტთა რაოდენობა არ მცირდებოდა, არადა სულ უფრო მეტი ბოროტმოქმედი იხდიდა სასჯელს (ან უკვე ჯოჯოხეთში იმყოფებოდა).

ნელ-ნელა გამოჩნდა ანალიტიკური კვლევები, რომლებიც ტერორიზმის, როგორც ფენომენის, უფრო სიღრმისეულ სურათს იძლეოდა. ერთ-ერთი მთავარი დასკვნა ის იყო, რომ ტერორისტული აქტები, როგორც წესი, მოტივირებულია პოლიტიკური პრობლემებით. ტერორისტები და ექსტრემისტები მიზანმიმართულად იყენებენ განსაკუთრებულ ანტიჰუმანურ მეთოდებს, რათა გამოიწვიონ მაქსიმალური პოლიტიკური რეზონანსი. ისინი თვლიან, რომ მონინალმდევე, ანუ სახელმწიფო, საპასუხოდ გამოიყენებს კიდევ უფრო დაუნდობელ მეთოდებს, რაც მათ მომხრეებსაც გაუჩენს და გარკვეულ ლეგიტიმურობასაც შესძენს. მართლაც, სანამ ბინ ლადენი აფრიკაში ამერიკულ საელჩოებს ააფეთქებდა, ის მხოლოდ რიგითი ტერორისტი იყო. ამ ტერაქტების შემდეგ კი დიდ ფიგურად იქცა.

ამგვარად, პირველი დასკვნა ის იყო, რომ ტერორიზმის დასამარცხებლად მხოლოდ ტერორისტების ფიზიკური განადგურება არ კმაროდა. საჭირო იყო იმ პოლიტიკური პრობლემების მოგვარება, რომლებმაც წარმოშვა ტერორისტული გეგმები და კონკრეტული ქმედებები. პირველ ყოვლისა, მოსაგვარებელი იყო საერთაშორისო ტერორიზმის მასაზრდოებელი გარემო: კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილო ირლანდიაში, ესპანეთსა (ETA) თუ ჩეჩნეთში;

გამორჩეულად ძნელი „მოსავლელი“ ჩანდა ტერორიზმის ის ნაირსახეობა, რომელსაც წარმოშობს ეთნიკური, ნაციონალური თუ რელიგიური საპროტესტო განწყობა. როგორც წესი, ამ შემთხვევაში ტერორისტთა ფიზიკური

განადგურება სასურველ შედეგს არ იძლევა. პირიქით, მოკლული ტერორისტების ადგილს იკავებენ ახალი, ხშირად კი უფრო მრავალრიცხოვანი ძალები. სოციალური პროტესტის ან უკმაყოფილების საფუძველზე წარმოქმნილი ტერორიზმის მარგინალიზება კი შესაძლებელია, თუკი მოხერხდება სოციალური პრობლემების მოგვარება და, ზოგადად, ფონის გაუმჯობესება. ამ შემთხვევაშიც კი საჭიროა იმ პოლიტიკური ფესვების მოკვლევა და ამოძიკვა, რომლებიც ასაზრდოებს ტერორიზმს.

გარდა ამისა, მე-20 საუკუნის ბოლოს კაცობრიობის წინაშე ჩნდებოდა ტერორიზმის სრულიად ახალი სახე ბირთვული ტერორიზმი, ანუ რეალური ხდებოდა ტერორისტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის მოპოვება. ასეთი იარაღის გავრცელების რისკს აძლიერებდა საუკუნის ბოლოს ბირთვულ სახელმწიფოთა „კლუბის“ გაფართოება და მის რიგებში ისეთი ქვეყნების მოხვედრა, როგორიცაა ინდოეთი, პაკისტანი და, ფაქტობრივად, ჩრდილოეთი კორეაც (თუმცა, ეს ცალკე თემაა). არსებობდა სადაზვერვო მონაცემები, რომ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე მუშაობდა სადამ ჰუსეინისა და მოამარ კადაფის რეჟიმებიც.

ტერორიზმის მასშტაბებისა და დესტრუქციული პოტენციალის ზრდა საჭიროებდა ცივილიზებული სამყაროს ერთიან, შეთანხმებულ მოქმედებას. „ურემი“ უკვე გადაბრუნებული იყო, მაგრამ 1990-იანი წლების ბოლოსათვის ამის რეალური კონტურები ჯერ არ ჩანდა.

გლობალური ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ დაიწყო მხოლოდ 2011 წლის 11 სექტემბრის შემდეგ და მას სათავეში აშშ ჩაუდგება. თუმცა, ამ ბრძოლის ფილოსოფია და მეთოდები უფრო მეტ კითხვას გააჩენს, ვიდრე პასუხს.



## ახალი და ძველი კონფლიქტები: ხან – ნუთი, ხან – საუკუნე...

*„რომელი სჯობდა: ნუთი სჯობდა თუ საუკუნე?“  
ირაკლი აბაშიძე*

რა უცნაური სიტყვაა „ნუთისოფელი“...

1990-იანმა წლებმა ნუთივით ჩაირბინა – წარსულს ყოველი თაობა ასე იგონებს. განვლილი წლები, თუნდაც საუკუნეები, სწრაფად მიფრინავენ.

თუკი 1990-იან წლებში მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებსა და მათ მასშტაბებს დავაკვირდებით, აღმოვაჩინებთ, რომ ეს ეპოქა ბევრი ნიშნით განსაკუთრებული იყო: II მსოფლიო ომის შემდეგ და 45-წლიანი „ცივი ომის“ პერიოდში ჩამოყალიბებული მსოფლიო რამდენიმე წელიწადში შეიცვალა. ასეთ სიღრმისეულ ცვლილებებს სულ რაღაც 10 წლით ადრე ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

ასე რომ, ნუთივით ჩავლილი ეს 10 წელი მართლაც საუკუნეს უდრის.

რაც შეეხება პოეტის კითხვას, ნუთი სჯობდა თუ საუკუნეო, პასუხი ამაზე, რა თქმა უნდა, არც მე მაქვს.

*მაინც, რით იყო განსაკუთრებული 1990-იანი წლები?*

ჩვენთვის, ქართველებისათვის, უპირველესად იმით, რომ, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, მოვიპოვეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ისევე როგორც 1918 წელს, ეს დამოუკიდებლობა მოულოდნელი ისტორიული მონაპოვარი იყო. მხოლოდ ამ მოვლენით შეიძლება დავასკვნათ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის ნუთი საუკუნეებს უდრიადა.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს დამოუკიდებლობა შედეგი იყო რუსეთის იმპერიის დაშლისა. ასე მოხდა 1991 წელსაც, როდესაც დაინგრა საბჭოთა კავშირი. 1921 წელს ჩვენი დამოუკიდებლობა შეინირა საბჭოთა რუსეთის გაძლიერებამ. გვჯერა, რომ 1918-1921 წლების დამოუკიდებლობისაგან განსხვავებით, ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობა მუდმივი, მდგრადი და წარმატებული იქნება.

მაგრამ ახალმა ისტორიულმა ეპოქამ, დიდ სიხარულთან და იმედებთან ერთად, დიდი ტკივილიც მოიტანა. ეს ტკივილი, უპირველესად, ჩემი თაობისათვის უცნობი მოვლენით – ომით – იყო გამოწვეული.

ომმა ჩვენს სახლებში ჯერ ცხინვალის რეგიონიდან შემოაბიჯა (1991-1992 წწ.), ხოლო შემდეგ – აფხაზეთიდან (1992-1993 წწ.). ამ ძმათამკვლელმა ომებმა გამოიწვია დიდი მსხვერპლი (ქართველების, ოსების, აფხაზების), დევნილად აქცია 300 ათასამდე ადამიანი, მოშალა ეკონომიკა, საზოგადოებრივი ცნობიერება და ფსიქიკა, უაღრესად გაართულა ჩვენი ურთიერთობა ოსებთან, აფხაზებთან, რუსებთან, ჩრდილო-კავკასიელებთან.

ომის ალი მოედო არა მხოლოდ საქართველოს რეგიონებს, არამედ ჩვენს კავკასიურ სამეზობლოსაც. ესეც 1990-იანი წლების სიახლე იყო, ტრაგიკული სიახლე.

პირველი „მერცხალი“ სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება იყო მთიანი ყარაბაღის გამო.

ერთ საქვეყნოდ ცნობილ ისტორიკოსს მოსწავლეებმა და კოლეგებმა რჩევა ჰკითხეს, როგორ მოვიქცეთ, თუკი ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტს ყოველი ჩვენგანი სხვადასხვაგვარად ვხედავთო. დიდ მეცნიერს უხუმრია, აბა, პრობლემა თქვენში ყოფილა, შეთანხმდით ნებისმიერ ერთ ვარიანტზე და ისტორიული ჭეშმარიტებაც ის იქნებაო.

სამწუხაროდ, სომხები და აზერბაიჯანელები ალბათ კიდევ დიდხანს ვერ შეთანხმდებიან, თუ ისტორიულად ვის ეკუთვნის მთიანი ყარაბაღი. ჩვენი ჩართვა ორი მეზობელი ქვეყნისა და მოძმე ხალხების დისკუსიაში სარისკო და უმადური საქმეა. ამიტომ, მოდი, ის ფაქტები გავიხსენოთ, რომლებიც არავის ეჭვს არ იწვევს.

კერძოდ, მთიანი ყარაბაღის გამო სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის XX საუკუნის დასაწყისში ორჯერ (1905–1907 და 1918–1920 წლებში) მოხდა სისხლიანი დაპირისპირება. 1920–1921 წლებში, აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, ყოფილი ელიზავეტპოლის გუბერნიის სომხებით დასახლებული ტერიტორია აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში დარჩა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სახით.

არსებობს აზრი, რომ მეტწილად სომხებით დასახლებული\* მთიანი ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტისას მოსკოვი რამდენიმე მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ ბაქოს ნავთობი, რაც, საერთოდ, ბოლშევიკური რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის ანექსიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. ამგვარად, ნავთობის საფასურად მოსკოვისათვის მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანელი კომუნისტების გულის მოგება.

ბაქოსა და ერევანს შორის მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნება მომავალში საშუალებას მისცემდა მოსკოვს, ყოფილიყო კეთილშობილი არბიტრის როლში, რომლის ხელშიც იქნებოდა პრობლემების მოგვარების გასაღები.

ასევე, კრემლის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევდა ქემალისტურ თურქეთს, რომელთანაც საერთო ენის გამონახვას ცდილობდა.

---

\* 1926 წლის მოსახლეობის აღწერით მთიან ყარაბაღში სომხები (სულ 112 ათასი) 89%-ს შეადგენდნენ.

სომხეთის ელიტამ საბჭოთა პერიოდში რამდენჯერმე წამოჭრა მოსკოვის წინაშე მთიანი ყარაბაღის სომხეთისათვის გადაცემის საკითხი, მაგრამ უშედეგოდ.

1980-იანი წლების ბოლოს „პერესტროიკის“ შედეგად საბჭოთა მმართველობის მოშლამ ხელი შეუწყო ყარაბაღის ირგვლივ რთული პროცესების განვითარებას. დაძაბულობის სპირალში ნელ-ნელა ჩაერთო აზერბაიჯანისა და სომხეთის ელიტა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შემდგომ კი აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლებაც. მოსკოვს ამგვარი კონფლიქტების პოლიტიკური მეთოდებით მოგვარების არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა, ამიტომ მისი ქმედება ერთხანს ზოგადი დრომოჭმული მონოდებებითა და ლოზუნგებით შემოიფარგლებოდა: „ახლა მთავარია ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპების ცხოვრებაში თანმიმდევრული გატარება, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების მეგობრობის განმტკიცება“. დაძაბულობა უმართავ ხასიათს იღებდა, კრემლი კი დროს კარგავდა და ბრტყელ-ბრტყელ საუბარს აგრძელებდა.

სამართლებრივი თვალსაზრისით, მასობრივი ძალადობისთვის ბიძგის მიმცემ მოვლენად მიიჩნევენ 1988 წლის 20 თებერვალს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საკანონმდებლო ორგანოს – სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას, რომელიც სომეხი დეპუტატების ინიციატივით მოიწვიეს. სესიამ, რომელსაც სომეხი დეპუტატები სჭარბობდნენ, დასვა საკითხი ყარაბაღის სომხეთის სსრ-ისთვის გადაცემის შესახებ. სომხეთის ცენტრალურმა კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ სანყის ეტაპზე მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას, მაგრამ ქვეყანაში სწრაფად იქმნებოდა და ფართოვდებოდა ყარაბაღის სომეხი მოსახლეობის მხარდამჭერი მოძრაობა. საწინააღმდეგო ხასიათის პოლიტიკური მოძრაობა –

სახალხო ფრონტი – შეიქმნა აზერბაიჯანში, რომელიც მწვავედ აკრიტიკებდა რესპუბლიკის ხელისუფლებას უმოქმედობის გამო.

თხოვნით, მხარი დაეჭირა ყარაბაღის სომხეთის სსრ-ისთვის გადაცემის წინადადებისათვის, მიხეილ გორბაჩოვს მიმართა სრულიად სომეხთა კათოლიკოსმა ვაზგენ პირველმა. სხვათა შორის, ასეთივე თხოვნით გორბაჩოვს მიმართა ადამიანის უფლებათა ცნობილმა დამცველმა, აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმაც.

მოვლენები ძალადობრივი გზით უაღრესად სწრაფად განვითარდა. 22 თებერვალს ქ. ასკერანში მოხდა შეტაკება აზერბაიჯანელებსა და სომეხებს შორის, რის შედეგადაც დაიღუპა 2 აზერბაიჯანელი. საპასუხოდ 27–29 თებერვალს აზერბაიჯანელებმა ქ. სუმგაითში მოკლეს 26 სომეხი.

ამ მოვლენების შემდეგ ნათელი გახდა, რომ უკან დასაბრუნებელი ხიდეები ინგრეოდა, საჭირო იყო ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების გადამწყვეტი ქმედება. მაგრამ მოსკოვი ისევ ზოზინობდა და რეგიონში თავისი ემისრების მეშვეობით ცდილობდა დამანგრეველი პროცესის შეჩერებას. საგანგებო მდგომარეობა ყარაბაღში მხოლოდ 1 წლის შემდეგ შემოიღეს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

1988–1989 წლებში აზერბაიჯანში გატარებული მასობრივი და მხეცური „პოგრომების“ შედეგად აზერბაიჯანი მთლიანად „გაინმინდა“ სომეხებისაგან, ხოლო სომხეთი – აზერბაიჯანელებისაგან. ასობით ათასი ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი და ლტოლვილი გამხდარიყო. მსხვერპლის შესახებ ზუსტი მონაცემების მოპოვება რთულია, რადგან მხარეები სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ. ფაქტია, რომ საუბარია უამრავ ადამიანზე.

დაპირისპირებულმა მხარეებმა ჯერ მოხალისეთა

რაზმები შექმნეს, შემდეგ კი – რეგულარული არმიები. ამოქმედდა ტანკები, არტილერია, ავიაცია. საბრძოლო მოქმედებები ჯერ აზერბაიჯანის სასარგებლოდ წარიმართა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაცია აშკარად ერევანს მიემხრო, 1993 წლისათვის სასწორი მის სასარგებლოდ გადაიხარა. აზერბაიჯანმა კონტროლი დაკარგა არა მარტო მთიან ყარაბაღზე, არამედ მის ირგვლივ მდებარე დამატებით შვიდ რაიონზე.

1994 წლიდან კონფლიქტის დარეგულირებაში საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაერთო. კერძოდ, 1994 წელს ეუთოს მანდატით შეიქმნა ე. წ. მინსკის ჯგუფი, რომლის თანათავმჯდომარეები გახდნენ რუსეთის ფედერაცია, აშშ და საფრანგეთი\*.

კონფლიქტის მხარეთა პოზიციების დაახლოებას ხელს უშლიდა და დღემდე უშლის მრავალი გარემოება. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება გაეროს წესდების ორი ფუნდამენტური პრინციპი. კერძოდ, აზერბაიჯანი აქცენტს აკეთებს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპზე, ხოლო სომხეთი აპელირებს ერთა თვითგამორკვევის უფლებებზე.

საქართველო იმთავითვე მხარს უჭერდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და გამოთქვამდა იმედს, რომ ორ მოძმე ერს შორის კონფლიქტი მოწესრიგდებოდა მშვიდობიანად, ურთიერთგაგებისა და კომპრომისების საფუძველზე. ამ სწორმა მიდგომამ, კონფლიქტისაგან ზომიერმა დისტანცირებამ და უფლის ხელმა გადაგვარჩინა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების დაპირისპირებისაგან.

---

\* ამ ჯგუფის წევრები არიან: ბელორუსი, გერმანია, იტალია, პორტუგალია, ნიდერლანდები, შვედეთი, ფინეთი, თურქეთი, ასევე აზერბაიჯანი და სომხეთი.

ყარაბაღის კონფლიქტის მოუგვარებლობამ 1990-იან წლებში მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა ინტეგრაციული პროცესები სამხრეთ კავკასიაში, ამან ხელი შეუწყო სეპარატიზმის გაღრმავებას აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში.

რუსული წყაროები 1994-1996 წლების ჩეჩნეთის კონფლიქტს, როგორც წესი, ჩეჩნეთის პირველ ომს უწოდებენ.\* ეს იმაზე მიუთითებს, რომ რუსული მხარე არ განიხილავს (ან არ სურს განიხილოს) კონფლიქტის ისტორიულ კავშირს კავკასიის ომებთან (1817-1864).

კავკასიის ომები, რომელთაც რუსეთის იმპერია აწარმოებდა მე-19 საუკუნეში ჩრდილო კავკასიის დასაპყრობად, დასავლეთისა (ადიღე) და აღმოსავლეთის (ჩეჩნეთი, დაღესტანი) მიმართულებებით მიმდინარეობდა. ძალების დიდი მობილიზაციისა და მსხვერპლის ფასად რუსეთმა შეძლო მთიელების წინააღმდეგობის გადალახვა და რეგიონის გაკონტროლება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა ოსმალეთის იმპერიაში გადასულიყო. ეს პერიოდი ჩრდილო კავკასიელების, კერძოდ, ჩერქეზებისა და ჩეჩნების, ისტორიულ მეხსიერებაში მეტად მტკივნეულად ჩაიბეჭდა.

მორიგი ტრაგედია ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა წყობილების დამყარებას მოჰყვა, რაც მთიელების დიდ წინააღმდეგობას ნააწყდა. 1920-1930-იან წლებში ჩეჩენი მოსახლეობის ნაწილი რუსეთის ჩრდილოეთ რეგიონებში გადაასახლეს.

II მსოფლიო ომის პერიოდში, სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის დადგენილებით, დაახლოებით 650 ათასი ჩეჩენი და ინგუში ყირგიზეთისა და ყაზახეთის სტეპებში გადაასახლეს. ამ საერთო

\* ჩეჩნეთის ე.წ. მეორე ომი 1999 წელს წარმოებდა.

რაოდენობის 25%, ანუ დაახლოებით 145 ათასი ადამიანი, დეპორტაციის მსვლელობისა და მომდევნო 2-3 წლის მანძილზე გარდაიცვალა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვმა აღადგინა 1944 წელს გაუქმებული ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი, ხოლო დეპორტირებული მოსახლეობა სახლებში დააბრუნა.

არეულობები და ძალადობა ამ რეგიონში მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა: საგანგებო წესები ჩეჩნეთ-ინგუშეთში მხოლოდ 1976 წელს გააუქმეს.

ამგვარად, ჩეჩნებისა და ინგუშების სახით საქმე გვაქვს მეტად ტრაემირებულ ხალხებთან, რომლებსაც, ისტორიული მემკვიდრეობის გარდა, მეზობლებისაგან კულტურული და ეთნიკური ზნე-ჩვეულებებიც განასხვავებს.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1991 წლის 1 ოქტომბერს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი ორ რესპუბლიკად დაიყო. იმავე თვის ბოლოს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს საბჭოთა არმიის გენერალი ჯოჰარ დუდაევი, ხოლო 1 ნოემბერს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რუსეთის ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ სცნო. აქედან იწყება ჩეჩნეთის ტრაგედიის ახალი ეტაპის ათვლა.

პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სცადა ჩეჩნეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღება, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება რესპუბლიკაში: დუდაევის მომხრეებმა დაიწყეს ფედერალური ძალოვანი სტრუქტურების ობიექტების, რკინიგზისა და აეროპორტების ბლოკირება, გაიძარცვა სამხედრო საწყობები. ჩეჩენთა სამხედრო ფორმირებებს ხელში ჩაუვარდა უამრავი იარაღი: თვითმფრინავები, ტანკები, რაკეტები, არტილერია. რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი იძულებული გახდა



გაძარცვული შეიარაღება სამხედრო ინვენტარის ოფიციალურ გადაცემად გაეფორმებინა: სხვა გზა არ იყო, უკან მაინც ველარ დაიბრუნებდა.

ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა არავის არ უღიარებია, მაგრამ 1991-1994 წლებში იგი დე ფაქტო დამოუკიდებლად არსებობდა: მოსკოვის გავლენა ნულის ტოლფასი იყო. სახელმწიფოებრივი გამოცდილების, ცნობიერებისა და კულტურის არარსებობამ, შეზღუდულმა ეკონომიკურმა რესურსებმა, ასევე ჩრდილოეთიდან მტრულმა დამოკიდებულებამ ჩეჩნეთში მძიმე სოციალური და პოლიტიკური ვითარება შექმნა. მოხდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის კრიმინალიზაცია, რამაც მძიმე შედეგები გამოიღო. რუსეთის ფედერაციის ოფიციალური უწყებების მონაცემებით, მხოლოდ 1992-1993 წლებში ჩეჩნეთში მოხდა 600-დე მკვლელობა, 120 შეიარაღებული თავდასხმა, გაიძარცვა 500-ზე მეტი მატარებლის ეშელონი, გაიტაცეს 1800-მდე ადამიანი. განსაკუთრებით შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო კონტრაბანდამ, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობამ და ყალბმა საბანკო გადარიცხვებმა, რამაც ძლიერ აზარალა რუსეთის ხაზინა. სანარმოები გაჩერდა და გაიძარცვა, ეკონომიკა მთლიანად მოიშალა. ჩეჩნეთის ეთნიკურმა რუსულმა მოსახლეობამ დაიწყო მასობრივი გადინება რესპუბლიკიდან. 1992 წელს გროზნოში მოკლეს 250 ეთნიკური რუსი, 300 – დღემდე დაკარგულად ითვლება.

1992 წელს აფხაზეთის ომში ჩეჩენი ბოევიკები, შამილ ბასაევის მეთაურობით, აქტიურად უჭერდნენ მხარს აფხაზ სეპარატისტებს. ეს გარემოება ღრმად ჩაიბეჭდა ქართულ ისტორიულ მეხსიერებაში.

ჩეჩნეთის მხარის მონაცემებით, რესპუბლიკაში ვითარების დაძაბვა და დესტაბილიზაცია მიზანმიმართულად ხდებოდა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, რომლებსაც

რესპუბლიკაში ტრადიციულად ძლიერი აგენტურა ჰყავდათ. ჩეჩნეთის ხელმძღვანელობა ასევე ადანაშაულებდა კრემლს ბანდიტების, რადიკალური ელემენტებისა და დივერსანტების მხარდაჭერაში.

ყველა ხედავდა და გრძნობდა, რომ ამგვარი ვითარება ჩეჩნეთში დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. როგორც იტყვიან, მეორე განყოფილებაში „სცენაზე“ დაკიდებული თოფი აუცილებლად გაისვრიდა.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მართებული იყო დუდაევის ბრალდებები მოსკოვის მიმართ. თუმცა, ერთი რამ ცხადია: 1993 წელს მის წინააღმდეგ ოპოზიციას კრემლი ყოველნაირად ეხმარებოდა.

1994 წლის ნოემბრის ბოლოს 5 ათასამდე „ოპოზიციონერი“ 40 ტანკით გროზნოში შეიჭრა. დუდაევის რაზმელებმა ტანკები თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ცოცხლად დარჩენილი ეკიპაჟების წევრები კი ტყვედ აიყვანეს. ისინი რუსეთის ჯარის ოფიცრები აღმოჩნდნენ. ასეთმა დამცირებამ მოსკოვში უდიდესი გაღიზიანება და აგრესია გამოიწვია.

1994 წელს ჩეჩნეთში ფაქტობრივად სამოქალაქო ომი დაიწყო დუდაევის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ორივე მხარე იყენებდა არტილერიას, ტანკებს, რაკეტებს, რასაც დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა. დაპირისპირების პირველი რაუნდი ყაიმით დასრულდა.

დეკემბრის დასაწყისში ელცინმა ხელი მოაწერა განკარგულებებს, რომლებმაც შექმნეს იურიდიული საფუძველი ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების შესაყვანად. ამ დოკუმენტების გამოქვეყნებამდე, 1 დეკემბერს, რუსეთის ავიაციამ შტურმი განახორციელა აეროდრომებზე, სადაც დუდაევის სამხედრო თვითმფრინავები ეგულებოდათ. მათი განადგურება დუდაევისათვის დიდი დანაკარგი იყო.

11 დეკემბერს რუსეთის ჯარი – 40 ათასამდე სამხედრო – ჩეჩნეთში შევიდა. ჩეჩნების ცოცხალი ძალა არ აღემატებოდა 15 ათასს. რუსული წყაროების მიხედვით, მათ მხარეს იბრძოდა 5 ათასამდე დაქირავებული მეზობელი ავღანეთიდან, პაკისტანიდან, თურქეთიდან, ბოსნიიდან, ბალტიის რესპუბლიკებიდან, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ცენტრალური აზიიდან, ასევე უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან\*. მომდევნო პერიოდში ჩეჩნებმა შეძლეს დამატებითი ძალების მოზილიზება.

საწყის ეტაპზე ფედერალურმა ძალებმა საკმაოდ იოლად დაიკავეს რესპუბლიკის ჩრდილო რაიონები.

31 დეკემბერს (საახალწლოდ?!)\*\* დაიწყო გროზნოს შტურმი. ქალაქში ერთბაშად შეიჭრა 250 ტანკი და ჯავშანმანქანა. როგორც გაირკვა, გამაგრებულ ქალაქში ასეთი რაოდენობის ტექნიკის შეყვანა დიდი უაზრობა იყო. ჩეჩნებმა პირველივე შეტაკებისას გაანადგურეს ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბევრი ტყვედ აიყვანეს. ქალაქში სასტიკი ბრძოლა ქუჩა-ქუჩა წარიმართა.

გაირკვა, რომ რუსი სამხედროები არ იყვნენ მზად ასეთი ოპერაციისათვის. სამხედრო ნაწილებს შორის არ იყო ოპერატიული კავშირი, ცალკეული ქვედანაყოფები მოქმედებდნენ ერთიანი კოორდინაციის გარეშე, ჯავშანტექნიკის ეკიპაჟებს შესაბამისი რუკებიც კი არ ჰქონდათ. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც რუსი ჯარისკაცები ერთმანეთს ანადგურებდნენ ე. წ. მეგობრული ცეცხლის შედეგად. ახალწვეულებს წინდანინ თითქმის არანაირი მომზადება არ გაუვლიათ.

\* ოფიციალური თბილისის კატეგორიული მოთხოვნის პასუხად მოსკოვმა ვერ შეძლო დამაჯერებელი ფაქტების წარმოდგენა ამის თაობაზე.

\*\* შემდგომ გავრცელდა ცნობა, რომ თავდაცვის მინისტრ გრაჩოვს გამარჯვებით უნდოდა აღენიშნა თავისი დაბადების დღე – 1 იანვარი.

დასავლელი სამხედრო სპეციალისტები გაოცებას ვერ მალავდნენ: ეს არის ძლევამოსილი რუსული არმია? სად გაქრა მისი გამოცდილება, პოტენციალი, სამხედრო ხელოვნება? რუსეთის პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ არმია არ იყო მზად ასეთი ამოცანების შესასრულებლად, წლების მანძილზე მას სხვა მისიებისთვის წვრთნიდნენ. კი ბატონო, მაგრამ სადაა ეს განვრთნილი ჯარი? მოსკოვი აშაკარად ცუდ მდგომარეობაში იყო.

გროზნოს სრული გაკონტროლება ფედერალებმა მხოლოდ თებერვლის ბოლოს შეძლეს, მას შემდეგ, რაც მათი პირადი შემადგენლობა 70-ათასამდე გაიზარდა. გროზნოში პრორუსული მთავრობა „დასვეს“ – ქალაქი კი ფაქტობრივად მთლიანად იყო დანგრეული.

მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ჩეჩნეთში მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები; რუსეთის არმია ფართოდ იყენებდა არტილერიასა და ავიაციას, რასაც დიდძალი მსხვერპლი ახლდა. მაგალითად, საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა ინციდენტს სოფელ სამაშკიში, სადაც ფედერალებმა 100-ზე მეტი ადამიანი მოკლეს. ჩეჩნებმა საკმაოდ ოსტატურად აითვისეს პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა, რომლის წინააღმდეგაც რეგულარული ჯარი ხშირად უძლური იყო. ცალკეული დასახლებული პუნქტები და ქალაქები, მათ შორის გროზნოც, ხშირად ხელიდან ხელში გადადიოდა. ასეთ ტაქტიკასთან ერთად ჩეჩნები მიმართავდნენ ტერორისტულ აქტებსაც. ეს განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმებოდა კრემლისა და რუსეთის საზოგადოების მიერ.

1996 წლის 21 აპრილს რუსეთის სპეცსამსახურებმა შეძლეს გენერალ დუდაევის ადგილმდებარეობის აღმოჩენა (სატელეფონო საუბრის დროს) და მისი სარაკეტო დარტყმით განადგურება. ეს ჩეჩნებისათვის დიდი დანაკარგი იყო.

მიუხედავად ამ წარმატებისა, მოსკოვში მიდიოდნენ დასკვნამდე, რომ კონფლიქტის ძალისმიერი გზით მოგვარება იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო. ელცინის ეპოქაში მეტნაკლებად თავისუფალმა მედიამ შექმნა საზოგადოებაში ძლიერი საპროტესტო მუხტი ომის წინააღმდეგ, რაც დიდ გავლენას ახდენდა კრემლზე.

თუმცა გადამწყვეტი სამხედრო ფაქტორი იყო. ჯარისკაცები არანაირად არ იყვნენ მოტივირებულნი საბრძოლველად, არც მორალურად და არც მატერიალურად; მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა სერიოზულ დეგრადაციას განიცდიდა. ცნობილი ხდებოდა ფაქტები, როდესაც სამხედროები მონინააღმდეგესთან იარაღით ვაჭრობდნენ. პრესა სავსე იყო მასალებით საჯარისო ნაწილების კატასტროფული მდგომარეობის შესახებ; ხშირად მათ მთელი კვირის მანძილზე არ აწვდიდნენ საკვებს.

პარალელურად ჩეჩნები დამატებით რესურსებს იღებდნენ რუსეთიდან და უცხოეთიდან ფინანსებისა და მებრძოლების სახით. ისინი უცხოეთში ხსნიდნენ წარმომადგენლობებს. თვით ჩეჩნეთში კი მრავლდებოდა ბაზები, სანვრთნელი ბანაკები, იარაღის საწყობები და ა. შ.

1996 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩეჩნეთა რაზმებმა ბრძოლით დაიკავეს გროზნო, არღუნი და გუდერმესი. მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ფედერალურმა ძალებმა ვერ შეძლეს სერიოზული წინააღმდეგობის განევა. ეს, როგორც იტყვიან, ბოლო აკორდი იყო.

1996 წლის გაზაფხულზე რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ მოლაპარაკება დაიწყო ჩეჩნების წარმომადგენლებთან. მაისის ბოლოს მოსკოვს ეწვია ჩეჩნეთის მოქმედი პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი, ხოლო გროზნოს – ბორის ელცინი.

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში (18 ივნისი)

ელცინის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა გენერალი ალექსანდრე ლებედი. სწორედ მას დაავალა ელცინმა ჩეჩნებთან მოლაპარაკების წარმოება.

31 აგვისტოს ალექსანდრე ლებედა და ჩეჩნების სამხედრო ფორმირებების შტაბის უფროსმა ასლან მასხადოვმა ხელი მოაწერეს ე. წ. ხასავიურტის ხელშეკრულებას. იგი ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და ჩეჩნეთიდან რუსეთის ფედერალური ძალების გაყვანას. ჩეჩნეთის სტატუსის განსაზღვრა გადაიდო 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

ხელშეკრულებამ რუსეთში არაერთგვაროვანი რეაქცია და დიდი დისკუსია გამოიწვია. საერთო განცდა ისეთი იყო, რომ ეს მხოლოდ ტაიმ აუტი გახლდათ მორიგი კონფლიქტის დაწყებამდე, რადგან რუსეთი ვერანაირად ვერ შეეგუებოდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას. ეს რუსეთის ფედერაციის დაშლის დასაწყისი იქნებოდა. თავის მემუარებში ბორის ელცინი წერს: „ფაქტობრივად რუსეთმა აღიარა თვითგამოცხადებული ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლეგიტიმურობა. რუსეთმა უარი თქვა თავის ამოცანებზე – დაემყარებინა კონტროლი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, აღედგინა რუსეთის კანონების უზენაესობა, განეიარაღებინა უკანონო არმია. სამხედროებმა ეს შეთანხმება ღალატად შეაფასეს, გაზეთებმა – კაპიტულაციად, დუმამ – ავანტიურად. ამის მიუხედავად, რუსეთის საზოგადოება ამ გადანყვეტილებას უდიდესი შვებით შეხვდა. ყველა გადაიღალა ომისაგან, სისხლიანი დაპირისპირებისაგან. ყველას სურდა მშვიდობა.“

...ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, რომ მშვიდობა ჩეჩნეთში ვერ დაისადგურებდა. ჯერ არ ვიცოდით, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ჩვენ მიერ ჩეჩნეთის პრობლემის სწრაფ და ეფექტურ მოგვარებას“.

პრეს-კონფერენციაზე ლებედმა განაცხადა: „გალატაკებული ქვეყნისათვის, ნახევრად განადგურებული ეკონომიკითა და ამგვარი შეიარაღებული ძალებით, ომი ნამდვილი ფუფუნებაა; ამის უფლებას ის საკუთარ თავს ვერ მისცემს“.

იმავე წლის 10 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის დუმამ დაადგინა, რომ „ხელშეკრულება არ შეიცავდა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ვალდებულებებს“.

1997 წელს ჩეჩნეთის პრეზიდენტად აირჩიეს ასლან მასხადოვი.

ჩეჩნეთის ე.წ. მეორე ომამდე 3 წელი რჩებოდა.

სხვადასხვა მონაცემით, 1994-1996 წლების საომარი მოქმედებების შედეგად დაიღუპა 50\* ათასამდე მშვიდობიანი მოსახლე, 10 ათასამდე ჩეჩენი მეზობლი\*\* და 6 ათასამდე\*\*\* რუსი სამხედრო.

მე-19 საუკუნის კავკასიის ომისა და მასში ჩართული ადამიანების ტრაგედია აღწერილია ლევ ტოლსტოის გენიალურ ნაწარმოებში „ჰაჯი მურატი“. კავკასიელთა მიმართ ტოლსტოის აშკარა სიმპათიები, რაც ჰუმანისტურ და რელიგიურ ფილოსოფიას ეფუძნება, ნაწარმოების პირველსავე გვერდზე იკითხება. ასეთი დამოკიდებულება კავკასიელი „ტუზემცების“ მიმართ, მაშინდელ რუსეთში გამონაკლისი იყო.

*„ნაირ-ნაირი ყვავილების დიდი თაიგული შევკონე და ის იყო შინისკენ გავემართე, რომ თხრილში მშვენიერი ჟოლოსფერი, მთლად აყვავებული ბირკა შევნიშნე, სწორედ ისეთი ჯიშისა, ჩვენში „შავნარას“ რომ ეძახიან...*

\* ალექსანდრე ლებედის მონაცემებით, ეს რაოდენობა 80 ათასს აღემატება.

\*\* ჩეჩნური წყაროებით – 3 ათასი.

\*\*\* რუსული ორგანიზაციის – ჯარისკაცთა დედების კომიტეტის მონაცემებით – 14 ათასი.

აზრად მომივიდა მომენყვიტა ეს ბირკა და თაიგულის შუაში ჩამედო. ყვავილის მოგლეჯა დავინყე, მაგრამ ძალიან ძნელი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ღერო ყოველი მხრით იჩხვლიტებოდა, ცხვირსახოციდანაც კი, რომელიც ხელზე შემოვიხვიე, მისი ეკლები ისე გამიძალიანდა, ხუთი ნუთი ვებრძოდი, სათითაოდ ვგლეჯდი ბოჭკოებს. და ბოლოს, როცა ყვავილი მოვწყვიტე, ღერო სულ დაფლეთილი იყო, ყვავილიც უწინდებურად ხასხასა და ლამაზი აღარ ჩანდა. ესეც რომ არა, თავისი სიტლანქითა და ულაზათობით სრულიადაც არ უხდებოდა თაიგულის ნაზ ყვავილებს. ვინანე, ტყუილუბრალოდ მოვუღემეთქი ბოლო ყვავილს, რომელიც თავის ადგილას მშვენიერი იყო, და გადავისროლე. „მაინც რა ენერგია და ძალაა სიცოცხლისა. – გავიფიქრე მე, როცა გავიხსენე, რამდენი ჯაფა გადამხდა ყვავილის მოწყვეტისას. – რა თავგანწირვით იბრძოდა და რა ძვირად დათმო სისიცოცხლე“.

ამდენი უბედურების აღწერის შემდეგ, რაც სასიამოვნო ნამდვილად არ გახლავთ, ახალგაზრდა მკითხველმა შეიძლება დაასკვნას, რომ 1990-იანი წლები ყველაზე ტრაგიკული პერიოდი იყო კაცობრიობის ისტორიაში. სინამდვილეში ასე არ არის. რომ არაფერი ვთქვათ I და II მსოფლიო ომებზე, რომლებსაც ათეულობით მილიონი ადამიანი შეეწირა, 1990-იან წლებს მეტი მსხვერპლი და მასობრივი ძალადობა არ ახლდა, ვიდრე იმავე საუკუნის სხვა ათწლეულებს, მაგრამ არც ნაკლები. გარკვეულწილად, „ცივი ომის“ დასრულებამ შეამცირა კიდევ რეგიონული კონფლიქტების რაოდენობა და მასშტაბები. მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისში შეწყდა მასშტაბური საბრძოლო მოქმედებები ავღანეთში (საუბედუროდ, მხოლოდ დროებით), ფაქტობრივად დასრულდა 25-წლიანი სამოქალაქო ომები ანგოლასა და მოზამბიკში,



სადაც მსხვერპლთა რაოდენობას დაახლოებით 1,5 მილიონამდე ითვლიან; დამთავრდა 10-წლიანი სამხედრო დაპირისპირება მარქსისტულ სანდინისტურ ხელისუფლებასა და ე.წ. კონტრას შორის ნიკარაგუაში; ასევე, სამოქალაქო ომი სალვადორში, სადაც მარქსისტი პარტიზანები რეაქციულ მემარჯვენე რეჟიმს ებრძოდნენ. ამ უკანასკნელმა 80 ათასამდე ადამიანი შეინირა, ხოლო გაუჩინარებულთა რიცხვს დღემდე ადგენენ.

1990-იან წლებში სინათლე იმ გვირაბებშიც გამოჩნდა, სადაც კონფლიქტებსა და ძალადობას დიდი ხნის მანძილზე არანაირი პერსპექტივა არ უჩანდა. კერძოდ, გაჩნდა შანსი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რთული – ახლო აღმოსავლეთის – პრობლემის მოგვარებისა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1991 წლის მადრიდის კონფერენციაზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ისრაელისა და პალესტინელი არაბების, ასევე არაბული ქვეყნების (სირია, ლიბანი, იორდანია) წარმომადგენლები. ამ კონფერენციის მთავარი ინიციატორი იყო ვაშინგტონის ადმინისტრაცია.

1991 წელს, სადამ ჰუსეინის დამარცხების შემდეგ, აშშ-ის ავტორიტეტი არაბულ სამყაროში, და ზოგადად მსოფლიოში, არნახულად გაიზარდა. ამ განსაკუთრებული ძლიერების განცდას ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის დაშლა, რის გამოც აშშ ფაქტობრივად ერთადერთ ზესახელმწიფოდ იკვეთებოდა. ამ ფონზე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) შეიმუშავა ახალი ინიციატივა, რომელსაც მშვიდობა და სტაბილურობა უნდა მოეტანა ახლო აღმოსავლეთისათვის. ინიციატივის მთავარ ღერძად მოიაზრებოდა აშშ-ის სტრატეგიული რესურსი, რომელსაც უნდა შეექმნა ახალი რეალობა არაბებსა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის სახით. აღნიშნული შეთანხმების მთავარი პრინციპი კი უნდა

ყოფილიყო „მშვიდობა ტერიტორიების სანაცვლოდ“, ანუ ისრაელს პალესტინელებისათვის უნდა დაებრუნებინა ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილი, რის საპასუხოდაც პალესტინელები აღიარებდნენ ისრაელის სახელმწიფოებრიობას და უარს იტყოდნენ მის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე.

მსოფლიოში სტრატეგიული ვითარების შეცვლას აცნობიერებდნენ პალესტინელებიც, რომლებმაც საბჭოთა კავშირის სახით მთავარი მფარველი დაკარგეს. ამასთანავე, მას შემდეგ, რაც პალესტინელების ლიდერმა იასირ არაფატმა ღიად დაუჭირა მხარი სადამ ჰუსეინის ინტერვენციას ქუვეითში, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეირყა. ყველაფერმა ამან აიძულა პალესტინელები და ისრაელის მოსაზღვრე არაბული ქვეყნები, მიეღოთ აშშ-ის შეთავაზება და პირველად დამსხდარიყვნენ ერთ მაგიდასთან მთავარ მეტოქესთან – ისრაელთან – ერთად.

მადრიდის კონფერენციაზე რაიმე თვისებრივი გარღვევა კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით არ მომხდარა, მაგრამ მან შექმნა ახალი, მოლაპარაკების კლიმატი დაპირისპირებულ მხარეებს შორის და მეტნაკლებად შეამცირა კონფრონტაციული დაძაბულობა. კონფერენციის მთავარი ამოცანა იყო ისრაელსა და მის მეზობელ არაბულ ქვეყნებს (ეგვიპტის გარდა\*) შორის სამშვიდობო ხელშეკრულებების გაფორმება, რაც მოგვიანებით ნაწილობრივ განხორციელდა კიდევ. კერძოდ, 1994 წელს ასეთ შეთანხმებას ხელი მოაწერეს და დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს ისრაელმა და იორდანია.

კონფერენციაზე თავი იჩინა მრავალმა წინააღმდე-

---

\* ეგვიპტემ და ისრაელმა დიპლომატიური ურთიერთობები 1979 წელს დაამყარეს.

გობამ, კერძოდ, ისრაელის მტკიცე უარმა, შეენწყვიტა ახალშენების გაფართოება მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე. ამ კატეგორიულობამ სახელმწიფო მდინის, ჯეიმს ბეიკერის უკმაყოფილებაც გამოიწვია, რომელმაც კონფერენციის დასრულების შემდეგ ისრაელის პრემიერ იცხაკ შამირს თეთრი სახლის ტელეფონის ნომერი შეახსენა: „როდესაც სამშვიდობოდ სერიოზულად განენყობით, დაგვირეკეთ“.

მომდევნო პერიოდში კომპრომისის ძიება გაგრძელდა. კონფიდენციალურ მოლაპარაკებაში შუამავლის როლი ნორვეგიელებმა იკისრეს. საბოლოო ეტაპზე სამშვიდობო პროცესის მთავარი მოქმედი პირები გახდნენ ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი, პალესტინელთა ლიდერი იასირ არაფატი და აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი ბილ კლინტონი. 1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ხელი მოეწერა ისტორიულ შეთანხმებას – „დეკლარაციას შუალედური დარეგულირების პრინციპების შესახებ“, რომლის შესაბამისად პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ აღიარა ისრაელის სახელმწიფოებრიობა, ხოლო ისრაელმა – პალესტინის ადმინისტრაცია ლაზის სექტორსა და მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე. ამგვარად, პალესტინელ არაბ ხალხს მიეცა საშუალება, შეექმნა ავტონომია აღნიშნულ რაიონებში, სადაც მომავალში უნდა ჩამოყალიბებულიყო მათი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ისრაელმა გაიყვანა ჯარი პალესტინის ტერიტორიებიდან, რამაც ფაქტობრივად დაასრულა 1987-1993 წლებში არაბებსა და ისრაელს შორის დიდი დაპირისპირება, ე.წ. „პირველი ინთიფადა“ (აჯანყება).

პრეზიდენტი კლინტონი თავის მემუარებში იგონებს საყურადღებო დეტალებს 13 სექტემბრის საზეიმო ღონისძიების მომზადებასა და ხელმოწერის ცერემო-

ნიალთან დაკავშირებით. ამერიკელებისთვის განსაკუთრებით „საჩოთირო“ იყო თეთრ სახლში იასირ არაფატის სტუმრობა, რომელსაც ათეული წლების მანძილზე აშშ საერთაშორისო ტერორისტად მიიჩნევდა. ამასთან, თეთრ სახლში მისვლა არაფატმა თავის ტრადიციულ სამხედრო ფორმაში ისურვა, რომელსაც რევოლვერი „ამშვენებდა“. კლინტონმა სტუმარს შეახსენა, რომ ისინი მშვიდობის დასამყარებლად იკრიბებოდნენ, რის შემდეგაც არაფატმა უარი თქვა რევოლვერზე.

კლინტონმა დიდი ძალისხმევით დაითანხმა იცხაკ რაბინი, ხელი ჩამოერთვა არაფატისათვის. პრემიერისათვის უაღრესად რთული იყო ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა – ებრაელები არაფატს დაუძინებელ მტრად თვლიდნენ. მაგრამ, როდესაც ორგანიზატორებმა წარმოიდგინეს, რომ არაფატს შეიძლება არაბული წესით (ანუ რამდენჯერმე) რაბინის გადაკოცნაც მოენდომებინა, მიხვდნენ, რომ სკანდალი გარდაუვალი იყო. პროტოკოლის სპეციალისტებს დასჭირდათ კლინტონისა და რაბინის სპეციალური გავარჯიშება, რათა დელიკატურად აეცილებინათ არაფატის მხრიდან გადაკოცნის მცდელობა.

მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და არაფატი საკოცნელად არ „გაქაჩულა“. პალესტინის ლიდერისა და რაბინის ხელის ჩამორთმევის მომენტი კი მსოფლიო სენსაციად იქცა. მომდევნო დღეებში ყველა იმეორებდა კლინტონის სიტყვებს, მიმართულს აბრაამის შვილების – ისააკისა და ისმაილის – შთამომავლებისადმი: „შალომ, სალამ, მშვიდობა“.

მაგრამ „ოსლოს შეთანხმებამ“ ვერ გადანყვიტა (აღმოსავლეთ) იერუსალიმის საკითხი, რომელზეც პრეტენზია აქვთ როგორც ებრაელებს, ასევე არაბებს. დაუდგენელი დარჩა მომავალი პალესტინის სახელმწიფოს საზღვრებიც.

მიუხედავად სირთულეებისა, ვაშინგტონში ხელ-  
მოწერილი შეთანხმება დიდი წარმატება იყო. რაბინსა  
და არაფატს ნობელის პრემია მიანიჭეს. ამასთანავე,  
როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე ლიდერს გაუჩნდა  
ახალი მტრები უკმაყოფილო რადიკალთა სახით. ერთნიც  
და მეორენიც თავიანთ ლიდერებს ეროვნული ინტერე-  
სების ლალატში ადანაშაულებდნენ. მაგალითად, ჰამასმა  
და სხვა პალესტინურმა რადიკალურმა ჯგუფებმა არ  
აღიარეს ოსლოს შეთანხმებები. 1995 წელს სიონისტმა  
ფანატიკოსმა ვინმე იგალ ამირმა პრემიერ-მინისტრი  
რაბინი სამი გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს.

რაბინის მკვლელობა დიდი დარტყმა იყო სამშვიდობო  
პროცესისათვის. მხარეებს შორის კვლავ უნდობლობამ  
და ეჭვებმა იმძლავრა. ამას ხელს უწყობდა პალესტინელ  
რადიკალთა შეიარაღებული თავდასხმები ისრაელზე.  
თავის მხრივ, ისრაელი აგრძელებდა მდინარე იორდანეს  
მარჯვენა ნაპირის კოლონიზაციას, რაც კიდევ უფრო  
ამცირებდა პალესტინელთა მიწებისა და მათი მომავალი  
სახელმწიფოს ფართობს. ყველაფერმა ამან ნელ-ნელა  
ოსლოს შეთანხმებების ეროზია გამოიწვია. მორიგი სისხ-  
ლიანი დაპირისპირება გარდაუვალი ხდებოდა. 2000 წელს  
კი კვლავ იფეთქა პალესტინელთა ახალმა აჯანყებამ –  
მეორე ინთიფადამ.

ამ მძიმე ვითარების მოწესრიგებას დღესაც არ უჩანს  
პირი, პირიქით, მდგომარეობა სულ უფრო რთულდება.

სად გაქრა კუბა? საერთაშორისო საკითხებზე საუ-  
ბრისას ასეთი კითხვა ჩემს ნაცნობებს 1990-იან წლებში  
უჩნდებოდათ ხოლმე. კითხვის ირონიული ტონი იმაზე  
მიანიშნებდა, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ფიდელ კას-  
ტროს რეჟიმი ყველას განწირული ეგონა. მართლაც,  
როგორ უნდა ეარსება აშშ-ის ეკონომიკური ემბარგოს

პირობებში კომუნისტურ კუბას, თუკი მას საბჭოთა მარჩენალი აღარ ეყოლებოდა? ვინ მიანვდიდა მას თითქმის უფასოდ ნავთობს? ვინლა შეიძენდა არარეალურად მაღალ ფასებში კუბურ შაქარს?

მაგრამ წლები გადიოდა და კასტროს რეჟიმის ჩამოშლის ან კუნძულზე რაიმე კარდინალური ცვლილების შესახებ არაფერი ისმოდა. ნელ-ნელა ჩემმა ნაცნობებმაც დაკარგეს ამ ქვეყნის მიმართ ინტერესი: არის და არის...

რეალურად რა ხდებოდა კუბაში 1990-იან წლებში, უფრო სრულად მე სულ ახლახანს შევიტყვე ამ ქვეყანაში მოგზაურობისას. კუბელები მეტად სასიამოვნო და მხიარული ხალხია, არაფრისგან პრობლემას არ ქმნიან და არც თავიანთ სირთულეებს გახვევენ თავზე. მაგრამ თუკი საუბარში შეიტყუებ და იმ ეპოქის ამბებს მოაყოლებ, მეტად მძიმე სურათი გადაგეშლება თვალწინ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კუბის ენერგეტიკა ფაქტობრივად სრულად პარალიზებული აღმოჩნდა – თბოელექტროსადგურები საბჭოთა მაზუთზე მუშაობდა, მაზუთი კი გაქრა. ქვეყნის შიდა პროდუქტი ერთბაშად 40%-ით შემცირდა. გაითიშა შუქი, გაზი, შეწყდა ტრანსპორტის ფუნქციონირება, მოიშალა კომუნალური სამსახურები, კუბის ნაქები, და მართლაც ხარისხიანი მედიცინა წამლების გარეშე დარჩა.

მკითხველს შეიძლება გაეღიმოს, განა იმ წლებში ჩვენც იგივე არ დაგვემართაო? მართალია, ჩვენც მძიმე დღეში აღმოვჩნდით. მაგრამ აქ არსებობდა „შავი ბაზარი“, სადაც თითქმის ყველაფერი იშოვებოდა (ცეცხლის ფასად), კუბაში კი პრაქტიკულად ესეც არ იყო. საკვები პროდუქტები კუბაში მანამდეც ტალონებით იყიდებოდა, ახლა საჭმელთან ერთად ტალონებიც გაქრა. პრაქტიკულად ერთადერთი პროდუქტი, რითაც კუბელები იკვებე-

ბოდნენ (განსაკუთრებით მძიმე 1991-1994 წლები იყო), ბანანი გახლდათ: „ცოცხალი“, მოხარშული, შემწვარი, მოთუშული და ა.შ. ყველა უბედურებას ისიც დაერთო, რომ საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად შემცირდა შაქრის ფასი. კუბის მეურნეობის ეს დარგიც ფაქტობრივად გაჩერდა. ქვეყანა საომარ რეჟიმზე გადავიდა.

კუბელებს უცხოეთში გამგზავრების უფლება არა აქვთ, ამიტომ მასობრივი ხასიათი მიიღო არალეგალურმა ემიგრაციამ. რეალურად ეს ნიშნავდა იმას, რომ ათასობით ადამიანი კუნძულს ტოვებდა ძველი კატარლებით, პატარა ნავებით, გასაბერი ბალონებით, ცურვით. მაიამის მიმართულებით ამ სარისკო „გზავრობას“ ბევრი ვერ უძლებდა – კარიბის ზღვის ეს მიდამოები სავსეა ზვიგენებით.

1994-1995 წლებში კუბის ხელისუფლება იძულებული გახდა გაეფორმებინა აშშ-სთან შეთანხმება, რამაც საშუალება მისცა ბევრ კუბელს კანონიერად დაეტოვებინა სამშობლო. მწარე რეალობამ აიძულა ფიდელ კასტრო, მეტი უფლებები მიეცა კათოლიკური ეკლესიისათვის. 1998 წელს კუბას რომის პაპი იოანე-პავლე II ეწვია, რაც საერთაშორისო მასშტაბის მოვლენა იყო. კუბელებს ნება დართეს, მიეღოთ უცხოეთიდან გადარიცხვები აშშ დოლარით. ამან ცოტა აამოძრავა გაშემუბნული სამომხმარებლო ბაზარი. მიიღეს კანონი კუბელებისათვის საცხოვრებელი ფართის მიყიდვის შესახებ. ესეც პატარა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა კუბელებს ბინების ყიდვის საშუალება დღემდე არა აქვთ. დაიწყო მოძრაობა უცხოელების მონაწილეობით ერთობლივი საწარმოების შესაქმნელად.

ამ პერიოდის კუბური რევოლუციის ყველაზე დიდი „გამარჯვება“ იყო 1999 წელს უგო ჩავესის გაპრეზიდენტება ვენესუელაში. პოპულისტმა ჩავესმა თავის

სტრატეგიულ ამოცანად დაისახა კუბაში სოციალიზმის გადარჩენა, რასაც ფიდელი და მისი ძმა რაული ენერგიულად ჩაებლაუჭნენ, როგორც სამაშველო რგოლს. ჩავესი ნლების მანძილზე ამარაგებს კუბას იაფი ნავთობით, რამაც ქვეყნის ეკონომიკა კომის მდგომარეობიდან გამოიყვანა. კუბის საკუთარი და ერთადერთი შემოსავლის წყარო კი ტურიზმია.

მას შემდეგ, რაც 1970-იან წლებში კუბა თვალის ერთი გადავლებით მოვინახულე, 35 წელი გავიდა. ამ წლების მანძილზე კუბაში ზოგი რამ შეიცვალა. მაგალითად, კიდეც უფრო მოძველდა 1950-იან წლებში გამოშვებული ამერიკული მანქანები, რომლებსაც კუბელები რალაც ჯადოთი დღემდე ასულდგმულებენ. კიდეც უფრო დაძველდა ჰავანის ოდესლაც ულამაზესი შენობები, კიდეც უფრო დაბერდა ოდესლაც უაღრესად ქარიზმატული ფიდელ კასტრო, კიდეც უფრო გალამაზდნენ კუბელი ქალები და ბავშვები.

კუბელების აბსოლუტური უმრავლესობა ვერ სარგებლობს ინტერნეტით, უყურებს მხოლოდ იდეოლოგიურ ბულ კუბურ ტელევიზიას, ვერ მოგზაურობს უცხოეთში. თუმცა, კატასტროფულ 1990-იან წლებთან შედარებით ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, კუბა ჩინეთისა და ვიეტნამის ეკონომიკურ მოდელზე იწყებს ორიენტირებას. ამ ქვეყნებშიც ერთპარტიული კომუნისტური მმართველობაა, ხოლო ეკონომიკა, კუბისაგან განსხვავებით, კაპიტალისტური. მაგრამ იმისათვის, რომ ამ მოდელმა იმუშაოს კუბაშიც, მილიონობით ჩინელი და ვიეტნამელია საჭირო, რადგან მხოლოდ ასეთ ორგანიზებულ, დისციპლინირებულ და თანაც იაფ მუშახელს შეუძლია გახდეს ეფექტური მსოფლიო ბაზარზე. მხიარული და ჰარიჰარალე კუბელებისათვის კი ჩინელებისა და ვიეტ-



ნამელების მაგვარი შრომითი თავგანწირვა შეიძლება რთული ამოცანა აღმოჩნდეს.

როგორც ჩანს, ფიდელ და რაულ კასტროების მმართველობის დასრულების შემდეგ კუბაში ძირეული ცვლილებებია მოსალოდნელი.

ყველაზე დიდი, ჭეშმარიტად ისტორიული გარღვევა განხორციელდა აფრიკის კონტინენტის ყველაზე ძლიერ და განვითარებულ სახელმწიფოში – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც 1994 წელს წერტილი დაესვა რასისტული აპარტიდის რეჟიმს.

რასობრივ სეგრეგაციას სამხრეთ აფრიკაში ჯერ კიდევ კოლონიალურ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ აპარტიდი ამ ქვეყნის ოფიციალურ პოლიტიკად 1948 წელს მიიღეს. აპარტიდის პირობებში შავკანიანებს არანაირი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ, ისინი ეთნიკურ-ტრაიბალურ პრინციპებზე შექმნილი თვითმმართველი ტერიტორიული ერთეულების – ბანტუსტანების – მოქალაქეები იყვნენ. აპარტიდის რეჟიმი ვრცელდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ყოფიერების ყველა სფეროზე. უმცირესობის ასეთი რასისტული რეჟიმის შენარჩუნება, ბუნებრივია, გამორჩეულად რეპრესიული მეთოდებით იყო შესაძლებელი. მხოლოდ 1980-იან წლებში პოლიტიკური დევნისა და რეპრესიების მსხვერპლი, სხვადასხვა ფორმით, გახდა 40 ათასამდე ადამიანი. ასეთი არაადამიანური პოლიტიკის გამო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გასული საუკუნის ბოლოს პრაქტიკულად საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა. ფერადკანიანი აფრიკელების ბრძოლას აპარტიდის წინააღმდეგ ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აფრიკის ნაციონალური კონგრესი და მისი ქარიზმატული ლიდერი ნელსონ მანდელა, რომელმაც ციხეში 27 წელი გაატარა.

1990-იანი წლების დასაწყისში რასობრივმა დაპირისპირებამ სამხრეთ აფრიკაში ფაქტობრივად სამოქალაქო ომის სახე მიიღო. ძლიერი საერთაშორისო ზენოლისა და შიდა პრობლემების შედეგად ხელისუფლება იძულებული გახდა, 1994 წლის 27 აპრილს ჩაეტარებინა საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გამარჯვება (62%) აფრიკის ნაციონალურმა კონგრესმა მოიპოვა. შეიქმნა ეროვნული ერთობის მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ მთავარი პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები. იმავე წლის 10 მაისს ნელსონ მანდელა ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. ვიცეპრეზიდენტის პოსტი დაიკავა ფრედერიკ დე კლერკმა, სამხრეთ აფრიკის ყოფილმა თეთრკანიანმა პრეზიდენტმა და ამ ქვეყანაში დემოკრატიული რევოლუციის ერთ-ერთმა მთავარმა არქიტექტორმა.

სამხრეთ აფრიკის დემოკრატიული გარდასახვა ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ისტორიაა. ეს მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სძლიოს სიძულვილს გონიერებამ, რადიკალიზმს – პრაგმატიზმმა, კერძო, ეთნიკურ თუ ჯგუფურ ინტერესებს – სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ. მომავალი თაობებისთვის სამაგალითო იქნება ნელსონ მანდელას პიროვნება, რომელმაც ციხის საკანში დატოვა შურისძიების სურვილი და მოწინააღმდეგეს, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა და ჰუმანისტმა, მოყვასის ხელი გაუწოდა.

სამხრეთ აფრიკაში ეროვნული შერიგებისა და დემოკრატიზაციის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის არქიუბის კოპოს დესმონდ ტუტუსს. მისი ხელმძღვანელობით შექმნილი სპეციალური შერიგების კომისიები (Truth and Reconciliation Commission) განიხილავდნენ აპარტიდის პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. ეს იყო არა დამსჯელი ფუნქციის მქონე სასამართლო,

არამედ ზნეობრივი, სულიერი განწმენდის საშუალება, როდესაც დამნაშავეს სთავაზობდნენ საჯაროდ მოენანიებინა დანაშაული.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოგზაურობამ 1996 წელს ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა: ლამაზი ბუნება, შესანიშნავი ნაკრძალები, თანამედროვე ქალაქები და ინფრასტრუქტურა, ეფექტური ეკონომიკა. ამავე დროს, ქვეყანას მწვავე სოციალური პრობლემები აქვს, მძიმეა კრიმინალური ვითარება. მეზობელი ზიმბაბვესგან განსხვავებით, სადაც თეთრკანიანთა განდევნამ კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყნის მეურნეობა, განახლებულ სამხრეთ აფრიკაში რასობრივი ნიშნით არავის ჩაგრავენ. მიუხედავად ამისა, ბევრმა თეთრკანიანმა ისტორიულ სამშობლოში – ევროპაში – დაბრუნება არჩია. ის, რომ ბურების ზოგიერთი შთამომავალი საქართველოშიც კი ფიქრობს გადმოსახლებას, იმაზე მიუთითებს, რომ ყველაფერი წესრიგში არ არის „დანისის სამეფოში“.

მე და ჩემმა მეგობარმა იმ მოგზაურობის დროს ისიც აღმოვაჩინეთ, რომ სამხრეთ აფრიკაში საქართველოს ჯერ მაინცადამაინც კარგად არ იცნობენ. კერძოდ, სვაზილენდის მესაზღვრეებმა დიდხანს ათვალიერეს ქართული ლომებით მორთული ჩვენი პასპორტები (ლომები სვაზილენდშიც ჰყავთ!) და ბოლოს კომპეტენტურად მოგვახსენეს: „Sorry, there is no country like that“\*. უგუნურმა მესაზღვრეებმა ჩვენს სახეებზე ისეთი რისხვა ამოიკითხეს, რომ დაუყოვნებლივ დაგვრთეს ნება, შევსულიყავით „მსოფლიოში ცნობილ“ სვაზილენდში, რომელსაც მაშინ საარაკო და მძლეთამძლე მეფე სობუტა II მართავდა და 200 ცოლი და უთვალავი შვილი ჰყავდა. ჩვენ დიდი ვაი-ვაგლახით ვიპოვეთ დედაქალაქი მბაზანე,

\* (ინგლ.) ვწუხვარ, მაგრამ ასეთი ქვეყანა არ არსებობს.

ყურადღებით დავათვალიერეთ იგი და ასეთ დასკვნამდე მივედით: არ არის დიდი ტრაგედია, თუკი ქართველები ჯერ აქ პოპულარულები არ არიან!

მაშინ, როდესაც სამხრეთ აფრიკამ სიძულვილის გზას შერიგება არჩია, ცენტრალურ აფრიკაში განთავსებულმა რუანდამ მთელი მსოფლიო შეძრა საშინელი სისასტიკით.

1990-იან წლებში ბრიუსელში გავიცანი ბელგიელების ოჯახი, რომელსაც რუანდაში, ბელგიის კოლონიალური მმართველობის დროს, საკმაოდ წარმატებული ბიზნესი ჰქონდა. ჩემი ნაცნობები ნოსტალგიით იხსენებდნენ რუანდის მარადმწვანე ტროპიკულ ტყეებს, სავანას, ლამაზ ტბებს, მრავალფეროვან ცხოველთა სამყაროს. განსაკუთრებული სევდით საუბრობდნენ რუანდელებზე, რომლებიც, მათი გადმოცემით, თბილი და კეთილი ხალხია. რუანდაში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა და ამ პროდუქციის ექსპორტსაც ეწეოდნენ. საუკუნეების მანძილზე სოციალური უპირატესობა და ტომობრივი მმართველობის სადავეები ტუტსის ტომს ჰქონდა, რომელიც ჰუტუსთან შედარებით უმცირესობას წარმოადგენდა\*. 1962 წელს რუანდამ ბელგიისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ თავისუფლების გზა მძიმე აღმოჩნდა. ძალაუფლება ჰუტუს ტომს ერგო. იგი ტუტსის შევიწროვებასა და დევნას შეუდგა, იყო მსხვერპლიც. ტუტსების დიდი ნაწილი მეზობელ ქვეყნებში გაიქცა, იქ შეიარაღებული რაზმები შექმნა და რევანშისათვის დაიწყო მზადება. 1990 წელს ერთ-ერთი მთავარი რაზმი – რუანდის პატრიოტული ფრონტი – უგანდიდან რუანდაში შეიჭრა ჰუტუს ხელისუფლების დასამხობად. ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რუანდის ეთნიკური

\* რუანდის 7,3 მლნ. მოსახლეობიდან 84% ჰუტუ, ხოლო 15% ტუტსი იყო.

კონფლიქტის უკან დიდი მოთამაშეების „ლანდებიც“ ჩანდა. კერძოდ, საფრანგეთი, რომელსაც ფრანკოფონულ აფრიკაში გამორჩეული ინტერესები აქვს, მხარს უჭერდა რუანდის ჰუტუს ხელისუფლებას. პარიზში ეჭვობდნენ, რომ ინგლისურენოვან უგანდაში განვრთნილი რუანდის პატრიოტული ფრონტის უკან დიდი ბრიტანეთი იდგა, თავისი ძველი ამბიციებით აფრიკაში. პარიზი-ლონდონის ინტერესების დაპირისპირებამ ხელი შეუწყო რუანდის ტრაგედიის გაღრმავებას.

1970-1980-იან წლებში რუანდა, აფრიკის კვალობაზე, მეტ-ნაკლებად წარმატებული ქვეყანა იყო, მაგრამ სამ-წლიანმა სამოქალაქო ომმა მას დიდი ზარალი მიაყენა. 1993 წელს ამბოხებულებმა და ჰუტუს მთავრობამ ძალაუფლების გადახანჩლებაზე მოილაპარაკეს, ამ შეთანხმების რეალიზაციისათვის კი რუანდაში გაეროს ცისფერჩაფხუტიანები შეიყვანეს. გაეროს კონტინგენტის მთავარი ძალა ფრანგი და ბელგიელი სამხედროები იყვნენ, მათ კანადელი გენერალი რომეო დალერი მეთაურობდა.

ამ ისტორიის მომდევნო ეტაპი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა კატასტროფულ შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანები ეთნიკურმა სიძულვილმა. კერძოდ, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, ტუტსის პოზიციების გაძლიერებით შესწოთებულმა ჰუტუს მთავრობამ დაიწყო მზადება ტუტსის მასობრივი განადგურებისათვის. ამ სამზადისში ჩაერთო სახელისუფლებო პროპაგანდისტული მანქანა. შეიმუშავეს გარკვეული იდეოლოგიაც, რომელიც ამკვიდრებდა ჰუტუს უპირატესობას და თესავდა უკიდურეს აგრესიას ტუტსის მიმართ. ცნობილი „ჰუტუს 10 მცნების“ ერთ-ერთი დებულება ასე ჟღერდა: „ჰუტუმ არ უნდა დაინდოს ტუტსი“. სხვა დებულების თანახმად კი, ტუტსის შენიღბული იარაღი იყო მათი ქალები, რომლებიც ჰუტუ

მამაკაცების დაუძღვრებას ცდილობდნენ სექსუალური ურთიერთობების გზით. ამიტომ არც მათი დანდობა შეიძლებოდა!

ტუტსის განადგურების გეგმები სამთავრობო სხდომებზე განიხილებოდა. მთავარი როლი ჯარს უნდა შეესრულებინა. პროვინციებში იქმნებოდა სადამსჯელო ჯგუფები ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურობით. 1993 წელს რუანდის მთავრობამ ჩინეთში შეიძინა 500 ათასი (!) მაჩეთე. ვინ იფიქრებდა, რომ შაქრის ლერწმის საჭრელი დანა ხელისუფლებას საკუთარი მოსახლეობის ამოსაწყვეტად სჭირდებოდა (მაჩეთე ავტომატზე იაფია!). მაგრამ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრსა და გაეროს მომავალ გენერალურ მდივანს ბუტროს-გალის, ალბათ, უნდა გასჩენოდა კითხვა, თუ რისთვის აწვდიდა მისი ქვეყანა სამოქალაქო ომში მყოფ რუანდას მილიონობით დოლარის ღირებულების სხვადასხვა იარაღს.

გენერალი დალერი შეშფოთებით ადევნებდა თვალს ვითარებას და ამოდ ითხოვდა გაეროს შტაბ-ბინიდან დამატებით ძალებსა და უფლებებს. კერძოდ, 1994 წლის იანვარში გენერალი იტყობინებოდა, რომ ჰუტუს შეიარაღებული ჯგუფები აგროვებდნენ მონაცემებს ტუტსი მოსახლეობის შესახებ და ძალადობისათვის ემზადებოდნენ. საჭირო იყო მათი სასწრაფო განიარაღება. გაეროდან მოსული ტელეგრამით კი გენერალს უხსნიდნენ, რომ ასეთი ქმედება აღემატებოდა სამშვიდობო ძალებისათვის (UNAMIR) გაეროს მიერ გაცემულ მანდატს. თებერვალ-მარტში ექსტრემისტებმა რამდენიმე ცნობილი ტუტსი მოკლეს, მაგრამ გაერომ გენერალ დალერს ამ საქმეების გამოძიებაც აუკრძალა. ნიუ-იორკიდან გენერალს ურჩევდნენ, ყველა საკითხი მთავრობასთან ერთად განეხილა. ეს უაზრობა იყო, რადგან მკვლელობებს თვითონ მთავრობა გეგმავდა.

1994 წლის 6 აპრილს რუანდის დედაქალაქ კიგალის თავზე სარაკეტო გასროლით ჩამოაგდეს თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდა პრეზიდენტი ჯუვენალ ჰაბიარიმანა. დაიღუპა ყველა მგზავრი, მათ შორის მეზობელი ბურუნდის პრეზიდენტი. თვითმფრინავის ჩამოგდება მაშინვე რუანდის პატრიოტულ ფრონტს, ანუ ტუტსის დაბრალდა\*.

ქვეყანაში ერთბაშად ამოქმედდა ადამიანების მასობრივი და მხეცური განადგურების მანქანა. მსოფლიოს თვალწინ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია დატრიალდა: რეგულარულმა ჯარმა, მკვლელთა რაზმებმა და მოსახლეობის დიდმა მანძილმა დაიწყეს ტუტსის გენოციდი, რაც 100 დღე (!) გაგრძელდა. იყენებდნენ ყველა სახის იარაღს, მეტწილად კი ჩინეთიდან შემოტანილ მაჩეტეს.

გაეროს სამშვიდობო ძალები სრულიად უსუსურნი აღმოჩნდნენ ძალადობის შესაჩერებლად. გენერალმა დალერმა სასწრაფოდ გამოყო ჯგუფი პრემიერ-მინისტრის დასაცავად, რომელიც პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ ქვეყნის პირველ პირად ითვლებოდა. მაგრამ ე.წ. პრეზიდენტის გვარდია მანიარაღა სამშვიდობოები, 10 ბელგიელი სამხედრო მოკლა და შემდეგ პრემიერიც დახვრიტა. ამ გვარდიის წევრებმა დაუნდობლად დახოცეს სხვა ზომიერი ჰუტუებიც, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ გენოციდს. სამთავრობო რადიოარხები კი პირდაპირ ეთერში მოუწოდებდნენ მოსახლეობას გაენადგურებინა ვერაგი მტერი: „ან მოკალი, ან შენც მოგკლავენ!“

9 აპრილს გაეროს სამშვიდობოების მცირე ჯგუფის თვალწინ გამხეცებულმა ბრბომ ერთიანად ამოხოცა ქალაქ გიკონგოს კათოლიკურ ეკლესიაში შეფარებული ბავშვები. იმავე დღეს რუანდიდან გაიყვანეს დასავლე-

\* წლების შემდეგ გაირკვა, რომ გაისროლა არა ტუტსის მხარემ, არამედ ჰუტუს სამხედრო ბაზამ.

თის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წევრები. 11 აპრილს კიგალის ტექნიკურ სკოლაში სამხედროებმა მოკლეს რამდენიმე ათასი ადამიანი. სამშვიდობოებმა ვერც მათ უშველეს. ასეთი შემზარავი სცენები მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდებოდა.

უიარალო ადამიანების მაჩეტეთი დახოცვის კადრებს უმწეოდ შესცქეროდა მთელი მსოფლიო, მათ შორის მეც. ერთი ასეთი ტრაგიკული სიუჟეტის ყურებისას სატელევიზიო პულტით სხვა არხზე გადავერთე: მსოფლიოს სხვა კუთხეში, გოლფის მწვანედ მოზიზინე მოლზე, დიდი ჟრიაშული იყო – ვიღაც სვებედნიერს ძალიან მოხერხებულად ჩაუგდია ბურთი! დამსწრე ლამაზი საზოგადოება ამის გამო აღრფთოვანებული ჩანდა.

იმ დღიდან გოლფის დანახვაზე სულ რუანდეელი მკვლეელი და მისი მსხვერპლი წარმომიდგება ხოლმე თვალიწინ.

გენოციდის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა დღემდე უცნობია. სავარაუდო ციფრია 900 ათასი (!), აქედან ჰუტუთა რაოდენობა დაახლოებით 10%-ია. საშუალო გამოთვლით, ყოველდღიურად კლავდნენ 10 ათას ადამიანს, ანუ ყოველ ერთ წუთში – ერთ რუანდეელს. როგორ არ მოგაგონდება პოეტის შეკითხვა: „წუთი თუ საუკუნე?“

ძალადობის მანქანა ამოქმედდა „ვერაგი“ ტუტსი ქალების წინააღმდეგ. გაუპატიურებულთა რაოდენობა 300-დან 500 ათასამდე მერყეობს. მათი უმეტესობა HIV-ით დაავადდა. გაუპატიურება ხდებოდა განსაკუთრებული სისასტიკით, ახლობლებისა და ბავშვების თვალწინ. „სექსუალური გენოციდის“ შედეგად რუანდაში 400 ათასამდე ბავშვი გაჩნდა.

რუანდის ტრაგედიის დროს გაეროსა და საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია, რბილად რომ ვთქვათ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მიუხედავად გენერალ დალერის მცდელობებისა, გაეროს უშიშროების საბჭომ



სამშვიდობოებს არც ძალადობაში ჩარევის უფლება მისცა და არც დამხმარე ძალები გაუგზავნა. დამატებით ძალებს ყველაზე აქტიურად ბელგია – რუანდის ყოფილი მეტროპოლია – ითხოვდა. მაგრამ ბელგიელი სამშვიდობოების დახოცვის შემდეგ ბრიუსელში მიიღეს გადაწყვეტილება დარჩენილი ძალების რუანდიდან ევაკუაციის შესახებ. გაეროს ბიუროკრაციამ მხოლოდ 17 მაისს დაასკვნა, რომ რუანდაში გენოციდი ხდებოდა, რაც ძალიან დაგვიანებული იყო. გამოიყო დამატებითი სამხედრო კონტინგენტი, უმთავრესად აფრიკული ქვეყნებიდან, თუმცა ამ ძალის ამოქმედებასაც ბევრი დრო დასჭირდა.

მომდევნო პერიოდში ჩატარებულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ გენერალ დალერის პირადი ინიციატივით შექმნილ დაცულ ზონებში 30 ათასამდე რუანდელმა (ტუტსიმ და ჰუტუმ) შეაფარა თავი. მამაცობა გამოიჩინეს ცალკეულმა სამშვიდობოებმაც, მათ შორის სამხედროებმა სხვა აფრიკული ქვეყნებიდან.

მოგვიანებით საფრანგეთის მთავრობა სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა იმის გამო, რომ UNAMIR-ის ფრანგული კონტინგენტი კონფლიქტის დროს გამორჩეულად ჰუტუ ლტოლვილებს მფარველობდა, რაც პარიზის პოლიტიკურ პრეფერენციებსა და, შესაბამისად, უზნეობაზე მიანიშნებდა. 2010 წელს რუანდაში ვიზიტისას საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ აღიარა „გენოციდის პერიოდში საფრანგეთის მიერ დამზღვეული შეცდომები“.

რუანდაში გაეროს მარცხი მოგვიანებით საერთაშორისო განსჯის საგანი გახდა, თუმცა, ძნელია იმის თქმა, თუ რა დასკვნები გამოიტანეს კაცობრიობამ და მთავარმა „აქტიორებმა“. თავის 1072-გვერდიან მემუარებში პრეზიდენტი კლინტონი რუანდის ტრაგედიას მხოლოდ

ნახევარ გვერდს უთმობს და აღიარებს, რომ რამდენიმე ათასი ამერიკელი სამხედროს დროულად გაგზავნას კონფლიქტის ზონაში ბევრი ადამიანის გადარჩენა შეეძლო. თუმცა, კლინტონი იქვე მიუთითებს იმ მთავარ მიზეზზე, რამაც გამოიწვია აშშ-ის თავშეკავება ჰუმანიტარული ინტერვენციისაგან. კერძოდ, რუანდის გენოციდამდე ნთვით ადრე, ტრაგიკულად დასრულდა ამერიკელების ჰუმანიტარული სამხედრო მისია სომალიში, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. სომალის ტრაგედიის შემდეგ ამერიკის კონგრესი ერთხანს კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამერიკელი სამხედროების შორეულ ქვეყნებში გაგზავნისა.

გაეროს მიერ 1994 წელს შეიქმნა *რუანდისათვის საერთაშორისო სასამართლო*, მაგრამ ვერავითარმა სამართალმა „პური ვერ ჭამა“. 2012 წლისათვის სასამართლომ მხოლოდ 30-მდე დამნაშავეს გამოუტანა განაჩენი. სხვებს თვითონ რუანდის სასამართლომ განუსაზღვრა სიკვდილით დასჯა, რაც სისრულეში მოიყვანეს კიგალის ფეხბურთის მოედანზე.

რუანდის ტრაგედია ამით არ დასრულებულა. 1994 წლის ივლისში რუანდის პატრიოტულმა ფრონტმა განაახლა სამხედრო მოქმედებები კიგალის ხელისუფლების წინააღმდეგ და მალე დაამარცხა კიდეც. ამგვარად, ძალაუფლება კვლავ ტუტსის ხელში გადავიდა. ახლა მათ მიჰყვეს ხელი ჰუტუს წინააღმდეგ ძალადობას. უამრავი ლტოლვილი მეზობელ ქვეყნებს მიიწყდა. ყველაზე მეტმა (დაახლ. 2 მლნ.) გალატაკებულ ზაირში მოიყარა თავი. ლტოლვილთა ბანაკებში მალე გაჩნდა ქოლერისა და დიზინტერიის ეპიდემიები, რომელთა ჩაქრობას დიდი საერთაშორისო ძალისხმევა დასჭირდა. ლტოლვილთა უზარმაზარმა ტალღამ ზაირში დესტაბილიზაცია გამოიწვია, რაც შემდგომ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ამ

ომმა და მომდევნო კრიზისებმა (ე.წ. კონგოს\* მეორე ომმა, 1998–2003 წ) 5 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა.

ახალგაზრდა მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, თუ რატომ შევჩერდით საკმაოდ ვრცლად შორეული რუანდის ტრაგედიაზე, ან რა კავშირი აქვს ამ ისტორიას საქართველოსთან? ჩემი პასუხი, ყოველგვარი ირონიისა და ქედმაღლობის გარეშე, ასეთია: ყველა ჩვენგანში არის იმ შხამის გარკვეული დოზა, რამაც ჰუტუ და ტუტსი ერთმანეთს სასიკვდილოდ გადაჰკიდა. ამ შხამის ერთადერთი ანტიდოტია ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა. სხვა რამ ამ შხამს ვერ გაანეიტრალებს: ვერც გაერო, ვერც საერთაშორისო სასამართლო და ვერც სამშვიდობო ძალები. და როცა ახლობლისა თუ შორეულის წინააღმდეგ სიძულვილს ვიგრძნობთ, გულში განგაშის ზარი უნდა შემოვკრათ და მაჩეტეთი ხელაღმართული ჰუტუ (ან ტუტსი) გავიხსენოთ.

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ 1990-იან წლებში კაცობრიობა მხოლოდ ხოცვა-ჟლეტით იყო დაკავებული. როგორც ყოველთვის, ზოგი აშენებდა, ზოგი ანგრევდა, ზოგი მიზანს აღწევდა, ზოგიც ვერა. ბოროტებისა და სიკეთის „ბარომეტრი“, სხვა ეპოქებთან შედარებით, ალბათ, არც მეტს აჩვენებდა და არც ნაკლებს. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა კი სულ უფრო იზრდებოდა და საუკუნის ბოლოს 6 მილიარდს გადასცდა.

ამ წლებში ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოვიდა ციფრული ტექნოლოგიები, რამაც საუკუნეები მართლაც ნუთად აქცია. 20 წლით ადრე აღმოჩენილი ინტერნეტის დანერგვამ შეკუმშა დრო, მანძილი, შეამცირა მსოფლიო, გააფართოვა ცოდნის ჰორიზონტი.

---

\* ზაირს 1997 წლის შემდეგ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდება.

„ნეტავ, როგორ ცხოვრობდნენ ადრე მობილური ტელეფონის გარეშე?“ – ეს კითხვაც 1990-იან წლებში დაგვებადა.

ამ წლებში გაჩნდა ჩვენს სახლებში ათეულობით ახალი ტელეარხი, რომლებმაც კიდევ უფრო შეამცირა ადამიანისათვის ამქვეყნად გამოყოფილი მართლაც ერთი წუთი.

ამ დროსვე მოხდა ცოცხალი ორგანიზმის კლონირებაც. პიონერი ცხვარი „დოლი“ დიდ ბრიტანეთში გამოიყვანეს. ახლა უკვე შეგვიძლია გავაცოცხლოთ რომელიმე გენიოსი ან ტირანი.

ამ ეპოქაში დაიწყო გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეებისა და კულტურების მასობრივად გავრცელება.

1990-იან წლებშივე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობა არ არის.

ამ ეპოქაში თითქმის ყველა შევეთანხმდით, რომ კლიმატის გლობალური ცვლილებების გამო ბუნება „თავზე გვემხობა“.

ფილმ „ტიტანიკის“ ნახვის შემდეგ ყველამ კიდევ ერთხელ გამოვიტირეთ 100 წლის წინ მომხდარი უბედურება. ფილმის შემოსავალმა რეკორდულ 1,8 მილიარდ დოლარს მიაღწია, რამაც, ალბათ, ცოტა უკეთეს ხასიათზე დააყენა მისი ავტორები.

ყველამ გულწრფელად ვიდარდეთ პრინცესა დაიანას ტრაგიკული სიკვდილი, ყველამ ვითამაშეთ „ნინტენდო“, ყველამ ვიცეკვეთ ერთსა და იმავე რიტმებზე, ვიმღერეთ სხვადასხვა (პრინციპში კი ერთი და იგივე) სიმღერა.

ვიყიდეთ წიგნები, სადაც ახალი და ძველი ამბები ამოვიკითხეთ.

და სწორედ 1990-იან წლებში გაჩნდა კითხვა: რალა საჭიროა წიგნი?

## ერთპოლუსიანი მსოფლიო: აშშ და გუნდი მისი

*„XX საუკუნის მინურულს ამერიკა მსოფლიოს წინაშე აღიმართა, როგორც მისი ერთადერთი და შეუცვლელი ლიდერი... არსებობს შემთხვევები, როდესაც ამერიკას, მხოლოდ ამერიკას შეუძლია ომის – მშვიდობით, რეპრესიების – თავისუფლებით, შიშის – იმედით შეცვლა“.*

**ბილ კლინტონი**

საპრეზიდენტო მეორე ვადის ამონურვის შემდეგ რონალდ რეიგანს ჟურნალისტებმა სთხოვეს, ერთი ფრაზით შეეფასებინა თავისი 8-წლიანი საქმიანობა. რეიგანმა უყოყმანოდ უპასუხა: „ჩვენ მოვიგეთ ცივი ომი“.

ამ ომში საბჭოთა კავშირის დამარცხებას და მის დაშლას მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მოჰყვა იშვიათი, ზოგიერთის აზრით კი, უნიკალური შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო სარბიელზე მხოლოდ ერთი გლობალური თუ მეგასახელმწიფო მოგვევლინა. ეს გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატები.

ამგვარად, 1990-იანი წლების უნიკალური თვისება ის იყო, რომ მსოფლიოს 10 წლის განმავლობაში ერთპოლუსიან რეჟიმში მოუწია ცხოვრება.

ასეთი რამ უახლოეს ისტორიაში პირველად ხდებოდა. რომ არაფერი ვთქვათ „ცივი ომზე“, რომელიც 45 წლის განმავლობაში ორ დაპირისპირებულ პოლუსს შორის მიმდინარეობდა, მეოცე საუკუნის პირველი ნახევარიც

სხვადასხვა ძალის ბალანსისა და დაპირისპირების ისტორია გახლავთ.

ზბიგნევ ბჟეზინსკის აზრით, კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონია ისეთი გლობალური გავლენა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, როგორც აშშ-ს 1990-იან წლებში.

მაგალითად, თავისი ეპოქისათვის ზესახელმწიფო იყო რომის იმპერია, რომელიც აკონტროლებდა მთელ იმდროინდელ ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზებულ სამყაროს. თუმცა, ისტორიის დაახლოებით იმავე მონაკვეთში, დღევანდელი ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, აღმოცენდა ცინის ცენტრალიზებული იმპერია (ძვ. წ. III საუკუნის დასასრული – ახ. წ. II საუკუნე), რომელიც სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით ტოლს არ უდებდა რომს. მაგრამ ძველი სამყაროს ამ ორ სუპერსახელმწიფოს ურთიერთკავშირი არ ჰქონდა. ამგვარად, დღევანდელი თვალსაწიერიდან, ეს ორი იმპერია შეიძლება ჩაითვალოს მთავარ რეგიონულ ძალებად, ხოლო იმდროინდელი მსოფლიო – „ორპოლუსიან სამყაროდ“.

რომის იმპერია ემყარებოდა, უპირველესად, სამხედრო ძალას, რომელიც იმ დროისათვის უმაღლესი ორგანიზებულიობითა და ტექნოლოგიური დონით გამოირჩეოდა. საინტერესოა, რომ თავისი ზეობის პიკზე რომის იმპერიის სამხედრო გარნიზონების პერსონალი უცხო ქვეყნებში დაახლოებით 300 ათას კაცს შეადგენდა. თითქმის ასეთივე რაოდენობის ამერიკელი ჯარისკაცი მსახურობდა 1990-იან წლებში აშშ-ის სამხედრო ბაზებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

გარდა სამხედრო ძლიერებისა, რომის ხანგრძლივი ზეობის უმთავრესი ფაქტორი კულტურული ან ცივილიზაციური უპირატესობა იყო. რომის მოქალაქეობა

უნიკალური პრივილეგია გახლდათ, რაც ნიშნავდა ადამიანის გამორჩეულობას „ბარბაროსისა“ და „მეორეხარისხოვანი“ ხალხებისაგან.

სამხედრო და კულტურულ უპირატესობას ემყარებოდა ჩინეთის „ცისქვეშეთის იმპერია“ – კონფუციანისტური კულტურის კერა. ჩინეთი თავს გრძნობდა მსოფლიოს ცენტრად, ყველაზე კულტურულ და აღმატებულ სახელმწიფოდ, რომლის წინაშეც ყველას ქედი უნდა მოეხარა.

უკიდევანო ტერიტორიების დაპყრობის თვალსაზრისით მონღოლთა იმპერია ნამდვილად იმსახურებდა მეგასახელმწიფოს ტიტულს. მას მონინაალმდეგეც თითქმის აღარ დარჩა, მაგრამ მონღოლებს მეტწილად არ ჰქონდათ კულტურული უპირატესობა დაპყრობილებთან შედარებით, პირიქით, თვითონ განიცდიდნენ ასიმილაციას სხვადასხვა კულტურულ სივრცეში. ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ორასწლიანი ჰეგემონიის შემდეგ მონღოლთა იმპერია უკვალოდ გაქრა.

შუა საუკუნეების დასასრულიდან მსოფლიოს პოლიტიკურ ცენტრად ევროპა გვევლინება. აქ ძალთა ბალანსი დროდადრო იცვლებოდა ამა თუ იმ მოთამაშის სასარგებლოდ. თუმცა, ლიდერ სახელმწიფოს სწრაფადვე უჩნდებოდა საპირწონე ძალა, რომელიც აბალანსებდა მონინაალმდეგის გავლენას ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით. კერძოდ, ესპანეთის იმპერიის ვარსკვლავი რამდენიმე საუკუნე კიაფობდა მსოფლიოს ოკეანეებსა და კონტინენტებზე, თუმცა მას მალევე გაუჩნდნენ კონკურენტები პორტუგალიის, შემდეგ კი ჰოლანდიისა და დიდი ბრიტანეთის სახით. ნაპოლეონის საფრანგეთმა თითქმის სრული ჰეგემონური მდგომარეობა მოიპოვა ევროპაში. ამ შემთხვევაშიც უპირატესი ძალის დაბალანსების ინსტინქტმა და ტრადიციამ აიძულა სხვა ევროპული ქვეყნები, გაერთიანებულიყვნენ ჰეგემო-

ნის წინააღმდეგ. ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებულმა დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთის იმპერიამ 1815 წლის ვენის კონგრესის შედეგად განსაკუთრებული პოზიციები მოიპოვეს ევროპაში. XIX საუკუნეში დიდი ბრიტანეთის დროშა აფრიალდა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, ამ იმპერიის თავზე მზე არასდროს ჩადიოდა. იმპერიული მიზნების მისაღწევად დიდი ბრიტანეთი განსაკუთრებული ოსტატობით იყენებდა სავაჭრო ეკონომიკურ ბერკეტებსა და კვალიფიციურ ბიუროკრაციას.\* თუმცა, არც ეს იყო ერთპოლუსიანი მსოფლიო. იმავე ეპოქაში დიდი სისწრაფით ფართოვდებოდა რუსეთის იმპერიის საზღვრები, რომელსაც საშუალოდ ყოველწლიურად დაახლოებით დღევანდელი ბელგიის მოცულობის ტერიტორია ემატებოდა.

სხვა ერებისა და ტერიტორიების დასაპყრობად დიდი ევროპული მოთამაშეები იყენებდნენ არა მხოლოდ ძალასა და იარაღს, არამედ იდეოლოგიურ და რელიგიურ დოგმებსაც. იმპერიების გაფართოების მოზანშენონილობასა და აუცილებლობას ისინი ასაბუთებდნენ მესიანიზმით, ანუ სხვა ხალხებში ქრისტიანობის, კულტურისა და, ზოგადად, „ევროპული ცივილიზაციის შეტანის კეთილშობილური სურვილით“. ეს სურვილი ხშირად ცეცხლითა და მახვილით აღესრულებოდა.

რეგიონული მოთამაშეები იყვნენ იმ ეპოქის სხვა ძლევამოსილი სახელმწიფოებიც. კერძოდ, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიები, სპარსეთი, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის – გაერთიანებული გერმანია. ყველანი საერთაშორისო პოლიტიკის „დიდ კონცერტში“ მონაწილეობდნენ, რომლის პარტიტურა ძალთა დაბალანსების პრინციპზე იყო აგებული.

---

\* თვალუწვდენელ კოლონიურ სამფლობელოებს სულ რამდენიმე ათასი ბრიტანელი მოხელე და სამხედრო პირი მართავდა.



საინტერესოა, რომ 1890 წლამდე აშშ-ის შეიარაღებული ძალები თავისი პოტენციალით მსოფლიოში მე-14 ადგილზე იყო და მას ბულგარეთიც კი უსწრებდა, ამერიკის საზღვაო ფლოტი კი იტალიისას უტოლდებოდა. როდესაც 1880 წელს ოსმალეთმა, ფინანსური მოსაზრებებით, რამდენიმე ქვეყანაში თავისი საელჩოები დახურა, შვედეთსა, ბელგიასა და ნიდერლანდებთან ერთად მათ რიცხვში აშშ-ც აღმოჩნდა. ევროპელი დიპლომატები საერთოდ თავს არიდებდნენ აშშ-ში სამუშაოდ მივლინებას, ეს არაპრესტიჟულად ითვლებოდა.

ევროპულ „კონცერტში“ აშშ მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში ჩაერთო. მისი საერთაშორისო დებიუტი I მსოფლიო ომის დროს შედგა. 1914 წლისათვის აშშ-ის ეკონომიკური პოტენციალი უკვე მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 33%-ს შეადგენდა. ასიათასობით ჯარისკაცის გადასროლა ამერიკის კონტინენტიდან ევროპის ომის თეატრის სცენაზე უპრეცედენტო იყო თავისი მასშტაბითა და ოპერატიულობით. აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარი ამერიკის უსაფრთხოება მჭიდროდ იყო დაკავშირებული დანარჩენი მსოფლიოს უსაფრთხოებასთან, აშშ-ის თავისუფლება კი – მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებასთან. ამგვარად, ამერიკის მოვალეობა იყო წინააღმდეგობა გაენია ნებისმიერი ჯურის აგრესორისათვის.

თუმცა, I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აშშ-ში იზოლაციონისტურმა განწყობილებებმა კვლავ იმძლავრა – ამერიკელების გულაცრუება ამ ომის განსაკუთრებულმა სისასტიკემ გამოიწვია. ვაშინგტონიდან ბევრი პესიმისტურად უცქეროდა ევროპელების გაუთავებელ ხოცვა-ჟლეტას. ამის გამოც შეიკავა თავი აშშ-ის კონგრესმა ახალშექმნილ ერთა ლიგაში გან-

ევრიანებისაგან. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში მსოფლიოს მთავარ მოთამაშეებად კვლავ ევროპული სახელმწიფოები რჩებოდნენ და მათთან ერთად – სწრაფად განვითარებადი იაპონია.

აშშ-ის დიდ პრეზიდენტსა და სახელმწიფო მოღვაწეს, ფრანკლინ რუზველტს, უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, რომ დაერწმუნებინა ამერიკელები II მსოფლიო ომში ჩაბმის აუცილებლობაში. ამ ისტორიული ნაბიჯის გადადგმას ხელი შეუწყო იაპონიის ავიაციის მიერ 1941 წელს აშშ-ის სამხედრო ფლოტზე თავდასხმამ პერლ-ჰარბორში.

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მთავარმა გამარჯვებულებმა – აშშ-მა და სსრკ-მა – ახალი მსოფლიო წესრიგი შექმნეს. მათი პირველობა, გარდა დიდ ომში გამარჯვებისა, იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ სწორედ აშშ და სსრკ გახდნენ პირველი ბირთვული ქვეყნები (1945 წელს – აშშ, 1949 წელს – სსრკ), ხოლო მომდევნო „ცივი ომის“ ეპოქაში მხოლოდ მათ გააჩნდათ თვისებრივი სტრატეგიული უპირატესობა სხვა ბირთვულ სახელმწიფოებთან შედარებით. ამ ახალი გეოპოლიტიკური რეალობის პირველ ემელონში აღმოჩნდნენ აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. თუმცა, მთლიანობაში ისინი ორიდან ერთ-ერთ მეგასახელმწიფოზე იყვნენ ეკონომიკურად და უსაფრთხოების თვალსაზრისით დამოკიდებულნი. კერძოდ, ომით დასუსტებული დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი – აშშ-ზე, ხოლო ახალშექმნილი კომუნისტური ჩინეთი – საბჭოეთზე.

45-წლიანი „ცივი ომის“ პერიოდში ამ კონფიგურაციამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. კერძოდ, კოლონიური სისტემის დაშლამ 1950–1960-იან წლებში კიდევ უფრო შეამცირა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საერთაშორისო წონა, ხოლო ჩინეთმა მოსკოვისაგან დისტანცი-

რება და განვითარების განსაკუთრებული გზა აირჩია. მიუხედავად ამისა, მან ჯერ ვერ შეძლო დამოუკიდებელი პოლუსისა და პოლიტიკური ცენტრის შექმნა, თუმცა მისი სწრაფად მზარდი ეკონომიკური პოტენციალი უკვე XXI საუკუნის დასაწყისში სავსებით რეალურს გახდის ამგვარი ცენტრის პერსპექტივას. ამავე პერიოდისათვის გამოიკვეთება ახალი საერთაშორისო მოთამაშის – ევროკავშირის – კონტურებიც, რომლის ლიდერად დღეისათვის გაერთიანებული გერმანია გვევლინება.

ორპოლუსიანი „ცივი ომის“ პერიოდში ზესახელმწიფოთა მიერ ძალის პროეცირება ხდებოდა არა მხოლოდ სამხედრო პოტენციალით, არამედ, როგორც ათასობით წლის წინათ, იდეოლოგიური პოსტულატებითა და დოგმებით. აშშ-ის მთავარი იარაღი თავისუფალ სამყაროში ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება იყო, ხოლო საბჭოთა კავშირისა – კომუნისტური იდეოლოგია.

„ცივი ომი“ საბჭოთა კავშირმა პირწმინდად წააგო. დასავლეთის გამარჯვებაში ლომის წილი აშშ-ზე მოდის.

ეს გამარჯვება მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. მარშალის გეგმის მეშვეობით, აშშ-მა II მსოფლიო ომის შემდეგ, 1940-1950-იან წლებში, შეძლო ფეხზე დაეყენებინა დანგრეული დასავლეთი ევროპა. ნატოს სტრუქტურით ვაშინგტონმა შექმნა სტრატეგიული ალიანსი დასავლეთ ევროპასთან, რამაც ეფექტურად შეაკავა საბჭოთა ექსპანსიონიზმი. აშშ-ის სამხედრო პლაცდარმებმა დასავლეთ ევროპაში, შორეულ აღმოსავლეთსა (იაპონია, სამხრეთ კორეა) და სპარსეთის ყურეში კი ათეული წლების განმავლობაში შეინარჩუნეს სტაბილურობა და მშვიდობა. რომ არა ამერიკის ეს შემაკავებელი სამხედრო ძალა, II მსოფლიო ომის შემდეგ მთელი ევროპის „განითლება“ თითქმის გარდაუვალი იყო. ბუენოსაისის აზრით, უკეთეს შემთხვევაში ევროპის ქვეყნები, ისტორიული

ტრადიციისამებრ, კვლავ დაინწყებდნენ გამალეზულ შეიარაღებასა და მოსკოვთან პოლიტიკური ალიანსის ძიებას. შორეულ აღმოსავლეთში სამხრეთ კორეას აუცილებლად შეიერთებდა ფანატიკური ჩრდილო კორეის კომუნისტური რეჟიმი, ხოლო იაპონია კვლავ მილიტარიზმის გზას დაადგებოდა და აუცილებლად აღიჭურვებოდა ბირთვული იარაღით. რაც შეეხება სპარსეთის ყურეს, ამ რეგიონის ქვეყნები იოლად გახდებოდნენ ფუნდამენტალისტური ძალების მსხვერპლნი.

ყოველივე ამის გამო, ან ასეთი სცენარის ნაწილობრივ განვითარების შედეგად, დღევანდელი მსოფლიო გაცილებით არასტაბილური და ქაოსური იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი გიგანტური გეოსტრატეგიული ვაკუუმის შევსება 1990-იან წლებში მსოფლიოს ერთპიროვნულმა ლიდერმა – აშშ-მა ითავა. აშშ-ის ისტორიული წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ასევე ეკონომიკური სიძლიერე. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აშშ-ის წილი მსოფლიო ეკონომიკაში თითქმის 50% იყო, ხოლო 1990-იანი წლების დასაწყისში – 30%. ამ მაჩვენებლების კლება სრულებით არ ნიშნავდა აშშ-ის ეკონომიკური პოტენციალის შესუსტებას, რადგან 50 წლის მანძილზე მსოფლიო ეკონომიკა მრავალგზის გაიზარდა და გამორჩნდნენ ახალი ეკონომიკური ზესახელმწიფოები, უპირატესად, იაპონიის, ჩინეთისა და გერმანიის სახით.

XX საუკუნის ბოლოს აშშ-ის ეკონომიკური უპირატესობა ემყარებოდა მობილურობას, თავისუფალ და კონკურენტულ მენარმეობას. აშშ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მაღალი ტექნოლოგიების განვითარებას, რისი ხელშეწყობისათვისაც ქმნიდა შესაბამის პირობებსა და ინფრასტრუქტურას. ამერიკა წარმატებულად იზიდავდა სხვადასხვა ქვეყნიდან ნიჭიერ და

ცნობილ მეცნიერებს, უქმნიდა მათ პრივილეგიებულ პირობებს. II მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკული დოლარი ყველაზე ძლიერ საერთაშორისო ვალუტად იქცა. აშშ-ის გლობალურ ფინანსურ და ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურებოდა მისივე ინიციატივით შექმნილი სუბციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძოდ, *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (NAFTA)*.

ტექნოლოგიურმა წარმატებებმა თვისებრივად დააწინაურა აშშ-ის სამხედრო ინდუსტრია და შეიარაღებული ძალები. განსაკუთრებით გაძლიერდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელსაც მსოფლიოს ოკეანეებში კონკურენტი არ ჰყავდა. აშშ-ს შეეძლო სწრაფად მოეხდინა უზარმაზარი ძალების მობილიზება მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში.

გარდა ამისა, აშშ-მა მიაღწია გლობალურ უპირატესობას კულტურული განზომილებითაც. ე. წ. ცხოვრების ამერიკული სტილი მისაბაძი აღმოჩნდა ახალგაზრდობისათვის, მათ შორის, კომუნისტურ ქვეყნებში. ამერიკულმა კინოინდუსტრიამ და ტელევიზიამ, შემდეგ კი ინტერნეტმა, ფაქტობრივად მონოპოლისტური პოზიციები მოიპოვა. 1960-იანი წლებიდან აშშ-მა დაიწყო განათლების სისტემაში დიდი ინვესტიციების დაბანდება, რამაც მალე შედეგები გამოიღო.

1994-95 წლებში აშშ-ში 500 ათასამდე უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. აშშ-ის გლობალურ ინტერესებს ემსახურებოდა ინგლისური ენის გადაქცევა საერთაშორისო ურთიერთობის ენად.

აშშ-ის „კულტურული იმპერიალიზმის“ ნაწილი გახდა მთელ მსოფლიოში დემოკრატიული ფასეულობების გავრცელება და ადამიანის უფლებების დაცვა.

თავისი გლობალური გავლენის გაძლიერების ბერკეტს აშშ ფრიად ოსტატურად იყენებდა საბჭოთა სისტემის დეგრადაციისა და კომუნისტური იდეოლოგიის ეროზიის ფონზე. დემოკრატიისა და თავისუფლების იდეების დაცვის სფეროში აშშ ფაქტობრივად მსოფლიოს მთავარ არბიტრად იქცა.

როგორც ბჟეზინსკი აღნიშნავს, 1990-იან წლებში აშშ-მა მიაღწია თვისებრივ უპირატესობას ოთხივე ნამყვან სფეროში: 1. მისი სამხედრო ძლიერების პროექცირება ხდებოდა გლობალური მასშტაბით; 2. ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენდა მსოფლიოს განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას (ნაწილობრივ, იაპონიასა და გერმანიასთან ერთად); 3. ტექნოლოგიური მიღწევებით მნიშვნელოვნად უსწრებდა სხვა დანინაურებულ ქვეყნებს; 4. ჰქონდა უნივერსალური კულტურული და ინფორმაციული გავლენა.

სწორედ ამ ოთხ ნიშანზე დაყრდნობით ბჟეზინსკი ასკვნის, რომ 1990-იან წლებში აშშ-ს რეალური კონკურენტი არ ჰყავდა.

აღნიშნულ ოთხ ფაქტორს, ალბათ, უნდა დაემატოს 1990-იან წლებში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის წარმატებები. საქმე ისაა, რომ „საბჭოთა ვაკუუმის“ შევსებით აშშ-მა მონოპოლისტური პოზიციები მოიპოვა დიპლომატიური განხრით. ვაშინგტონის ნებისა და სურვილის გარეშე ამ წლებში არც ერთი საერთაშორისო თუ რეგიონული პრობლემა არ წყდებოდა და არც კი განიხილებოდა. სწორედ 1990-იან წლებში შეიქმნა მითი იმის შესახებ, რომ მსოფლიოს საქმეები მთლიანად „თეთრ სახლში“ წყდებოდა. იმ პერიოდში ეს თითქმის ასეც იყო; თუმცა, სხვა საკითხია თუ რამდენად ეფექტურად აგვარებდა სხვადასხვა პრობლემას ვაშინგტონი.

1990-იან წლებში აშშ-ის გლობალური უპირატესობა

ასევე მნიშვნელოვნად განაპირობა უილიამ (ბილ) ჯეფერსონ კლინტონის უაღრესად წარმატებულმა მმართველობამ (1993-2001 წლებში);

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბილ კლინტონმა ფრიად კარგი მემკვიდრეობა ჩაიბარა ჯორჯ ბუშისაგან (უფროსი); ბუშმა ოსტატურად გაართვა თავი საბჭოთა იმპერიის დაშლის ქარტეხილს, ასევე მან შთამბეჭდავი გამარჯვება მოუტანა ამერიკელ ხალხს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ომში.

მიუხედავად ასეთი სასტარტო მდგომარეობისა, ბილ კლინტონის წარმატებები, განსაკუთრებით აშშ-ის ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, დღემდე აღმატებულ ეპითეტებს იმსახურებს; სხვადასხვა შეფასებით, ამ ნიშნით კლინტონის პრეზიდენტობის წლები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო აშშ-ის ისტორიაში. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ციფრს: 1998 წელს აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტმა შეადგინა 69 მილიარდი დოლარი, 1999 წელს – 126 მილიარდი, ხოლო 2000 წელს – რეკორდული 236 მილიარდი(!). ეს თითქმის უპრეცედენტო რამ იყო, რადგან 1971 წლიდან აშშ დიდი საბიუჯეტო დეფიციტის რეჟიმში ცხოვრობდა. უკანასკნელი ციფრი (მხოლოდ პროფიციტი!) 2-ჯერ აღემატებოდა რუსეთის წლიურ ბიუჯეტს.

მომდევნო წლებში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) კატასტროფული საპრეზიდენტო მმართველობის დროს, ეს დინამიკა არა მხოლოდ შეჩერდება, არამედ მკვეთრად უკან დაიხევს და 2009 წლისათვის აშშ არნახული ვალების, ფაქტობრივად კი ფინანსური გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

კლინტონის ადმინისტრაციის ეკონომიკური წარმატებების ნუსხა მართლაც შთამბეჭდავია:

- 8 წლის მანძილზე აშშ-ის ეკონომიკა ყოველწლიურად

იზრდებოდა 4%-ით, რაც რეკორდული მაჩვენებელია აშშ-ის ისტორიაში;

- ამავე პერიოდში შეიქმნა 22,5 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, რაც ასევე ისტორიული რეკორდია. ამ რაოდენობის 92% კერძო სექტორს განეკუთვნებოდა;
- უმუშევრობის დონე 1993 წლის 6,9%-იდან 2000 წელს შემცირდა 4%-მდე, რაც 30 წლის განმავლობაში საუკეთესო მაჩვენებელი იყო;
- 1993 წლიდან საშუალო ამერიკული ოჯახის წლიური შემოსავალი გაიზარდა 6 ათასი დოლარით და 1999 წლისათვის შეადგინა 48950 დოლარი;
- ინფლაცია შემცირდა 4,7 %-იდან 2,5%-დე, რაც 1960-იანი წლების საუკეთესო მაჩვენებელს შეესაბამებოდა;
- საკუთარი საცხოვრებელი ფართის მფლობელთა რაოდენობა გაიზარდა რეკორდულ 67,7%-დე;
- სიღარიბის მაჩვენებელი შემცირდა 15,1%-იდან 11,8%-მდე, ხოლო 2000 წლისათვის აშშ-ს ჰყავდა 7 მილიონით ნაკლები ღარიბი მოქალაქე, ვიდრე 1993 წელს; მკაცრი საბიუჯეტო ზომებისა და ფისკალური პოლიტიკის შედეგად კლინტონის ადმინისტრაციამ შეძლო;
- 1998-2000 წლებში აშშ-ის საშინაო ვალის შემცირება 363 მილიარდი დოლარით;
- ფედერალური მთავრობის ხარჯების შემცირება 22%-იდან 18%-მდე;
- კერძო ინვესტიციების გაზრდა ყოველწლიურად 13,3%-ით (1981-1992 წლებში იმავე მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 4,7%);

ამავე დროს, პრეზიდენტმა კლინტონმა ეფექტური ზომები მიიღო სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის სფეროებში;



საერთაშორისო ვაჭრობის განხრით კლინტონის ადმინისტრაციამ გააფართოვა 300-მდე სხვადასხვა ხელშეკრულება, რითაც 1992-2000 წლებში ხელი შეუწყო ამერიკული ექსპორტის ზრდას 74%-ით, ამან კი ციფრობრივად რეკორდული ერთი ტრილიონი დოლარი შეადგინა; ექსპორტის არნახულმა ზრდამ ამერიკელებს მოუტანა 1,4 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი.

პრეზიდენტ კლინტონის დროს (1993 წელს) შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე დიდი თავისუფალი სავაჭრო ზონა, რომელშიც გაერთიანდნენ აშშ, კანადა და მექსიკა (NAFTA);

კლინტონის ინიციატივით გაფართოვდა საგარეო ვაჭრობა ჩინეთთან, რომელიც მალე, ასევე ვაშინგტონის მხარდაჭერით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა; ე.წ. „ურუგვაის მრგვალი მაგიდის“ შედეგად აშშ-მა შეძლო ერთიანი წესებისა და ნორმების დამკვიდრება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისათვის.

1999 წელს აშშ-აფრიკის სამიტზე კლინტონმა წამოაყენა წინადადება აფრიკის ქვეყნებისათვის საგარეო ვალების ჩამონერის შესახებ, რამაც ერთიანად 90 მილიარდი დოლარი შეადგინა. აშშ-მა ცალმხრივად ჩამონერა აფრიკული ქვეყნების დავალიანება 5,7 მილიარდი დოლარის ოდენობით.

კლინტონის ადმინისტრაციამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეშვეობით დიდი ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა რუსეთს, რომელიც უმძიმეს ვითარებაში იმყოფებოდა. ვაშინგტონმა ასევე დახმარების ხელი გაუწოდა მეზობელ მექსიკას, რომელსაც დეფოლტი ემუქრებოდა;

სხვა წარმატებული ნაბიჯების დეტალური ჩამოთვლა და ანალიზი შორს წაგვიყვანდა. არის საკმაოდ

გავრცელებული აზრი, რომ კლინტონმა ფაქტობრივად მოიძეო პრეზიდენტ რეიგანის მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმების შედეგები. ნარმატივები რეალურად ე.წ. რეიგანომიკის გადავადებული შედეგი იყო. თუმცა ფაქტია, რომ აშშ-ის ეკონომიკური ძლიერების სიკეთე, რასაც მოგვიანებით „ხანგრძლივი ბუმი“ უწოდეს (The long Boom), სწორედ კლინტონის დროს იგრძნო ამ ქვეყნის თითქმის ყველა ცალკეულმა მოქალაქემ, ასევე მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ. მათ შორის იყო საქართველოც, რომელიც დამოუკიდებლობის რთულ გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა.

ეს თავმზრუნველმხვევი ციფრები და მილწევები კლინტონმა „ხელის ერთი მოსმით“ კინალამ წყალს გაატანა. მხედველობაში მაქვს 1998-1999 წლების სკანდალური ისტორია, დაკავშირებული პრეზიდენტის სექსუალურ ინტრიგასთან. ქალბატონი მონიკა ლევინსკით ხანმოკლე გატაცებამ კლინტონს კინალამ პრეზიდენტის სავარძელი დააკარგინა: კონგრესი იმპიჩმენტს ითხოვდა.

ბევრის აზრით, ამ სკანდალმა, რომელიც რესპუბლიკური პარტიის წევრებმა გააბუქეს, კლინტონისა და აშშ-ის ავტორიტეტს საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა. თუმცა, ზოგიერთი დღემდე ფიქრობს, რომ სკანდალმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ამერიკის დემოკრატიისა და კანონიერების სიძლიერე. ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ საპრეზიდენტო მეორე ვადის ამონურვის შემდეგ კლინტონის მხარდამჭერთა რაოდენობამ 68% შეადგინა; ამერიკელების ასეთი მხარდაჭერა მხოლოდ დიდ ფრანკლინ რუზველტსა და რონალდ რეიგანს ჰქონდათ.

კლინტონის ადმინისტრაციის დიდ სტრატეგიულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს აღმოსავლეთით ნატოს

გაფართოება. ეს მნიშვნელოვანი თემაა და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ნატოს საბჭოსა და მისი ახალი პარტნიორების წარმომადგენელთა სხდომას (ელჩების დონეზე) საქართველოს მისიის ხელმძღვანელის რანგში პირველად 1993 წლის მაისში დავესწარი. სხდომას ნატოს გენერალური მდივანი, გფრ-ის ყოფილი თავდაცვის მინისტრი მანფრედ ვიორნერი თავმჯდომარეობდა. ჩემთვის ყველაფერი სიახლე იყო. ნატოს შტაბ-ბინაში მოხვედრა თითქმის ფანტასტიკად მეჩვენებოდა. მახსოვს, როდესაც 1970-იან წლებში აღმოვჩნდი ბრიუსელში, საბჭოთა დელეგაციის წევრებს შორიდანაც კი არ დაგვანახეს ეს შენობა: საბჭოთა პროპაგანდისტისთვის ნატოს შტაბი ქაჯეთის ციხის ტოლფასი იყო. ალბათ, შიშობდნენ, რაიმე ინფექცია ან ვირუსი არ შეეყარათ ჩვენთვის.

ვიორნერის მისასალმებელი სიტყვა საკმაოდ ემოციური იყო. იგი ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ დასრულდა „ცივი ომი“ და როგორ იქმნებოდა ახალი, თავისუფალი ევროპა, რომ ყოფილი მტრები ერთმანეთს მეგობრობის ხელს ვუწვდიდით. დემოკრატია მკვიდრდებოდა ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, მსოფლიო ერთიანდებოდა, ნატო კი მზად იყო ახალ პარტნიორებთან მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის. ასევე თბილად მოგვესალმნენ აშშ-ისა და ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები. ალბათ ჩვენგანაც იმავეს ელოდნენ.

ახალი პარტნიორებიდან\* პირველმა ჩვენი მეზობელი სამხრეთ-კავკასიური ქვეყნის ელჩმა ითხოვა სიტყვა. ყოველგვარი „უვერტიურის“ გარეშე მან რიხიანი ტონით დაიწყო საუბარი მეზობელ სახელმწიფოზე, რომელიც ამხილა აგრესიულ ზრახვებსა და მზაკვრულ ქმედებაში.

---

\* ამ ტერმინს ხმარობდნენ ნატოში აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

ელჩის აზრით, ნატოს ჯარს სასწრაფოდ უნდა მიეღო ზომები აგრესორის დასასჯელად, რათა მომავლისათვის ყველას ჭკუა ესწავლა.

ამ გამოსვლის შემდეგ სიტყვა ჩვენმა მეორე მეზობელმა ითხოვა. მან სცადა დაერწმუნებინა დამსწრე საზოგადოება, რომ საქმე აბსოლუტურად საპირისპიროდ იყო; მისი ქვეყანა იყო აგრესიის მსხვერპლი, მეზობელი კი – ოკუპანტი და მილიტარისტი. სწორედ ის უნდა დაესაჯა ნატოს ჯარს სამაგალითოდ.

დიდი მრგვალი მაგიდის ირგვლივ უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

ამის შემდეგ მოკლე, მაგრამ „შინაარსიანი“, სიტყვით გამოვიდა შუა აზიის ერთ-ერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი. მან გრძლად დაიწყო იმ სოფლებისა და დასახლებული პუნქტების ჩამოთვლა, სადაც მეზობელი ქვეყანა (ასევე ყოფილი „საბჭოთა ძმა“) „ხელებს აფათურებდა“. ამ გამოსვლაზე ოპერატიული რეაგირება მოახდინა ხელის ფათურში დადანაშაულებული ქვეყნის ელჩმა. მან რატომღაც რუსულად\* მიმართა ნატოს გენერალურ მდივანს, თანაც ისეთი ტონით, როგორც ადრე სხვა გენერალურ მდივანს – ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს – მივმართავდით („Многоуважаемый Генеральный Секретарь!“). ელჩმა სრულად და ისევე გრძლად გაიმეორა იმავე სოფლებისა და დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი (მცირედი ინტონაციური სხვაობით, რასაც, ალბათ, პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა) და ნატოს მოსთხოვა რეგიონში სასწრაფოდ ჯარი გაეგზავნა.

ასე არ უნდაო და, მოლდოვის ელჩმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რუსეთი დნესტრისპირეთში სეპარატისტების მხარდაჭერის გამო. მისი თხოვნა ანალო-

---

\* ნატოს სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული.

გიური იყო – ნატოს ჯარი აგრესორთან საბრძოლველად. კარგად მახსოვს ჩემ გვერდით მჯდომი საფრანგეთისა და გერმანიის ელჩების გამომეტყველება. მათ სახეებზე არანაირად არ იკითხებოდა ტირასპოლის გამო რუსეთთან ბირთვული ომის სურვილი.

უკრაინის წარმომადგენელს ნატოს სამხედრო მხარდაჭერა არ მოუთხოვია, მაგრამ მისი გამოსვლის პათოსმა, მგონი, უფრო დაძაბა ევროპელები, ვიდრე წინა ორატორებმა: უკრაინა არ აპირებდა უარი ეთქვა ბირთვულ იარაღზე, რომელიც მას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარჩა.

ამ გამოსვლების შემდეგ პაუზა უსაშველოდ გაინელა. ყველა ნატოს გენერალურ მდივანს შესცქეროდა, რომელსაც თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული. მისი კომენტარი ძალიან მოკლე იყო: „Oh, my God!“\*

აი, ასეთი არარეალისტური და დღევანდელი გადასახედიდან გულუბრყვილო მოთხოვნებით მიადგნენ ნატოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. ყველა ითხოვდა მისგან კონფლიქტების დარეგულირებას, პრობლემების მოგვარებას, გაუგებრობების გარკვევას და ა. შ. არადა, ნატო სრულებით არ იყო ამისთვის მზად. იგი 1949 წელს შეიქმნა საბჭოთა ექსპანსიის შესაჩერებლად და შემდგომი 50 წლის განმავლობაში ამ მიზანს ემსახურებოდა. ტაჯიკეთის ან კავკასიის პრობლემებზე ნატოში, რეალურად, ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

მომდევნო პერიოდის შეხვედრებზე ჩვენი ნატოელი მასპინძლების მაჟორული ტონი ნელ-ნელა შეიცვალა, იკლო ბედნიერების განცდამაც ალიანსში ახალი პარტნიორების გამოჩენის გამო. პარტნიორებმა ბრიუსელში იმდენი ახალი პრობლემა ჩავიტანეთ, რომ ნატო აშკარად საგონებელში იყო: „ამას რა მოუვლის?!“ მგონი, ნატოში

---

\* ღმერთო ჩემო!

ზოგიერთი იმ ეპოქასაც ნოსტალგიით იხსენებდა, როდესაც საბჭოთა სივრცეს გენერალური მდივანი (ანუ ამხ. ბრეჟნევი) პატრონობდა.

ნატოში მალე მიხვდნენ, რომ ყოფილი კომუნისტური ბანაკის ქვეყნებთან ურთიერთობებს მხოლოდ ლამაზი ფრაზებით ვერ დაალაგებდნენ. საჭირო იყო ახლებური სტრატეგია. ახალ მეგობრებთან ნატოს განსჯის მთავარ საგნად იქცა ევროპის ერთობლივი უსაფრთხოების სისტემის შექმნა და მისი განმტკიცება. ამ თვალსაზრისით, ალიანსის წევრებს შორის თანდათანობით გამოიკვეთა საერთო მოსაზრება, რომ, ევროპაში სწრაფად ცვალებადი მოვლენების გათვალისწინებით, უსაფრთხოების ცნება, სამხედრო განზომილებასთან ერთად, სულ უფრო მეტად გულისხმობდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. ამიტომ აუცილებლად მიიჩნიეს უსაფრთხოების ურთიერთდაკავშირებული „ქსელის“ ჩამოყალიბება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, როგორებიცაა გაერო, ეუთო, ევროგაერთიანება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატო ხაზგასმით და მიზანდასახულად ცდილობდა (და ახლაც ცდილობს) რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებას. ამ „მეგობრობისათვის განვდილი ხელის“ პოლიტიკას ფართო მხარდაჭერა ჰქონდა დასავლეთის პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში. თუმცა, იყვნენ რადიკალურად განწყობილი ოპონენტებიც, რომელთა აზრით, საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ რუსეთის, როგორც „ცივ ომში“ დამარცხებული ქვეყნის მიმართ, დასავლეთს და, კერძოდ, ნატოს, უნდა გაეტარებინა ისეთივე პოლიტიკა, როგორიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განახორციელეს მოკავშირეებმა დამარცხებული გერმანიის მიმართ.

ნატოში კარგად ესმოდათ, რომ აღმოსავლეთ ევროპის დაუოკებელ სწრაფვას ალიანსში განევრიანებისაკენ სჭირდებოდა ადეკვატური რეაქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იყო გამორიცხული, რომ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს თავისი უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით სხვა ორიენტაციისა და შესაძლებლობების ძიება დაენყო.

1993 წლის აგვისტოში ბორის ელცინის ცნობილი განცხადება, რომ რუსეთი არ იყო წინააღმდეგი ნატოს გაფართოებისა (რაც მან მოგვიანებით გადათქვა), დასავლეთში აღიქვეს, როგორც რუსეთის მიერ ანთებული „მწვანე შუქი“ ამ ორგანიზაციაში ახალი წევრების მისაღებად. დღის წესრიგში დადგა ნატოს სტრუქტურებში პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის ინტეგრირების საკითხი. ნატოს კულუარებში დაიწყო ლაპარაკი არა მხოლოდ აღნიშნულ სახელმწიფოებთან ახალი ფორმისა და შინაარსის ურთიერთობების დამყარებაზე, არამედ, საერთოდ, ახალ სტრატეგიაზე ყველა პარტნიორი ქვეყნის მიმართ.

1994 წლის იანვარში ბრიუსელში გამართული ნატოს სამიტი ბევრმა მონათლა, როგორც ალიანსის არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა. სამიტზე მიღებულ იქნა აშშ-ის ახალი ინიციატივა – პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ეს ინიციატივა ითვალისწინებდა ნატოსა და ყოფილ სოციალისტურ ბანაკს შორის ურთიერთობების თვისებრივად ახალ დონეზე აყვანას. მართალია, ინიციატივა არ გულისხმობდა ნატოს კოლექტიური უშიშროების გარანტიების გავრცელებას პარტნიორებზე, მაგრამ იგი მაინც უპასუხებდა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა (უპირველეს ყოვლისა უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის) მოთხოვნებს ნატოში განევრიანების შეს-

ახებ, რადგან საშუალებას აძლევდა ამ რეგიონის ყველა დაინტერესებულ ქვეყანას ეთანამშრომლა უშუალოდ ნატოსთან პრაქტიკული მიმართულებებით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ იგი სახავდა ორიენტირებს სამომავლოდ ნატოში შესაძლო სრული განევრიანებისათვის. ნატოში განევრიანების პერსპექტივა ამიერიდან დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რა წარმატებით აითვისებდა პარტნიორი ქვეყანა თანამშრომლობის ახალ ფორმებს და როგორ მიუახლოვდებოდა ნატოს სტანდარტებს.

1994 წელს საქართველო, ერთ-ერთი პირველი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ოფიციალურად შეუერთდა „პარტნიორობას მშვიდობისათვის“.

ნატოს ახალი სტრატეგია და გაფართოების პროცესის დაწყება თვისებრივად ახალ ვითარებას ქმნიდა ევროპის კონტინენტზე, რაც, ბუნებრივია, საქართველოზეც, როგორც ალიანსის მეზობელ ქვეყანაზე, ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას. ის, თუ როგორ წარიმართებოდა ეს პროცესი და რა ურთიერთობები ჩამოყალიბდებოდა, ერთი მხრივ – გაფართოებულ ნატოსა, ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთს, შორის, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ჩვენი ქვეყნის ადგილსა და ფუნქციას ევროატლანტიკური სივრცის გეოპოლიტიკურ რუკაზე.

ნატოს გაფართოება დაკავშირებული იყო ე. წ. „იდენტურობის პრობლემასთან“. საქმე ისაა, რომ ნატო „ცივი ომის“ პერიოდში ჩამოყალიბდა თავდაცვით ორგანიზაციად და მისი მთავარი მიზანი იყო წევრი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვა გარეშე საფრთხისაგან, რომელშიც საბჭოთა კავშირი იგულისხმებოდა. საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შემდეგ გარეშე საფრთხის ფაქტორი თითქმის



აღარ არსებობდა, რაც მოითხოვდა ნატოს მთავარი ფუნქციის ახლებურ გააზრებას. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო იმის განსაზღვრა, „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ საიდან იყო მოსალოდნელი გარეშე საფრთხე და სადამდე შეიძლებოდა გავრცელებულიყო ნატოს უსაფრთხოების გარანტიები.

ბუნებრივია, არასტაბილური რუსეთი კვლავ რჩებოდა სერიოზულ რისკის ფაქტორად, მაგრამ „ცივი ომის“ პერიოდისათვის დამახასიათებელი გლობალური ბირთვული დაპირისპირების საფრთხე მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ახალი რეალობა კი იყო ეთნიკური და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროება, პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის საფრთხე, ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი, სტიქიური უბედურებები. ეს რისკის ფაქტორები არანაკლებ საშიშროებას უქმნიდნენ დასავლეთის სამყაროს, ვიდრე თავის დროზე საბჭოთა სამხედრო პოტენციალი. აქედან გამომდინარე, კეთდებოდა დასკვნა, რომ ნატოს გაფართოება წარმოადგენდა აღმოსავლეთ ევროპაზე უსაფრთხოების სივრცის გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებას.

ნატოს წევრ სახელმწიფოებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ის გარემოება, რომ ალიანსის გაფართოება ანტიდასავლურ და რევანშისტულ განწყობილებებს გამოიწვევდა რუსეთში. მიუხედავად ამისა, პრიორიტეტების შედარება იხრებოდა გაფართოების სასარგებლოდ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად ნატოს წრეებში მოჰყავდათ ის მოსაზრება, რომ ნატოში განევრიანებული და სტაბილური აღმოსავლეთ ევროპა თავისთავად დადებით გარემოს შექმნიდა რუსეთის მეზობლად, რაც, შესაბამისად, იმოქმედებდა ამ უკანასკნელის შემდგომ დემოკრატიულ განვითარებაზე.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, კეთდებოდა დასკვნა, რომ საერთო ჯამში ნატოს გაფართოებით რუსეთიც უნდა ყოფილიყო დაინტერესებული.

არსებობდა ამ პროცესის არაოფიციალური და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეც; კერძოდ, ის გარემოება, რომ აღმოსავლეთით ნატოს გაფართოება ნიშნავდა „ცივი ომის“ დასრულების შედეგად შექმნილი გეოსტრატეგიული ვითარების პრაქტიკულ დაკანონებას, ანუ აღნიშნულ „ომში“ დამარცხებული რუსეთის გავლენის სფეროს ხარჯზე დასავლეთის, უპირველესად აშშ-ის, გავლენის სფეროს გაზრდას. რუსეთს აღარც ძალა გააჩნდა და აღარც საკმარისი მოკავშირეები ამ პროცესის შესაჩერებლად.

იმავედროულად, ნატოში იწყებდნენ ფიქრს იმის თაობაზე, თუ როგორ „დაეშოშმინებინათ“ რუსეთი ალიანსის გაფართოების ფონზე. ცნობილი იყო ყველაზე „ნაცადი ხერხი“ – ფინანსურ-ეკონომიკური დახმარება, რასაც საკმაოდ ფართოდ მიმართავდნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. 1994 წლის ბოლოს გაჩნდა ცნობები, რომ ალიანსში განიხილავდნენ ნატოსა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების საკითხს.

მიუხედავად ალიანსის ასეთი „რევერანსებისა“, რუსეთი მაინც ეჭვით აღიქვამდა ნატოს გაფართოებას. ამ კრიტიკული დამოკიდებულებით მოსკოვი ხაზს უსვამდა თავის განსაკუთრებულ წონას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში და იკმაყოფილებდა უკვე არარსებული ზესახელმწიფოს ამბიციებს, რაც, რუსეთის რეალური სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ბევრს დასავლეთში აშკარად გადამეტებულად ეჩვენებოდა. ნატოს გაფართოების მიმართ რუსეთის უარყოფით მიდგომაში იკითხებოდა

(და დღესაც იკითხება) ამ ქვეყნის სტრატეგიული ხედვა და მისი დამოკიდებულება დასავლეთის სამყაროსთან, რაც ნაკარნახევია როგორც სამხედრო, ასევე, ე. წ. ცივილიზაციური მოსაზრებებით. რუსეთის პოლიტიკურ ელიტას სჯეროდა და სჯერა, რომ რუსეთი იყო და რჩება ნატოს მტრული დამოკიდებულების მთავარ ობიექტად.

რუსეთის „კაპრიზების“ უკან იდგა არა მხოლოდ წარსულის ინერცია, არამედ სალი გათვლა და გააზრებული ტაქტიკაც. ამჟამად ჩანდა, ნატოს მიმართ უკმაყოფილების გამომჟღავნებით რუსეთი ცდილობდა მაქსიმუმის მიღებას პოლიტიკური ვაჭრობისაგან. კერძოდ, რუსეთს სურდა, ალიანსს იგი განეხილა არა როგორც ერთ-ერთი ქვეყანა, არამედ როგორც განსაკუთრებული და თანასწორუფლებიანი პარტნიორი.

რუსეთში ნატოს საწინააღმდეგო განწყობილების ზრდას თან სდევდა დსთ-ის ფარგლებში სამხედრო ინტეგრაციის განმტკიცების მცდელობა, რაც თავისთავად გულისხმობდა საქართველოსა და ალიანსს შორის ურთიერთობების შეზღუდვას. რუსეთის რეაქციულ წრეებში იქმნებოდა სხვადასხვა სახიფათო სცენარი იმის თაობაზე, თუ როგორ დაეყენებინათ „სწორ გზაზე“ დასავლეთზე ორიენტირებული საქართველო. მოვლენების განვითარებიდან ჩანდა, რომ ნატოს გაფართოების პრაქტიკულ ფაზაში შესვლასთან ერთად გაძლიერდებოდა რუსეთის პირდაპირი და ირიბი ზეწოლა, განსაკუთრებით უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაზე.

მოსკოვში ოდითგანვე იცოდნენ, რომ სამხრეთ კავკასიის „გასაღები“ საქართველოშია; ამიტომ ხაზგასმული ყურადღებით 1990-იან წლებში სწორედ ნატოსთან ჩვენს მზარდ ურთიერთობებს აკვირდებოდნენ – ალიანსთან თანამშრომლობის აქტიურობით საქართველო მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან მართლაც გამოირჩე-

ოდა. მახსოვს, ნატოს შტაბ-ბინაში ალიანსისა და პარტ-ნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა შეხვედრის შემდეგ გამართულ წვეულებაზე რუსეთის ერთ-ერთი უპირველესი სამხედრო პირი, ეტყობა, სასმელით ოდნავ „დამთბარი“, მეგობრულად გადამეხვია და „დამამშვიდა“: „რუსეთი საქართველოს არავის დაუთმობს!“ ჩემს შეკითხვაზე – „არც ქართველებს არ დაუთმობთ?“ – მას გულიანად გაეცინა: „მხოლოდ ქართველებს!“

1996-1997 წლებში დებატებმა ნატოს გაფართოების შესახებ როგორც დასავლეთის, ისევე რუსეთის პოლიტიკურ წრეებსა და პრესაში მწვავე ხასიათი მიიღო. გაჩნდა მრავალი კითხვა, თუ როგორ გაფართოვდებოდა ნატო და როგორ წარიმართებოდა ეს პროცესი, როგორი იქნებოდა ძალთა ახალი თანაფარდობა და XXI საუკუნის ევროპული უსაფრთხოების სისტემა.

ნატოს გაფართოების მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ გაფართოება უმთავრესად აშშ-სა და გერმანიას აინტერესებდა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ეჭვს არ იწვევდა ის გარემოება, რომ იგი ნამდვილად ზრუნავდა თავისი აღმოსავლეთის საზღვრების განმტკიცებაზე, რისი გარანტიაც იქნებოდა ალიანსში პოლონეთისა და ჩეხეთის განევრიანება.

როდესაც განიხილავდნენ გაფართოების სხვადასხვა ვარიანტს, კრიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის საზღვრებამდე (ბალტიისპირეთის ჩათვლით) ნატოს გაფართოება აუცილებლად გამოიწვევდა მოსკოვთან მეტად სერიოზულ კონფრონტაციასა და ევროპული უსაფრთხოების სისტემის მოშლას. იმ შემთხვევაში, თუ გაფართოება შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლონეთით, ჩეხეთითა და უნგრეთით, მაშინ ევროპის დანარჩენი ქვეყნები უსაფრთხოების მუდმივ „ნაცრისფერ ზოლში“ აღმოჩნდებოდნენ. აქედან გამომდინარე, უპირატესო-

ბა ენიჭებოდა მესამე „სცენარს“, რომლის მიხედვითაც ნატოს გაფართოება რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების ფონზე უნდა განხორციელებულიყო.

და მართლაც, 1997 წლის 27 მაისს პარიზში, ერთი მხრივ, ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა და ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ხოლო მეორე მხრივ – პრეზიდენტმა ელცინმა ხელი მოაწერეს „დამფუძნებელ აქტს ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც შეფასდა, როგორც „ახალი, ძლიერი, სტაბილური და მრავალმხრივი პარტნიორობის დასაწყისი“.

ზემოაღნიშნულ მოვლენებს საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად „მწვანე შუქი“ მიეცა ნატოს გაფართოების პროცესს, რასაც რადიკალური ცვლილებები შეჰქონდა II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ამ პროცესის უდავოდ დადებითი ფაქტორი იყო ის, რომ ნატოს გაფართოება ხდებოდა არა რუსეთის იზოლირებისა და მასთან დაპირისპირების გზით, არამედ დიალოგისა და განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარებით. ეს მეტად ხელშემწყობი ფაქტორი იყო საქართველო-ნატოს თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვისაც, რადგან აღნიშნულ ურთიერთობებს რუსეთი ნაკლებად შეაფასებდა, როგორც მის წინააღმდეგ მიმართულ პროცესს.

ზოგადად, ყოფილი საბჭოთა სივრცის მიმართ პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაცია, განსაკუთრებით პირველ საპრეზიდენტო ვადაში (1993-1997 წწ.), ხელმძღვანელობდა მიდგომით – „რუსეთი უპირველეს ყოვლისა“ და რუსეთის პრიზმით უყურებდა ამ რეგიონში მიმდინარე პროცესებს. კერძოდ, ვაშინგტონში ფიქრობდნენ,

რომ რუსეთში დემოკრატიული და საბაზრო რეფორმების ხელშეწყობა თავისთავად უზრუნველყოფდა მოსკოვის შემდგომ დაახლოებას დასავლეთთან, რაც უთუოდ სასარგებლო იქნებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელი განვითარებისთვისაც, ანუ რუსეთის დახმარება ნიშნავდა მისი მეზობლების დახმარებასაც. ამ ლოგიკიდან გამომდინარეობდა დასკვნა, რომ საჭირო იყო მთავარი აქცენტის გადატანა პირადად პრეზიდენტ ელცინის მხარდაჭერაზე, რომელიც აღნიშნული რეფორმების მთავარ გარანტად მოიაზრებოდა.

ამგვარად, დასავლეთში იგრძნობოდა მეტად ოპტიმისტური განწყობა რუსეთში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მიმართ, რომლებსაც სტრატეგიულ პარტნიორად უნდა ექციათ ერთ დროს დასავლეთის მთავარი მოწინააღმდეგე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამხრეთ კავკასია ამ ეტაპზე აშშ-სა და ნატოსათვის არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ რეგიონს. ყურადღება გამახვილებული იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე, ასევე ბალტიისპირეთზე (ცნობილია, რომ დასავლეთის ბევრი ქვეყანა, მათ შორის აშშ, საბჭოთა პერიოდშიც არ ცნობდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შეერთებას საბჭოთა კავშირთან). ბალტიისპირეთიდან რუსეთის ფედერაციის ჯარების გასაყვანად მობილიზებული იყო დასავლეთის ხელთ არსებული მთელი არსენალი, რომელიც გულისხმობდა, ერთი მხრივ, მოსკოვზე პოლიტიკურ ზენოლას, ხოლო მეორე მხრივ – ფინანსური ნახალისების მექანიზმს.

საერთოდ, თუკი ვიმსჯელებთ რუსეთის როლზე კონფლიქტების დარეგულირებაში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ პერიოდისათვის დასავლეთში აშკარად ქარბობდა აზრი ყოფილ საბჭოთა კავშირსა და, განსაკუთრებით, მის კონფლიქტურ რეგიონებში რუსე-

თის განსაკუთრებული მისიის შესახებ. ამ მიდგომას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საბჭოთა პერიოდის ინერცია, როდესაც ხდებოდა რუსეთის გაიგივება მთელ საბჭოთა სივრცესთან. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ის ფაქტორიც, რომ დასავლეთისთვის, რომელიც უფრო მოსკოვთან ურთიერთობებს იყო მიჩვეული, ნაკლებად იყო ცნობილი ე. წ. ყოფილი საბჭოთა პერიფერია. დასავლეთის სამყაროსაგან საკმაოდ მონყვეტილ მოვლენებად აღიქმებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, რომლებში მონაწილეობის არც გამოცდილება და არც სურვილი დასავლეთს არ ჰქონდა. გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1990-იანი წლების დასაწყისში იგრძნობოდა რომანტიკული დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, რომელიც ფართო თანამშრომლობასა და პარტნიორობას სთავაზობდა დასავლეთს. იქ კი მიიჩნევდნენ, რომ დასავლეთის ნაჩქარევი და გადამეტებული ჩარევა ყოფილი საბჭოთა კავშირის საქმეებში რევანშისტულ რეაქციას გამოიწვევდა რუსეთში, რაც, უპირველეს ყოვლისა, უარყოფითად იმოქმედებდა თვით ამ ქვეყნებზე, რომლებმაც ახლახან მოიპოვეს დამოუკიდებლობა.

თუმცა ეს მიდგომა ნელ-ნელა იცვლებოდა და ამას ხელს უწყობდა კასპიის ენერგორესურსებით აშშ-ისა და ევროპელების დაინტერესება. ზოგადად ეს დაკავშირებული იყო მსოფლიოს ენერგეტიკული რესურსების მომავალთან, რაც XXI საუკუნის თავისებურ „გეოსტრატეგიულ გასაღებს“ წარმოადგენს. ენერგეტიკული დამოკიდებულება სპარსეთის ყურის ნავთობზე აშშ-ისა და დასავლეთისათვის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ფაქტორია; როგორც არაბული ქვეყნების მიერ დასავლეთის მიმართ 1970-იან წლებში განხორციელებული

ბულმა ენერგეტიკულმა ემბარგომ, 1979 წელს ირანის რევოლუციამ და ერაყის მოვლენებმა ცხადყო, დასავლეთი, უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროებს თავისი ენერგორესურსების წყაროთა დივერსიფიკაციას. ამ კონტექსტში ხშირად იგონებენ უინსტონ ჩერჩილის სიტყვებს: „ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული ერთ რომელიმე თვისებაზე, ერთ ქვეყანაზე, ერთ მარშრუტზე ან ერთ სფეროზე. ნავთობის უწყვეტობა და უსაფრთხოება დამოკიდებულია მისი წყაროების მრავალფეროვნებაზე, და მხოლოდ ამაზე“.

მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა დაადასტურეს კასპიის ენერგორესურსების დიდი პერსპექტივა, აშშ-მ სწრაფად დაიწყო შესაბამისი მექანიზმების შემუშავება. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა აქტიურ დიპლომატიას რეგიონში. აშშ-ის საელჩოების თანამშრომლებიდან დაწყებული და ამერიკის პრეზიდენტით დამთავრებული, ყველა ჩაერთო ამ „ფერხულში“, რეგიონის ქვეყნებში დაიწყო აშშ-ის ადმინისტრაციის, კონგრესის, სხვადასხვა უწყებისა და ფირმის წარმომადგენელთა რეგულარული ვიზიტები. მიმომხილველების აზრით, „ადრეული ნავთობის“ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მარშრუტებით (რუსეთისა და საქართველოს გავლით) ტრანსპორტირების შესახებ პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1995 წლის ოქტომბერში, აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის შეხვედრის დროს.

აშშ-ის ადმინისტრაციის ინიციატივით კასპიის ნავთობთან დაკავშირებული პროექტების მომზადება და განხორციელება დაევალა სხვადასხვა სამთავრობო და ფინანსურ ინსტიტუტს. კასპიის ენერგორესურსების მიმართ თავისი პოზიციის ჩამოყალიბება ადრეულ ეტაპზე დაიწყო თურქეთმაც, რომელიც დასავლეთის



ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა მიმომხიბლველმა დაახასიათა, როგორც „მომავალი 50 წლის განმავლობაში ნატოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა ისტორიული კავშირებისა და პოზიციების აღდგენა კავკასიასა და შუა აზიაში. თურქეთმა, რომელიც ამ რეგიონის თურქულენოვანი ქვეყნებისათვის მისაბაძ მოდელადაც გამოიყურებოდა, დროის მცირე მონაკვეთში შეძლო მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის დამყარება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, მათ შორის განსაკუთრებული ინტენსიურობით – აზერბაიჯანსა და საქართველოსთან. 1993-1995 წლებში საქართველომ გააფორმა თურქეთთან არაერთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომლებმაც „მწვანე შუქი“ მისცა სხვადასხვა პროექტის განხორციელებას. თურქეთი იქცა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ დონორადაც და იმავე პერიოდში გამოიყვანა ჩვენს ქვეყანას მრავალმილიონიანი კრედიტები.

კავკასიასა და შუა აზიაში თავისი გავლენის გაძლიერების ყველაზე ეფექტურ მექანიზმად თურქეთმა აირჩია თავის ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობა, რომელსაც დასავლეთისაკენ უნდა გაეტარებინა კასპიის ნავთობი. გარდა იმისა, რომ ეს პროექტი დიდ ეკონომიკურ მოგებას მოუტანდა თურქეთს, საშუალებას მისცემდა დაებლანსებინა რეგიონში ისტორიული მეტოქის – რუსეთის – გავლენა. ამასთანავე, ნათლად იკვეთებოდა ის გარემოებაც, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ასეთი ნავთობსადენის მშენებლობა დაკავშირებული იქნებოდა დიდ რისკთან. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ, ეკოლოგიური მოსაზრებებით, ბოსფორის ყურეს არ შეუძლია გაატაროს დიდი მოცულობის ტანკერები,

ნავთობსადენი უნდა აშენებულიყო იმ სახმელეთო მონაკვეთებზეც, სადაც ქურთი მემამბოხეები მოქმედებდნენ. ასევე, რისკთან იყო დაკავშირებული ნავთობსადენის მშენებლობა არასტაბილური საქართველოს, ან ომში ჩართული სომხეთის გავლით. აშშ-ის ცნობილი პოზიციის გამო, პრაქტიკულად თავიდანვე გამოირიცხა ირანის ალტერნატივა.

დასავლეთის აღნიშნული დინამიკური ინიციატივების ფონზე რუსეთმა, თავისი არაპრაგმატული პოლიტიკის გამო, ვერ შეძლო რეგიონის ქვეყნებისათვის მიმზიდველი ალტერნატივის შეთავაზება. რეგიონის მიმართ მის პოლიტიკაში აშკარად იგრძნობოდა ორი საპირისპირო მიდგომა; პირველი იყო რუსულ-საბჭოური იმპერიული სკოლის გადმონაშთი, რომელიც მეზობელ ქვეყნებში გავლენის შენარჩუნების საუკეთესო მეთოდად მიიჩნეოდა სამხედრო ძალას, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გაღვივებასა და შემდგომ მათი მოგვარებისას მოსკოვის წამყვანი როლის შენარჩუნებას. ამ მიმართულების წარმომადგენლები, რომელთაც ძლიერი პოზიციები ჰქონდათ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, დასავლეთის ჩართვას კასპის ნავთობთან დაკავშირებულ პროექტებში აღიქვამდნენ როგორც პოლიტიკურ დივერსიას. მეორე – ე. წ. პრაგმატული მიმართულების წარმომადგენლები აცნობიერებდნენ, რომ რუსეთის შესაძლებლობები შეზღუდული იყო და აქცენტს აკეთებდნენ რუსული კომპანიების მონაწილეობაზე აღნიშნულ პროექტებში. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კომპანია „ლუკოილის“ გადაწყვეტილება, მიერთებოდა 1994 წლის ე. წ. საუკუნის კონტრაქტს, რუსეთის საგარეო უწყებამ შეაფასა, როგორც არაკანონიერი მოქმედება.

1999 წლის ნოემბერში, ეუთოს სტამბოლის სამიტის მსვლელობისას, საქართველოს, აზერბაიჯანისა და

თურქეთის პირველმა პირებმა ხელი მოაწერეს საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ენერგეტიკულ ხელშეკრულებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ. ხელმოწერის ცერემონიალს ბილ კლინტონი ესწრებოდა. 1775- კილომეტრიანი მილსადენის მშენებლობის საფასური დაახლოებით 4 მილიარდ დოლარად იქნა შეფასებული, მისი ამოქმედების შემდეგ (2005 წელს) მომხმარებელი ევროპის ქვეყნებში მიიღებდა ყოველწლიურად დაახლოებით 50 მილიონ ტონა კასპიის ნავთობს. მრავალწლიანი რთული პოლიტიკური ძალისხმევის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება დიდი წარმატება იყო პროექტში მონაწილე ქვეყნებისათვის. კერძოდ, საქართველოს იგი ანიჭებდა სრულიად ახალ ფუნქციას, რომელიც მჭიდროდ აკავშირებდა მას ევროპასთან. სწორედ ეს ფუნქცია გახდება მომდევნო წლებში სამხრეთ კავკასიის მიმართ დასავლეთის მზარდი ინტერესის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი აშშ-ის მორიგი მონაპოვარი იყო. იგი აძლიერებდა ვაშინგტონის გავლენას რეგიონში, ქმნიდა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ძლიერ მექანიზმს.

იმავე ეუთოს სამიტზე სტამბოლში მოხდა საქართველოსათვის კიდევ ერთი ისტორიული გარღვევა: საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმდა შეთანხმება ჩვენი ქვეყნიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. 200 წლის შემდეგ ჩნდებოდა შანსი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღარ იქნებოდა განთავსებული უცხო ქვეყნის სამხედრო ძალა. ჩემი ნაცნობი რუსი გენერლისა არ იყოს, საქართველო, მგონი, მართლაც ქართველებს გვრჩებოდა.

2008 წლის აგვისტომდე 9 წელი რჩებოდა.

მსოფლიოში აშშ-ის ლიდერის როლი თვალნათლივ წარმოჩნდა ნატოს ვაშინგტონის სამიტზე 1999 წელს. ალიანსი თავის 50 წლის იუბილეზე შთამბეჭდავად გამოიყურებდა, მის რიგებში სამი ახალი წევრის (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი) მიღება აშშ-ისა და მისი „გუნდის“ დიდი გეოპოლიტიკური გამარჯვება იყო.

ვაშინგტონის სამიტს პარტნიორი ქვეყნების დელეგაციებიც ესწრებოდნენ პირველი პირების მეთაურობით, მათ შორის იყო საქართველოს პრეზიდენტიც.\* სამიტზე ხაზგასმით დაბალი დონის დელეგაცია მხოლოდ რუსეთმა გამოაგზავნა. ამით იგი ხაზს უსვამდა თავის დიდ უკმაყოფილებას კოსოვოში ნატოს სამხედრო ინტერვენციის გამო.

---

\* დელეგაციის ერთ-ერთი წევრი მეც გახლდით.

## კოსოვოს სახიფათო პრეცედენტი

1998 წლის გაზაფხულზე ვითარება კოსოვოში მნიშვნელოვნად გართულდა. ყოფილი იუგოსლავიის ეს რეგიონი საკმაოდ სწრაფად მოექცა ნატოს ყურადღების ცენტრში, რადგან აღნიშნული პრობლემა რეალურ საფრთხეს უქმნიდა მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის სტაბილურობას.

კოსოვოს პრობლემის მიმართ ნატოს დამოკიდებულება გარკვეული სირთულეებითა და წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. საერთოდ, ამ პრობლემამ უდიდესი გავლენა იქონია ალიანსის ევოლუციაზე და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი მიზნებისა და ფუნქციების თანამედროვე რეალობასთან მისადაგებას. კოსოვოში ნატოს მოქმედებამ დიდი როლი შეასრულა თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ახლებურად გააზრების საქმეში. ეს იყო პირველი შემთხვევა უახლეს ისტორიაში, როდესაც დემოკრატიული ქვეყნების ალიანსმა არსებულ საერთაშორისო ნორმებზე მაღლა დააყენა ზნეობრივი ფასეულობები და განახორციელა სამხედრო ოპერაცია სუვერენული სახელმწიფოს (იუგოსლავიის) წინააღმდეგ, რომელიც კოსოვოელი ალბანელების ეთნიკურ წმენდას ატარებდა.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ ოპერაციის ყველაზე საგულისხმო მომენტი ის იყო, რომ იგი განხორციელდა ფაქტობრივად გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე. ამით განსხვავდებოდა კოსოვოს ოპერაცია ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამხედრო აქციისაგან, სადაც ნატოს ეგიდით სამშვიდობო ძალები გაეროს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე მოქმედებდნენ.

კოსოვოში ვითარების გართულების საწყის ეტაპზევე ნატოს წინაშე წარმოიშვა დილემა, რომელიც დასავლეთის საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების ფართო განხილვის საგნად იქცა: როგორ უნდა მოქცეულიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იმ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკური ზენოლა იუგოსლავიის ხელმძღვანელობაზე შედეგს არ გამოიღებდა და ეს უკანასკნელი გააგრძელებდა კოსოვოელი ალბანელების დევნასა და რეპრესიებს. ნათელი იყო, რომ ამ შემთხვევაში, რალაც ეტაპზე, დადგებოდა სამხედრო ძალის გამოყენების საკითხი. მაგრამ საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან რუსეთი, სერბების მიმართ სიმპათიის გამო, უთუოდ გამოიყენებდა ვეტოს უფლებას უშიშროების საბჭოში. ამ შემთხვევაში ნატო საერთაშორისო სამართლის „მძევალი“ გახდებოდა და იძულებული იქნებოდა ეცქირა, თუ როგორ იგდებდა აბუჩად იუგოსლავიის ხელისუფლება იმავე სამართლის ელემენტარულ ნორმებს, რომლის ამოსავალი წერტილი დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვაა. მოვლენათა ასეთი განვითარება უაღრესად დიდ, და შესაძლოა გამოუსწორებელ, ზიანს მიაყენებდა ნატოს, რომელიც სულ უფრო გამოკვეთილად იმკვიდრებდა ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების გარანტიის მთავარ ფუნქციას. ეს ალიანსში კარგად ესმოდათ.

ნატოს ავტორიტეტის შელახვის გარდა, კოსოვოში დაძაბულობის გაღრმავება, როგორც უკვე აღინიშნა, დამანგრეველი დეტონაციით ემუქრებოდა მეზობელ ქვეყნებსა და, შესაძლოა, მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულს, რომლის სტაბილურობაც ამ რეგიონის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა მეტად ფაქიზ ბალანსზეა დამყარებული. ბელგრადის აგრესიული

პოლიტიკის გამო ნატო ვერ დაუშვებდა ამ ბალანსის დარღვევას და საერთაშორისო კრიზისის წარმოქმნას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამისათვის ძალის გამოყენება დასჭირდებოდა.

მეორე მხრივ, დასავლეთში ნათლად აცნობიერებდნენ იმ საშიშროებასაც, რასაც უქადდა ნატო-რუსეთის ურთიერთობებს კოსოვოში ნატოს შესაძლო სამხედრო ოპერაცია. მოსკოვში გაძლიერებული ანტიდასავლური ტენდენციები იმაზე მიუთითებდა, რომ გაეროს გვერდის ავლით კოსოვოს პრობლემის მოგვარების მცდელობა „რუსეთის დაკარგვის“ ტოლფასი შეიძლება გამხდარიყო. ყოველივე ამის გამო, ძალის გამოყენება-არგამოყენებას შორის პრინციპული არჩევანის გაკეთებას დიდი პოლიტიკური ნება და მოკავშირეთა მტკიცე სოლიდარობა სჭირდებოდა.

კოსოვოს განსაკუთრებული ადგილი უკავია ბალკანეთისა და, კერძოდ, სერბი ხალხის ისტორიაში. 1389 წელს აქ გადაწყდა ბალკანეთის ბედი, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ კოსოვოს ველზე დაამარცხა სერბთა, ბოსნიელთა და ალბანელთა გაერთიანებული ლაშქარი\*. ამის შემდეგ სერბეთის სამეფო ვასალად იქცა და თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ვილაიეთი, ანუ პროვინცია იყო. კოსოვო იქცა დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული დამცირების სიმბოლოდ; ეს ისტორიული ფაქტორი განსაკუთრებულ დაღს ასვამდა, და ასვამს, სერბთა დამოკიდებულებას ამ რეგიონის მიმართ, რომელიც, მათი თვალსაწიერიდან, ჯერ მომხდურებმა დაიპყრეს, ხოლო შემდეგ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, საერთოდ ჩამოაშორეს დედასერბეთს.

---

\* ამ ისტორიული ბრძოლის გმირები თავადი ლაზარ და მილოშ ობილიჩები წმინდანებად არიან შერაცხული სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

საუკუნეების მანძილზე კოსოვოს დემოგრაფიულმა შემადგენლობამ დიდი ცვლილებები განიცადა. XX საუკუნის დასაწყისისათვის იქ ცხოვრობდა ერთ მილიონამდე ადამიანი, 70% მუსლიმი გახლდათ, ხოლო 30% – ქრისტიანი. მუსლიმები უმთავრესად გამაჰმადიანებული ალბანელები იყვნენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები კი – სერბები.

იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კოსოვოს ჰქონდა ავტონომიური ოლქის სტატუსი სერბეთის შემადგენლობაში. ბროზ ტიტოს ავტორიტარული მმართველობის დროს კოსოვოში იყო საპროტესტო გამოსვლები მოთხოვნით, მიენიჭებინათ ამ პროვინციისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი. ტიტოს სიკვდილის შემდეგ კოსოვოელ ალბანელთა გამოსვლებმა უფრო აქტიური და მასობრივი ხასიათი მიიღო.

საკუთრივ სერბეთში წლების მანძილზე ძლიერდებოდა განცდა, რომ სერბები კოსოვოში იჩაგრებიან და ამ რეგიონიდან მათ გაძევებას ცდილობენ. ცალკე განსჯის თემაა, თუ რაოდენ საფუძვლიანი ან უსაფუძვლო იყო სერბთა უკმაყოფილება. ფაქტია, რომ ამ განწყობას ხელს უწყობდა სერბი ნაციონალისტების, საზოგადოების დიდი ნაწილისა და სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრიტიკული დამოკიდებულება ალბანელების მიმართ. „სერბებს კოსოვოდან ერეკებიან, მათ შველა სჭირდებათ!“ – ასეთი იყო ბელგრადის ხელისუფლების მიმართ მათი მკაცრი მიმართვის პათოსი.

სერბები ფიქრობდნენ, რომ კოსოვოელი ალბანელების საბოლოო მიზანი იყო მეზობელ ალბანეთთან გაერთიანება და ე. წ. „დიდი ალბანეთის“ შექმნა. სხვადასხვა მონაცემით, 1980-იან წლებში კოსოვო დატოვა ათასობით სერბმა. ალბანელები კი ხმამაღლა ჩიოდნენ თავიანთი უფლებების დარღვევისა და შევიწროების, ფედერალური



პოლიციისა და სპეცსამსახურების რეპრესიების გამო ეთნიკური ნიშნით. მათ უკმაყოფილებას ისიც აძლიერებდა, რომ კოსოვო იუგოსლავიის ყველაზე ღარიბ რეგიონად რჩებოდა. 1980-იანი წლებისათვის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე კოსოვოში შეადგენდა 795 დოლარს, მაშინ როცა საშუალო მაჩვენებელი იუგოსლავიაში 2635 დოლარი იყო. ფაქტია, რომ სლობოდან მილოშევიჩმა ამ თვალსაზრისით საკმაოდ არასახარბიელო მემკვიდრეობა ჩაიბარა.

დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და გონივრული ნაციონალური პოლიტიკის გატარების ნაცვლად მილოშევიჩის ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად შეზღუდა კოსოვოს თვითმმართველობის უფლებები. ეს სერბეთის საკანონმდებლო ასამბლეამ მალე კონსტიტუციურად დააკანონა კიდევ. ამას კოსოვოელი ალბანელების ძლიერი პროტესტი მოჰყვა, რის საპასუხოდაც კოსოვოში საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს. დაძაბულობის მუხტიმა კატასტროფულად იმატა.

ქურის გამოსვლებს მოჰყვა „კანონების ომი“. 1990 წლის ივლისში კოსოვოს ასამბლეამ, ალბანელი დეპუტატების უმრავლესობით, კოსოვოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა იუგოსლავიის შემადგენლობაში, ანუ კოსოვო ფედერაციის მეშვიდე სუბიექტად აცხადებდა თავს. საპასუხოდ, სერბეთის ასამბლეამ საერთოდ ბათილად ცნო კოსოვოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები და სერბეთის მმართველობა შემოიღო პროვინციაში. კოსოვოს ასამბლეამ უკანონოდ გამოაცხადა ეს გადაწყვეტილება. 1991 წელს კოსოვოელი ალბანელების მიერ ჩატარებულმა არაოფიციალურმა რეფერენდუმმა კოსოვოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი.

სერბეთის ხელისუფლებამ მილოშევიჩის მეთაურო-

ბით გააძლიერა რეპრესიები კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგ. კოსოვოში ნამდვილი პოლიციური რეჟიმი დამყარდა, რომლის მსხვერპლი გახდა უამრავი ადგილობრივი ალბანელი და მათი მხარდამჭერი. საკადრო „წმენდის“ შედეგად 80 ათასამდე კოსოვოელი ალბანელი დაითხოვეს საჯარო სამსახურიდან და სასწავლებლებიდან.

კანონების ომი და რეპრესიები ნამდვილი ომისაკენ მიაქანებდა კოსოვოს. თუმცა, კოსოვოელ ალბანელთა ლიდერის, იბრაჰიმ რუგოვას, არაძალადობრივი წინააღმდეგობის პოლიტიკამ, რაც ნაწილობრივ მაჰათმა განდის ხედვას ეყრდნობოდა, ერთხანს შეაკავა მასობრივი სისხლისღვრა. მაშინ, როდესაც სლოვენია, ხორვატია და შემდეგ ბოსნია ომის ქარცეცხლში აღმოჩნდნენ, კოსოვო მეტ-ნაკლებად მშვიდობას ინარჩუნებდა.

მოუგვარებელმა პრობლემებმა და რეპრესიებმა გამოიწვია კოსოვოელი ალბანელების ერთი ნაწილის რადიკალიზაცია, მათ არაძალადობრივ წინააღმდეგობას შეიარაღებული ბრძოლა არჩიეს. 1996 წლიდან ინიციატივა კოსოვოს განთავისუფლების არმიამ მოიპოვა (KLA).

ამ შეიარაღებული ორგანიზაციის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ზოგადად, მიღებულია მოსაზრება, რომ მის შექმნაში ფინანსური და პოლიტიკური თვალსაზრისით გადამწყვეტი როლი შეასრულა კოსოვოელი ალბანელების დიასპორამ. პოლიტიკური კრიზისის შედეგად, 1997 წელს მეზობელი ალბანეთი ქაოსმა მოიცვა, გაიძარცვა იარაღის საწყობები. სწორედ ამ იარაღის დიდი ნაწილი ოპერატიულად აღმოჩნდა KLA-ს ხელში. დაიწყო თავდასხმები სერბეთის უშიშროების ძალებსა და თანამშრომლებზე. იუგოსლავიის ხელისუფლება KLA-ს ტერორისტებად მიიჩნევდა, კოსოვოელი ალბანელების დიდი ნაწილი კი – თავისუფლებისათვის მებრძოლად.

საყურადღებოა, რომ 1998 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა KLA ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა. ამერიკის პოზიცია მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც ნატომ 1999 წელს მიიღო გადაწყვეტილება იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელების თაობაზე.

თავდასხმებისა და მასობრივი შეტაკებების პროვოცირება აშკარად KLA-ს მხრიდან ხდებოდა. თუმცა, მილოშევიჩს უკვე იმდენად ჰქონდა მოპოვებული „პიტლერის რეპუტაცია“, რომ საერთაშორისო საზოგადოების სიმპათიები მებრძოლ კოსოვოელ ალბანელთა მხარეზე აღმოჩნდა. მართლაც, სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო; მილოშევიჩის ბიოგრაფიაში რომ არ ყოფილიყო სლოვენის, ხორვატიისა და ბოსნიის ტრაგედიები, კოსოვო შეიძლება დღემდე სერბეთის შემადგენლობაში ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა 2008 წლის აგვისტოს ომიც აგვეცილებინა თავიდან, რაც ნაწილობრივ რუსეთის პასუხი იყო დასავლეთისთვის ნატოს სამხედრო ოპერაციასა და შემდგომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე.

1998 წელს იუგოსლავიის არმიამ და სერბეთის შინაგანი ჯარის ნაწილებმა KLA-ს პოზიციებზე შეტევა დაიწყეს. აშშ-მა და დასავლეთმა მილოშევიჩს მოსთხოვეს ძალადობის შეწყვეტა. პოლიტიკურ პროცესში აქტიურად ჩაება რუსეთიც, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მილოშევიჩის ხელისუფლებაზე. შუამავალთა მეშვეობით შეტაკებები დროდადრო წყდებოდა და მხარეები მოლაპარაკებას ცდილობდნენ, მაგრამ მათი პოზიციები რადიკალურად განსხვავდებოდა. 1998 წლის 23 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მოუწონდა მხარეებს, შეეწყვიტათ შეიარაღებული დაპირისპირება. მომდევნო დღეს ნატომ განაცხადა, რომ იწყებდა მზადებას შესა-

ძლო სამხედრო ოპერაციისათვის. ამ დროისათვის საერთაშორისო მედიაში ვრცელდებოდა შემაშფოთებელი ინფორმაციები კოსოვოდან ალბანელთა მასობრივი განდევნის შესახებ. დევნილთა რიცხვმა 250 ათასს მიაღწია.

1998 წლის ოქტომბერში კოსოვოში მუშაობა დაიწყო ეუთოს „კოსოვოს ვერიფიკაციის მისიამ“ (KVM). უიარაღო სამშვიდობოებმა ვერ შეძლეს ძალადობის შეჩერება. დაძაბულობამ განსაკუთრებული ძალით იფეთქა მას შემდეგ, რაც ეუთოს მონიტორებმა 1999 წლის იანვარში დაადასტურეს 45 ალბანელი გლეხის მკვლელობა. მილოშევიჩის ხელისუფლებამ კატეგორიულად უარყო ამ ბარბაროსობაში მონაწილეობა. ე. ნ. რაჩაკის მკვლელობას მოჰყვა KLA-ს მასშტაბური შეიარაღებული თავდასხმები და მორიგი მსხვერპლი.

1999 წლის თებერვალ-მარტში პარიზთან ახლოს (რამბუიე) გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც შეიმუშავა ფორმულა კოსოვოს კონფლიქტის მოსაგვარებლად. შეთანხმების პროექტი ითვალისწინებდა კოსოვოს ავტონომიას იუგოსლავიის შემადგენლობაში, აგრეთვე ნატოს სამხედრო პერსონალის განთავსებას ამ რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად. მილოშევიჩის ხელისუფლებამ პროექტის ეს ნაწილი „ნატოს ოკუპაციის“ მცდელობად შეაფასა და მტკიცე უარი განაცხადა მასზე.

1999 წლის 24 მარტს ნატომ დაიწყო საჰაერო-სამხედრო კამპანია იუგოსლავიის წინააღმდეგ, რაც იმავე წლის 11 ივნისამდე გაგრძელდა. საჰაერო კამპანიის შესაჩერებლად ნატომ მოითხოვა იუგოსლავიის ხელმძღვანელობისაგან შემდეგი ხუთი პირობის შესრულება:

- სამხედრო ოპერაციების შეწყვეტა კოსოვოში;
- სამხედრო ძალების გაყვანა კოსოვოდან;
- კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგება;

- კოსოვოელი ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებისათვის მათი დახმარების საშუალების მიცემა;
- კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების მიზნით რამბუიეში დაწყებული პროცესის გაგრძელება.

ეს პირობები მილოშევიჩის ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

11 კვირის განმავლობაში ნატომ მასშტაბური საჰაერო კამპანია განახორციელა. ათასამდე სამხედრო თვითმფრინავმა ამ პერიოდში ჩაატარა 38 ათასამდე (!) საბრძოლო მისია. ადრიატიკის ზღვაში განთავსებული აშშ-ის ხომალდები იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ იყენებდნენ „ტომაჰავკის“ ტიპის ფრთოსან რაკეტებს.

სამხედრო ოპერაციის პირველ ეტაპზე უმთავრესად დაიბომბა სამხედრო ობიექტები, მათ შორის, იუგოსლავიის დედაქალაქის ცენტრში. ორი წლის შემდეგ ბელგრადში მომინია ჩასვლა და ჩემი თვალით ვიხილე, თუ როგორი სიზუსტით იყო განხორციელებლი საჰაერო დარტყმები შეიარაღებული ძალების გენშტაბის, პოლიციის, უშიშროების შტაბ-ბინებზე. ეს შენობები თითქმის მთლიანად მიწასთან იყო გასწორებული, გვერდით მდგომ ნაგებობებს კი არანაირი დაზიანება არ ეტყობოდა. აშშ და ნატოს სხვა წევრი – ქვეყნები კამპანიის დროს სწორედ ამ ნერტილოვნი დარტყმების სიზუსტესა და მნიშვნელობას უსვამდნენ ხაზს. თუმცა, იყო დრამატული გამონაკლისებიც, რასაც ზედმეტად კორექტული ტერმინი შეურჩიეს – თანმხლები ზიანი (Collateral damage). ასეთი ზიანის ნუსხაში აღმოჩნდა ბელგრადში ჩინეთის საელჩოს შენობა, რომელიც სარაკეტო დარტყმის შედეგად დაინგრა. ამ ფაქტსა და 3 ჩინელი ჟურნალ-

ისტის დალუპვას პეკინის უმკაცრესი რეაქცია და ნატოს ოფიციალური ბოდიში მოჰყვა. ასევე დიდი რეზონანსი იქონია საჰაერო შეტევის შედეგად 50-მდე მშვიდობიანი კოსოვოელი ალბანელის განადგურებამ – ლტოლვილთა ნაკადი სამხედრო პილოტებმა შეცდომით იუგოსლავიის ჯარის ნაწილად ჩათვალეს.

მიუხედავად ამისა, ნატოს ოფიციალური მონაცემებით, 20 ათასამდე წერტილოვანი დარტყმის 99%-მა მიზანს ზუსტად მიაღწია. იუგოსლავიის სამხედრო ინფრასტრუქტურამ უდიდესი ზარალი განიცადა (ნატოს დანაკარგები მინიმალური იყო). თუმცა, იუგოსლავიის არმია და სერბების ძალები საკმაოდ მომზადებულნი აღმოჩნდნენ ნატოს საჰაერო ოპერაციისათვის. სერბები ოსტატურად იყენებდნენ ე. წ. რადიოთამამს, რასაც შეცდომაში შეჰყავდა ნატოს სამხედრო ავიაცია. სამხედრო ობიექტები და ჯარის ნაწილები ეფექტურად იყვნენ შენიღბულნი, ხშირად ნამდვილი ტანკებისა და არტილერიის ნაცვლად წერტილოვანი დარტყმებით ნატო ხის მაკეტებს ანადგურებდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 1999 წლის აპრილში კოსოვოს ალბანელ ლტოლვილთა რაოდენობამ 850 ათასს მიაღწია.\* აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით კი „500 ათასამდე კოსოვოელი ალბანელი ითვლებოდა ლტოლვილად ან კონფლიქტის მსხვერპლად“. \*\* პრეზიდენტმა კლინტონმა კოსოვოს მოვლენები და ალბანელთა წინააღმდეგ სერბების რეპრესიები გერმანელი ფაშისტების მიერ ებრაელთა ჰოლოკოსტს შეადარა.

მომდევნო ეტაპზე ნატომ საგრძნობლად გააძლიერ-

---

\* ლტოლვილთა აბსოლუტური უმრავლესობა 1999 წლის ბოლოს დაუბრუნდა თავის საცხოვრებელს.

\*\* მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს მონაცემები გაზვიადებული იყო.

რა საჭაერო კამპანია. „ორმაგი დანიშნულების“ ობიექტებად გამოცხადდა და დაიბოძა ბელგრადის ცნობილი ხიდი დუნაიზე, ელექტროსადგურები, ქარხნები (მათ შორის, ზასტავის ავტოქარხანა), სერბეთის სახელმწიფო ტელევიზია და სხვა. შესაბამისად, იზრდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლიც. იუგოსლავიის წყაროებით, დაღუპულთა რაოდენობამ 5 ათას კაცს გადააჭარბა, ნატოს მონაცემებით კი ეს ციფრი დაახლოებით 500 კაცს უტოლდებოდა.

ძალა აღმართს ხნავსო და, მილოშევიჩიც საბოლოოდ იძულებული გახდა მიეღო ნატოს მოთხოვნები. იუგოსლავიისა და სერბების ძალები გაიყვანეს კოსოვოდან, სანაცვლოდ იქ ნატოს ეგიდით კოსოვოს სამშვიდობო ძალებმა (KFOR) დაიწყეს განლაგება. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში კოსოვო დატოვა 160 ათასამდე ადგილობრივმა სერბმა, რომელთა უმრავლესობა დღემდე ვერ დაუბრუნდა თავის საცხოვრებელს.

საერთაშორისო რეაქცია ნატოს სამხედრო ოპერაციაზე არაერთგვაროვანი იყო. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ განაცხადა, რომ ეს იყო აშკარა აგრესია სუვერენული იუგოსლავიის წინააღმდეგ. საკმაოდ კრიტიკული იყო ინდოეთის პოზიციაც. საბერძნეთის (ნატოს წევრია) მოსახლეობის 97% ნატოს კამპანიის წინააღმდეგი იყო. ასეთივე იყო მრავალი სხვა ქვეყნის დამოკიდებულებაც კონფლიქტის მიმართ. თუმცა, ნატოს მსოფლიოში ბევრი მხარდამჭერიც ჰყავდა.

განსაკუთრებით მწვავე რეაქცია ჰქონდა მოსკოვს. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა ნატოს სამხედრო კამპანიის დაწყების შესახებ 24 მარტს ჰაერში შეიტყო – იგი აშშ-ში მიემგზავრებოდა ოფიციალური ვიზიტით. პრიმაკოვი თვითმფრინავიდან დაუკავშირდა ელცინს და მიიღო მისგან თანხმობა, რომ თვითმფრინავი

შემოეტრიალებინა. ატლანტიკის ოკეანის თავზე პროტესტის ნიშნად მიღებული სკანდალური გადაწყვეტილება ნატო-რუსეთის ურთიერთობებში „დიდი შემოტრიალების“ ნიშნად იქცა. კრემლი განსაკუთრებით იმის გამო იყო აღშფოთებული, რომ ნატო სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას ატარებდა გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე. ეს, რუსეთის აზრით, საერთაშორისო სამართლისა და II მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი მსოფლიო წესრიგის უხეში დარღვევა იყო.

ვიმეორებ, გავა 9 წელი და რუსეთი დასავლეთს სამაგიეროს გადაუხდის. შურისძიების მსხვერპლი კი საქართველო გახდება.

მიუხედავად დიდი უკმაყოფილებისა, რუსეთმა საბოლოოდ მაინც მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის შესახებ. რუსმა სამხედროებმა ნატოსაგან დამოუკიდებლად დაიწყეს მოქმედება და ქ. პრიშტინას (კოსოვოს დედაქალაქი) საერთაშორისო აეროპორტიც დაიკავეს. იმ მომენტში ნატოსა და რუს სამხედრო პერსონალს შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ ბრიტანელმა სარდალმა სერ მაიკლ ჯექსონმა თავისი ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: „მე არ მყავს ჯარისკაცები III მსოფლიო ომის დასაწყებად“. საბოლოოდ გადაწყდა, რომ რუსი სამშვიდობოები იმოქმედებდნენ როგორც KFOR-ის შემადგენელი ნაწილი, თუმცა ისინი არ დაექვემდებარებოდნენ ნატოს.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, 1998-2000 წლებში კოსოვოს კონფლიქტმა იმსხვერპლა 13421 ადამიანი, აქედან 10533 კოსოვოელი ალბანელი, 2238 სერბი, 100-მდე ბოსნიელი და სხვ.

ნატოს გადაწყვეტილება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ იყო



ახალი ეტაპის დასაწყისი ალიანსის 50-წლიან ისტორიაში.\* ამ ნაბიჯს თვისებრივი ცვლილება შეჰქონდა არა მარტო ალიანსის ფილოსოფიაში, არამედ საერთაშორისო სამართალშიც. ნატო და მისი წევრი სახელმწიფოები პრაქტიკულ განაცხადს აკეთებდნენ იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი არ უნდა იყოს იმუნიტეტი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩასადენად. ამგვარად, ნატო გარკვეულწილად თავის თავზე იღებდა გაეროს უფლებას, მიეღო გადაწყვეტილება სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ.

ამგვარი გადაწყვეტილება ალიანსისათვის იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან გაერო (ასევე ეუთოც) უძღური აღმოჩნდა, გამოეყენებინა თავის ხელთ არსებული სამუალებები კრიზისის მოსაგვარებლად.\*\*

ერთი შეხედვით, საქართველო გეოგრაფიულად საკმაოდ შორს იყო ამ მოვლენებისაგან, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენაა; ნატოს სამხედრო ოპერაცია დაკავშირებული იყო მთელ რიგ გეოპოლიტიკურ რისკებთან, რომლებიც, სავარაუდოდ, სერიოზულ გავლენას მოახდენდნენ საქართველოს უშიშროებაზე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო იყო ნატოს სამხედრო კამპანიის გავლენა რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. მოსალოდნელი იყო, რომ ეს კამპანია რუსეთში გამოიწვევდა ნატოსა და, საერთოდ, დასავლეთის მიმართ უარყოფით განწყობილებას, ე. წ. მონიტალო-მოყავისფრო ძალების კონსოლოდაციას, პოლიტიკურ სარბიელზე სამხედროთა, და, საერთოდ,

\* კოსოვოში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგების განხილვა სცდება ამ ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

\*\* ნატოს ეს ქმედება კარგი „გაკვეთილი“ აღმოჩნდა გაეროსათვის – 1999 წლის ბოლოს აღმოსავლეთ ტიმორში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილება უშიშროების საბჭომ საკმაოდ ოპერატიულად მიიღო და განახორციელა.

ძალოვანთა გააქტიურებას, ზოგადად კი – ლიბერალური რეფორმების დამუხრუჭებას.

რაც შეეხება რუსეთის საგარეო პოლიტიკას, ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ პანსლავური კავშირების განმტკიცებას (რუსეთი-ბელარუსი-იუგოსლავია), „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნებში რუსეთის ძალისმიერი ტენდენციების გაძლიერებას, ასევე დსთ-ის სივრცეში ერთიანი სამხედრო სტრუქტურების აღდგენის მცდელობებს. სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით კი, შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ რუსეთი შეეცდებოდა ენერგეტიკული რესურსებისა და სატრანზიტო მაგისტრალების მონოპოლიზებას.

რუსეთთან დაკავშირებული პროგნოზები ნატოს სამხედრო ოპერაციის დაწყებისთანავე ნაწილობრივ გამართლდა. პრეზიდენტმა ელცინმა და ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა გააკეთეს უმწვავესი განცხადებები, რასაც მოჰყვა ცნობილი სამხედრო დემარშებიც, ხმელთაშუა ზღვაში რუსული სამხედრო-სადაზვერვო ხომალდის გაგზავნის ჩათვლით. 1999 წლის 24 მარტს ნატოში რუსეთის სამხედრო წარმომადგენელი გენერალი ვ. ზავარზინი გაიწვიეს მოსკოვში, ხოლო მომდევნო დღეებში ცნობილი გახდა რუსეთის გადაწყვეტილება ნატოსთან ურთიერთობების შეჩერების შესახებ.

თუკი დასავლეთში საკმაოდ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული რუსეთის მოსალოდნელი რეაქცია, თითქმის ყველასათვის მოულოდნელი იყო უკრაინის ხელისუფლების პოზიცია, რომლითაც ის ხაზგასმით გაემიჯნა ნატოს ქმედებას. როგორც „ინტერფაქსი“ 24 მარტს იტყობინებოდა, სატელეფონო საუბრისას ბატონმა ბორის ელცინმა და პრეზიდენტმა ვ. კუჩმაძე ერთ-

ბლივად დაგმეს იუგოსლავიის წინააღმდეგ დაწყებული ნატოს სამხედრო კამპანია.

ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ისიც, თუ როგორ განხორციელდებოდა ნატოს სამხედრო ოპერაცია – წარმატებით თუ წარუმატებლად. ორივე შემთხვევაში საქართველოსათვის აუცილებელი იყო რიგი სპეციფიკური მომენტების გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა, ნატოს სამხედრო წარმატება მეტად ძლიერი სიგნალი იქნებოდა ყველა ჯურის პოლიტიკოსისათვის, რომლებიც, იუგოსლავიის ხელმძღვანელობის მსგავსად, ცდილობდნენ ეთნიკური წმენდის შედეგად მიღწეული წარმატებებისა და დემოგრაფიული ცვლილებების დაკანონებას. ირღვეოდა მათი დაუსჯელობის სინდრომი და იმის შეგრძნება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მხოლოდ რეზოლუციების მიღება ძალუძთ და სხვა არაფერი. ამ თვალსაზრისით, ეს ნათელი ნიშანი იყო სოხუმის რეჟიმისთვისაც, რომ დრომ უკვე მის საწინააღმდეგოდ დაიწყო მუშაობა.

ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ნატოს მიერ კოსოვოელ ალბანელთა (როგორც ბელგრადის რეჟიმის მსხვერპლთა) მხარდაჭერასა და მათ წარმატებას შეიძლება სტიმული მიეცა სხვა სეპარატისტული ძალებისათვის. ამ კონტექსტში ნათელი იყო, რომ სამხედრო ოპერაციის წარმატების შემდეგ ძალიან ძნელი იქნებოდა, დაეთანხმებინათ კოსოვოელი ალბანელები დარჩენილიყვნენ სერბიის ან იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში. მოხდებოდა უკეთეს შემთხვევაში, კოსოვოს დე ფაქტო, ხოლო უარეს შემთხვევაში – დე იურე დამოუკიდებლობა, ან ალბანეთთან მისი მიერთება. როგორ იმოქმედებდა ეს სხვა სეპარატისტულ მოვლენებზე, კერძოდ, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე?

მაგრამ, თუკი ნატოს სამხედრო ოპერაციის წარმატება გარკვეულ პრობლემებს შექმნიდა, მისი წარუმატებლობა კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. გარდა იმისა, რომ ყოფილი იუგოსლავიის მთელ ტერიტორიაზე სიტუაცია უალრესად გართულდებოდა, რაც ბალკანეთის დესტაბილიზაციის ტოლფასი იქნებოდა, აქედან გამომდინარე გეოპოლიტიკური შედეგებით, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ნატოს ავტორიტეტსა და, საერთოდ, ევროპის ახალი უშიშროების სისტემის მშენებლობის პერსპექტივას.

ყველაზე სახიფათო პრეცედენტი საქართველოსათვის ის იყო, რომ ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე ნატოს მიერ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შეუსრულებლობა (გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის უქონლობა) ქმნიდა იმის საშიშ პრეცედენტს, რომ ფსევდოზნეობრივი მოტივი გახდებოდა სხვა სახელმწიფოთა ექსპანსიონისტური პოლიტიკის იარაღი. ამას, შესაძლოა, დასაბამი მიეცა მეტად სახიფათო ტენდენციებისათვის.

1999 წლის 10 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლის შესაბამისად კოსოვოში გაეროს ეგიდით შეიქმნა დროებითი სამოქალაქო ადმინისტრაცია (United National Interim Administration Mission in Kosovo, UNMIK). რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ კოსოვო რჩებოდა იუგოსლავიის შემადგენლობაში ავტონომიის სახით, ხოლო მისი საბოლოო სტატუსის დასადგენად გაიმართებოდა საერთაშორისო კონსულტაციები. 2006 წელს კონსულტაციები დაიწყო და ამ პროცესს სათავეში ჩაუდგა გაეროს სპეციალური წარმომადგენელი, ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი მარტი აჰტისაარი. მის მიერ მომზადებული წინადადებები 2007 წელს წარედგინა გაეროს უშიშროების საბჭოს, თუმცა

რუსეთის მოთხოვნით რეზოლუციის პროექტი ოთხჯერ შეიცვალა. მოსკოვი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ისეთი ფორმულირებისა, რომელიც ეჭვის ქვეშ დააყენებდა იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას.

იმავე წლის აგვისტოში შეიქმნა ე. წ. „ტროიკა“ (ევროკავშირი-აშშ-რუსეთი), რომელმაც სცადა შეემუშავებინა როგორც ბელგრადის, ასევე პრიშტინასთვის მისაღები კომპრომისული ვარიანტი. ეს ძალიან რთული ამოცანა იყო, რადგან მხარეებს დიამეტრულად განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ: ბელგრადი ცდილობდა, შეენარჩუნებინა კოსოვო თავის შემადგენლობაში, ხოლო კოსოვოელები სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას გეგმავდნენ. პროცესი ჩიხში შევიდა.

მიუხედავად რუსეთის წინააღმდეგობისა, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი სულ უფრო იხრებოდნენ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისაკენ.

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მომდევნო დღეებში ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ, თურქეთმა და სხვ. გაეროს უშიშროების საბჭოს 2 წევრი – რუსეთი და ჩინეთი – დამოუკიდებლობის აღიარებას ხაზგასმით გაემიჯნა; პრეზიდენტ პუტინის განცხადებით, დასავლეთის ეს ნაბიჯი ძირს უთხრიდა საერთაშორისო სამართალს, მოსკოვი ამას უპასუხოდ არ დატოვებდა.

ასეც მოხდა. იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს სამხედრო ოპერაცია და შემდეგ დასავლეთის ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება გახდა ერთ-ერთი საბაბი (და არა ერთადერთი!) 2008 წლის აგვისტოს ომისა, ხოლო შემდეგ მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა.

რუსეთის ლოგიკა კოსოვოს გამო დასავლეთისათ-

ვის სამაგიეროს გადახდის თაობაზე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძღვება. ჯერ ერთი, იუგოსლავიის დაშლასა თუ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაში საქართველოს არანაირი წვლილი არ მიუძღვის, ამიტომ სხვის გამო ჩვენი დასჯის სურვილი სრულებით ალოგიკურია. ჩნდება ბუნებრივი კითხვა: ჩვენ რა შუაში ვართ? მეორე მხრივ, კოსოვოს სტატუსის შესახებ საერთაშორისო კონსულტაციები 9 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, ამ პერიოდში კი კოსოვოს გაერო მართავდა. აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი რუსეთმა ცალმხრივად, საერთაშორისო ნორმების თუნდაც ფორმალური პატივისცემის გარეშე გადაწყვიტა. გარდა ამისა, არსებობს ზნეობრივი ასპექტიც: განა ასე ექცევიან ერთმორწმუნე ხალხს, რომელიც 200 წლის განმავლობაში ერთგულად ედგა გვერდით რუსეთს ყველა დიდ გასაჭირში?

ეს არ ნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის პროვოცირებაში საქართველოს ხელისუფლებას არანაირი პასუხისმგებლობა არ მოეთხოვება. ფაქტია, ჩვენი ხელმძღვანელობის მხრიდან დაშვებული იყო მძიმე შეცდომები, თუმცა ეს არ ამართლებს რუსეთის სამხედრო აგრესიას.

დღემდე მაქვს განცდა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება არ იყო სრულყოფილად გააზრებული და გაანალიზებული ნაბიჯი. თუკი 1999 წლის სამხედრო ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ დასავლეთისათვის იძულებითი ნაბიჯი იყო, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით უამრავი კითხვა არსებობდა და დღემდე არსებობს.

კოსოვოს აღიარება-არაღიარების საკითხის განხილვა დასავლეთის საექსპერტო წრეების მიერ ხდებოდა საკმაოდ შეზღუდულად. ყოველ შემთხვევაში ევროპაში, ახალი სახელმწიფოს წარმოქმნის დილემა გაცილებით მეტ ყურ-

ადღებასა და ღრმა ანალიზს საჭიროებდა. მე ვერ ვიხსენებ რომელიმე ანალიტიკურ ნაშრომს, რომელშიც არგუმენტირებულადაა დასაბუთებული კოსოვოს აღიარების აუცილებლობა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ პროცესი საჯაროდ არ მიმდინარეობდა და გადანყვეტილებები პოლიტიკურ წრეებში კულუარულად „იხარშებოდა“.

2012 წლის 1 ივლისისათვის კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა გაეროს 193 წევრი სახელმწიფოდან 91-მა, ევროკავშირის 27 სახელმწიფოდან – 22-მა, ნატოს 28 წევრიდან – 24-მა.

იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ აღიარებენ კოსოვოს დამოუკიდებლობას, არიან ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორცაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, ბრაზილია (ასევე ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა უმრავლესობა), ინდოეთი (ასევე აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა).

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარეს მხოლოდ ბალტიის ქვეყნებმა.

## რუსული „მატრიოშკის“ სინდრომი

*„რუსეთი არის გამოცანა, განთავსებული საიდუმლოში და გარშემორტყმული იდუმალებით“.*

*უინსტონ ჩერჩილი*

თანამედროვე მეცნიერებაში გაჩნდა საინტერესო მიმართულება: სპეციალისტები ადგენენ ამა თუ იმ ერის კოლექტიურ პორტრეტს, ატარებენ მის ფსიქოლოგიურ ანალიზს და გამოაქვთ საინტერესო დასკვნები, რომელთა გათვალისწინება პოლიტიკაშიც შეიძლება, კერძოდ, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში.

მაგალითად, თუ გვსურს მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ ავსტრალიასთან, უნდა ვიცოდეთ, რა ხალხია ეს ავსტრალიელები, რა უხარიათ, რა არ მოსწონთ და ა. შ. მახსოვს, ერთ ჩემს ნაცნობ იაპონელს ანეკდოტი ვუამბე, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან სასაცილო იყო. ანეკდოტმა იაპონელი ვერანაირად ვერ გაამხიარულა. შემდეგ გავარკვიე, რომ ამ თემაზე იაპონიაში არ ხუმრობენ. მართლაც, ხალხია და გუნებაო.

კოლექტიური პორტრეტის შესაქმნელად, თურმე, საკმარისია დავაკვირდეთ ამ ერის ტიპურ წარმომადგენლებს ან მათ ჯგუფს და შემდეგ განვაზოგადოთ ეს დაკვირვებები. მაგალითად, როდესაც შევხვდებით ბრაზილიელს, ჩვენი მოლოდინია, რომ ის უნდა იყოს ძალიან მხიარული, კარგად თამაშობდეს ფეხბურთს და ცეკვავდეს სამბას, ქალს კი უნდა ჰქონდეს ფართო თეძოები და ა. შ. ვამბობთ, რომ ებრაელებს განსაკუთრებით ეხერხებათ ბიზნესი და ფინანსები (ასევე, ბევრი სხვა



რამ); იაპონელები და ჩინელები გვაოცებენ შრომისუნარიანობით. ზოგზე ვამბობთ, რომ ხელგაშლილი ხალხია, ზოგი ძუნწი გვეჩვენება, ერთი უფრო ნიჭიერია, მეორე ნაკლებად და ა. შ.

როგორც კი ეს ტიპური თვისებები ზომიერების გარკვეულ ზღვარს გადასცდება, ჩნდება დარღვევები, რომლებსაც ფსიქოლოგები და ფსიქიატრები აკვირდებიან. მაგალითად, გერმანული დისციპლინა შესაშური და სამაგალითოა, მაგრამ გადამეტებულ დისციპლინას პედანტიზმს უწოდებენ. ეს უკვე რაღაც ანომალიაზე მიანიშნებს. ამბობენ, გენიალური იმანუელ კანტი თავის მშობლიურ ქ. კენისბერგში მრავალი წლის მანძილზე ზუსტად ერთსა და იმავე დროს გამოდიოდა დილით სახლიდან და ერთი და იმავე ხუმრობით მიმართავდა იქვე მომუშავე მესაათეს, რომელიც დროს კანტის გადაადგილების მიხედვით აზუსტებდა. თანამედროვე ტერმინოლოგიით, კანტს პედანტური რიგიდულობა (მოუქნელობა) სჭირდა.

XX საუკუნეში ფრანგებს გერმანელებმა ორჯერ „გადაუარეს“ (I და II მსოფლიო ომები). ზოგი ფიქრობს, რომ ამ ტრაგიკულმა გამოცდილებამ ფრანგებს ე. წ. ისტორიული ნევროზი დამართა მეზობლის მიმართ, რაც, პრინციპში, გასაგებია. იტალიაში გავრცელებული ყოფილა გასტრონომიული (ანუჭამის) ფსიქოზი და ა. შ.

ისევე როგორც ნებისმიერ ერს, ქართველებსაც გვაერთიანებს დადებითი და უარყოფითი თვისებები, რომლებიც შორიდან, შეიძლება, უფრო გამოკვეთილად მოჩანს. უარყოფითი თვისებებიდან ზოგჯერ ვხედავთ ჩვენს ზედმეტად თეატრალურ ბუნებას, გუნება-განწყობილებისა და აზრთა სწრაფ ცვალებადობას, გარეშე ფაქტორებისათვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭებას (ნეტავ თუ ითარგმნება რომელიმე ენაზე სიტყვა „გვეშველე-

ბა?“), ხან ზედმეტად ეჭვიანები ვართ, ხან – ზედმეტად გულუბრყვილონი. სპეციალისტთა აზრით, თუკი ასეთი თვისებები ზომიერების ზღვარს გადასცდება, შეიძლება გაჩნდეს ე. წ. მოზაიკური ფსიქოპათიის სინდრომი. ღმერთმა გვაშოროს!

ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა უფლება დაენერა ლექსი „ბედნიერი ერი“, რომლის გახსენება ჩვენ არ გვიყვარს. ალბათ, იმიტომ, რომ ამ ლექსში მკაცრადაა მხილებული ჩვენი ხასიათის მანკიერი მხარეები. ძნელად თუ მოიძებნება სხვა ერი, რომელიც ასე დაუნდობლად გააკრიტიკა მისმა დიდმა წინამძღოლმა.

ის, რომ რუს ხალხს უდიდესი კულტურა და ისტორია აქვს, ყველამ კარგად ვიცით. ამ ერშიც შეინიშნება გარკვეული თავისებურებები. ამერიკელი მკვლევრების აზრით, რუსების კოლექტიურ ბუნებას ახასიათებს ანომალიები, რომლებსაც სპეციალისტებმა მიჯნაზე მყოფი იდენტურობა უწოდეს (Borderline Personality, ანუ BP).

რუსულ ბუნებაზე, ზოგადად, ბევრი რამ დაწერილა და თქმულა. რუსული სულის სიღრმისეული წვდომა არაერთმა რუსმა მწერალმა თუ მოაზროვნემ სცადა; ამ ძიებამ დიდი პოეტი ფიოდორ ტიუტჩევი მიიყვანა ფატალისტურ დასკვნამდე: „Умом Россию не понять, Аршином общим не измерить. У ней особенная статья – В Россию можно только верить!“

თუმცა, ფსიქონალიტიკოსები თავისას არ იშლიან და აგრძელებენ რუსული ფენომენის შესწავლას. „Понять умом“ – მათი პროფესიაა. კერძოდ, სპეციალისტების მიხედვით, BP შეიძლება დაუდგინონ პაციენტს იმ შემთხვევაში, თუკი მას აღმოაჩნდება სიმპტომთა გარკვეული რაოდენობა.

ერთ-ერთი სიმპტომი ყოფილა ე. წ. გაორებული ან გახლეჩილი იდენტურობა (split identity). მართლაც, ბოლო

2 საუკუნის მანძილზე რუსეთის საზოგადოებაში მიმდინარეობს დავა, თუ რომელ ცივილიზაციურ სივრცეს განეკუთვნება რუსეთი. ერთნი ამტკიცებენ, რომ – ევროპულს, მეორენი კი – ევრაზიულს. საზოგადოებრივი აზრიც, შესაბამისად, ორად არის გაყოფილი: ერთ მხარეს ევროპეისტები არიან, მეორე მხარეს – ევრაზიელები. დავა ორ ძალასა და პოზიციას შორის ახალი სიმწვავით განახლდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რა არის რუსეთი? ვინ ვართ ჩვენ? საით მივდივართ? ამ კითხვებზე პასუხებს ძალიან დიდი პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა; თუკი რუსეთი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას დაიწყებდა, მაშინ მას უარი უნდა ეთქვა იმპერიულ ამბიციებზე. 1990-იან წლებში არჩევანი სწორედ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაზე შეჩერდა; რუსეთის ყველა მოქალაქეს, ეთნიკური ნიშნის მიუხედავად, შეურჩიეს სახელწოდება – Россиянин. ამ ტერმინმა გააერთიანა როგორც საკუთრივ რუსები (русский), ასევე რუსეთში მცხოვრები ყველა სხვა ეთნოსი; მაგრამ რამდენად სურს, ვთქვათ, ჩეჩენს, რომ იყოს россиянин? ასევე ბევრი რუსი პატრიოტი-დერჟავნიკი უარს ამბობს გაორებულ იდენტურობაზე და თავის თავს ძველებურად უწოდებს русский-ს. ასე რომ, დისკუსია ამ თემაზე არ დამთავრებულა.

X-ს\* შეენიშნება ასევე ე. წ. დაუდგენელი საზღვრების განცდა. პიროვნულ დონეზე ეს სინდრომი გამოიხატება ადამიანის უუნარობით, დაინახოს, სად მთავრდება მისი პირადი პასუხისმგებლობის სივრცე და რა მომენტში გადადის იგი „სხვის ბოსტანში“. როდესაც დაუდგენელი საზღვრების სინდრომი დაეუფლება მთელ პოლიტიკურ ელიტას, ეს ძალიან სახიფათო ხდება. ზოგიერთი ფსიქო-

\* ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, „BP-ის პაციენტის“ ნაცვლად შემდგომ ვიხმართ X-ს.

ანალიტიკოსის აზრით, 1920-იან წლებში რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის მთავარ მიზანს (მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია) გარკვეულწილად ეს სინდრომი ასაზრდოებდა; თუკი ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, შეიძლება ფსიქოლოგიური გასაღებიც მოვუძებნოთ რუსეთის ისტორიულ სწრაფვას დაუსრულებელი გაფართოებისკენ. რუსეთის ამ თვისებაზე ჰენრი კისინჯერი წერდა: „რუსეთი ან ფართოვდება, ან იკუმშება. ერთ სტატიკურ მდგომარეობაში ყოფნა მას არ ძალუძს“.

მერაბ მამარდაშვილმა 1989 წელს შესანიშნავი იუმორით მომიტხრო, თუ როგორ აღაშფოთა იგი მოსკოვში გამოცემულმა წიგნმა სათაურით „ჩვენი საბჭოთა სამზარეულო“. ბატონ მერაბს საბჭოთა პროპაგანდის ბევრი „შედევი“ უნახავს, მაგრამ ეს, მისი სიტყვებით, ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. კერძოდ, „ჩვენი საბჭოთა სამზარეულო“ შედგებოდა უკრაინული, ქართული, სომხური, უზბეკური და სხვა სამზარეულოების აღწერისაგან. რადგანაც იმ ეპოქაში ტერმინი „საბჭოთა“ რეალურად იყო სინონიმი „რუსულისა“, გამოდიოდა, რომ, ვთქვათ, ქართული სამზარეულო რუსული იყო. მამარდაშვილს ეს ველარ მოუთმენია, სამზარეულოში მაინც დაგვიტოვეთ საზღვრები!

X-ს ახასიათებს კიდევ ერთი თვისება/სიმპტომი: იგი გარეშე სამყაროს აღიქვამს შავ-თეთრ ფერებში; თავის ირგვლივ ხედავს ან მტერს, ან მოყვარეს – სხვა არ არსებობს. მართალი გითხრათ, ეს თვისება ჩვენშიც ხშირად შემინიშნავს. ადამიანებს უჭირთ იმსჯელონ პიროვნებაზე ან მოვლენაზე სრულყოფილად, მრავალმხრივად, დადებითი, უარყოფითი თუ სხვა ფაქტორებისა და თვისებების გათვალისწინებით; თუ ჩვენს პოზიციას ან აზრს ვინმე არ იზიარებს, ის მტერია და საზიზღარი ადამიანი, რომელიც უნდა დაამარცხო ან გაანადგურო.

ხშირად ასეთ მტრად რუსეთში მიიჩნევენ აშშ-ს. მათი აზრით, ამერიკა მუდამ ცდილობს რუსეთის განადგურებას და, საერთოდ, ყველა უბედურება იქიდან მოდის.

ამ სინდრომისათვის ასევე დამახასიათებელი ყოფილა ვინმეს მიმართ X-ის დამოკიდებულების ერთბაშად და კარდინალურად შეცვლა. მაგალითად მოჰყავთ საბჭოთა „პერესტროიკის“ წლები, როდესაც პირველი მტერი – აშშ – უცბად კრემლის ყველაზე დიდ მეგობრად მოგვევლინა. მეც კარგად მახსოვს, თუ რამდენ ანეკდოტს ვუყვებოდით ამაზე ერთმანეთს გორბაჩოვის ეპოქაში. გავიდა სულ რამდენიმე წელი და ამერიკა ისევ რუსეთის მტრად იქცა.

ასეთივე სიყვარული-სიძულვილის კორიანტელშია გახვეული ქართველების მიმართ რუსების დამოკიდებულება. ერთ დღეს ძმა ვიყავით, მეორე დღეს – მტერი. ყოველთვის საინტერესოა შემდეგი ეტაპი („ЛЮБИТ, НЕ ЛЮБИТ...“).

მივყვით BP-ს სიმპტომებს. შემდეგი სინდრომია არასტაბილური თვითშეფასება, რაც მონაცვლეობს საკუთარი თავის უაღრესად მაღალ შეფასებასა და სრული უმეცრების განცდას შორის. ამ ორი უკიდურესობის ცვალებადობა ინვევს ადამიანის პრინციპების, მიზნების, მოტივაციის სწრაფ გადაფასებას; ადამიანს ეუფლება უპირატესობის, ან პირიქით – არასრულყოფილების კომპლექსი; იგი ცდილობს იპოვოს გარეშე დასაყრდენი ან ისეთი რამ, რაც შეავსებს მისი უკმარისობის გრძნობას; უჩნდება სურვილი, დააფასონ, დაინახონ მისი კეთილი ბუნება. X-ისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მას პატივი მიაგონ. ახლობლების, მეგობრების, პარტნიორების, უცნობთა მიმართ უჩნდება კითხვა: შენ მცემ პატივს? („Ты меня уважаешь?“). ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ჩანს, ჩვენმა წინაპრებმა ამ სინდრომის შესახებ ზოგი რამ იცოდნენ. XIX საუკუნეში საქართველოში ფსიქონალიზი მაინცადამაინც არ იყო განვითარებული, მაგრამ ელემენტარულმა დაკვირვებამ ქართველ კაცს რუსეთზე ათქმევინა: „დათვს ბაბა დაუძახეო“. რუსეთი დიდი ქვეყანაა, იგი იმპერატიულად ითხოვს პატივისცემას.

ამავე დროს, აღნიშნულ სიმპტომს, როგორც წესი, თან სდევს ე. წ. ვიქტიმიზაციის ფენომენი, ანუ ადამიანი გამუდმებით თავს გრძნობს ვილაცის მზაკვრული ქმედების მსხვერპლად. იგი დარწმუნებულია, რომ მისი არასწორი საქციელი სხვისი ბრალია, სხვამ უბიძგა ამისაკენ. მაგალითად, პირადად მე მოსკოვში ფრიად სერიოზული ადამიანებისაგან მსმენია ამგვარი ვერსია: ის, რომ 2008 წელს რუსეთმა ჯარი შემოიყვანა საქართველოში, ამერიკელების ბრალია, რადგან მათი მიზანია ერთმანეთს გადაჰკიდონ მართლმადიდებლები. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის მხრიდან აფხაზური და ოსური სეპარატიზმის მხარდაჭერა ამერიკელების პროვოკაციაა; ვაშინგტონმა უბიძგა მოსკოვს, მოენყო 1989 წლის 9 აპრილი. რალა თქმა უნდა, ამერიკელებმა შეაცდინეს გულუბრყვილო რუსეთი 1801 და 1921 წლებში, მოეხდინა საქართველოს ანექსია და ა. შ.

სპეციალისტთა მტკიცებით, X-ისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ე. წ. სხვათა ქომაგის სინდრომიც. ასეთ ადამიანს აქვს უსაზღვრო სურვილი, სხვას დაეხმაროს, მიუხედავად იმისა, მიმართავენ დახმარებისთვის, თუ არა: „ჩემზე არავინ ფიქრობს, მე კი ყველაზე ვზრუნავ“; როგორც რიჩარდ პაიპსი აღნიშნავს, ამ სინდრომის ტრაგიკული ირონია ის არის, რომ დახმარების ობიექტი ხშირად სრულებით არ საჭიროებს, და ეწინააღმდეგება კიდევც, ასეთ მეურვეობას. სხვათა ქომაგის სინდრომის

სახელმწიფო პოლიტიკაში რეალიზაციამ ჩამოაყალიბა რუსეთის პოლიტიკა, რომელსაც თვით გენიალურმა ფეოდორ დოსტოევსკიმ დამსჯელის ქომაგობა უწოდა. უახლეს ისტორიაში რუსეთის მხრიდან ასეთი „დახმარების“ მაგალითი მრავლადაა.

აღწერილი ფსიქოლოგიური თავისებურება თურმე აიძულებს ადამიანს ეძებოს ნებისმიერი მოვლენის ან პრობლემის ამოხსნის მხოლოდ ერთი რეცეპტი. მართლაც, თავისებური იდეოლოგიური პანაცეის ამბიცია ჰქონდა კომუნიზმს, რომელიც საზოგადოების ყოფას მხოლოდ ერთი არშინით ზომავდა – კლასობრივი ბრძოლა. X-ს ჰქონია მიდრეკილება, რომ სხვასაც იმპერატიულად მოახვიოს თავს ასეთი კატეგორიული აზროვნება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ერთი კატეგორიული არჩევანი X-მა შეიძლება ერთბაშად, რადიკალურად შეცვალოს ისეთი მოდელით, რომ იგი მთლიანად გახდეს დამოკიდებული სხვის ნება-სურვილზე. მდგომარეობა, როდესაც მას არანაირი პასუხისმგებლობა აღარ აკისრია, X-ს გარკვეული დროის განმავლობაში შეიძლება კომფორტულადაც ეჩვენებოდეს.

საინტერესოა ასევე დაკვირვება, თუ როგორია X-ის სიტუაციური მართვის უნარი (situation competence), ანუ როგორ ართმევს თავს ამა თუ იმ ვითარებას. ირკვევა, რომ ასეთ ადამიანს, როგორც წესი, შეუძლია მოაგვაროს რთული სიტუაცია, შეერკინოს დიდ პრობლემას, მაგრამ უფრო მცირე, ან მეორეხარისხოვანი სირთულის წინაშე იგი უსუსურია. მართლაც, კოსმოსის ათვისებისა თუ თანამედროვე შეიარაღების შექმნის თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი მსოფლიოს მონინავე პოზიციებზე იყო; აი, ძეხვისა ან ლუდის წარმოებას და ადამიანებისათვის ელემენტარული ყოველდღიური კომფორტის შექმნას კი

ვერაფრით დააყენა საშველი.\* ალბათ ამიტომაც უნოდა ვილაცამ საკმაოდ მწარედ სსრკ-ს „ატომური ბომბებით შეიარაღებული ბურკინა-ფასო“.

ჩვენი გადასაწყვეტია, ვირწმუნებთ თუ არა ასეთ დიაგნოზსა და სიმპტომთა აღწერილობას; თუმცა, საინტერესო და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანიც გვეჩვენოს ფსიქონალიტიკოსთა რჩევები, კერძოდ, როგორი უნდა იყოს სხვათა დამოკიდებულება X-ის მიმართ?

1) X განსაკუთრებით აფასებს პროგნოზირებად პარტნიორს, და, საერთოდ, ვითარების პროგნოზირებადობას. ამიტომ, რაც უფრო თანმიმდევრული ხართ თქვენ, მით უკეთესად აკონტროლებს X თქვენთან ურთიერთობას;

2) X აფასებს მკაცრ, მაგრამ ზრდილობიანად ჩამოყალიბებულ არგუმენტებს. თქვენ ისე უნდა განუმარტოთ მას, თუ რატომ არ იზიარებთ მის ამა თუ იმ პოზიციას, რომ არ შეილახოს X-ის პატივმოყვარეობა;

3) სასურველია, დაითანხმოთ X თამაშის წესებზე, ასევე კონკრეტულ ამოცანებსა და მიზნებზე. ნებისმიერი თემის საზღვრებისა და „წითელი ხაზების“ დადგენა უადვილებს მას თქვენთან ურთიერთობას;

4) X-მა შეიძლება სცადოს შეთანხმებული პირობების დარღვევა ან „წითელი ხაზების“ გადალახვა, მაგრამ ეს არ არის აუცილებლად ცუდის ნიშანი; თუკი დაინახავს, რომ მისი მცდელობა მტკიცედ და არგუმენტირებულად უარყავით, შეიძლება ასეთი მცდელობა თქვენ სასარგებლოდაც შემოტრიალდეს. უახლოეს ისტორიაში ბევრი მაგალითია იმისა, როდესაც რუსეთი მეტ პატივს სცემდა მტკიცე, მაგრამ კორექტულ პარტნიორს, ვიდრე სუსტსა და დამთმობს;

---

\* მაშინ ხუმრობდნენ, საბჭოთა კავშირს 1980-იან წლებში, ანგოლისა და ნიკარაგუის დახმარების ნაცვლად, ძეხვისა და ლუდის წარმოებისათვის რომ მიეხედა, სსრკ კიდევ კარგა ხანს იარსებებდაო.



5) უნდა გვახსოვდეს, რომ X ზოგჯერ ცდილობს საკუთარი უარყოფითი ზრახვების სხვებზე პროეცირებას; ჩვენ არ უნდა ავყვეთ მას. მოსკოვის ყველა მწვავე ან შეურაცხმყოფელ საქციელზე რეაგირება შეიძლება უფრო მის სასარგებლოდ მუშაობდეს. ყოველ შემთხვევაში, აშშ და დასავლეთი ხშირად არ რეაგირებენ კრემლის ბრალდებებზე; ამით ისინი ხაზს უსვამენ საკუთარ ღირსებასა და თავდაჯერებულობას, რასაც, საბოლოოდ, X დადებითად აღიქვამს და აფასებს;

6) თუკი X მაინც თავისას იჩემებს და აძლიერებს მიზანმიმართულ ზენოლას, სჯობს თამაშიდან გასვლა და მისთვის ამ ნაბიჯის ახსნა ისეთი ფორმით, რომ არ შეილახოს არავის ღირსება; ასეთი გადაწყვეტილება ღიად დატოვებს სარკმელს მომავალში შეთანხმების მისაღწევად;

7) X ღიზიანდება პარტნიორის თვალთმაქცობაზე; ამიტომ, თუკი საქმე ცუდად არის, მას ეს პირდაპირ უნდა ვუთხრათ და ავუხსნათ, თუ რატომ არის ვითარება მიუღებელი.

რუსულ ხასიათზე საუბარი შეიძლება მეტად გაგვიგრძელდეს. ყოველ ანალიზს ახალი ასპექტი ახლავს, ის კი სხვა თემას წამოწევს განსახილველად და ა. შ. ეს ფენომენი უინსტონ ჩერჩილმა „მატრიოშკას“ შეადარა: გგონია, რომ გახსენი, ამოიცანი; თუმცა, ნურას უკაცრავად – შიგნით უსასრულო გამოცანათა წყება.

მოკლედ რომ შევაჯამოთ ჩვენი ფსიქოანალიტიკური ექსკურსი, რუსეთი რთული მეზობელია. თუმცა, განა ვინ არის უპრობლემო და იდეალური? ისევე, როგორც ყველა დიდსა თუ მცირე ერს, რუს ხალხსაც უამრავი დადებითი თვისება აქვს. გარკვეული უარყოფითი თვისებები კი ყველას გვახასიათებს.

გავიმეორებ: რუსი ხალხი დიდი ერია, მდიდარი ისტო-

რიული და კულტურული მემკვიდრეობის პატრონი. პირადად მე ათი წელი მომიწია ამ ქვეყანაში ცხოვრება და რუს ხალხთან მხოლოდ დადებითი გრძნობები მაკავშირებს. საბედნიეროდ, ყოფით დონეზე ზოგადად ქართველებსაც არ გვახასიათებს რუსოფობია.

ფსიქოლოგიური თავისებურებების ახსნა ძნელი არ არის. საქმე ისაა, რომ XX საუკუნის განმავლობაში რუსეთმა უმძიმესი ტრავმები გადაიტანა. ეს გახლდათ ორი მსოფლიო ომი და ათობით მილიონი მსხვერპლი, 1918–1921 წლების სამოქალაქო ომი, ასევე მილიონობით მსხვერპლით; 1930-იან წლებში კოლექტივიზაციის შედეგად გამონეული მასობრივი შიმშილი, შეძლებული გლეხობის განადგურება, სისხლიანი რეპრესიები, რამაც საზოგადოების საუკეთესო ნაწილი შეინირა. მსხვერპლის საერთო რიცხვი 30 მილიონზე მეტია. ამასთანავე, რუსეთი XX საუკუნეში 20 მილიონამდე ადამიანმა დატოვა. მათი უმრავლესობა იყო კრეატიული, ენერგიული და განათლებული ადამიანი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს იმ ქვეყნების განვითარებაში, სადაც დასახლდნენ და ფეხი მოიკიდეს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომელიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა (მათ შორის, არამარტო რუსები), ტოტალიტარული წნეხის ქვეშ ნამდვილი მუტაცია განიცადა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ ბევრი მათგანი სრულებით მოუმზადებელი და გამოუსადეგარი აღმოჩნდა ახალ რეალობაში საარსებოდ.

უახლესი ისტორიის ყველაზე ხანგრძლივ სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებაში – „ცივ ომში“ – დამარცხება რუსეთისათვის უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა. ეს მისთვის მორალური დამცირება იყო. ამ დაპირისპირებას შეენირა კოლოსალური მატერიალური და ადამიანური რესურსი. საბჭოთა ნანგრევებზე აღმოცენებულ რუსეთს I მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიასაც

კი ადარებდნენ, რომელსაც ვერსალის ხელშეკრულებამ დამამცირებელი პირობები დაუწესა. მოგვიანებით „ვერსალის სინდრომმა“ ხელი შეუწყო გერმანიაში ნაცისტების გამარჯვებას და რევანშიზმის აღზევებას. 1990-იან წლებში გაჩნდა კითხვა: ნუთუ რუსეთიც ამ გზას დაადგება?

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რეჟიმისგან განთავისუფლება რუსეთისათვის ისტორიული გამარჯვება იყო, ამ მონაპოვარს დიდი გეოპოლიტიკური დანაკარგები ახლდა თან. 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთს ჩამოშორდა იმ ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომლებსაც იგი 300 წლის განმავლობაში მისხალ-მისხალ აგროვებდა. კერძოდ, ევროპაში რუსეთის საზღვრები დაუბრუნდა XVII საუკუნის პოზიციებს, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში კი – XIX საუკუნის დასაწყისის მდგომარეობას.

მოსკოვმა განსაკუთრებით მტკივნეულად განიცადა უკრაინის დამოუკიდებლობა. ეს იყო არა მხოლოდ დიდი გეოპოლიტიკური უკუსვლა, არამედ ისედაც გაორებული კულტურული და პოლიტიკური იდენტობის უფრო მეტად გახლეჩა, რადგან ცალკე სახელმწიფოდ უკრაინის არსებობა ბევრს რუსეთში წარმოუდგენლად მიაჩნდა. ბჟეზინსკის აზრით, უკრაინის გარეშე რუსეთი კარგავს იმპერიული სახელმწიფოს სტატუსს და ხდება რეგიონული მოთამაშე. ამასთანავე, მცირდება რუსეთის გავლენა შავი ზღვის რეგიონში, რომლის მნიშვნელოვანი კარიბჭე ყირიმის ნახევარკუნძული და ოდესის ნავსადგურია. ფაქტია, რომ ეს ტერიტორიები ისტორიულად რუსეთის მიერ ბრძოლით იყო მოპოვებული. თუმცა, რუსეთისათვის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური დანაკარგი ის იყო, რომ უკრაინისა და მისი 50 მილიონიანი სლავური მოსახლეობის გარეშე რუსეთი კარგავდა წონას სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ევროპაში.

სამხრეთ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმ-

ნიფოს შექმნამ შეასუსტა რუსეთის პოზიციები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში, რომლებსაც რუსეთი აკონტროლებდა და საიდანაც იგი პოლიტიკური და სამხედრო ძალის პროექცირებას ახდენდა მეზობელ ქვეყნებზე, კერძოდ, თურქეთსა და ირანზე. გარდა ამისა, რუსეთმა და კარგა კონტროლი აზერბაიჯანის ენერგორესურსებზე, რომელთა ტრანსპორტირება დასავლეთის მიმართულებით საქართველოს გავლითაა შესაძლებელი.

რუსეთი შედარებით იოლად შეეგუა ბალტიის რეგიონის დაკარგვას, რადგან ესტონელები, ლიტველები და ლატვიელები კულტურულად ყოველთვის უფრო ახლოს იყვნენ ევროპასთან, ვიდრე სსრკ-ის სხვა ბინადარნი. თუმცა, ტალინისა და რიგის სახით რუსეთი დაემშვიდობა ბალტიის ზღვაზე ორ უმნიშვნელოვანეს პორტს, რომლებიც ზამთარშიც ფუნქციონირებენ. ამ პორტებს რუსეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან აკონტროლებდა.\*

თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში გავლენის სფეროს მოსაპოვებლად („დიდი თამაში“): რუსეთი დამკვიდრდა შუა აზიაში. 1991 წელს რუსეთმა ეს თვალუწვდენელი რეგიონიც ერთბაშად დაკარგა, თავისი მდიდარი მინერალებითა და ენერგორესურსებით. გარდა ამისა, სწორედ შუა აზიიდან უყურებდა რუსეთი მეზობელ რეგიონს (ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი, ირანი) და ოცნებობდა ინდოეთის ოკეანის „თბილ წყლებზე“. რომელი ინდოეთის ოკეანე? მოსკოვმა გუდა-ნაბადი აიკრა ტაშკენტიდან, აშხაბადიდან, ალმა-ატიდან და ბიშკეკიდანაც კი.

---

\* როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1940 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ ბალტიის ქვეყნებს დასავლეთი 50 წლის მანძილზე არ ცნობდა სსრკ-ის შემადგენელ ნაწილად.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ტექტონიკურმა ცვლილებებმა ევრაზიის სივრცეში წარმოშვა გეოპოლიტიკური ვაკუუმი, რომლის მასშტაბი ბუეზინსკიმ გალაქტიკაში დიდი „შავი ხვრელის“ შექმნას შეადარა. მისი აზრით, ასეთი ვაკუუმის შევსებას აუცილებლად შეეცდებოდა მეზობელი ჩინეთი, რომელიც 1990-იანი წლებიდან ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის გზაზე დგას.

ამგვარად, 1990-იანი წლები რუსულ კოლექტიურ ცნობიერებაში ღრმად ჩაიბეჭდა, როგორც ამ ქვეყნის ისტორიაში უდიდესი ტერიტორიული დანაკარგებისა და გეოგრაფიულად შემცირების ეპოქა.

რაც შეეხება ეკონომიკას, 1990-იანი წლები ურთულესი პერიოდი იყო თანამედროვე რუსეთის ისტორიაში; მაშინ დიდი ეკონომიკური პრობლემები შეექმნა მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეს; თუმცა, რუსეთის გიგანტური გეოგრაფიული მასშტაბების გათვალისწინებით, კრიზისის პროპორციები უპრეცედენტო იყო; როგორც თვით რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით ქვეყანა ათეული წლებით უკან იქნა გადასროლილი, ზოგიერთი მაჩვენებლით კი – რევოლუციამდე (ანუ 1917 წლამდე) პერიოდში. თანამედროვეობის არც ერთ ეტაპზე, თუნდაც ჰიტლერის ინტერვენციის შემდეგ, სამამულო ეკონომიკის ყველა დარგს არ განუცდია ასეთი ხანგრძლივი და სასტიკი დაცემა“. ასეთ შეფასებას კონკრეტული სტატისტიკა ადასტურებს. მაგალითად, 1990-იან წლებში ქვანახშირის მოპოვების მონაცემები 1957 წლის დონეს გაუთანაბრდა, სატვირთო ავტომანქანების გამოშვებისა – 1937 წელს, კომბაინების – 1933 წელს, ტრაქტორების – 1931 წელს, ვაგონებისა და ქსოვილების წარმოების – 1910 წელს, ფეხსაცმლისა – 1900 წელს და ა. შ.

ყოველისმომცველ კრიზისს მრავალი მიზეზი ჰქონდა.

ზოგადად, სირთულეები გამოწვეული იყო ე. წ. გეგ-  
მური, ცენტრალიზებული საბჭოთა სამეურნეო სისტე-  
მის მოშლითა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის  
პროცესით. ეს მოსალოდნელი გართულებები იყო, მათ  
გვერდს ვერავინ აუვლიდა; თუმცა დღევანდელი თვალ-  
სანიერიდან ნათელია, რომ ბევრი რამ ნაჩქარევად და  
არასწორად იყო გაკეთებული, რამაც რიგით ადამიან-  
ებზე მეტად უარყოფითი გავლენა იქონია.

პრემიერ-მინისტრ ეგორ გაიდარის გუნდმა ე. წ.  
„შოკური თერაპიის“ პრინციპით დაიწყო ეკონომი-  
კის რეფორმირება. ახალგაზრდა რეფორმატორებმა,  
რომელთა შორისაც ალექსანდრე ჩუბაისი გამოირჩეოდა,  
მიზნად დაისახეს პრივატიზაციის მაქსიმალურად სწრაფი  
და მასშტაბური განხორციელება. მიზანი იყო კერძო  
საკუთრების მფლობელთა კლასის შექმნა, რაც შემდგომი  
რეფორმების სოციალური საფუძველი უნდა გამხდარი-  
ყო. აუქციონების მეშვეობით კერძო მფლობელთა ხელში  
გადავიდა 145 ათასი (!) სახელმწიფო საწარმო; ამონაგებმა  
შეადგინა მხოლოდ 1 მილიარდი დოლარი, რაც რეალური  
ღირებულების მიკროსკოპული ნაწილი იყო. გაიყიდა 500  
უმსხვილესი საწარმოც, მათ შორის გიგანტური ქარხნე-  
ბი და კომბინატები: მათი საშუალო ფასი იყო 8 მილიონი  
დოლარი. დაახლოებით ასეთი ფასი აქვს დღეს მოსკოვის  
პრესტიჟულ რაიონში 4-5-ოთახიან ბინას.

უამრავი დარღვევის, მაქინაციისა და კორუფციული  
გარიგების გამო ეს კოლოსალური სიმდიდრე ჩალის  
ფასად აღმოჩნდა მრავალი ავანტიურისტისა და კრიმი-  
ნალური ელემენტის ხელში. ალბათ ამიტომაც შეარქვა  
ხალხმა ამ პრივატიზაციას *прихватизация*, ანუ მიტაცება.  
სახელმწიფო საკუთრების მცირე ჯგუფის ხელში გადას-  
ვლამ წარმოქმნა ოლიგარქთა მცირე წრე, რომლებმაც  
ფაქტობრივად მონოპოლისტური პოზიციები მოიპოვეს

ეკონომიკის წამყვან სფეროებში, მათ შორის – ენერგეტიკაში. მალე ქვეყნის მთელი სიმდიდრის 50%-ს მოსახლეობის მხოლოდ 1,5% დაეპატრონა.

ახალშობილ ოლიგარქებს შორის იყვნენ ისეთი პიროვნებებიც, რომლებიც მომდევნო წლებში ეკონომიკის წარმატებულ განვითარებაზეც ზრუნავდნენ და დიდ ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ. ზოგიერთი მათგანი ჩვენი თანამემამულე გახლდათ, მათ შორის გამორჩეული მოსკოვში მოღვაწე ბიძინა ივანიშვილი იყო. მისი უანგარო დახმარება საქართველოს ბევრი მოქალაქისათვის იმ პერიოდში გადარჩენის ტოლფასი იყო.

ფასების ერთბაშად ლიბერალიზაციამ უმძიმესი სოციალური შედეგები მოგვცა. ფასების წარმოქმნის საბჭოური სისტემის მოშლა და საბაზრო კონკურენციის დაშვება თეორიულად სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ მონოპოლისტური კარტელების შექმნის გამო რეალურად მოხდა არა ფასების ლიბერალიზაცია, არამედ მათი სრული გაკონტროლება ოლიგარქიული ჯგუფების მიერ. ფასების ხელოვნურმა ზრდამ შეამცირა წარმოების მოცულობა, რამაც, თავის მხრივ, ძლიერ ინფლაციას მისცა ბიძგი. ეკონომიკა პრიმიტიულ ბარტერულ გაცვლებზე გადაერთო: მე შენ გაძღვე ხახვის პარტიას, შენ კი, ვთქვათ, ნივრის. ასეთი გარიგების შემდეგ ერთი ახალგამოჩეკილი ბიზნესმენი გარბოდა ხახვის საშოვნელად, ხოლო მეორე – ნივრის.

სერიოზული ფინანსური პრობლემების გამო, ალბომიცემობის სტიქიაში შეიარაღებული ძალებიც ჩაერთო. დასავლეთში შიშობდნენ, რომ ბარტერულ ან სხვა ოპერაციებში ბირთვული შეიარაღებაც მოხვდებოდა (მაგალითად, ფორთოხლის სანაცვლოდ – ბალისტიკური რაკეტები). პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამერიკელებმა გამოყვეს სახსრები რუსეთის ბირთვული ობიექტების დაცვისა და უსაფრთხოების სისტემებისათვის.

იმ წლებში ერთ ჩემს ნაცნობს სატვირთო მატარებლის ვაგონებით მოუხდა შექმნილი საყოფაცხოვრებო საქონლის გადატანა. რუსეთის იმ რეგიონში საშინელი ქურდობა იყო, ვაგონები დღისით-მზისით უმოწყალოდ იძარცვებოდა. ჩემმა ნაცნობმა იმ მიდამოებში განლაგებულ სატანკო გარნიზონს მიმართა. მომდევნო დღეებში საქონლით დატვირთულ ვაგონებს რამდენიმე ულტრათანამედროვე T-72 ტიპის ტანკი იცავდა, როგორც იტყვიან, სრული საბრძოლო მზადყოფნით. გარნიზონის მეთაურსა და ტანკისტებს არყის რამდენიმე ყუთი ერგოთ. ისე, არაყზე მეტად სამხედროებს საკვები სჭირდებოდათ, რადგან ოფიციალური მონაცემებით ჯარში განვეულთა 10% სხეულის წონის დეფიციტს განიცდიდა.

საარაკო მაქინაციებისა და გამდიდრების წყაროდ იქცა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციაც. ექსპორტ-იმპორტზე სახელმწიფო კონტროლის მოშლამ ყოვლად აბსურდული ვითარება შექმნა. კერძოდ, ნავთობპროდუქტების, ნიაღისეულის, სხვადასხვა მეტალისა და ქიმიური ნაწარმის ფასი თვით რუსეთში გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე საერთაშორისო ბაზარზე; ამიტომ მოგება კოლოსალური გახლდათ. საწარმოების ახალ მფლობელს ხშირად ერჩია ჯართად ექცია უძვირფასესი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ უცხოეთში შექმნილი მანქანა-დანადგარები, ვიდრე სახსრები დაებანდებინა საწარმოს ასამოქმედებლად. ამან გამოიწვია ადგილობრივი წარმოების კატასტროფული შემცირება. მაგალითად, 1998 წლისათვის რუსეთის მსუბუქმა მრეწველობამ 1990 წლის დონის მხოლოდ 10% შეინარჩუნა; რუსეთის ბაზრის 90% იმპორტმა დაიკავა.

ამ ეკონომიკური ქაოსის ვითარებაში რუსეთის რიგითი მოქალაქეები ნოსტალგიით იხსენებდნენ არა მარტო სტალინის სისასტიკეს, არამედ პეტრე I-ის ცნობილ „უკაზებსაც“. მაგალითად, პეტრეს დამოკიდებულება ვაჭ-



რების მიმართ ასეთი იყო: „Торговля испокон веков дело воровское, по сему содержание им положить мизерное и каждый год по одному вешать, чтоб другим неповадно было“\*.

1990-იან წლებში რუსეთის ეკონომიკამ განიცადა ტექნიკური დეგრადაცია – თანამედროვე ტექნოლოგიების მასობრივი გაჩანაგება. მანქანათმშენებლობა, სამშენებლო წარმოება, საკვები მრეწველობა, გემთმშენებლობა და სხვა უმნიშვნელოვანესი დარგები 4-5-ჯერ შემცირდა; უზარმაზარი სახელმწიფო უმთავრესად ენერგორესურსების ხარჯზე არსებობდა.\*\*

ზოგადად, მსოფლიო მშპ-ში რუსეთის წილი 2%-მდე შემცირდა და დაახლოებით ქ. ლოს-ანჯელესის პოტენციალს გაუთანაბრდა. იმ წლებში რუსეთზე დიდი სახელმწიფო ბიუჯეტი პატარა ჰოლანდიას ჰქონდა.

ერთ დროს სახელგანთქმული რუსული-საბჭოთა მეცნიერება უპატრონოდ და უსახსრებოდ აღმოჩნდა. 1992-1997 წლებში მეცნიერების დაფინანსებამ 6-ჯერ დაიკლო; განადგურდა მეცნიერების მთელი მიმართულებები და სკოლები, რომლებსაც თაობები ქმნიდნენ. ითვლება, რომ აღნიშნულ პერიოდში რუსეთის სამეცნიერო პოტენციალი შემცირდა 35–40%-ით; უცხოეთში რუსი მეცნიერების გადინება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მარტო ევროპის ქვეყნებში სამუშაოდ გადავიდა 20 ათასამდე ავტორიტეტული მეცნიერი, ხოლო აშშ-ში – გაცილებით მეტი. რუსეთის პროდუქციის წილი მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე 0,3%-მდე დაეცა (აშშ-ის შესაბამის მაჩვენებელზე 130-ჯერ ნაკლები).

საბჭოთა ეპოქის ბოლო ეტაპზე სოფლის მეურნეობა

\* „ვაჭრობა ოდითგანვე ქურდბაცაცების საქმეა, ამიტომ ვაჭრებს უნდა დაენიშნოთ მცირე ხელფასი და საჭიროა ყოველწლიურად თითო მათგანის ჩამოხრჩობა, რათა სხვები ჭკუით იყვნენ“.

\*\* ეკონომიკური სტაბილიზაციისა და ზრდის ტენდენცია რუსეთში მხოლოდ 1999-2000 წლებში გაჩნდა.

სულს დაფავდა. ხუმრობდნენ კიდეც – „ჩვენს სოფელს მხოლოდ 4 პრობლემა აქვს, ესენია: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარიო“. ელცინის გუნდის გაუზარებელმა რეფორმებმა მთლად ბოლო მოუღო ამ დარგს. 1990-1999 წლებში მსხვილფეხა საქონლის სულადობა 2-ჯერ შემცირდა, ღორისა – 3-ჯერ; ხორბლის წარმოება – 2,5-ჯერ, რძისა – თითქმის 3-ჯერ. ამ პროდუქტების რეალური ფასები 4-ჯერ გაიზარდა. ასეთმა ვითარებამ გამოიწვია სოფლად დარჩენილი მოსახლეობის შემდგომი მასობრივი მიგრაცია. 10 წლის განმავლობაში რუსეთში სრულებით დაცარიელდა 13740 სოფელი.

ასეთივე ვითარება შეიქნა ეკონომიკის სხვა დარგებშიც, მაგალითად, ტრანსპორტში. საავიაციო გადაზიდვა 4-ჯერ შემცირდა, თვითმფრინავების პარკი კი ცალკეულმა კომერციულმა ჯგუფებმა და ახალშობილმა კომპანიებმა დაინაწილეს. რუსეთმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა იმ ქვეყნების „შავ სიაში“, რომელთა საჰაერო სივრცე ნავიგაციისათვის სარისკოდ ითვლებოდა.

ყოველივე ამას თან ახლდა კრიმინალის არნახული აღზევება. რუსეთის ფედერაციის შსს-ის მონაცემებით, 1991-1999 წლებში სხვადასხვა სახის კანონდარღვევის შედეგად დაიღუპა 740 ათასი (!) ადამიანი. დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, რეალურად ეს რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. მოსკოვსა და დიდ ქალაქებში თავი მოიყარეს „ავტორიტეტებმა“ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან. რუსეთმა პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში ჰეროინის მოხმარების თვალსაზრისით, ზოგადად ნარკოტიკების მოხმარების ნიშნით კი – მესამე ადგილი (ავღანეთისა და ირანის შემდეგ). ამ წლებში რუსეთში ყოველდღიურად უგზო-უკვლოდ იკარგებოდა საშუალოდ 300 ადამიანი; საშუალო სტატისტიკური რუსეთის მოქალაქე წლის მანძილზე მოიხმარდა 18 ლიტრ

სპირტს, რაც მსოფლიო რეკორდი გახლდათ; 40 ათასი ადამიანი წლიურად მხოლოდ ფალსიფიცირებული ალკოჰოლის მოხმარების შედეგად იღუპებოდა. სწორედ ამ წლებში გაიხსნა მოსკოვში პირველი გამოსაფხიზლებელი (вытрезвитель) მცირეწლოვანი ალკოჰოლიკებისათვის.

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პროფესიად იქცა პროსტიტუცია. ყოველწლიურმა აბორტების რიცხვმა რუსეთში 8 მილიონს მიაღწია, ახალშობილთა 30% კი ქორწინების გარეშე ევლინებოდა ამ ცოდვილ სამყაროს. ძალზე იმატა ბავშვების სიკვდილიანობამ.

პირველად თავის ისტორიაში რუსეთი აღმოჩნდა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე. გარდაცვლილთა რაოდენობამ 1980-იან წლებთან შედარებით 4,9 მილიონი ადამიანით მოიმატა, 1970-იან წლებთან შედარებით კი – 7,4 მილიონით. ყოველ წუთს (!) რუსეთში 5 ადამიანი კვდებოდა, იბადებოდა – 3, ანუ სიკვდილიანობამ შობადობას 1,7-ჯერ „გაუსწრო“; შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის რეგიონებში მოსახლეობა თითქმის 40%-ით შემცირდა. რუსული წყაროების მონაცემებით, იმ პერიოდში რუსეთში რეგისტრირებული იყო

- 12 მილიონი ინვალიდი;
- 4,5 მილიონი ალკოჰოლიკი;
- 2,8 მილიონი ნარკომანი;
- თითქმის 1 მილიონი ფსიქიკურად დაავადებული;
- 890 ათასი ტუბერკულოზით დაავადებული;
- 22,4 მილიონს აღენიშნებოდა გულსისხლძარღვთა დაავადებები.

ასეთი დრამატული სტატისტიკა რუსეთში II მსოფლიო ომის დროსაც არ დაფიქსირებულა. ამ მონაცემებით რუსეთი ე. წ. მესამე სამყაროს (აზია-აფრიკა) მეორეხარისხოვან ქვეყნებს მიუახლოვდა.

სამაგიეროდ, რუსეთმა მსოფლიოში „პირველი

პოზიციები“ მოიპოვა კორუფციის მაჩვენებლებით. რეალურად კორუფციის დონემ გადაფარა ეკონომიკური განვითარების ეფექტი. ყოველწლიურად რუსეთის მოქალაქეები ქრთამის სახით გასცემდნენ 3 მილიარდ დოლარს. მხოლოდ განათლების სფეროში გაიცემოდა 500 მილიონი დოლარი. ვარაუდობენ, რომ 10 წლის მანძილზე რუსეთიდან გადინებული კაპიტალის რაოდენობამ დაახლოებით 1 ტრილიონი (!) დოლარი შეადგინა.

საინტერესოა, რომ კანონიერებასა და წესრიგზე რუსეთში ზრუნავდა 160 მაკონტროლებელი ორგანო. მიუხედავად მათი „ეფექტური“ საქმიანობისა, მოსახლეობის 69,8% განიცდიდა სირცხვილის გრძნობას თავისი ქვეყნის გამო. 25% კი დაინტერესებული იყო კორუფციული სისტემის შენარჩუნებაში.

მაშინ, როდესაც მოსახლეობის 90% სიღარიბის ზღვარს მიუახლოვდა, ლონდონში გაყიდულ ყოველ მე-15 სახლს რუსი ე. წ. „ნუვორიში“ (ანუ, ახლად გამდიდრებული. ფრ.) დაეპატრონა. მოსკოვის პრესტიჟულ რაიონებში კი 1 კვ. მეტრი ფართის ფასმა ერთი კილოგრამი ოქროს ღირებულებას გადააჭარბა.

რუსეთის მოქალაქეები, როგორც იტყვიან, ფეხებით აძლევდნენ ხმას ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას: 1990-იან წლებში მათ მიერ უცხოეთში მოთხოვნილი თავშესაფრების რაოდენობით რუსეთმა მესამე ადგილი დაიკავა მსოფლიოში (ერაყისა და სომალის შემდეგ).

ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესების გამო 1990-იანი წლები რუსეთის ისტორიაში შევიდა, როგორც უმძიმესი ხანა.

გაიდარის გუნდის ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება პრემიერმა ვიქტორ ჩერნომირდინმა სცადა, თუმცა მისი ბევრი მიდგომაც მცდარი აღმოჩნდა. კერძოდ, მრეწველობის ამოქმედების მიზნით

მთავრობამ დაიწყო მსხვილი არარენცაბელური სანარ-  
მოების ფინანსური მხარდაჭერა, რაც სახსრების უაზრო  
გაფლანგვაში გადაიზარდა. ჩერნომირდინის ციტატები  
და აფორიზმები იმ ეპოქის სიმბოლოდ იქცა. რად ღირს  
თუნდაც ფრაზა: „Хотели как лучше, а получилось – как  
всегда!“ ან კიდევ „У нас (в России) воруют намного больше,  
причем нигде не убавляется. Такая страна“\*.

ჩერნომირდინი, რომელსაც, მისივე სიტყვებით, „დაახ-  
ლოებით ორი ვაჟიშვილი ჰყავდა“, საერთაშორისო ურთ-  
იერთობებზეც ბევრს ზრუნავდა. კერძოდ, მისი ყურ-  
ადღება მონიკა ლევინსკისა და პრეზიდენტ კლინტონის  
სექსუალურმა სკანდალმა მიიპყრო: „Клинтонa целый год  
долбали за его Монику. У нас таких через одного. Мы еще  
им поаплодируем. Но другое дело – Конституция. Написано:  
нельзя к Монике ходить – не ходи! А пошел – отвечай. Если  
не умеешь... И мы доживём! Я имею в виду Конституцию“.

ამ უბადლო ციტატაში ბატონი ჩერნომირდინი კონ-  
სტიტუციას შემთხვევით არ ახსენებდა. საქმე ისაა, რომ  
ელცინის გუნდით უკმაყოფილო უმაღლესმა საბჭომ  
ფრონტალური შეტევა წამოიწყო პრეზიდენტის წინააღ-  
მდეგ. მიზანი გახლდათ პრეზიდენტის ინსტიტუტის  
ძალაუფლების შემცირება და ფაქტობრივად რუსეთის  
საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნა. პოლიტიკური  
დაპირისპირება მიმდინარეობდა ახალი კონსტიტუციის  
მომზადებასთან დაკავშირებული მწვავე დებატების  
ფონზე. ორივე მხარე კონსტიტუციური ცვლილებების  
თავის სასარგებლოდ „გადაქაჩვას“ ცდილობდა.

1993 წლის 21 სექტემბერს პრეზიდენტმა ელცინმა  
დაშლილად გამოაცხადა უმაღლესი საბჭო და სახალხო  
დეპუტატთა ყრილობა. არჩევნები უკვე ახალი სახელ-  
წოდების საკანონმდებლო ორგანოში – სახელმწიფო

\* ამ აფორიზმების სხვა ენაზე თარგმნა, ჩემი აზრით, საცოდაობაა.

სათათბიროში (დუმა) – იმავე წლის დეკემბრისათვის დაინიშნა, მასთან ერთად კი – რეფერენდუმი ახალი კონსტიტუციის მისაღებად. უმაღლესმა საბჭომ პრეზიდენტის გადანიშნულება ბათილად ცნო, ხოლო თვით ელცინი თანამდებობიდან „გადააყენა“. ელცინის ოპოზიციის სათავეში იდგნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რუსლან ხასბულატოვი და ვიცეპრეზიდენტი ალექსანდრე რუცკოვი. მალე მოსკოვში დაიწყო მასობრივი არეულობა. 2-3 ოქტომბერს ელცინის მონინაალმდეგებმა დაიკავეს ქალაქის მერიის შენობა და სატელევიზიო ცენტრი ოსტანკინოში; ქუჩებში ააგეს ბარიკადები, დაიწყო შეტაკებები სამართალდამცველებთან. ყველას პირზე ეკერა სიტყვა „რევოლუცია“. ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და დენტის სუნი დატრიალდა.

პრეზიდენტმა ელცინმა საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. მოსკოვში სამხედრო ნაწილები გამოჩნდა. სიტუაცია ყველას აგონებდა 1991 წლის აგვისტოს მოვლენებს, თუმცა ამჯერად პუტჩისტების წინააღმდეგ ბრძოლას ელცინი ედგა სათავეში. პუტჩისტები კი იმავე „თეთრ სახლში“ გამაგრდნენ, სადაც 2 წლის წინ აგვისტოს მოვლენების დროს დემოკრატიული რუსეთის შტაბ-ბინა იყო განლაგებული. შექმნილი ვითარება იმიტაც განსხვავებოდა აგვისტოს პუტჩისაგან, რომ ამჯერად რუსეთის საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი, ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოება, პრეზიდენტ ელცინის მხარეზე იყო. ელცინს კი, 1991 წლის პუტჩისტებისაგან განსხვავებით, თავი მაგრად ეჭირა. მას ხელი არ უკანკალებდა.

4 ოქტომბერს მთელი მსოფლიო სულგანაბული შესცქეროდა CNN-ის პირდაპირ გადაცემას „თეთრი სახლის“ მისადგომებიდან. იქვე, შორიახლოს მდგომი T-72 ტიპის ტანკი (რამდენიმე ხნით ადრე შეიძლება სწორედ

ეს ტანკი იცავდა ჩემი ნაცნობის საქონელს რკინიგზის სადგურში) პირდაპირი დამიზნებით უშენდა ყუმბარებს პუტჩისტებს. მათი ლიდერი გენერალი რუცკოი რადიოთი მოუწოდებდა სამხედროებს, შეენწყვიტათ შეტევა და მათ მხარეზე გადასულიყვნენ. იმ მომენტში არმიის რომელიმე ნაწილს საკმაოდ პოპულარული გენერლის მხარე მართლაც რომ დაეჭირა, ან ელცინისათვის მისი თავდაცვის მინისტრ პაველ გრაჩოვს რომ ცოტათი „ეგანა“, რუსეთს დიდი უბედურება არ ასცდებოდა. იმავე დღეს ოპოზიციის ლიდერები, მათ შორის, ხასბულატოვი და რუცკოი, დააპატიმრეს.

1991 წლის აგვისტოს პუტჩისაგან განსხვავებით, მოსკოვსა და სრულიად რუსეთში ამ მოვლენებს მოსახლეობა მწარე დუმილით შეხვდა. არანაირი დღესასწაული არ გამართულა, ორივე მხარისათვის ეს ამბავი ტრაგედია იყო.

1993 წლის 12 დეკემბერს საყოველთაო რეფერენდუმმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციის ელცინისეულ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს ძლიერი უფლებამოსილება ენიჭებოდა. კონსტიტუციამ საბოლოოდ დააკანონა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ცვლილება რუსეთში. რუსეთის ფედერაციამ გეზი აიღო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ.

რაც მეტი დრო გადის ელცინის მმართველობის პერიოდის შემდეგ, უფრო ნათლად იკვეთება იმ ეპოქის უნიკალურობა დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. რუსეთის ისტორიის არც ერთ მონაკვეთში არ სარგებლობდნენ ამ ქვეყნის მოქალაქეები იმდენი თავისუფლებით, რამდენითაც წინააღმდეგობრივ და რთულ 1990-იან წლებში.

დემოკრატიისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯები გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დროს გადაიდგა, თუმცა

რეალური პლურალისტული ტრანსფორმაცია რუსეთის საზოგადოებაში სწორედ ელცინის დროს მოხდა. ამ წლებში შეიქმნა მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა, დიდი თავისუფლება მიეცა მედიასა და არასამთავრობო სექტორს. ერთ დროს საბჭოთა კავშირში გამომწყვდეულმა მილიონობით რიგითმა მოქალაქემ უცხოეთში თავისუფლად გამგზავრება შეძლო. მათ წინაშე გაიხსნა მსოფლიო და მსოფლიოს წინაშე – რუსეთი.

რუსეთის გახსნილობა, უპირველესად, მის საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო მსოფლმხედველობაზე აისახა. დასავლური ორიენტაციის „ფლაგმანი“ საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი იყო. მისი აზრით, რუსეთი რაც შეიძლება სწრაფად უნდა შესულიყო დასავლეთის სახელმწიფოთა ოჯახში, აენყო ცხოვრება მისი ნორმებით, რათა გარდაქმნილიყო ცივილიზებულ ქვეყნად. კოზირევი ამტკიცებდა, რომ ახალ რუსეთს აღარ ემუქრებოდა გარეშე სამხედრო საფრთხე, აღარ ჰყავდა დიდი მტრები, ამიტომ ცივილიზებულ სამყაროში მის ინტეგრირებას ობიექტურად აღარაფერი უშლიდა ხელს. დასავლეთთან სამოკავშირეო ურთიერთობებისა და ფართო თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო სამხედრო-პოლიტიკურ სტრუქტურებთან, მათ შორის ნატოსთან დაახლოება. სწორედ ალიანსთან ერთად უნდა შეექმნა რუსეთს ევროპის ახალი უსაფრთხოების სისტემა.

კოზირევის დასავლურ ორიენტაციასა და ევროპეისტულ აზროვნებაში ოპონენტები რუსეთის მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გარდაქმნის საშიშროებას ხედავდნენ. ისინი მინისტრს ადანაშაულებდნენ „უმცროსი ძმის“ ფსიქოლოგიის დანერგვაში, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულვებელყოფაში. მათი აზრით, რუსეთს არა მხოლოდ დასავლეთისაკენ უნდა



ეცქირა, არამედ აზიისკენაც, რადგან ამ ქვეყანას ჰქონდა ევრაზიული გეოგრაფია, ისტორია, მენტალიტეტი და სასიცოცხლო ინტერესები.

ე. წ. ევრაზიელების ზენოლით ელცინი 1996 წელს იძულებული გახდა, ჩამოეშორებინა კოზირევი და შესაბამისი ცვლილებებიც შეეტანა საგარეო პოლიტიკაში. მომდევნო წლებში მოსკოვი მსოფლიოში თავისი პოზიციების გამყარებას ცდილობდა.

რუსეთს საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით ერგო გაეროს უშიშროების საბჭოს წევრობა, ანუ II მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი მოთამაშის პოზიცია. ეს მას საშუალებას აძლევდა, გამოეყენებინა თავისი საერთაშორისო წონა, ეთამაშა უპირატესად საკუთარ სამეზობლოში არბიტრის როლი, შეენარჩუნებინა და აღედგინა მეზობლებზე ზემოქმედების ბერკეტები. ასეთ მიდგომას ხელს უწყობდა დასავლეთის, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის, პოზიციაც, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის პრიზმით უყურებდა პოსტსაბჭოთა სივრცეს: – „რუსეთი – უპირველეს ყოვლისა“. ამ თვალსაზრისით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმატება იყო დსთ-ის ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმება ერთობლივი უსაფრთხოების სისტემის შექმნის შესახებ.\* აფხაზეთში სამხედრო მარცხისა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველო იძულებული გახდა მიერთებოდა დსთ-სა და ამ ხელშეკრულებას.

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, ელცინის დროს რუსეთის სახელმწიფო სათათბირო წამდვილი უკომპრომისო პოლიტიკური ბატალიების ასპარეზად იქცა. მასში ძლიერად იყო წარმოდგენილი მთავარი ოპოზიციური

---

\* კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაცია (ОДКБ)

ძალა – რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია.

კომუნისტები რუსეთს წარსულისაკენ ექაჩებოდნენ, თუმცა მათ პროგრამასა და რეფორმირებულ მსოფლმხედველობაში ბევრი რამ იყო გადმოტანილი ევროპული სოციალ-დემოკრატიიდან. დუმაში მოღვაწეობდა დემოკრატიული წრეების არაერთი წარმომადგენელი, რომლებსაც ფართოდ მიუწვდებოდათ ხელი მედიასაშუალებებზე. იმავე წლებში პოლიტიკაში წარმატებულად შემოაბიჯა უნიჭიერესმა ულტრაპოპულისტმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ.

1990-იან წლებში რუსეთში ჩატარებული სხვადასხვა დონის არჩევნები გარკვეულწილად მაგალითი იყო ყოფილი საბჭოთა სამეზობლოსათვის. კერძოდ, 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ელცინმა მხოლოდ ხმათა მცირე უპირატესობით აჯობა კომუნისტთა ლიდერს გენადი ზიუგანოვს.

კიდევ მეტი პოლიფონიით გამოირჩეოდა რუსული მედია. ცენტრალურ ტელეარხებზე იმართებოდა მწვავე დებატები, პრესისათვის თითქმის არ არსებობდა ტაბუდადებული თემები, ჟურნალისტები აშუქებდნენ ქვეყნისა და მეზობელი სახელმწიფოების „ცხელ წერტილებში“ მიმდინარე მოვლენებს. მაღალი იყო თვით ჟურნალისტური პროფესიონალიზმის დონე – მწვავე კონკურენცია საუკეთესოებს არჩევს.

ელცინის ეპოქაში შეიქმნა და მოღონიერდა არასამთავრობო სექტორი: პროფესიული გაერთიანებები, ასოციაციები, ფედერაციები, კლუბები, კავშირები. ეს სწორედ ის ე. წ. ჰორიზონტალური ქსელი გახლავთ, რომელიც ქმნის და აძლიერებს დემოკრატიულ კულტურას, მოქალაქეობრივ ცნობიერებას, თავისუფლების განცდას.

რუსეთის წინაშე ყოველთვის იდგა და დღესაც დგას ეგზისტენციალური არჩევანი: დემოკრატია თუ ავტო-

რიტარიზმი? რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, პასუხი ნათელია: დემოკრატია სჯობს; თუმცა ასეთი არჩევანის გაკეთების შემდეგ იბადება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი კითხვა: როგორ შევინარჩუნოთ ამ თვალუწვდენელი, ურთულესი ქვეყნის ერთიანობა დემოკრატიული პლურალიზმის პირობებში? მართლაც, 1990-იანი წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ რაც მეტი ავტონომია და დამოუკიდებლობა მოიპოვეს ქვეყნის ცალკეულმა რეგიონებმა და ფედერაციის სუბიექტებმა, მით უფრო მოიკიდა ფეხი ცენტრიდანულმა სტიქიამ; ეს კი ქვეყანას დეზინტეგრაციისკენ მიაქანებდა. ამას შეიძლება „შლაგ-ბაუმის ეფექტიც“ ვუწოდოთ, როდესაც ადგილებზე ჩნდება განცალკევების, სხვებისაგან დისტანცირების, საკუთარი წესებით ცხოვრების სურვილი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო ჩეჩნეთი, რომელმაც რუსეთიდან გამოყოფა ისურვა. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება? უნდა მისცეს „მწვანე შუქი“ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას? სხვამაც რომ მოინდომოს? დავესესხები ისევ ბატონ ჩერნომირდინს: „ჩვენში მთავარია არა ის, თუ როგორ გავერთიანდეთ, არამედ ის, თუ ვინ იქნება ხელმძღვანელი“. ავიღოთ თუნდაც ნავთობით მდიდარი თათარსტანი, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული ზოგიერთი კანონი ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობას, არამედ დემოკრატიის ნორმებსაც. ამ შემთხვევაშიც, სად გადის ზღვარი ადგილობრივ დონეზე მეტ თავისუფლებასა და ერთიანი სახელმწიფო ინსტიტუტების შენარჩუნებას შორის?

ასეთ ეჭვნარევ შეკითხვებს, ალბათ, ოპონენტები გაუჩნდება: „განა არ არსებობს მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება? თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ფედერალური და

ცალკეული შტატის კანონმდებლობა ძალმომრეობისა და დიდი კონფლიქტების გარეშე თანაარსებობს“. ასეთი ხედვის საპირწონედაც მოიძებნება კონტრარგუმენტები: „აშშ-მა 200-წლიანი გზა განვლო. სხვათა შორის, სამოქალაქო ომიც გადაიტანა. დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველია საშუალო კლასი, რომლის შექმნას დრო, მშვიდობა და სტაბილურობა სჭირდება. ასე რომ, გვაცალეთ, ბატონო...“

ელცინის დემოკრატიული ექსპერიმენტით უკმაყოფილებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. მთავარი მაინც მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება იყო, რაზეც უკვე გვქონდა მოკლედ საუბარი. ფრიად მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ რუსეთის ელიტამ ვერ შეიმუშავა კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა სახის ქვეყანა უნდა ყოფილიყო განახლებული რუსეთი: ე. წ. ეროვნული სახელმწიფო, თუ მოდერნიზებული იმპერია. მოგესხენებათ, ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ქემალისტურმა თურქეთმა უარი თქვა იმპერიულ ამბიციებზე, მთლიანად შიდა პრობლემებზე გადაერთო და მრავალეთნიკური მოსახლეობის ერთ ერად „გადადუღებით“ ევროპული ყაიდის სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა. იმპერიული სტატუსის დაკარგვას საკმაოდ სწრაფად შეეგუვნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთიც. პოსტსაბჭოთა რუსეთი კი იმპერიასა და ეროვნულ სახელმწიფოს შორის „გაეჩხირა“. მან ვერ შეძლო ქვეყნის კეთილდღეობაზე კონცენტრირება და კვლავ ინტეგრაციულ სქემებს, ასევე, სამეზობლოში საქმეების „დალაგებას“ მიჰყო ხელი: დსთ, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, რუსეთ-ბელორუსიის ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფო. არსებითად, ამ სქემების ნაწილი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების მიმართ რუსეთის პოლიტიკაც. ნეოიმპერიული სქემების

რეალიზაციას კი სჭირდებოდა რესურსები: გაზი, ნავთობი, ფული და ა. შ. იმ პერიოდის რუსეთი პირადად მე ბავშვობაში თევზაობის დროს ნანახ სურათს მაგონებდა: წყლიდან ამოგდებული ღლავი სულს ღაფავდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, გადაეყლაპა მის გვერდით ასევე აგონიაში მყოფი პატარა თევზები.

სახელმწიფოს მშენებლობის ასეთი ნაჯვარი ფილოსოფია ასუსტებდა რუსეთის ახალ დემოკრატიულ ინსტიტუტებს და აძლიერებდა რევანშისტულ ძალებს.

ერთ-ერთი მიზეზი ასევე გახლდათ თვით პრეზიდენტის პერსონა. ელცინის პიროვნული თვისებები, რომლებიც ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ პერიოდში იყო მითქმამოთქმისა და კრიტიკის ობიექტი, მომდევნო წლებში გახდა საყოველთაო განკითხვისა და აღმფოთების საგანი.

უკმაყოფილების უფრო სერიოზული მიზეზი პრეზიდენტის გარემოცვაში მოკალათებული ოლიგარქები და კორუმპირებული ჩინოვნიკები იყვნენ. მათ მილიონებზე სჯა-ბაასი „ეროვნული სპორტის“ ნაირსახეობად იქცა.

ჯანმრთელობის გაუარესებასთან ერთად სულ უფრო მეტად იჩინა თავი ელცინის ხასიათის თავისებურებებმა. 1997–1999 წლებში ელცინმა 4 პრემიერ-მინისტრი გამოცვალა (ვიქტორ ჩერნომირდინი, სერგეი კირიენკო, ევგენი პრიმაკოვი, სერგეი სტეპაშინი) შესაბამისი გუნდებით; ასეთ ზიგზაგებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არასტაბილურობა შეჰქონდა.

1998 წლის უმძიმესმა ეკონომიკურმა კრიზისმა თითქმის მთლიანად „ჩარეცხა“ ხელისუფლების წინა წლების მცდელობა, მიეღნია ფინანსური სტაბილიზაციისათვის, გაედლიერებინა რუბლი, გაეზარდა მოსახლეობის შემოსავლები. დეფოლტის შედეგად მილიონობით ადამიანმა დაკარგა პირადი დანაზოგები, დაინგრა უამრავი მცირე და საშუალო ბიზნესი, უძლიერესი დარტყმა განი-

ცადა საბანკო სისტემამ. რიგითი ადამიანები ელცინს ვერ პატიობდნენ რამდენიმე დღით ადრე გაკეთებულ განცხადებას, რომ რუბლსა და მოქალაქეთა დანაზოგს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა.\*

მოსახლეობას აღაშფოთებდა უკანონობის თარეში, კერძოდ, კრიმინალი ჩეჩნების თავგასულობა. პრესა და ტელევიზია სავსე იყო მასალებით ჩეჩნების მიერ გატაცებული ბიზნესმენების, ჟურნალისტების, შეიარაღებული გარჩევების, მკვლევლობების შესახებ: სად არის მთავრობა? სად არის ელცინი? მახსოვს ერთ-ერთი შოვინისტური რუსული გამოცემის პუბლიკაცია სათაურით: „აქვს თუ არა უფლება კრემლს, გამოიყენოს ატომური ბომბი ამბოხებული ჩეჩნეთის წინააღმდეგ?“

ნაციონალ-პატრიოტების უკმაყოფილების ცალკე მიზეზი იყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თვითნებობა. 1990-იან წლებში კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი ადრესატი საქართველო და მისი პროდასავლური ხელისუფლება იყო.

ყველა უბედურებას, წარუმატებლობას, სისუსტეს, უვიცობას, უნიჭობას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დემოკრატიას აბრალებდა. დემოკრატია ქაოსისა და უკანონობის სიმბოლოდ იქცა.

რუსეთი ძლიერ ხელს ითხოვდა.

1999 წლის 31 დეკემბერს ბორის ელცინმა სატელევიზიო მიმართვით ამცნო რუსეთის მოსახლეობასა და მსოფლიოს თავისი გადაწყვეტილება პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ. თავის მემკვიდრედ და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად მან ვლადიმერ პუტინი შეარჩია.

ამის შემდეგ კი სხვა ისტორია იწყება.

---

\* 1998 წლის რუსული დეფოლტის დამანგრეველი დეტონაცია საქართველოშიც განიცადეთ.

## ბოლოსიტყვაობა

წიგნზე მუშაობისას მეტად სასარგებლო რჩევები მივიღე ჩემი მეგობრებისა და ახლობლებისაგან. ჩამოვთვლი მათ გვარებს ანბანური თანმიმდევრობით:

ამ წიგნის რედაქტორის, შესანიშნავი მეცნიერისა და დიპლომატის, *რეზო გაჩეჩილაძის* ნაშრომებში ბევრი საინტერესო რამ ამოვიკითხე და პირადად მისგანაც საყურადღებო რეკომენდაციები მივიღე;

*ვაჟა ლორთქიფანიძე* წიგნში აღწერილ 1990-იან წლებში იყო არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილე, არამედ საქართველოში მათი ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედიც; *გოგი ლორთქიფანიძე* კი ისტორიის საკითხებში „ცოცხალი ენციკლოპედიაა“;

საერთაშორისო ურთიერთობებში *ირაკლი მენაღარიშვილის* უნიკალური გამოცდილება ამ წიგნის შექმნაშიც უაღრესად გამომადგა;

ლიტერატურული გემოვნებითა და მწერლის ზუსტი თვალით *ლაშა თაბუკაშვილი* ჩემთვის იყო და რჩება ურყევ ავტორიტეტად;

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უდიდესი ინფორმაცია და ზუსტი ხედვა აქვს *სოსო ცინცაძეს*.

ყველას გულწრფელ მადლობას ვუხდის მხარდაჭერი-სათვის!

მადლიერების გრძნობა მინდა დავუდასტურო *მარინე თუშიშვილს*, რომელმაც სტილისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გააკეთილშობილა ჩემი ნაშრომი. ამ კუთხით ბატონი *თამაზ ებანოიძის* შენიშვნები და რჩევები ყოველგვარი კრიტიკის გარეშე შევიტანე ტექსტში, როგორც იტყვიან, თვალდახუჭულად.

ასევე მაღლიერებით აღვნიშნავ ბატონი გიორგი  
წერეთლის, ნანა გიორგაძისა და კარინა ხარაზიშვილის  
დახმარებას.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე, ზურაბ. ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისკენ. თბილისი: საარი, 2000.
2. გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა (მესამე გადაამუშავებული გამოცემა). თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011.
3. გაჩეჩილაძე, რევაზ. ჩემი XX საუკუნე. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2011.
4. რონდელი, ალექსანდრე. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბილისი: მეცნიერება, 2003.
5. 100 ქართველი უცხოეთში. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. 2011.
6. შევარდნაძე, ედუარდ. ფიქრი წარსულსა და მომავალზე. თბილისი: პალიტრა L, 2006.
7. ტოლსტოი, ლევ. ჰაჯი-მურატი. თბილისი: მერანი. 1991. მთარგმნელი: ელიზბარ უბილავა.
8. Виноградов, Андрей. Путч. Хроника тревожных дней. „Прогресс“, Москва, 1991.
9. Война в Боснии-Герцеговине. Энциклопедия „Кругосвет“, Генштаб. ру.
10. Генштаб.ру. <http://www.genshtab.ru/forum>
11. Гуськова Е. Ю., История югославского кризиса (1990–2000). Москва, Русское право / русский национальный фонд, 2001.
12. Ельцин, Борис. Президентский марафон. ООО „Издательство АСТ“, Москва, 2000.
13. Кара-Мурза С., Глазьев С.Ю., Батчиков С.А. «белая книга. Экономические реформы в России 1991-2001» Москва: Алгоритм, 2008.
14. Коэн, Стивен. „Вопрос вопросов“ Почему не стало Советского Союза? Москва: Прогресс, 2007.

15. Млечин, Леонид. Холодная Война. ЗАО Центрополиграф, Москва, 2009.
16. Население России. Статистика, факты, комментарии, прогнозы. Агентство РиФ. <http://www.rt-agency.ru/acn/stat-ru>
17. Орлов О. П., Черкасов А. В. Россия-Чечня: Цепь ошибок и преступлений. Электронная библиотека: <http://www.books.ru/author/orlov-o/chechn/1-chechn.html>
18. Примаков, Евгений. Годы в большой политике. Коллекция „Совершенно секретно“, Москва, 1999.
19. Так говорил Черномырдин. ЭКСМО, Москва, 2011.
20. Центральноевропейские страны на рубеже XX-XXI вв. Справочник. Новый Хронограф, Москва, 2003.
21. Черняев А. С., Вебер А. Б., Палажченко П. Р., Славин Б. Ф., Логинов В. Т., Пучкова Л. Н., Королева Н. Ф., Александрова Т. А. Союз можно было сохранить. Белая книга: Документы и факты о политике М. С. Горбачева по реформированию и сохранению многонационального государства. Москва: АСТ, 2007.
22. Юго-Восточная Европа в эпоху кардинальных перемен (под ред. Языковой А. А.) РАН, Институт Европы, 2007.
23. <http://www.ria.ru/spravka/20111225/521725375.htm>
24. Arango, Tim. Iraq's Prime Minister gains more power after political crisis. The New York Times, February 27, 2012.
25. Arias King, Fredo; King de Arias, Arlene; Arias de la Canal, Fredo. Russia's Borderline Personality. Heldref Publications, Copyright 2008.
26. - Aron, Leon. Everything you think you know about the collapse of the Soviet Union is wrong“. Foreign Policy Magazine. July-August. 2011.
27. Binyon, Michael. Thatcher told Gorbachev Britain did not want German Reunification. The Sunday Times. September 11, 2009.
28. Blitz, James. Mitterand Feared Emergence of “Bad” Germans. Financial Times. September 9, 2009.
29. Brzezinski, Zbigniew. The Grand Chessboard. American Primacy and Its Geostrategic Imperatives. Basic Books, New York, 1997.

30. Brzezinski, Zbigniew. *Strategic Vision*. Basic Books, New York, 2012.
31. Bush, George; Walker, Herbert and Scowcroft, Brent. *A World Transformed: The Collapse of the Soviet Empire, The Unification of Germany, Tiananmen Square, the Gulf War*. Alfred A. Knopf, New York, 1998.
32. Clinton, William Jefferson. *My life*. Alfred A. Knopf. New York, 2004.
33. Ekedahl, Carolyn and Goodman, Melvin. *The Wars of Eduard Shevardnadze*. Hurst & Company. London, 1997.
34. FBI-terrorism. <http://www.fbi.gov/about-us/investigate/terrorism>
35. French president François Mitterand on the Issue of German Reunification. *Süddeutsche Zeitung*, July 27, 1989.
36. Fukuyama, Francis. *The End of History and the Last Man*. Simon & Schuster. New York, 1992.
37. Galbraith, Peter W. *The end of Iraq*. Simon & Schuster, UK, 2006.
38. Griffith, John C. *Afganistan: A history of Conflict*. Carlton Books, London, 2001
39. Gates, Robert M. *From the Shadows*. Simon & Schuster, New York, 1996.
40. Hadley, Kathryn. The legend of Mitterand's opposition to German Reunification. *History Today*. December 14, 2009.
41. <http://en.wikipedia.org/wiki/German-reunification>
42. <http://reformam-net.narod.ru/Education/edu9hist15.html>
43. <http://scienceport.ru/content/istoriya-terrorizm-rossii>
44. <http://www.usatoday.com/news/index/iraq/nirq050.htm>
45. Human Rights Watch. *Iraq's Crime of Genocide: The Anfal Campaign Against the Kurds*. New Haven: Yale University Press, 1994
46. Huntigton, Samuel P. *The Clash of Civilizations and the Remarking of World Order*. Simon & Schuster. New York, 1996.
47. Kissinger, Henry. *Diplomacy*. Simon & Schuster, UK, 1994.
48. Lawrence, Wright. *The Looming Tower: Al Quaeda and the Road to 9/11*. Alfred A. Knopf, New York, 2006.

49. Marinescu, Andra. How much did the German Reunification Cost? Welt am Sonntag, October 5, 2010.
50. Norland, Rod. Top Afghans Tied to '90s Carnage, Researchers Say. The New York Times. July 22, 2012.
51. Nugent, Helen. United Germany might allow another Hitler, Mitterand told Thatcher. The Sunday Times. September 10, 2009.
52. Persias Gulf War. <http://gulfwar1991.blogspot.com/feeds/posts/default>
53. Powell, Colin. My American Journey. Random House, New York, 1995.
54. Report to Congress on the Conduct of the Persian Gulf War.
55. Talbott, Strobe. The Russia Hand. Random House, New York. 2002.
56. The Clinton – Gore Administration: A Record of Progress. <http://www.scmidnightlyer.com/jobwelldone.html>
57. “The Germans Are Back”. The Iron Lady’s Views on German Reunification. Spiegel Online International. September 11, 2009.
58. [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)